

ქ. ქოჩიაშვილი

საგენარემო საგარტალი

საგაგომხეგლო სსსლი
..ტაქნიკური უნივერსიტეტი

ევროპულ კერძო სამართალში კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლების პრაქტიკული გამოყენება სამართლიანი კონკურენციის წინაპირობადაა აღქმული¹. კერძო ავტონომიის ერთ-ერთ გამოვლინებას ნების ავტონომია წარმოადგენს², აღნიშნული განსაზღვრავს მხარეთა უფლებამოსილებას, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება და დადოს ხელშეკრულება³. შესაბამისად, ნების ავტონომია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია თანამედროვე სამენარშეო სამართლისთვის. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოუდგენელია აბსოლუტური თავისუფლების მინიჭება ნების გამოვლენის დროს, ამიტომ კანონმდებლობით დადგენილია შეზღუდვები, რომელთა მიზანია: საჯარო ინტერესის დაცვა; სუსტი მხარის მინიმალური დაცვა; ხელშეკრულების თავისუფლების უზრუნველყოფა; სამართლებრივი სტაბილურობა; სახელშეკრულებო სამართლიანობა.⁴

¹ Reisenhuber K., Europäisches Vertragsrecht, 2. Auflage, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2006, 62.

² ა. იოსელიანი. სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალი. 2011. გვ. 12-15.

³ ლ. ჭანტურია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ. 90.

⁴ მაგალითისთვის: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №-ას-505-889-06

სამენარმეო ურთიერთობების სუბიექტთა ზოგადი დახასიათება

სამენარმეო ურთიერთობათა სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობით აქვთ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება და, შესაბამისად, კანონით ანდა წესდებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

ზოგადად, კერძო-სამართლებრივ (მათ შორის სამენარმეო) ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსკ მუხ. 24).

სამენარმეო ურთიერთობათა „კლასიკური“ მონაწილენი არიან ე.წ. მენარმე სუბიექტები, რომელთა სამართლებრივი ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს, *numerus clausus* პრინციპზე დაყრდნობით, ვთავაზობს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მენარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მენარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.¹

ზოგადად, სამართლებრივ დოქტრინაში მენარმე სუბიექტების (გარდა ფიზიკური პირის სახელით მოქმედი ინდივიდუალური მენარმისა) კლასიფიკაცია წარმოდგენილია სხვადასხვა ნიშნების მიხედვით,

¹ აესტრის კანონმდებლობით - Stock Corporation, Limited Liability Company, General Partnership, Limited Partnership; ბელგიის კანონმდებლობით - Corporation, Limited Liability Company, Partnership, co-operative, temporary consortia; გერმანიის კანონმდებლობით - შპს, სს, ევროპული სს, სამენარმეო საზოგადოება, ლია ტიპის საჯარო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შპ-ის კომანდიტური საზოგადოება, აქციებზე დაფუძნებული კომანდიტური საზოგადოება, რეგისტრირებული გაერთიანება, ინდივიდუალური მენარმე, კერძო ფონდი. ესპანეთის კანონმდებლობით - Private and Public Limited Company, International Trading Company. იტალიის კანონმდებლობით - Joint Stock Company, Limited Liability Company, Limited Partnership. დანის კანონმდებლობით - Private Limited Company, Public Limited Company, General Partnership, Limited Partnership, sole Partnership, Branch Office. საფრანგეთის კანონმდებლობით - Societe Anonyme (Joint Stock Company), Societe a Responsibilite Limitee (Limited Liability Company), Limited Liability Company with a sole shareholder; Societas Europaea, Commercial Partnership. იაპონიის კანონმდებლობით - სს (Stock Company), სრული აზხანაგობა (General Partnership Company), კს (Limited Partnership Company), შპს (Limited Liability Company).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან ქოქრაშვილი

სამეწარმეო სამართალი

მეოთხე გამოცემა



დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 05.07.2019, ოქმი №2

თბილისი
2019

სახელმძღვანელო არის მე-4 განახლებული გამოცემა, რომელიც შედგენილია 2019 წელს არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ამ პერიოდისათვის არსებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

წიგნი გამოცემულია სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კვლევითი პროექტის ფარგლებში.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 20 19

ISBN 978-9941-28-502-8

<http://www.gtu.ge>



Verba volant,
scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები. ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

*“ქონების მოცულობა განისაზღვრება
არა შემოსავლების სიდიდით,
არამედ ცხოვრების წესით”*

ციცერონი

სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების დახვეწისა და უნიფიცირების საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობასა და სპეციალისტთა ინტერესს. ბოლო წლებში საქართველოში კერძო-სამართლებრივ საკითხებს მიეძღვნა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება/დამატება, სამეცნიერო ნაშრომი, საერთაშორისო სიმპოზიუმი, პრაქტიკოს იურისტთა და ეკონომისტთა სამუშაო შეხვედრა და კონფერენცია. დაგროვდა პრაქტიკული გამოცდილება, რამაც, თავის მხრივ, სამეწარმეო სამართალი განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

წარმოდგენილ ნაშრომში სამართლებრივი დოქტრინის, ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურის შედარებითი ანალიზისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განხილულია სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკური შინაარსი, გაშუქებულია შედარებითი ანალიზისა და სასამართლო მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები და ზოგიერთი პრობლემური საკითხები.

ნაშრომს დართული აქვს სპეციალური კაზუსები, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს თეორიული მასალის უკეთ აღქმასა და პრაქტიკულ გამოყენებაში (კაზუსების შედგენისას გამოყენებულია თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები).

*The amount of property is not defined
with the income scale but with the way of life.*

Cicero

The issue of judicial relations, advancement of legislative control and unification related to entrepreneurial activities still preserves actuality and invites specialists' interest.

In recent years in Georgia many legal amendments and attachments, scientific works, international symposia, workshops of practicing lawyers and economists and conferences have been dedicated to the issues of private law. Practical experience has been accumulated, which, in its turn, brought entrepreneurial law to the new stage of its development.

In the presented work on the basis of judicial practice, legal doctrine, comparative analysis of Georgian and foreign legal literature specific content of entrepreneurial practice is discussed. Significant aspects and problematic issues related to the regulatory legislation of entrepreneurial activities are highlighted as well.

Specific casuslar are attached to the work. The mentioned attachment will promote better apprehension of theoretical material and its practical application for the individuals concerned. (The Tbilisi Appeal Court and the Supreme Court decisions are used in drawing up the case).

სამენარმეო სამართლის განვითარების ისტორიული ასპექტები

სამენარმეო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება შუა საუკუნეების ევროპაში იღებს სათავეს. ვაჭრობის განვითარებამ ჰოლანდიაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში სავაჭრო ურთიერთობათა მარეგულირებელ სპეციალურ სამართლებრივ ნორმათა შემუშავების აუცილებლობა განაპირობა. აღნიშნულ ნორმათა ერთობლიობას "სავაჭრო სამართალი" ეწოდა.

საქართველოს ისტორია ცხადყოფს, რომ IX-X საუკუნეებში ჩვენ ქვეყანაშიც არსებობდა ვაჭართა ფენა. ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოში სავაჭრო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პირველი მცდელობა აღბუღას სამართალში განხორციელდა. აღნიშნული სამართლის ნიგნის 96-ე მუხლის მიხედვით, ვაჭართა კატეგორია ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ვაჭრები, რომლებიც "პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰქვეს და საქმის მქმნელად". საპატიო ვაჭარი დიდი ვაჭარია, რომელიც ათაბაგის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებითაა აღჭურვილი და მისი პატივისცემით სარგებლობს. ასეთი ვაჭრის სისხლი 12000 თეთრით განისაზღვრება. მეორე კატეგორიის ვაჭრები დიდ ვაჭართა "ქვეშეთია", ისინი პატრონის სამსახურში არ იმყოფებიან, თუმცა "პატრონთა ნახვისა და ძღვენისა მიღებისა ღირსი" არიან. აღნიშნული კატეგორიის ვაჭრებს ათაბაგთან "საჩინო ხელი" არა აქვთ, მისი "საქმის მქმნელად" არ ითვლებიან; მათი უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მეორე კატეგორიის ვაჭართა სისხლი 6000 თეთრით განისაზღვრება.

ზემოაღნიშნული პერიოდის საქართველოში ვაჭრობა საპატიო, „საჩინო“ სამსახურად ითვლებოდა. აღბუღას სამართალი იცავს ვაჭართა ინტერესებს, მფარველობს ალებ-მიცემობას (ყიდვა-გაყიდვა) და მკაცრად სჯის იმ პირს, რომელიც "ვაჭარსა, გზასა მავალსა ან მომავალსა, საქონლის ნდომისათვის" გაძარცვავს ან მოკლავს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს დაზარალებულისთვის სისხლი და მიყენებული ზიანი ორმაგად უნდა აენაზღაურებინა.

ვაჭართა სოციალური მდგომარეობა და სტატუსი განსაზღვრულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნიგნშიც. აღნიშნულის მე-100 მუხლის შესაბამისად, "კარგი დიდ-ვაჭარი" შეიძლება მოსამართლეს იყოს, რომელსაც "ბჭობა" ანუ მართლმსაჯულების განხორციელება აქვს მინდობილი. "კარგი დიდ-ვაჭარი დასვ ბჭედ, ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის". ნარმოდგენილი ციტატა ნათლად ასახავს ვაჭართა საპატიო და პრივილეგირებულ უფლებას, რითაც ისინი XI საუკუნის საქართველოში სარგებლობდნენ.

ზოგადად, სავაჭრო სამართალი ფეოდალური სახელმწიფოს პირობებში წარმოიშვა, რასაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, საზოგადოების წოდებრივმა ხასიათმა, მეორე მხრივ, სავაჭრო საქმიანობის განვითარება-გართულებამ. სავაჭრო სამართლის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე კარგი პირობები შუა საუკუნეების იტალიაში შეიქმნა, რომელიც ხმელთაშუა საზღვაო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. სამოქალაქო სამართალთან ერთად, რაც ერთგვარად კლასიკური *jus civil*-ის მემკვიდრეა, ყალიბდება სავაჭრო სამართალი. აღნიშნული იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ განვითარების მოცემულ ეტაპზე სამოქალაქო სამართალი ვერ აკმაყოფილებდა მუდმივად პროგრესირებადი სავაჭრო საქმიანობის მოთხოვნებს. ზედმეტი ფორმალიზმისა და კონსერვატიზმის გამო, იგი ვერ ასახავდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მუდმივად მზარდ მოთხოვნებს. ასე ყალიბდებოდა "სავაჭრო ბრუნვის სამართალი", რომელიც თავიდან მხოლოდ ვაჭართა ფენაზე ვრცელდებოდა და ასეც ეწოდებოდა – ვაჭართა სამართალი (*jus mercaturae*).¹

¹ შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ის დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა. მკვლევარი დ. კარუნა. 2013. გვ. 18-34.

ცალკეულ ქალაქებში, თავდაპირველად იტალიაში, შემდეგ კი ჩრდილოეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ვხვდებით სავაჭრო ჩვეულებათა და სავაჭრო საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა ჩანერის მცდელობას. ამ პერიოდისათვის ვაჭართა ჩვეულებები გამოიყენებოდა არა მხოლოდ ამ წოდების მქონე პირთა ურთიერთობებში, არამედ ვრცელდებოდა სხვა პირებზეც, რომლებიც მართალია არ იყვნენ ვაჭრები, მაგრამ ენეოდნენ სავაჭრო ხასიათის საქმიანობას ანუ "ვაჭართა სამართალი" ეტაპობრივად ტრანსფორმირდა "სავაჭრო სამართალში".

წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ლუდვიგ XIV დროინდელი საფრანგეთის მაგალითი, სადაც ფინანსთა მინისტრმა კოლბერმა მთელ სამეფოში სამოქმედოდ შემოიღო ორდონანსები ვაჭრობისა (1673 წ.) და ზღვაოსნობის შესახებ (1681 წ.). ამ ფაქტმა ხელი შეუწყო საფრანგეთის ტერიტორიაზე სავაჭრო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების უნიფიცირებას. სწორედ ეს ორდონანსები დაედო საფუძვლად საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსს, შესაბამისად სავაჭრო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების პირველი სრულყოფილი კოდიფიკაცია განხორციელდა საფრანგეთში (1807 წ.) იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის უშუალო მონაწილეობით, მას მოჰყვა ესპანეთის (1829 წ.), პორტუგალიის (1833 წ.) და გერმანიის (1897 წ.) სავაჭრო კოდექსები, რამაც განაპირობა სამეწარმეო ურთიერთობათა პარტიკულარიზმისაგან გათავისუფლება და მისი მონესრიგება საზოგადოების ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

საერთო სამართლის ქვეყნების კოდიფიკაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების კოდიფიკაციებისაგან. პირველი მიმართულია კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებული მასალის კონსოლიდაციისა და გაერთიანებისაკენ და არა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების რეფორმისაკენ. ამასთან, ახასიათებს ერთგვარი "ლია" ხასიათი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი რეგლამენტაციის სისრულის პრეტენზია და მოსამართლეთა მიერ მათი დებულებების თავისუფალ ინტერპრეტაციას უშვებს.

1968 წელს 25-წლიანი მუშაობის შედეგად აშშ-ში სამოქმედოდ შემოიღეს ერთიანი სავაჭრო კოდექსი (Union Commercial Code), რომლის ამერიკის მთელ ტერიტორიაზე ამოქმედებას 20 წელი დასჭირდა.

განსხვავებულად ვითარდებოდა სავაჭრო სამართალი ინგლისში. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სავაჭრო ურთიერთობები პრეცედენტულმა სამართალმა შთანთქა. თავისი ისტორიული განვითარების გზაზე ინგლისმა რომის სამართლის ზეგავლენა განიცადა, XVI ს-ში კი სავაჭრო სამართლის საერთო სამოქალაქო სამართალში ინტეგრაციის პროცესი დაიწყო, რომელიც XVI ს-ში დასრულდა.

ზოგადად ინგლისელი იურისტებისათვის დამახასიათებელია აზროვნების პრეიუდიციული სტილი, პრეცედენტთა სისტემატიზაციისაკენ მისწრაფება. ისინი მიჩვეულნი არიან ცხოვრებისეული პრობლემების დეტალურ გაშუქებას და საკუთარი დასკვნების არგუმენტირებას უფრო კონკრეტულ და ისტორიულ ფაქტებზე, ვიდრე აბსტრაქტულ ცნებებზე დაყრდნობით.¹

¹ კ. ცვაიგერი, პ. კოტტი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I. 2000. გვ. 200.

ინგლისის სავაჭრო სამართალმა გაამდიდრა პრეცედენტული სამართალი. სწორედ მან დაუდო დასაბამი "თამასუქისა" და "ჩეკის" რეგულირებას, ასევე ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებას, როგორცაა წარმომადგენლობა (agansse), დაზღვევა (insurance), ამხანაგობა (friendship) და ა.შ.

რუსეთში სამენარმეო სამართალი ტრადიციულად ევროპული სამართლის ჭრილში ვითარდებოდა. მისთვის ამ დროისათვის დამახასიათებელია იგივე ტენდენციები, რაც რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში გამოვლინდა. რევოლუციამდელ რუსეთში იღებდნენ სავაჭრო ხასიათის კანონებს, იქმნებოდა ე.წ. სავაჭრო სასამართლოები, ვითარდებოდა სავაჭრო სამართლის თეორია. 1884 წ. საიმპერიო ბრძანებით, რუსეთის ყველა უნივერსიტეტში გაიხსნა "სავაჭრო სამართლის" კათედრები.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სახალხო მეურნეობის რეგულირება მნიშვნელოვნად შეიცვალა. "სამხედრო კომუნისმი" პერიოდში აიკრძალა სამენარმეო საქმიანობა. XX საუკუნის 20-იან წლებში იგი ნაწილობრივ დაუშვეს, რაც აისახა 1922 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში, თუმცა მოგვიანებით კერძო სექტორმა ფაქტობრივად ლიკვიდაცია განიცადა და განვითარება იწყო გეგმურმა ეკონომიკურმა სისტემამ.

აღნიშნული პერიოდის რუსი იურისტები აქტიურად იკვლევდნენ თანამედროვე ეპოქის მეურნეობის ორგანიზაციულ ფორმებს, კერძოდ, სააქციო საზოგადოებებს, კოოპერატივებს და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ "ნეპის" შემდგომ პერიოდში უკვე არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი ნიშანი.¹

XX საუკუნის რუსეთში ერთმანეთს ენაცვლებოდა ოთხ სხვადასხვა კონცეფციაზე დამყარებული იურიდიული სკოლა, რომლებიც მეცნიერულად იკვლევდნენ სამენარმეო სამართლის რეგულირების საგანსა და მოქმედების სფეროს. პირველი სკოლის კონცეფცია, რომელმაც "ორსექტორიანი თეორიის" სახელწოდება მიიღო, განავითარა პროფესორმა სტუჟკომ გასული საუკუნის 20-იან წლებში. იგი ეფუძნებოდა ეკონომიკაში ორი სექტორის არსებობას: კერძოს და სოციალისტურს. კერძო სექტორი უნდა მონესრიგებუ-

¹ <http://libraryno.ru/1-2-istoriya-stanovleniya-predprinimatel-skogo-prava-rosprav/>

ლაციო სამოქალაქო სამართლის ნორმებით, სოციალისტური კი - სამეურნეო სამართლის ნორმებით.

მეორე სკოლის კონცეფცია შემუშავდა გასული საუკუნის 30-იან წლებში პროფესორების - პაშუკანისა და გინცბურგის მიერ და "ერთიანი სამეურნეო სამართლის სკოლის" სახელწოდება მიიღო. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ეკონომიკური ხასიათის ნებისმიერი ურთიერთობა, განურჩევლად სუბიექტური შემადგენლობისა, უნდა მოწესრიგებულიყო სამეურნეო სამართლებრივი ნორმებით.

მესამე სკოლის კონცეფცია მეცნიერებმა - ლაპტევმა და მამუტოვმა შეიმუშავეს გასული საუკუნის 50-იან წლებში. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ სამეურნეო სამართლის რეგულირების სფეროში შედიოდა როგორც უშუალოდ სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი, ისე სახელმწიფოს მიერ რეგულირების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობები.

დაბოლოს, პროფესორ მარტემიანოვის სკოლა ჩაისახა XX საუკუნის 80-იან წლებში და თავისი პრინციპით თანამედროვე რუსული სამენარმეო სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ე.წ. "გარდაქმნის" პროცესის დაწყებასთან ერთად აშკარად იკვეთება კერძო ინიციატივის გაძლიერებისა და გაფართოების ტენდენცია. ოფიციალური ხელისუფლება ამის უპირველეს გამოხატულებად ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კოოპერაციის განვითარებას მიიჩნევს. ამ პერიოდის საბჭოთა სინამდვილისათვის უცხოა ისეთი წმინდა კაპიტალური სანარმოები, როგორცაა "სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" (1986 წ. 19 ნოემბრის სსრკ კანონი "ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ", 1988 წ. 26 მაისის სსრკ კანონი "კოოპერაციის შესახებ").

გასული საუკუნის 90-იანი წლების მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა, ამასთან პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა კერძო სამართლის ინსტიტუტების წარმოქმნა და განვითარება განაპირობა. ჩვენს პრაქტიკაში დაინერგა მენარმე სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების

¹ ლ.ჭანტურია. კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენაძე. "საიუბილეო კრებული". 1996. გვ. 23.

ისეთი სისტემა, რომელიც აპრობირებულია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აღნიშნულის საფუძველია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც გასული საუკუნის ბოლოს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ესენია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კანონი "მენარმეთა შესახებ" და სხვა, რომლებიც პირდაპირ მოქმედებს ქვეყანაში ბიზნესგარემოს შექმნაზე.

კერძო სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მენარმე სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საკანონმდებლო რეგულირებამ შეასრულა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ამ პერიოდში კონტინენტური ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა და ნორმატიულად განმტკიცდა მენარმე სუბიექტთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.

აღსანიშნავია ქართველ სამართალშემოქმედთა მიერ სამენარმეო საქმიანობის რეგულირების პირველი მცდელობა. 1991 წელს სამოქმედოდ შემოვიდა საქართველოს კანონი "სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ", რომელსაც მართალია უამრავი ხარვეზი ჰქონდა, მაგრამ იყო პირველი ნორმატიული აქტი, რომელმაც ერთიან სისტემაში მოაქცია სამენარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა სამართლებრივი ფორმა, შეუქმნა ზოგადი ნაწილი, რომელიც ფაქტობრივად საერთოა ყველა სამენარმეო სუბიექტისათვის.¹

მოგვიანებით, 1994 წ. საქართველოში ამოქმედდა შედარებით სრულყოფილი კანონი "მენარმეთა შესახებ", რომელმაც საქართველოს მენარმეობის განვითარებაში მეტ-ნაკლებად მტკიცე საკანონმდებლო ბაზა შექმნა.²

¹ ლ.ჭანტურია. კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს. ჯორბენაძე. საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 36.

² ი. ბურდული, გ. მახარობლიშვილი, დ. ეგნატაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ. 7-24.

ნლების განმავლობაში კონტინენტური ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (იტალია, გერმანია, საფრანგეთი) ერთდროულად მოქმედებდა სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები. ასეთ მდგომარეობას სამართლებრივი დუალიზმი ეწოდება. მისი გენეზისი კონტინენტურ-სამართლებრივ სისტემაში შუა საუკუნეებს ეკუთვნის. აღნიშნული ინგლისურ-ამერიკულ სამართალში არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგან, საერთო სამართლის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით, იგი არ იცნობს დარგობრივ დაყოფას. სამართლებრივ დუალიზმში იგულისხმება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების დუბლირებული რეგულირება სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების მეშვეობით. ამგვარი დაყოფა თავიდანვე მოკლებული იყო პრაქტიკულ მნიშვნელობას, თუმცა აღნიშნულის საფუძველზე დამკვიდრდა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელი კონცეფცია კანონთა იერარქიის შესახებ, რომლის თანახმად კანონთა სისტემაში კოდექსს უპირატესობა ენიჭებოდა სხვა კანონებთან შედარებით.

საგულისხმოა, რომ დუალიზმის პრობლემა იმდენად სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების ერთდროულად არსებობაში კი არაა (აღნიშნული თეორიულად შესაძლებელია სამართლის მონისტური სისტემის ფარგლებში, ეს ნათლად ჩანს ჰოლანდიის 1838 წლის კოდექსების მაგალითზეც), რამდენადაც ერთგვაროვანი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ურთიერთქვემდებარეობასა და სხვადასხვა სისტემის მიკუთვნებაში.

ევროპული სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის დუალიზმში ტრადიციულად სამოქალაქო სამართლიდან იმ ნორმათა განკერძოება იგულისხმება, რომლებიც სამენარმეო საქმიანობას არეგულირებს, რაც თავისთავად მონიზმს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, დუალიზმის ფენომენი გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების შეთანხმების საკით-

ხი. თეორიულად ორივე კოდექსის არსებობა სამართლის მონისტური სისტემის შემთხვევაშიც შეიძლება. პოლანდიის 1838 წლის სავაჭრო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით, ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა რამ პირდაპირაა გათვალისწინებული სავაჭრო კოდექსის ნორმებით.

სამართლის ისტორია ცხადყოფს, რომ დუალიზმი პირველი ევროპული კოდიფიკაციების შექმნამდეც არსებობდა.

დუალიზმის ფენომენის კვლევისას გასათვალისწინებელია სხვა მომენტიც. სავაჭრო სამართალი კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობებს არეგულირებს, რაც მისი მონაწილეების თანასწორობის პრინციპს ეფუძნება. სავაჭრო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები კლასიკურ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტებს შეესაბამება, მაგალითად, სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობა, გარიგებები, წარმომადგენლობა, ვალდებულებათა უზრუნველყოფა, ცალკეული ხელშეკრულებები და სხვა.

კერძო სამართლის მკვლევრები დუალიზმის წარმოშობის ორ ძირითად მიზეზს გამოყოფენ, ესენია: ფეოდალური საზოგადოების ნოდებრივი კარჩაკეტილობა და ვაჭართა ფენის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკა.¹ გარდა აღნიშნულისა, არსებობდა სხვა თანამდევი გარემოებებიც, რაც სავაჭრო სამართლის განკერძოებაზე ახდენდა ზეგავლენას, მაგალითად, სასყიდლიანი სესხის გაცემაზე საკანონმდებლო აკრძალვა, რის გამოც საბანკო საქმიანობის განხორციელება შეეძლოთ მხოლოდ ებრაელებსა და ლომბარდების მფლობელებს.²

დროთა განმავლობაში საზოგადოებაში ნოდებრივი ზღვარი ეტაპობრივად ნაიშალა და სავაჭრო სამართალი გასცდა ვიწრო ჩარჩოებს. სავაჭრო სამართლით შემუშავებული მრავალი ნორმა თუ პრინციპი სამოქალაქო სამართალმაც შეითვისა, რამაც ამ უკანასკნელის განვითარება და გამდიდრება განაპირობა. სამოქალაქო სამართალი უფრო ადეკვატურად რეაგირებდა კომერციული ბრუნვის მოთხოვნებზე. სამოქალაქო და სავაჭრო სამარ-

¹ Васильев Е. Гражданское и торговое право капиталистических государств. Изд. 3-е. М. 1933. с. 17-18

² Jean-Pierr Le Call. Op. cit. p. 4.

თლის მრავალ ნორმათა შერწყმამ ფაქტობრივად ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს მიერ კერძო-სამართლებრივი დუალიზმის უარყოფა გამოიწვია. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი პირველნი ნიდერლანდები და იტალია იყვნენ, რომლებიც ისტორიულად დუალიზმის სამშობლოდაა ცნობილი. იმ ქვეყნებში კი, სადაც დუალიზმი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მას ფარდობითი ხასიათი აქვს. სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის ნორმები "ყრუ კედლით" აღარ არის გამიჯნული, მათ შორის დღემდე არსებული ზღვარი პირობითი და ელასტიკურია.

საქართველომ სამართლებრივი რეფორმების პროცესში უარი თქვა სამართლებრივ დუალიზმზე, თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის მხრიდან იყო მცდელობა დაესაბუთებინათ სავაჭრო კოდექსის მიღების აუცილებლობა.

საქართველოში გასული საუკუნის მინურულს კანონშემოქმედათვის სამენარმეო (და არა მხოლოდ სამენარმეო) სამართალთან მიმართებაში ფაქტობრივად თავისუფალი მოედანი მომზადდა. მაქსიმალურად იქნა გამოყენებული განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საკანონმდებლო თუ პრაქტიკული გამოცდილება, შემუშავდა და ამოქმედდა განახლებული საკანონმდებლო ბაზა. თანამედროვე პირობებში იქმნება არაერთი პროექტი თუ პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა, მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების ღონისძიებებითა რეალიზაცია, თუმცა ქვეყანაში კერძო სექტორის განვითარების, სამენარმეო გარემოს გაუმჯობესების და ინვესტიციების პოპულარიზაციის ნიშნული ჯერ კიდევ ვერ უახლოვდება სასურველ სტანდარტებს.¹ აღნიშნულის მისაღწევად უმთავრესია სამართლებრივი რეფორმის გააქტიურება როგორც კერძო-სამართლებრივი, ისე საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის უნიფიცირებისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

¹ აქვე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის აპრილის მონაცემებით, „ანარმეო საქართველოში“ პროექტის ფარგლებში 2014 წლიდან მხარდაჭერილია 466 ბიზნესპროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1.11 მილიარდ ლარზე მეტია.

სამენარმეო სამართლის ცნება და რეგულირების საგანი

სამენარმეო სამართალი, თავისი შინაარსით, სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა მონყობის სამართლებრივ მონესრიგებასთან ერთად, ურთიერთობათა გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს.

მენარმეობა ერთგვარად რაციონალიზაციისა და რესურსების მომგებიანად დაბანდების ახალი სფეროების ძიებას, წარმოებაში ახალი კომბინაციების აპრობაციას, ახალ ბაზარზე დამკვიდრებას, ახალი პროდუქციების შექმნას გულისხმობს. გარდა ამისა, მენარმეობა ეკონომიკური ხასიათის აქტივობაა, რაც ეფუძნება დამოუკიდებელ ინიციატივას, პასუხისმგებლობასა და ინოვაციურ სამენარმეო იდეებს. თავის მხრივ, ეკონომიკური საქმიანობა მატერიალური სიმდიდრის კვლავწარმოების პროცესია, რომელიც მოიცავს წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგრძნობლად იზრდება გაცვლის სტადიის როლი.¹ გაცვლის დანიშნულებაა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არსებული კავშირების გააქტიურება. ეკონომიკური საქმიანობის მიზანია საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ფართო გაგებით, იგი უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტურობას, ეკონომიკური განვითარების დონის ზრდას, ეკონომიკურ თავისუფლებასა და მატერიალურ უზრუნველყოფას.

ეკონომიკური საქმიანობის ცნება მოიცავს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღებისთვის, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება იყოს სამენარმეო და არასამენარმეო.²

¹ ეკონომიკური საქმიანობის საკანონმდებლო განმარტება იხ.: საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლი; ასევე, „შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლში“.

(<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1654399>).

² თურნალი „გადასახადები და საგადასახადო სისტემა“ (პირველი გამოცემა)

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0ekonomik--00-1--0-10-0-0-0--0prompt-10--4----4--0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.8&d=HASHac992d77a1dbb014a10ce3.4.1&x=1>

სამენარმეო საქმიანობა ეკონომიკური საქმიანობის ნაირსახეობაა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“.

მართლზომიერება გულისხმობს, რომ საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და საჯარო წესრიგს. მართლზომიერება გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია ისეთ საქმიანობათა კანონიერებისათვის, რომელზეც სახელმწიფოს სპეციალური ზედამხედველობა აქვს დაწესებული და ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესს. მაგალითად, ბიოლოგიური პესტიციდების ან/და იარაღის წარმოება/ ვაჭრობის საქმიანობა, რომელიც სპეციალურ ლიცენზიას ან ნებართვას მოითხოვს (ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი). მართლზომიერია საქმიანობა, როცა ის კანონით ან სასამართლოს გადანყვეტილებით არ არის აკრძალული.¹

სამენარმეო საქმიანობა უნდა ატარებდეს არაერთჯერად ხასიათს. მრავალჯერადობას განსაზღვრავს არა ქმედებათა რაოდენობა, არამედ საქმიანობის პროფესიონალურად წარმართვა, შესაბამისი ცოდნითა და ჩვევებით.

სამენარმეო საქმიანობას ახასიათებს ორგანიზებულობა, რაც ნიშნავს, რომ მენარმე უნდა "მოერგოს" "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამართლებრივ ფორმას, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი მართვის ორგანოები და, რაც მთავარია, რეგისტრირებული იყოს შესაბამის რეესტრში.

მენარმე სუბიექტთა რეგისტრაცია მათი დაფუძნების წინაპირობა და აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნაა. რეგისტრაციას

¹ ი. დვალიძე, გ. მახარობლიშვილი. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი). 2016. გვ.21-22.

კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს და მას სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნქცია აკისრია. მენარმე სუბიექტი, როგორც ასეთი, მხოლოდ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მომენტიდან მოქმედებს. ეს ნიშანი ხაზს უსვამს სამენარმეო საქმიანობის რეგულარულ და პროფესიულ ხასიათს ანუ სამენარმეო საქმიანობას არ ეკუთვნის პირის მიერ ეპიზოდურად შესრულებული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, თუ იგი არ არის რეგისტრირებული, როგორც სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი.

დამოუკიდებლობა (რაც, თავის მხრივ, ინიციატივასაც მოიცავს) არის პირის უფლება, საკუთარი ნებით, დამოუკიდებლად შეასრულოს იურიდიული მნიშვნელობის აქტიური მოქმედებები, სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში (ნებელობითი ხასიათი). სამენარმეო საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელი საქმიანობა, სხვა არაფერია თუ არა მართლზომიერი, მენარმეთა ნებაზე დამოკიდებული მოქმედებათა ერთობლიობა. იგი ყოველთვის მიმართულია განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების მიღწევისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის დამოუკიდებლობაში იგულისხმება მხოლოდ სამართლებრივი დამოუკიდებლობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს ქონებრივ დამოუკიდებლობას, რაც განცალკევებულ ქონებასა და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ნიშნავს. დამოუკიდებლობა ასევე გულისხმობს სუბიექტის დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას მისი საქმიანობის შედეგზე. მენარმის საქმიანობა მიმართულია იმ სიკეთის მიღებისა და გამოყენებისაკენ, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ზოგჯერ შედეგის მიღწევა შეუძლებელი ხდება, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მენარმის კომერციულ რისკს ან ქონებრივ პასუხისმგებლობას, რაც სანარმოს დამოუკიდებლობის ლოგიკური გაგრძელებაა.

სამენარმეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მოგების მიღების მიზანი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენარმეობის მიზანი არის არა იმდენად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალური წარმოება, რამდენადაც ამ საქმიანობით მოგების მიღება. მენარმისათვის მნიშვნელოვანია არა მისი საქმიანობის სფერო, არამედ შედეგი – სისტემატური მოგების მიღება. ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კანონმდებლობაში ვალდე-

ბულებათა აუცილებელი შესრულების პრინციპი მოქმედებდა, ვალდებულების რეალური შესრულების შეცვლა ფულადი ანაზღაურებით არც კრედიტორთა სურვილისამებრ, არც მხარეთა შეთანხმებითა და არც საერთო წესის მიხედვით დაიშვებოდა.¹ ეს განისაზღვრებოდა სოციალისტური გეგმური ხასიათითა და მიმართულებით – მუდმივად დაეგროვებინა საზოგადოების მატერიალური ფასეულობანი. ამ უკანასკნელის მიზანია ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო მეტად დაკმაყოფილება.²

საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა პირადი ინტერესი. ყოველი ეკონომიკური ერთეული ცდილობს აკეთოს ის, რაც მისთვისაა ხელსაყრელი. მენარმეები მიზნად ისახავენ სანარმოთა მოგების მაქსიმიზაციას. პირადი ინტერესის მოტივი ეკონომიკის ფუნქციონირებას მიმართულებას აძლევს და მის მონესრიგებას უზრუნველყოფს.³

მენარმე მუდმივად ცდილობს სანარმოს მოგების პოტენციალის რეალიზებასა და ზრდას. მოგების მიღება მენარმის ერთადერთი მიზანი არ არის. მისი ძირითადი საქმიანობაა ამა თუ იმ გეოგრაფიული საზღვრების მქონე ბაზარზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. შეიძლება ითქვას, რომ სამენარმეო საქმიანობის წარმატება იგივეა, რაც ბაზრის კონკურენციაში წარმატება. როგორც მოთხოვნათა გარეშე არ არსებობს წარმოება, ისე მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარეშე არ არსებობს მოგება.

მიუხედავად აღნიშნულისა საყურადღებოა, რომ მოგების მიღების მიზანი არ გულისხმობს მოგების, წმინდა შემოსავლების ბალანსზე/ანგარიშზე ფაქტობრივ ფიქსირებას. არც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, არც საგადასახადო კოდექსი (მე-9 მუხლი) მოგების/შემოსავლის რეალურად მიღების სავალდებულობას არ აწესებს. საკმარისია ქმედება ხორციელდებოდეს მოგების მისაღებად და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს სუბიექტს დაუფიქსირ-

¹ R. Kandelhard. Realefullung oder Schadensersatz: ein internationaler Konsens?. ს. ჯორბენაძე. საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 75-103.

² Попандоуло В.Ф. Понятие коммерческого законодательства Ж. Правоведение 1993. №1. ст. 16.

³ კემპბელი რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკის: პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა. ტ. I. 2001. გვ. 172.

დება მოგება თუ განიცდის ზარალს.¹ მენარმე სუბიექტის კანონით განსაზღვრული ფორმის სახით დარეგისტრირება ნიშნავს, რომ არსებობს მოგების მიღების პრეზუმფცია.²

მოქმედი კანონმდებლობით, ლეგალიზებულია საზოგადოებრივ მოთხოვნათა დაკმაყოფილება და მის საფუძველზე მოგების მიღება. ასეთ საქმიანობაში თითოეული გარიგება მხოლოდ ერთ-ერთი მარცვალა იმ მთლიანი გეგმისა, რომელსაც მენარმე ადგენს საბოლოო შედეგის – მოგების მისაღებად. ამ შემთხვევაში ვალდებულებათა რეალური შესრულების პრინციპი დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია და შენარჩუნებულია იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება მენარმის ზემოხსენებულ მთავარ მიზანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი საქმიანობა, მიმართული მოგების მიღებისაკენ, არის სამენარმეო საქმიანობა.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, “სამენარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, აგრეთვე ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ ელექტროენერჯის მანანილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტ-

¹ ი. დვალიძე, გ. მახარობლიშვილი. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი). 2016. გვ. 21-22.

² ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. 2002. გვ. 3.

როსადგურით სარგებლობა, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით, თუ მოხდება მათი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არანეკრი ხუთი პირი მაინც.“ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,სამენარმეო საქმიანობის სუბიექტებზე ამ კანონით დადგენილ წესებთან ერთად ვრცელდება „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.

სამენარმეო საქმიანობის ერთიანი ცნების ფარგლებში, სამართლებრივ დოქტრინაზე დაყრდნობით, პირობითად შეიძლება გამოიყოს სამენარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა სამი სახე:


- ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება უშუალოდ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში;
- ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება სამენარმეო საქმიანობის რეგულირების პროცესში;
- შიდაკორპორაციული ურთიერთობები.

სამენარმეო საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებში იგულისხმება ე.წ. შორიზონტალური ურთიერთობები, რაც მიუთითებს სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა ავტონომიურობასა და მის კერძო-სამართლებრივ ხასიათზე.

სამენარმეო საქმიანობის რეგულირების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობა არის ურთიერთობა საწარმოსა და სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს შორის. პირობითად მათ შეიძლება ვერტიკალური ურთიერთობები ვუნოდოთ; მაგ., ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა, სამენარმეო საქმიანობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის განხორციელება, სხვადასხვა ხასიათის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების (ბოჭვის) დაწესება; ამიტომ სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ზოგიერთ ავტორთა (ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, ფ. რიტერი, ე. ფარუა, რ. დავიდი, ი. დოინი-


კოვი, ვ. ლაპტევი, ბ. პუგინსკი) პოზიცია, რომ სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში ერთგვარად ინტეგრირებულია კერძო და საჯარო-სამართლებრივი ელემენტები.

მესამე ტიპის ურთიერთობები ყალიბდება სანარმოს ფარგლებში. შიდაკორპორაციული ურთიერთობები რეგულირდება კანონით, სანარმოს წესდებით, პარტნიორთა შორის დადებული ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა სახის ლოკალური აქტებით.



სამენარმეო სამართალი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს სამენარმეო ურთიერთობებს, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა, მათ შორის, არასამენარმეო ურთიერთობებს, ასევე სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამენარმეო სამართალს აქვს საკუთარი რეგულირების საგანი და მთლიანობაში იგი უშუალოდ საზოგადოების აქტუალურ და მეტად მნიშვნელოვან საკითხებს უკავშირდება.



სამენარმეო სამართლის
მეთოდები და
პრინციპები

“ჩვენთვის მნიშვნელოვანია
არა იმდენად წესების
წინაარსი, არამედ ის, თუ
როგორ ასრულებენ ამ
წესებს მოთამაშენი”.

შოდერი

სამენარმეო სამართლის შინაარსის დადგენისათვის მნიშვნელოვანია მისი რეგულირების მეთოდის დახასიათება, რომელშიც იგულისხმება სამართალურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივი ურთიერთზემოქმედების საშუალებები.

სამართლის თითოეულ დარგს აქვს სამართლებრივი რეგულირების საკუთარი მეთოდი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებურებებით განისაზღვრება და შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება:

- სამართალურთიერთობის მონაწილეთა მდგომარეობა;
- სამართალურთიერთობის შინაარსის თავისებურებები;
- იურიდიული ფაქტების შედგენილობის თავისებურებები;
- პასუხისმგებლობის სპეციფიკა.

სამენარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებისას გამოიყენება როგორც დისპოზიციური, ისე იმპერატიული მეთოდები. ეს ერთდროულად პორიზონტალური და ვერტიკალური ურთიერთობების არსებობამ განაპირობა.

სამენარმეო სამართლის მნიშვნელოვანი მეთოდია საკითხთა ავტონომიური გადაწყვეტის ანუ შეთანხმების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას სუბიექტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი/პრობლემა.

იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება მეორე მხარესთან შეთანხმებით მიიღება, ავტონომიური გადაწყვეტის მეთოდი გამოდის როგორც შეთანხმების მეთოდი (მაგ., ხელშეკრულების დადების დროს).

სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოსმიერი რეგულირებისას გამოიყენება აუცილებელი მონესრიგების მეთოდი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული მეთოდი შედარებით იშვიათად გამოიყენება, თუმცა მისი მნიშვნელობის სრულად იგნორირება დაუშვებელია.

მენარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხი გლობალური პრობლემაა. ამ თვალსაზრისით ჩამოყალიბდა განსხვავებული შეხედულებები, ეკონომიკისა და მენარმეობის რეგულირების როლის შეფასების ურთიერთსაპირისპირო კრიტერიუმები. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, იგი ახლაც საზოგადოების ყურადღების, პრაქტიკაში კი მწვავე კამათის საგანია. მსჯელობა ეხება არა იმას, აუცილებელია თუ არა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ზოგადად, არამედ მის მასშტაბებს, ფორმებს, მეთოდებსა და ეფექტიანობას.

ეკონომიკისა და მენარმეობის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ კლასიკური ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების პერიოდიდან დაიწყო. მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის, ადამ სმიტის (1776 წ.) აზრით, "საბაზრო ძალების თავისუფალი თამაში" ქმნის ჰარმონიულ წყობას, საზოგადოებამ მხოლოდ უნდა შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავს ადამიანის კერძო საკუთრებას, შექმნას შესაბამისი სახელმწიფოებრივი გარემო ადამიანთა ეგოისტური მიზნების მისაღწევად. ყველა დანარჩენს "უხილავი" ხელი გააკეთებს. "უხილავ ხელში" ავტორი კონკურენციას გულისხმობს, რომელიც ერთგვარად მენარმის მართლზომიერი ქცევის მაკონტროლებელია. ცალკეულ სანარმოთა საქმიანი რეპუტაციის ზრდა, კონკურენციის შიში მენარმეს აიძულებს ანარმოოს ხარისხიანი პროდუქტი და იზრუნოს ნარმოების ტექნოლოგიის სისტემატურ სრულყოფაზე.

კონკურენტული საბაზრო სისტემის მოქმედება და ცვლილები-სადმი მისი ადაპტაციის უნარი ქმნის მნიშვნელოვან ერთიანობას – კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების სიმბიოზს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლის, ალფრედ მიულერის თეორიულ შეხედულებათა პრაქტიკულად განმახორციელებელმა ლუდვიგ ერჰარდმა წარმოადგინა შემდეგი შინაარსის თეზისი: სახელმწიფომ მენარმეს უნდა შეუქმნას აუცილებელი პირობები წარმოების განვითარებისათვის, სხვა მხრივ ის არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან, საკუთრება ავალდებულებს მენარმეს მის გამოყენებას, ის უნდა ემსახუროდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ლიბერალურ კაპიტალიზმს ორი კონცეფცია დაუპირისპირდა: ინტერვენციონიზმი და სოციალიზმი. ამ უკანასკნელის წარმომადგენლები ასაბუთებდნენ, რომ კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების წესი მართებული არ არის. თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს უშუალო ჩარევით უნდა შეეზღუდა კერძო ინტერესები მაშინ, როცა ისინი საზოგადოების ინტერესებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა. შემდგომში ასეთი მიდგომა განავითარეს პირველმა სოციალისტებმა – ოუენმა და ფურიემ¹. ამ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელობა თანდათან იკრებს ძალას და პრაქტიკულად ამტკიცებს სიცოცხლისუნარიანობას, რაც უშუალოდ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება. მისი დამანგრეველი შედეგების გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ თეორიად კეინზიანური თეორია ჩამოყალიბდა, რომლის კრედო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებაა.

თავის ნაშრომში "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია" კეინზმა უარყო კაპიტალისტური მეურნეობის თვითრეგუ-

¹ სოციალისტურმა იდეებმა ახალი იმპულსი მიიღო მარქსისა და ენგელსის შრომებში. მათ რადიკალურად დააყენეს საკითხი მთელი ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის შესახებ, რაც რეალურად განხორციელდა საბჭოთა კავშირში.

ლირების შესაძლებლობა. ამის საფუძველზე პრეზიდენტმა რუზველტმა ამერიკას "ახალი კურსი" შესთავაზა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს "ჩარევას" ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში.

გერმანიაში კარტელები იძულებით შექმნეს. ინგლისში პრიორიტეტი მიენიჭა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ინგლისის მთავრობამ კონტროლი დააწესა ხელფასსა და მოსახლეობის სხვა შემოსავლებზე. საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა "ჩამორჩენილ" სანარმოთა სუბსიდირება. სახელმწიფო სექტორი განსაკუთრებით გაფართოვდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. საფრანგეთის მთავრობამ ქვანახშირის, ენერგეტიკული მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის ნაციონალიზაცია განახორციელა. ამავე პერიოდში ავსტრიაში სახელმწიფოს ხელში გადავიდა მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგები, იტალიაში ჩამოყალიბდა ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მობილური სისტემა.¹

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების მასშტაბები მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. XX საუკუნის 70-იანი წლების II ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან ჭარბად ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა.

"სახელმწიფო ინტერვენცია" გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, სახელმწიფო აპარატის "გაბერვაში", ბიუჯეტის დეფიციტში, სახელმწიფო ვალებისა და გადასახადების რეკორდულ ზრდაში. დაიწყო კეინზიანური მოდელის მონიშნულ მიმართულებით "რენესანსი" და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის ტენდენცია, რასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირების მასშტაბების ზრდა ნინა-ალმდეგობაში აღმოჩნდა ეფექტიანობის ამაღლებასთან. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზიანურ პოლიტიკაში შეტანილ იქნა პრინციპული კორექტივები.

¹ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას ხელი შეუწყო მსოფლიო ომებმა, ეკონომიკის მილიტარიზაციამ. მაგ., მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაიზარდა სახელმწიფოს კონტროლი სამხედრო სანარმოების მიმართ.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა საერთოც ბევრია. ამ ტიპის რეგულირების ძირითადი მიმართულებიდან მისაღები და საინტერესოა სამართლებრივი რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სამართლებრივი საფუძვლების შექმნას და მათ შესრულებაზე კონტროლს.¹

საბაზრო ეკონომიკის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ შემუშავებული და მიღებული ნორმატიული აქტები, რომლებიც იცავს საკუთრების უფლებას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ბაზრის სუბიექტების თანასწორობას, არეგულირებს სამენარმეო საქმიანობას, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცესს და ა.შ.

სამენარმეო სამართალი ასევე იყენებს ე.წ. რეკომენდაციის მეთოდს. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართალურთიერთობის ერთი მხარე მეორე მხარეს რჩევას აძლევს სამენარმეო საქმიანობის რაციონალურად ორგანიზების სფეროში.

რეკომენდაციის მეთოდი მეტად მოქნილია. მას არ აქვს „აუცილებელი მონესრიგების“ დატვირთვა და ძირითადად ასახავს საუკეთესო პრაქტიკას.

¹ იგულისხმება ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი პრინციპების ანუ „თამაშის წესების“ დადგენა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკურმა აგენტებმა.

სამენარმეო სამართლის პრინციპებში იგულისხმება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამენარმეო-სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საწყისები, რომლებიც ასახულია მოქმედ კანონმდებლობაში. სამენარმეო-სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც ქონებრივ ურთიერთობათა ნაწილი, სამოქალაქო სამართლის პრინციპების საფუძველზე რეგულირდება, ასევე მნიშვნელოვანია პრინციპების განხილვა, რომლებიც უშუალოდ სამენარმეო-სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება.

სამენარმეო სამართლის უმთავრესი (კონსტიტუციური) პრინციპია – სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება, რაც გულისხმობს მენარმე სუბიექტის მიერ სამენარმეო საქმიანობის წარმართვის თავისუფლებას ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში, კერძოდ: „ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე. დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება“.¹ მენარმეობის თავისუფლება გულისხმობს მენარმეთა თავისუფლებას გადაწყვეტილებათა მიღებისას, თუ სად და როგორ გამოიყენონ საკუთარი რესურსი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას. ამ უფლების განმტკიცებით თავად სახელმწიფოც არის დაინტერესებული, ვინაიდან სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე სწორედ თავისუფალი მენარმეობის განვითარებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სახელმწიფო ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას და, განსაკუთრებული გამოწევა

¹ ამ თვალსაზრისით საინტერესოა 21/04/2017-ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (#1/5/826)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3648654>

ლისების გარდა, კრძალავს ამა თუ იმ საქმიანობის მონოპოლიზაციას.¹

მენარმეობის თავისუფლება ასევე არჩევანის თავისუფლებაა. მატერიალური და ფინანსური რესურსების მფლობელებს შეუძლიათ მათი გამოყენება და რეალიზაცია საკუთარი შეხედულებისამებრ. ასევე, პირს უფლება აქვს დასაქმდეს შრომის ნებისმიერი სახეობით, რისი უნარიც აქვს და ბოლოს, მომხმარებლები თავისუფალი არიან საკუთარი შემოსავლების ფარგლებში შეიძინონ ის საქონელი და მომსახურება, რაც საჭიროა მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.²

სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება არ გულისხმობს მის აბსოლუტურობას. იგი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით შემოსაზღვრულია კანონმდებლობით. ამის მაგალითია ზოგიერთ საქმიანობაზე ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის გავრცელება და ა.შ. აქედან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება მის სახელმწიფოებრივ რეგულირებას ეთაყვება.³

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მენარმეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საკანონმდებლო რეგულაციების გონივრული დერეგულირება, ნების ავტონომიის ხარისხის ამაღლება და ლიბერალური გარემოს შექმნა.⁴

• სამენარმეო საქმიანობაში მონაწილე მესაკუთრეთა თანასწორობა. მნიშვნელოვანია ქართველ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც საკუთრების ცნების ერთიანობას მიიჩნევენ სამოქალაქო

¹ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?c=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL1.11&d=HASH0128d23f1b0ca36d72e8a232.26>

² კემპბელი რ. მაკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიქსი ტ. I. 2001. გვ. 171-172.

³ ასევე იხილეთ: ი. დვალიძე, გ. მახარობლიშვილი. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე: სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი. 2016.

⁴ ამ თვალსაზრით საინტერესოა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება: "საბაზრო ძალების თავისუფალი თამაში ქმნის პარამონიულ ნყობას, საზოგადოებამ მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა შექმნას, რომელიც დაცავს კერძო საკუთრებას, ყველაფერ დანარჩენს უხილავი ხელი გააკეთებს" (აღამ სმითი); "სახელმწიფომ მენარმეს ნარმოების განვითარებისათვის აუცილებელი პირობები უნდა შეუქმნას. სხვა მხრივ ის არ უნდა ერეოდეს მის ეკონომიკურ საქმიანობაში. თავის მხრივ, საკუთრება ავალდებულებს მენარმეს, საკუთრება გამოიყენოს საზოგადოების ინტერესებისათვის" (ლუდვიგ ერპარდი).

სამართლის რეფორმის ერთ-ერთ სერიოზულ შედეგად.¹ საქართველოში სამართლებრივმა რეფორმამ განაპირობა შემდეგი პრინციპის აღიარება: საკუთრება ერთიანია ყველა მესაკუთრისათვის, ყველა მესაკუთრე თანასწორია საკუთრების წინაშე.

- კონკურენციის განვითარება. აღნიშნული პრინციპი კონსტიტუციურია (მუხ. 6, პუნ. 2) და მნიშვნელოვანია ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და მისი განვითარებისთვის.

- მოგების მიღება, როგორც სამენარმეო საქმიანობის მიზანი.

- სამენარმეო საქმიანობის მართლზომიერება. აღნიშნული პრინციპი მენარმეობისთვის აუცილებელ სამეურნეო ურთიერთობების სტაბილურობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს. კანონმდებლობის მკაცრი დაცვა მოეთხოვება არა მარტო მენარმეს, არამედ სამენარმეო საქმიანობის მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანოებსაც.

- სამენარმეო სამართალში კერძო და საჯარო ინტერესების შერწყმა. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მენარმის ინტერესი. მენარმეთა უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა არამართებულია სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მხოლოდ მენარმეთა უფლებების დაცვასთან გაიგივება. მენარმეობის დროს ასევე გასათვალისწინებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებიც. აქედან გამომდინარე, სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება კერძო და საჯარო ინტერესების სინთეზს უნდა ეფუძნებოდეს.

- სახელმწიფოს მიერ სამენარმეო საქმიანობის ზომიერი რეგულირება. ეკონომიკის განვითარების დონისა და პირობების, ასევე ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით, სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოს მიერ რეგულირება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება. ამ თვალსაზრისით, უმთავრესია რეგულირების ფარგლების გონივრული დადგენა. აღნიშნულის მაგალითია კეინზიანიზმის

¹ ბ. ზოიძე. სანიეტო სამართალი. 1999. გვ. 58.

ეპოქა¹. მენარმეობის სახელმწიფოსმიერი რეგულირება არის ეკონომიკური, სოციალური, საორგანიზაციო, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემა, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი გარემოს შექმნასა და თანამედროვე მენარმეობის განვითარებას².

ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ მენარდ კეინზი ქადაგებდა ინტერვენციულ სამთავრობო პოლიტიკას, რომლითაც მთავრობას ფისკალური და მონეტარული ზომების გამოყენებით ეკონომიკური ვარდნის, "დეპრესიებისა" და "ბუმის" უარყოფითი ეფექტების შემსუბუქება შეეძლო. საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის კეინზი მიზანშეწონილად თვლიდა სახელმწიფოს აქტიურად ჩარევას ანუ ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. იგი მიიჩნევდა, რომ სრული დასაქმების მიღწევა, ასევე უმუშევრობისა და კრიზისების ლიკვიდაცია ამ გზით იყო შესაძლებელი.³ კეინზმა უარყო კაპიტალისტური მეურნეობის თვითრეგულირება, რის საფუძველზეც აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა ამერიკას "ახალი კურსი" შესთავაზა, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკის ყველა სფეროში.⁴

XX საუკუნის 90-იან წლებში თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში უარი ითქვა სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფოს მიერ რეგულირებაზე და განხორციელდა ე.წ. "შოკური თერაპია", რის მიხედვითაც ეკონომიკური პროცესები უნდა განვითარებულიყო სრულ თვითრეგულირებაზე დაყრდნობით. სახელმწიფოს არჩევანის თეორია (თულოკი (1967), შტიგლერი (1971), პელცმანი (1976)) რეგულირებას სოციალურად არაეფექტურ მეთოდად მიიჩნევს "მრენველობა თვითონ აგვარებს რეგულირების საკითხს, რომლის გამოყენება ხდება მისსავე სასარგებლოდ".

¹ ჯონ მენარდ კეინზი, ბრიტანელი ეკონომისტი, რომლის იდეებმა უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ თეორიაზე, ასევე მრავალი ქვეყნის მთავრობის ფისკალურ პოლიტიკაზე.

² Хоскинг А. Курс предпринимательства. Банки и биржи, 2003. С. 28-30.

³ https://ka.wikipedia.org/wiki/ჯონ_მენარდ_კეინზი

⁴ კეინზიანობაში XX საუკუნის 30-იანი წლებში ვრცელდება მთელ ევროპაში. XX საუკუნის 70-იან წლებში მთელ მსოფლიოში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჭარბად ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა, რამაც ეკონომიკა მსოფლიო კრიზისამდე მიიყვანა.

რა დოზით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში? ედგარ ფილდერის აზრით, ეს „შეკითხვა რომ დაუსვათ ხუთ ეკონომისტს – მიიღებთ 5 სხვადასხვა პასუხს და შეიძლება 6 განსხვავებულ მოსაზრებას იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მათგანს დამთავრებული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტი“, შესაბამისად, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი ფაქტობრივად არ არსებობს. ბუნებრივია, რომ ეკონომიკისა და მენარმეობის როგორც ჭარბი რეგულირება, ისე სრული დერეგულირება პრაქტიკულად გაუმართლებელია. ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე ეფექტიანია ამ ორ მიდგომას შორის „ოქროს შუალედის“ გამოყენება.¹

სახელმწიფოს მიერ სამენარმეო საქმიანობის რეგულირება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება (მენარმე სუბიექტთა სავალდებულო რეგისტრაცია, ცალკეული საქმიანობის ლიცენზირება, საგადასახადო რეგულირება და ა.შ.).



საქართველოში 2008 წლის საკანონმდებლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საკანონმდებლო დონეზე, სამენარმეო საქმიანობის მაქსიმალური დერეგულირება იყო. მენარმე სუბიექტები უნდა გათავისუფლებულიყვნენ ჭარბი საკანონმდებლო რეგულირებისაგან და უმთავრესი საკითხები, დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, ნების ავტონომიისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა გადაეწყვიტათ.

¹ ლ. გორგაძე. მენარმეობის სახელმწიფოსმიერი რეგულირების პრობლემა. ჟ. „თემი-და“, №11(13). 2018.

ევროპულ კერძო სამართალში კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლების პრაქტიკული გამოყენება სამართლიანი კონკურენციის წინაპირობადაა აღქმული¹. კერძო ავტონომიის ერთ-ერთ გამოვლინებას ნების ავტონომია წარმოადგენს², აღნიშნული განსაზღვრავს მხარეთა უფლებამოსილებას, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება და დადოს ხელშეკრულება³. შესაბამისად, ნების ავტონომია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია თანამედროვე სამენარმეო სამართლისთვის. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოუდგენელია აბსოლუტური თავისუფლების მინიჭება ნების გამოვლენის დროს, ამიტომ კანონმდებლობით დადგენილია შეზღუდვები, რომელთა მიზანია: საჯარო ინტერესის დაცვა; სუსტი მხარის მინიმალური დაცვა; ხელშეკრულების თავისუფლების უზრუნველყოფა; სამართლებრივი სტაბილურობა; სახელშეკრულებო სამართლიანობა.⁴

¹ Reisenhuber K., Europäisches Vertragsrecht, 2. Auflage, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2006, 62.

² ა. იოსელიანი. სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალი. 2011. გვ. 12-15.

³ ლ. ჭანტურია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ. 90.

⁴ მაგალითისთვის: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №-ას-505-889-06

სამენარმეო ურთიერთობების სუბიექტთა ზოგადი დახასიათება

სამენარმეო ურთიერთობათა სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობით აქვთ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება და, შესაბამისად, კანონით ანდა წესდებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

ზოგადად, კერძო-სამართლებრივ (მათ შორის სამენარმეო) ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსკ მუხ. 24).

სამენარმეო ურთიერთობათა „კლასიკური“ მონაწილენი არიან ე.წ. მენარმე სუბიექტები, რომელთა სამართლებრივი ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს, *numerus clausus* პრინციპზე დაყრდნობით, გვთავაზობს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მენარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მენარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.¹

ზოგადად, სამართლებრივ დოქტრინაში მენარმე სუბიექტების (გარდა ფიზიკური პირის სახელით მოქმედი ინდივიდუალური მენარმისა) კლასიფიკაცია წარმოდგენილია სხვადასხვა ნიშნების მიხედვით,

¹ ავსტრიის კანონმდებლობით - Stock Corporation, Limited Liability Company, General Partnership, Limited Partnership; ბელგიის კანონმდებლობით - Corporation, Limited Liability Company, Partnership, co-operative, temporary consortia; გერმანიის კანონმდებლობით - შპს, სს, ეეროპული სს, სამენარმეო საზოგადოება, ლია ტიპის საეაჭრო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შპ-ის კომანდიტური საზოგადოება, აქციებზე დაფუძნებული კომანდიტური საზოგადოება, რეგისტრირებული გაერთიანება, ინდივიდუალური მენარმე, კერძო ფონდი. ესპანეთის კანონმდებლობით - Private and Public Limited Company, International Trading Company. იტალიის კანონმდებლობით - Joint Stock Company, Limited Liability Company, Limited Partnership. დანის კანონმდებლობით - Private Limited Company, Public Limited Company, General Partnership, Limited Partnership, sole Partnership, Branch Office. საფრანგეთის კანონმდებლობით - Societe Anonyme (Joint Stock Company), Societe a Responsibilite Limitee (Limited Liability Company), Limited Liability Company with a sole shareholder; Societas Europaea, Commercial Partnership. იაპონიის კანონმდებლობით - სს (Stock Company), სრული ამხანაგობა (General Partnership Company), კს (Limited Partnership Company), შპს (Limited Liability Company).

კერძოდ ისინი იყოფა ამხანაგობის (პერსონალური) და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებად. პირველ ჯგუფს ეკუთვნის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება, რომელთა დაფუძნება შეუძლია ორ ან მეტ პირს. ამხანაგობაში პიროვნულ ელემენტს გაცილებით პრიორიტეტული ადგილი უკავია. ამ ტიპის საზოგადოებებისთვის კანონი არ მოითხოვს განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის არსებობას. ასევე, შედარებით მარტივია მათი მართვის სტრუქტურა. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება პარტნიორთა შეთანხმების საფუძველზე, სხვა სიტყვებით, მათთვის დამახასიათებელია გადაწყვეტილებათა მიღების ე.წ. კონსენსუალური სტრუქტურა.¹ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს (მუხ. 9. პ.1). კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისაგან რადიკალურად განსხვავებულია ამხანაგობის პარტნიორთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის პრინციპი და მოცულობა. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები – საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის (კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხ. 3, პ.3).

განსხვავებულია საფირმო სახელწოდების შერჩევის პრინციპიც. კერძოდ, ამხანაგობის ტიპის სანარმოთა საფირმო სახელწოდება ყოველთვის ასოცირდება მინიმუმ მისი ერთი პარტნიორის სამოქალაქო სახელთან, მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს „სპს“-ის დამატებით. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა

¹ Bainbridge, The New Corporate Governance In Theory And Practice. 2008. P.2-3.

ერთი სრული პარტნიორის სახელს „კს“-ის დამატებით. თუ სპს-ში ან კს-ში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მისი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას ზემოთ აღნიშნული შესაბამისი დამატებით (მუხ. 6, პ.3). (XVI საუკუნემდე ამხანაგობა წარმოადგენდა კომერციული (სამენარმეო) საქმიანობის განხორციელების ერთადერთ ექსკლუზიურ ფორმას¹, შესაბამისად, კაპიტალურ საზოგადოებათა სამართლებრივი რეგულირების საკითხი დღის წესრიგში XVI საუკუნიდან დადგა. ინგლისში გაერთიანებები ფუნქციონირებდა ოფიციალური დაფუძნების გარეშე, რის გამოც ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ ამხანაგობის სტატუსით).²

კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა ჯგუფს ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი, რომელთაგან პირველი ორის დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 58). კაპიტალური საზოგადოება კორპორაციულად ორგანიზებული წარმონაქმნის თვალსაჩინო ნიმუშია³. ამ ტიპის საწარმოებში პრიორიტეტულია თავად საწარმოს ქონება. ის არის ქონებრივი გაერთიანება. მათში შინაარსობრივი აქცენტი გადატანილია ორგანულ ნაწილებზე, მათ სტრუქტურაზე, ფუნქციასა და საერთო სისტემაზე და არა მის წევრებზე, დამფუძნებლებსა თუ პარტნიორებზე, წევრთა გაერთიანებისაგან განსხვავებით.⁴ მართალია, ქართული კანონმდებლობა 2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ არ განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოებების მინიმალურ საწესდებო კაპიტალს (მეტიც, ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულია), თუმცა კონტინენტური ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის კანონმდებლობით განსაზღვრულია კაპიტალურ საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა და შევსების წესი.

¹ Hansmann, Kraakman, Squire, *The New Business Entities in Evolutionary Perspective*, University of Illinois Law Review, Vol.1. 2005. 5.

² Figueroa, *Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America*, 50 *Duquesne Law Review* 683. 2012. 694.

³ ლ.ჭანტურია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ. 244.

⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I. 2017. გვ. 192-193.

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებისაგან სრულიად განსხვავებულია კაპიტალურ საზოგადოებებში ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა წრე. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კაპიტალურ საზოგადოებათა ხელმძღვანელობას ახორციელებს ორგანო – დირექტორი/დირექტორიები, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხს, კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა პარტნიორები (ისევე, როგორც კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები)) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ (კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხ. 3, პ.4), გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა (მუხ. 3, პ.6).

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (მათ შორის სამენარმეო იურიდიულ პირებს) ახასიათებთ ზოგადი უფლებაუნარიანობა, რომლის ცნებასაც განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი¹, მათი უფლებაუნარიანობის ფარგლები ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის ფარგლების მსგავსია, თუმცა იურიდიული პირი ვერ იქნება ისეთი უფლების სუბიექტი, რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის მიერ.² ზოგადი უფლებაუნარიანობა გულისხმობს იურიდიული პირის უფლებას, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც არ კრძალავს კანონი, იმისგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა ეს დაგეგმილი მის საინიციატივო-სადამფუძნებლო ეტაპზე და მოხდა თუ არა ამ საქმიანობის გათვალისწინება შესაბამის სადამფუძნებლო დოკუმენტებში (სსკ მუხ. 25, პ.2). შესაბამისად, ზოგადი უფლებაუნარიანობა გარანტიაა გარიგების ნამდვილობის შესანარჩუნებლად მესამე პირებისთვის, თუნდაც ეს გარიგება სხვაგვარ ეფექტს იწვევდეს იურიდიული პირის შიდა ურთიერთობებში.³ კერძო სამართლის იურიდიული პირის უფ-

¹ იგივე შინაარსის განსაზღვრებას ვეთავაზობს გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის კანონმდებლობა.

² დ. კერესელიძე. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. 2009. გვ.173.

³ ლ. ჭანტურია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ.231.

ლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი დაფუძნების რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტში.

რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ მოდელს, ის ეფუძნება *ultra vires* დოქტრინას, რომელიც ზღუდავს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას გარკვეული სახის გარიგების დადებისას იმით, რომ თუ იურიდიული პირი აფორმებს გარიგებას, რომელიც მისი უფლებაუნარიანობის ფარგლებს გარეთაა, ასეთი გარიგება მიიჩნევა ბათილად. დოქტრინა *ultra vires* გამოიყენება როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირთა, ისე კერძო კომპანიათა მიმართ. შესაბამისად, „კომპანიათა შესახებ“ 2006 წლის აქტით დაფუძნებულ კომპანიათა უფლებამოსილებანი იზღუდება მათივე სადამფუძნებლო დოკუმენტებით (*memorandum of association*), რომელიც საჯაროა და შეტანილი უნდა იქნეს კომპანიათა რეესტრში.¹ წარმოდგენილი დოქტრინის უმთავრესი მიზანია დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაცვა, ამასთან კორპორაციის წილთა მფლობელებმა უნდა იცოდნენ რა მიზნებისათვის გამოიყენება მათი რესურსი, ასევე კრედიტორები უნდა იყვნენ გარანტირებულად დარწმუნებულნი, რომ მათი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კორპორაციის ქონება წესდების შეუსაბამო მიზნებისათვის გამოყენებით არ შემცირდება.² მიუხედავად აღნიშნულისა, *ultra vires* დოქტრინის პრაქტიკულობაზე დღემდე არსებობს სპეციალისტთა აზრთა სხვადასხვაობა.³

გარდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებული მენარმე სუბიექტებისა, მოქმედი კანონმდებლობა სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას, გარკვეული პირობების დაცვით, ანიჭებს ასევე არასამენარმეო იურიდიულ პირებსაც. კერძოდ, მათი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, მათთვის სამენარმეო საქმიანობას უნდა ჰქონდეს დამხმარე ხასიათი; მიღებული მოგება გამოყენებული უნდა იქნეს ა(ა)იპ-ის მიზნებისათვის;

¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I. 2017. გვ.198; ასევე, Richards. *Law of Contract*, 2002. P. 87.

² ჯ. ხეცურიანი. იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები. სამართლის რეფორმა საქართველოში. 1994. გვ. 197.

³ Richards. *Law of Contract*. 2002. P.87-88.


მოგება არ შეიძლება განანილდეს იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის (სსკ. მუხ. 25, პ.5.), სხვა შემთხვევაში მის წინააღმდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქმიანობის შეჩერებისა ან აკრძალვის ღონისძიებები (სსკ. მუხ. 33, პ.2.).

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად მას აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა ("საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი), რაც გულისხმობს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (იქვე, მე-2 პ.). სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლების დაუცველობა შესაძლოა გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი¹ ("საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის 2¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამასთან, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი (იქვე, მუხ. 9, პ.2)).

კომერციული მოგების უტილიზაციისათვის არასამენარმეო იურიდიულ პირს სამი ალტერნატივა აქვს, ზრუნვა საზოგადოების მაღალი მიზნების რეალიზებისკენ, შენარჩუნებულ იქნეს საზოგადოების ქონების რეზერვში ანდა დაბანდებულ იქნეს იმავე სახის კომერციულ ბრუნვაში.²

¹ დ. კერესელიძე. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. 2009. გვ. 166-177.

² ლ. ჭანტურია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ. 266-267.



მენარმე სუბიექტთა დაფუძნება

მენარმე სუბიექტთა დაფუძნება ხდება კანონით დადგენილი წესით, მათი რეგისტრაციის გზით. რეგისტრაციის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ". კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში, რომელიც, თავის მხრივ, სავალდებულოა. რეესტრს ანარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რეგისტრაციის უმთავრესი მიზანია სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა აღრიცხვა.

მენარმე სუბიექტი, როგორც "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტი, არსებობას იწყებს მხოლოდ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.

2008-2016 წლებში "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა სანარმოთა რეგისტრაციის გამარტივების თვალსაზრისით, შედეგი

აბსოლუტურად ნათელია¹: შემცირდა სარეგისტრაციო ვადები, სარეგისტრაციო ხარჯები, საბოლოოდ განხორციელდა "ერთი სარკმლის" პრინციპი, მოხდა რეგისტრაციის პროცედურისა და სარეგისტრაციო მოთხოვნების მაქსიმალური შემცირება და მათი მომწესრიგებელი ნორმების გონივრული დერეგულირება.²

პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია რეგისტრაციის პროცედურების მაქსიმალურად გამარტივება, რაც წამახალისებელ ფუნქციას ასრულებს როგორც გარე ინვესტიციათა მოზიდვისათვის, ისე ქვეყანაში არსებული ფულადი რესურსის აქტიურ სამენარმეო საქმიანობაში რეინვესტირებისათვის.³

უშუალოდ რეგისტრაციის პროცედურის განხილვამდე საინტერესოა ე.წ. „წინარე საზოგადოების“ სტატუსის მოკლე მიმოხილვა, მით უმეტეს, რომ ამ „მდგომარეობაში“ მყოფ „გაერთიანებასთან“ დაკავშირებით უკვე დაგროვდა გარკვეული პრაქტიკა.

სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით მოპოვებული უფლებები დამფუძნებლების საერთო უფლებებია, მიუხედავად მათი წილისა, თუ სხვა რამ არ იყო მათ შორის შეთანხმებული. წინარე საზოგადოების სახელით ვალდებულებების ამლები პირები და დამფუძნებლები რეგისტრაციის მომენტამდე პერსონალურად და სოლიდარულად პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე. სამენარმეო რეესტრში საზოგადოების რეგისტრაციის მომენტიდან "წინარე საზოგადოების" მიერ მოპოვებული უფლებები

¹ მსოფლიო ბანკის "doing business" რეიტინგის თანახმად, 2005 წელს საქართველოში კომპანიის დაფუძნებისთვის საჭირო იყო რვა პროცედურა, 21 დღე და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის 13.7%. ამ თვალსაზრისით, "doing business"-ის უკანასკნელი მონაცემებით, საქართველომ მე-10 ადგილი დაიკავა; 2017 წელს მე-8 ადგილი, ხოლო 2018 წლის მონაცემებით, "doing business" რეიტინგში საქართველოს მე-4 ადგილი უჭირავს.

² ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურები, მათთან დაკავშირებული ვადები და ხარჯები სხვადასხვა ქვეყანაში რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, სარეგისტრაციო პროცედურების რაოდენობა მერყეობს ორიდან (კანადა) ოცდაერთამდე (დომინიკის რესპუბლიკა); სარეგისტრაციო ვადა – ორი სამუშაო დღიდან (კანადა, აესტრალია) 152 სამუშაო დღემდე (მადაგასკარი); სარეგისტრაციოდ გასანევი ხარჯი – 0,5% მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე (აშშ), 4,6 მშპ-მდე ერთ სულ მოსახლეზე (დომინიკის რესპუბლიკა).

³ ი. ბურდული, გ. მახარობლიძეილი, დ. ეგნატაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ. 49-50.

და ნაკისრი ვალდებულებები ხდება რეგისტრირებული საზოგადოების უფლებები და ვალდებულებები.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების კანონმდებლობა წლების განმავლობაში წარმოადგენდა ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფ საზოგადოებას, როგორც ეგრეთ წოდებულ "ქმედუნარიო კავშირს".¹ პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამგვარი მიდგომა არასწორია. "ეს არის განსაკუთრებული სახის "გაერთიანება", რომელიც ქმედობაუნარიანობისაგან დამოუკიდებლად შეესაბამება ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მენარმე სუბიექტს. ასეთი "გაერთიანების" მიმართ უკვე გამოიყენება არა მხოლოდ პარტნიორთა ხელშეკრულების, არამედ კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებიც. ეს ნორმები პარტნიორებს ნებას რთავს, საზოგადოების სამენარმეო რეესტრში შეტანამდე დააფუძნონ საზოგადოება, შექმნან საზოგადოების ქონება და მონაწილეობა მიიღონ სამართლებრივ ურთიერთობებში. ამის მაგალითია გერმანიის კანონმდებლობით რეგულირებული „სამოქალაქო სამართლებრივი საზოგადოება“ (GbR), ამ ეტაპზე მყოფ „გაერთიანებას“ უკვე შეუძლია განახორციელოს სამენარმეო საქმიანობა. წინარე საზოგადოება სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს როგორც, მაგალითად, „ორგანიზების პროცესში მყოფი სს (i.Gr.)“.

საინტერესოა ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი საზოგადოების წარმომადგენლობის და პასუხისმგებლობის საკითხი მესამე პირთა მიმართ. მაგალითად, თუ პარტნიორები შპს-ის რეგისტრაციამდე, ჩამოყალიბების პროცესში, დადებენ გარიგებას, ხოლო ამ უკანასკნელიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა დადგება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ, ისინი პასუხს აგებენ არა როგორც შპს-ის პარტნიორები, არამედ როგორც სოლიდარული მოვალეები (პირდაპირ, უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით).

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკის განზოგადება ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტის თაობაზე რამდენიმე მიდგომა არსებობს. მაგალითად, იტალიური კანონმდებლობის მიხედვით წინარე საზოგადოების ეტაპზე დადებული გარიგებისათვის პასუხისმგებელი სუბიექტი რეგისტრაციამდე

¹ Grundung und Beendigung der GmbH Einmann - GmbH. S.365.

უშუალოდ მოქმედი პირები არიან, მაშინ როდესაც რეგისტრაციის შემდგომ გარიგების რატიფიცირების შემთხვევაში პასუხისმგებელ სუბიექტად აღნიშნულ პირებს სამენარმეო საზოგადოება დამატება.¹ ესპანური კანონმდებლობით, ნოტარიალურად დამონმებული წესდების საფუძველზე დანიშნული დირექტორის ან ყველა პარტნიორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი პირის მიერ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის, რომელიც განხორციელდა მინდობილობის ფარგლებში ან რეგისტრაციის მიზნებისათვის, პასუხისმგებელი უშუალოდ საზოგადოებაა, რატიფიცირების გარეშე, თუმცა მხოლოდ მის კაპიტალში განხორციელებული შენატანის ფარგლებში, ხოლო დარჩენილი თანხისთვის პარტნიორები პასუხისმგებელნი არიან შეუტანელი შესატანით, ამასთან საზოგადოება შეიძლება გახდეს „წინარე საზოგადოების“ პერიოდში საზოგადოების სახელით დადებული ნებისმიერი სხვა გარიგების პასუხისმგებელი მხარე, თუ რეგისტრაციის შემდგომ იგი ამ გარიგების რატიფიცირებას მოახდენს². წინარე საზოგადოების მიერ განხორციელებული აქტივობა სამართლებრივად სწორად და მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, რადგან მსგავსი სამართლებრივი კონსტრუქციის გამოყენებით გარიგების დადების ნორმატიული შეზღუდვა („მენარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე) არ არის დადგენილი.³

„წინარე საზოგადოება“, როგორც წესი, სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სამართლებრივი ფორმა არ არის, მიუხედავად ამისა, ავსტრიის კანონმდებლობით „წინარე საზოგადოების“ ეტაპზე პირთა ორგანიზაციულ წარმონაქმნს შეიძლება მიენიჭოს მენარმის „ხარისხი“ ანუ ჩაითვალოს სამენარმეო საქმიანობის ფაქტობრივად

¹ Mads Andenas and Wooldrige Frank. *European Comperative Comapny Law*. Cambridge University Press. 2009. P.82.

² იქვე, P. 86.

³ ლ. ჭანტურია. კანონის მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. ს.ჯორბენაძის 70 წლის საიუბილეო კრებული. 1996. გვ. 47-48.

განმახორციელებელ გაერთიანებად, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ არ არის რეგისტრირებული.¹

მართალია, „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივი მდგომარეობა არ რეგულირება ქართული კანონმდებლობით, თუმცა მიმდინარეობს აღნიშნულ რეგულაციაზე მუშაობა, რაც იმედია საკანონმდებლო დონეზე მოაწესრიგებს „წინარე საზოგადოების“ სამართლებრივ სტატუსს².

რაც შეეხება საწარმოს რეგისტრაციას, ეს პროცესი მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მენარმე სუბიექტის არსებობა დგინდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება (მუხ. 4, პუნქტი 3).

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული მონაცემები რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი გაუქმების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ელექტრონულად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს (მუხ. 4, პუნქტი 3¹).

¹ ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში. 2008. გვ.85-86; ასევე, ი. დვალისძე, გ. მახარობლიშვილი. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო პრაქტიკული კომენტარი). 2016. გვ 34-40.

² ი.ბურდული, გ.მახარობლიშვილი, დ.ეგნატაშვილი, გ.გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ.57-60.

მენარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად) (მუხლი 4, პუნქტი 4).

საქმიან ურთიერთობებში თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრებამ საკანონმდებლო ცვლილება განაპირობა, რომლის მიხედვითაც, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული მენარმე სუბიექტი უფლებამოსილია ჰქონდეს რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზედაც/რომლებზედაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა. რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება შესაბამისი პირისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად. ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის რეგისტრაციისთვის გამოიყენება „მენარმეთა შესახებ“ კანონით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით“ რეგისტრაციისათვის დადგენილი წესები (მუხ. 4, პ. 4¹).

რეგისტრაციის ყველაზე მარტივი ფორმა ინდივიდუალური მენარმისთვისაა დადგენილი. ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მე-

წარმედ რეგისტრაციისას მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს განცხადებას და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-5⁴ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) განმცხადებლის სახელს;
- ბ) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) განმცხადებლის პირად ნომერს;
- დ) განცხადების შევსების თარიღს;
- ე) განმცხადებლის ხელმოწერას;
- ვ) ელექტრონული ფოსტის მისამართს და განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართისგან განსხვავებულ მისამართს, რომელზეც მიღებული გზავნილი ჩაბარებულად ჩაითვლება.

სარეგისტრაციო განაცხადის შესავსებად პირს უფლება აქვს, გამოიყენოს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა ან მისი ასლი ნებისმიერ მატარებელზე.¹

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამონმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც ამავედროულად არის პარტნიორთა შეთანხმების (წესდების) ნაწილი და რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს:

- ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;
- ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;
- გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;
- დ) საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თა-

¹ ლ. გორგაძე. სამენარმეო სუბიექტთა რეგისტრაციის რეალური პრობლემატიკა. თ. „ინტელექტუალი“ №6. 2008.

რილი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადანყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს წილადი რიცხვებით/პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 1 მთელს;

ე¹) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;

ვ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული;

ზ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

თ) საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა;¹

ი) პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;

კ) თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე;

¹ კანონის თანახმად, საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ: შპს-ს, სს-ს, კოოპერატივის – დირექტორები; სპს-ს – პარტნიორები; კს-ს – კომპლემენტარები. საწარმო მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასევე პროკურისტებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სხვა პირებით, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ლ) პარტნიორებს უფლება აქვთ რეესტრში მიუთითონ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი და მისი უფლებამოსილების ფარგლები. ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი;

მ) ელექტრონული ფოსტის მისამართი და განაცხადში მითითებული საწარმოს იურიდიული მისამართისგან განსხვავებული მისამართი, რომლებზე მიღებული გზავნილიც ჩაბარებულად ჩაითვლება.

პრაქტიკის ანალიზმა განაპირობა შემოაღნიშნულ მუხლში ახალი, 1'-ლი პუნქტის დამატება, რომლის თანახმად, თუ საწარმოს პარტნიორის, საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), წილის მმართველის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი განსხვავდება მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართისაგან, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მითითება სავალდებულოა.

თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობასა ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირებია, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსთვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტობის დადგენის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამონმებული ან ლეგალიზებული უნდა იქნეს სათანადო წესით.

რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერის როლის ამალღება, რამაც საქმიანი ურთიერთობებიდან

ბეჭდის არსებობის აუცილებლობა მოხსნა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში დამკვიდრებული ტრადიცია ბეჭდის სანდოობის თაობაზე ბოლომდე მაინც ვერ აღმოიფხვრა, სწორედ ამ მიზეზით კანონში გაჩნდა უფრო ნათელი დებულება, კერძოდ სანარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო სანარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნეს სანარმოს ბეჭდით დამონმებული ნებისმიერი დოკუმენტი (მუხ. 5, პ.5).

2017 წლის 30 ივნისს „მენარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით ცალკე რეგულირებას დაექვემდებარა ერთი პირის მიერ შექმნილი შპს და სს (მუხლი 5¹. „ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება“). მითითებული ნორმის თანახმად, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ყველა წილის/აქციის ერთი პარტნიორის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ეს საზოგადოება ხდება ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება. ამის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, უნდა აისახოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აქციათა რეესტრში და საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თუ სამენარმეო საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, საერთო კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება. სამენარმეო საზოგადოებასა და მის ერთადერთ პარტნიორს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში იდება.

სანარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.¹ სანარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფ-

¹ დაინტერესებული პირი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით).

ლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამონმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება. სანარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს სანარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, მეურვის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის, ასევე სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში წილზე საკუთრების უფლების წინასწარი რეგისტრაცია ხორციელდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით უძრავ ნივთზე უფლების წინასწარი რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით (მუხ. 5¹).

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილება ძალაში მარეგისტრირებელ ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღრიცხული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს ამ რეესტრიდან ამონაწერი ამ უკანასკნელის მომზადებისათვის დადგენილ ვადაში და განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში. ამონაწერი ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და მოვალეთა რეესტრებში რეგისტრირებული შეზღუდვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს.

რეესტრში არსებული მონაცემების საფუძვლად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე.

რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა.

საკანონმდებლო სიახლეა სანარმოს რედომიცილების შესაძლებლობა (მუხ. 5⁷), რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის სანარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანას (რედომიცილება) სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად. საქართველოში რედომიცილებული სანარმო შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით. რაც შეეხება საქართველოში რეგისტრირებულ სანარმოს, უფლება აქვს გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში, სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, თუ:

- ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული სანარმოს რედომიცილება;
 - ბ) სანარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;
 - გ) სანარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ აქვს დავალიანება.
- რედომიცილების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ნოვაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ოფშორიზაციისაკენ, ვინაიდან ამ ტიპის რეგულაცია დამახასიათებელია ოფშორული სახელმწიფოებისათვის, სადაც განვითარებულია საფინანსო სექტორი და ხშირია სანარმოთა რედომიცილების ფაქტები.

სანარმოს რედომიცილება სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო პროცედურაა, ამიტომ კანონმა დაადგინა, რომ საქართველოში რეგისტრირებული სანარმოს რედომიცილება, თავისი შინაარსით, სანარმოს რეორგანიზაციის ტოლფასია და მასზე ვრცელდება სანარმოს რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმები.

სანარმოს ფილიალის დაარსება

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სანარმოს უფლებამოსილია დააარსოს ფილიალი (ლათ. filialis – შვილობილი, filius – შვილი, ინგლ. filial), ნარმომადგენლობა (ინგლ. representation of juridical person), ბიურო (ფრანგ. bureau), სააგენტო (ლათ. agens/agentis), რომლებიც, თავის მხრივ, სანარმოსაგან ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ერთეულებია, ემსახურება სანარმოს საქმიანობის სფეროს გაფართოებას, არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" განიხილავს მხოლოდ ფილიალის დაარსების საკითხს (მუხ. 16), დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების მიმართ კი კანონი ერთგვარად "გულგრილია". საგულისხმოა, რომ მათი შექმნისას სანარმომ ფილიალის მარეგულირებელი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს.

ფილიალი ყოველთვის სანარმოს ნაწილია, ამასთან აქვს გარკვეული ორგანიზაციული დამოუკიდებლობა (იგულისხმება ეკონომიკური და ტერიტორიული დამოუკიდებლობა). ფილიალი უნდა საქმიანობდეს იმ სფეროში, რომელშიც ძირითადი სუბიექტი, თუმცა მოცულობის, ინტენსიურობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, ფილიალის საქმიანობა დამოუკიდებელია;¹ ფილიალის ერთ-ერთი ნიშანია მოქმედების ხანგრძლივობა. მისი საქმიანობა სრულყოფილად უნდა ქმნიდეს ძირითადი იურიდიული პირის საქმიანობის ასოციაციასა და ნარმოდგენას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებში². არ შეიძლება, რომ ფილიალი ძირითადი იურიდიული პირის გარიგების, ღონისძიების მხოლოდ მომზადება-დაგეგმვით, შუამავლობით

¹ Muko/Krafka. HGB.3 Aufl. 2010. #13. RM.11

² Muko/Krafka. HGB.3 Aufl. 2010. #13. RM.14

იყოს დაკავებული. ეს მის ბუნებას შეენინაალმდეგებოდა.¹ ფილიალი უნდა იყოს ტერიტორიულად განცალკევებული,² კერძოდ „ფილიალი განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც ძირითადი იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ მდებარეობს“;³ მის მიზანს საწარმოს ადგილსამყოფლის გარეთ საზოგადოების მთელ ან ნაწილობრივ ფუნქციათა შესრულება წარმოადგენს.

კანონის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

ფილიალის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოში სხვადასხვა ორგანო იღებს. მაგალითად, შპს-ში – პარტნიორთა საერთო კრება; სააქციო საზოგადოებაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დანარჩენი ტიპის საწარმოებში – საწარმოს ხელმძღვანელების მიერ ისე, რომ შეიძლება არც იყოს საჭირო საერთო კრების ჩატარება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებულ საწარმოს, ასევე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე და, შესაბამისად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დააარსოს ფილიალი იმავე წესით, რა წესითაც უცხო ქვეყნის საწარმოები. კერძოდ, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;

¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ნიჭნი I. 2017. გვ. 219-224.

² Hopt in Baumbach/Hopt. HGB. 33Auf. 2008. §13. Rn.10

³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის #22/5236-13 განჩინება.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონმებული საწარმოს გადანყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონმებული "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მონაცემები კონკრეტული საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო, ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში სარეგისტრაციო დოკუმენტები მოითხოვს აპოსტილით დამონმებას.

კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარდგენისთანავე, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (მუდმივი დაწესებულება) რეგისტრაციაში გაატაროს (მუხ. 16, პ.6.).

სანარმოს საფირმო სახელწოდება

ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სანარმო სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობს განსაზღვრული საფირმო სახელწოდებით (Firma, trade name), რაც მისი აუცილებელი ატრიბუტი და სუბსტანციის ნაწილია, ამიტომ წესდებაში მისი მითითება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა.¹ „იურიდიული პირი ... საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“ (სსკ. მუხ. 24, პ. პირველი).

სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კომერციული ურთიერთობის სფეროში.²

ზოგადად, სამოქალაქო სამართალი სახელის უფლებას დიფერენცირებულად წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში სახელის უფლება წარმოადგენილია, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება (სამოქალაქო სახელი), მეორე შემთხვევაში, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება (კომერციული სახელწოდება). პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ის, რომ მისი გადაცემა სხვა პირისათვის შეუძლებელია, იგი გადაცემას უნარო უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. ადამიანის სახელი ყოველთვის ინდივიდუალურია და კონკრეტული პიროვნების იდენტიფიკაციას ახდენს.

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი "გადაცემას უნარიანია". ამის შესაძლებლობას "მენარმეთა შესახებ" კანონი ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელწოდებად, სანარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება განვიხილოთ, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება, რომლის გადაცემა სხვა პირზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია. ამასთან, აღსანიშნავია ის შეზღუდვა, რომელსაც კანონი აწესებს: საფირმო სახელწოდება შეიძლება მხოლოდ იმ სანარმოსთან ერთად გასხვისდეს, რომლის

¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I. 2017. გვ. 212.

² Baumbach / Hefermehl. §16 vwG Rn 27.

სახელწოდების აღმნიშვნელიცაა. ცალკე სახელის გასხვისება დაუშვებელია.

საფირმო სახელწოდება მენარმის იდენტიფიკაციისა და მისი საქმიანობის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა,¹ საკუთარ სახელს ამ როლის შესრულებაში მნიშვნელოვნად ეხმარება, წარმონაქმნის საჯარო რეგისტრაციისას, მისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდი. როგორც წესი, საქმიან ურთიერთობებში მხარეები აუცილებლად მიუთითებენ საკუთარ საიდენტიფიკაციო კოდს მათივე იურიდიულ სახელწოდებასთან ერთად, ამასთან რეგისტრაცია უზრუნველყოფს მხოლოდ საიდენტიფიკაციო კოდის და არა საკუთარი სახელის უნიკალურობას, ერთადერთობას.²

იურიდიული პირის (მათ შორის სამეწარმეო იურიდიული პირის) სახელწოდება გარკვეული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციული წარმონაქმნის – საჯაროობის შემადგენელი ნაწილია და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დაცვის გარანტიის ფუნქციით არის გამსჭვალული.³ ამ მიზნის მისაღწევად, იურიდიული პირის სახელწოდების მოთხოვნათა დადგენისას, კანონმდებლობა ანებს შემზღუდველ ნორმებს, რომელთა დარღვევა გარკვეული სანქციის შემცველი შედეგით შეიძლება იყოს განპირობებული. შესაბამისად, სახელწოდება „კუთვნილებაუნარიანობისა და განსხვავებულობის ხარისხის“ მატარებელი უნდა იყოს, რათა მან ყველა შეზღუდვის გათვალისწინებით, სამართალურთიერთობაში სახელის ფუნქციის შესრულება შეძლოს. კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია, რომ სამოქალაქო ბრუნვაში სახელწოდებამ არ შექმნას მცდარი წარმოდგენა მესამე პირთა მიმართ იურიდიული პირის მიზნის, სახეობის, საქმიანობის⁴ და ა.შ. შესახებ. სახელწოდების ფუნქციიდან გამომდინარე, იგი უნდა შეიცავდეს ისეთ აღნიშვნებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ პირის სხვა პირისაგან განსხვავება და იდენტიფიცირება.

¹ ლ. ჭანტურია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ. 221.

² სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ნიგნი I. 2017. გვ. 190-191.

³ Hopt, in Baumbach/Hopt. HGB. 33. AufI. 2008. §18 Rn. 1

⁴ Muko/Reuter. 6 AufI. 2012. §57 Rn. 1

მენარმე სუბიექტის სახელწოდება უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნები ეყრდნობა ფირმის ქვეშარიტების პრინციპს.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 2-3 პუნქტების შესაბამისად, ინდივიდუალური მენარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს „სპს“-სთან ერთად, ასევე კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს „კს“-სთან ერთად. თუ სპს-სა და კს-ში გაერთიანებულია მხოლოდ იურიდიული პირები, მათი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთის საფირმო სახელწოდებას შესაბამისი დამატებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, ზემოხსენებული პრინციპი ირღვევა, რაც, თავის მხრივ, მართლზომიერების ჩარჩოებში ჯდება. სანარმოს გასხვისება ან პარტნიორთა შეცვლა სანარმოს მესაკუთრის შეცვლას იწვევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს ისარგებლოს ძველი სახელწოდებით, წინანდელი მესაკუთრის თანხმობით.

რაც შეეხება კაპიტალურ საზოგადოებებს, მათზე საფირმო სახელწოდების ქვეშარიტების პრინციპი, მისი კლასიკური გაგებით, არ მოქმედებს. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას და კოოპერატივს შეუძლია საფირმო სახელწოდება შეარჩიოს მათი საქმიანობის საგნის მიხედვით ან სახელწოდება იყოს ფანტაზიის ნაყოფი, ამასთან უნდა შეიცავდეს: სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“; შპს-ის შემთხვევაში – დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“; კოოპერატივის შემთხვევაში – დამატებას „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“ (მუხ. 6, პ. 4).

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: დაუშვებელია საფირმო სახელწოდებაში ისეთი გრაფიკული სიმბოლოს გამოყენება, რომელსაც არ აქვს ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/ და გაუგებრობა მენარმე სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

საფირმო სახელწოდებაზე უფლება, როგორც სამრეწველო საკუთრების ელემენტის უფლება, ეკუთვნის მხოლოდ მის მფლობელს. იგი უფლებამოსილია კომერციულ ოპერაციებში სხვადასხვა წესით გამოიყენოს საფირმო სახელწოდება. მაგ., საქონლის რეკლამირებისას, სასაქონლო ნიშნის ელემენტის სახით, საწარმოს აბრაზე, საქონლის შეფუთვაზე და ა.შ.¹

საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლება გულისხმობს, რომ ყველა სხვა მენარმე სუბიექტს ეკრძალება იგივე სახელწოდების ან სასაქონლო ნიშნის საქმიან ურთიერთობებში გამოყენება. თუ კანონის აღნიშნული მოთხოვნა დაირღვევა, რამაც შეიძლება საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს, დამრღვევის წინააღმდეგ გამოიყენება ქონებრივი, ადმინისტრაციული და, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი სანქციები.

¹ სუსგ. საქმე №ას-472-453-2016; საქმე №ას-62-56-2015.

სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით: ყველა საქონელი, რომელზეც უკანონოდ არის დატანილი სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, ექვემდებარება ყადაღას კავშირის იმ ქვეყნებში შეტანისას, სადაც ასეთ ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას მინიჭებული აქვს სამართლებრივი დაცვა. დაყადლება ხორციელდება, აგრეთვე, ქვეყანაში, სადაც მოხდა უკანონო დატანა ან ქვეყანაში, რომელშიც მოხდა საქონლის იმპორტი. დაყადლება ხორციელდება პროკურორის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს, ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის – ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნით, თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

საფირმო სახელწოდებაზე უფლება წარმოიშობა სანარმოს მიერ მისი სამეურნეო ბრუნვაში ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე.

საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და, როგორც აღვნიშნე, მესამე პირთა საჯაროდ ინფორმირებას ემსახურება.

იურიდიულ პირს, ფიზიკური პირისაგან განსხვავებით, არ შეიძლება ჰქონდეს ფსევდონიმი, თუმცა ხშირად ვხვდებით მათ სახელწოდებათა შემოკლებულ ვარიანტებს. ასეთ დამატებით სახელებს შესაძლოა მიეცეთ გარკვეული იურიდიული შინაარსი, მაგალითად, სავაჭრო ნიშნად რეგისტრაციის გზით. სრულყოფილი სახელწოდება კი, ზოგ შემთხვევაში, ისედაც ინვესს პირად არაქონებრივ უფლებრივ ეფექტს.¹

¹ ლ. ქანტურია. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. 2011. გვ. 222.

სანარმოს ქონება

“სიმდიდრე ქონების სა-
კუთრებაში კი არა, მისით
სწორად სარგებლობაში
გამოიხატება.”

არისტოტელე

სანარმოს ქონება მისი საქმიანობის ეკონომიკური ბაზაა. იგი სანარმოს სხვადასხვა იურიდიულ საფუძველზე ეკუთვნის; კერძოდ, სანივთო-სამართლებრივი ნორმების ან ვალდებულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე.

თუ სანარმოს ქონება მესაკუთრის უფლებით ეკუთვნის, მას აქვს ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება, კანონმდებლობითა და თავად სანარმოს წესდებით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“. წარმოდგენილი ნორმით გარანტირებულია იურიდიული პირის, როგორც სამართალურთიერთობის სუბიექტის ქონებრივი ავტონომიურობა.

კორპორაციის ქონებრივი ავტონომია გულისხმობს წევრებისა და გაერთიანების ქონების მკაცრ გამიჯვნას.¹ კორპორაცია სამარ-

¹ ი. ბურდული. სააქციო სამართლის საფუძველები. ტომი I. 2010. გვ. 110-117.

თალურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტია, შესაბამისად მას ისევე აქვს ქონების „ქონის“ უნარი, როგორც ფიზიკურ პირს.

სანამოს ქონება გულისხმობს სანარმოს კაპიტალს ერთობლიობაში. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სანარმოს კაპიტალს არაერთგვაროვნად განმარტავს. იურისტების, ეკონომისტებისა და ფინანსისტების მიერ შემოთავაზებული დეფინიციები ერთმანეთისგან განსხვავდება, სანარმოს კაპიტალის ყველაზე ფართო განმარტების მიხედვით – ეს არის მესაკუთრის ინტერესი სანარმოში და მისი განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ მესაკუთრის ყველა უფლებასა და სახელშეკრულებო მოთხოვნას, აქტივებსა და ვალდებულებებს.¹ სანარმოს კაპიტალი ყოველდღიურ ოპერაციებზე არ არის დამოკიდებული და შესაბამისად მის კვალდაკვალ არ იცვლება². სანარმოს კაპიტალის შემადგებელი ნაწილია სანესდებო კაპიტალი. ეს უკანასკნელი არის დამფუძნებელთა მიერ წესდებით განსაზღვრული, სანარმოში ინვესტირებული კაპიტალი. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, როგორც წესი, სანესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს კანონმდებლობა. ზოგადად, სანესდებო კაპიტალი აღიქმება არა როგორც ქონების ზუსტი ეკონომიკური ღირებულების მქონე აქტივების გარკვეული ოდენობა, არამედ როგორც დოქტრინა, წესების, მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც გარკვეულ ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება.³ რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, აქ კომპანიის მინიმალურ სანესდებო კაპიტალს ზოგადად კანონი არ განსაზღვრავს. მართალია, 1824 წელს ამერიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე სთორის ჰქონდა მცდელობა დაემკვიდრებინა სანესდებო კაპიტალის დოქტრინა, თუმცა ეს მცდელობა მცდელობად დარჩა⁴.

¹ Westerbeck D.J. The Inadequacy of States Capiotal Requirements. 40 Con.L.Rev.823.1971. p. 824-826.

² იქვე.

³ ა. ხარაიშვილი. სანესდებო კაპიტალის დოქტრინა სისტემ შედარებით კონტექსტში. საკორპორაციო სამართლის კრებული № 2015. გვ. 18.

⁴ აშშ-ში ზოგიერთი შტატის სამართალი კორპორაციის რეგისტრაციისთვის მინიმალურ/სავარაუდო კაპიტალს ითვალისწინებს (stated capital) (კოლომბიის რეგიონი, ოკლოჰამა, პუერტო რიკო, სამხრეთ დაკოტისა და ტეხასის კორპორაციული სტატუტები), მაგრამ ეს ამერიკისთვის ატიკური მოვლენაა და ძირითადი აქცენტი საკორპორაციო სამართლის მონიანე შტატების – დელაუერისა და ნიუ-იორკის სამართალზე კეთდება, სადაც კაპიტალის განსაზღვრული მინიმალური ოდენობა არ არის კორპორაციის რეგისტრაციის წინაპირობა.

1979 წელს Model Business Corporation Act-მა ამოიღო მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა, ხოლო Revised Business Corporation Act-ით 1983 წელს საერთოდ გაქრა მსგავსი დოქტრინული ხედვა.¹ იგივე ტენდენციაა დიდ ბრიტანეთში, 2006 წელს ახალი რედაქციით მიღებული „კომპანიების აქტის“ შესაბამისად, მინიმალური საწესდებო კაპიტალი არ განისაზღვრება.

საწესდებო კაპიტალის დოქტრინის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა მინიმალური საწესდებო კაპიტალის კანონისმიერი განსაზღვრა. მინიმალური საწესდებო კაპიტალის უმთავრეს ფუნქციად მიიჩნევა კრედიტორთა ინტერესების დაცვა და მათი გარანტირებულობა, რაც პრაქტიკის გათვალისწინებით რეალობისგან შორსაა.²

საწარმოს სასტარტო ქონება, როგორც წესი, საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანია. 2008 წლის 14 მარტს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ამ საკითხთან დაკავშირებით პრინციპულად შეიცვალა კანონმდებლის მიდგომა, კერძოდ გაუქმდა კანონისმიერი მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა და მეტი თავისუფლება მიეცათ პარტნიორებს საწარმოს ქონების შექმნასთან, ასევე მოგებისა და ზარალის განაწილების პროპორციულობასთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობით, კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის რაოდენობა (მუხ. 5). ამ საკითხთან მიმართებაში რეფორმამდე ქართული საკორპორაციო სამართალი მთლიანად გერმანულ-ავსტრიულ სამართალზე იყო ორიენტირებული. "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ადრე მოქმედი რედაქციის 3.3 მუხლი სწორედ გერმანული საზოგადოების სამართლის რეცეფციის შედეგად წარმოშობილი ინსტიტუტის ქართული გამოხატულება იყო. ქართულ სამართალში საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის არსებობა კაპიტალური საწარმოებისათვის ბიზნესის დაწყების ერთ-ერთი სავალდებულო

¹Engert A. Life without Legal Capital: Lessons from American Law, Ludwig Maximilians University. Munich. 2006. P.1

² იქვე, P. 38-39

წინაპირობა იყო (შპს-თვის განისაზღვრებოდა მინიმუმ 200 ლარი, სს-თვის – მინიმუმ 15 000 ლარი)¹.

2008 წლიდან „მენარმეთა შესახებ“ კანონში ტერმინი „სანესდებო კაპიტალი“ „ქრება“ (შესაბამისად, კანონისმიერ მისი მინიმალური ოდენობის განსაზღვრა(ც) და „ჩნდება“ – „სანარმოს კაპიტალი“, რაც გაცილებით ფართო გაგებით იხმარება და არ არის „სანესდებო კაპიტალის“ იდენტური ცნება.² აბსოლუტურად ვიზიარებ ავტორის მოსაზრებას, რომ კაპიტალური საზოგადოებების ფუნქციონირებისთვის აუცილებელია გარკვეული კაპიტალის არსებობა, მიუხედავად იმისა, კანონმდებელი რამდენად ნებაყოფლობითს ხდის მის სავალდებულობას. ცხადია, რომ თუ დამფუძნებლები მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევით შემოიფარგლებიან, მათი საქმიანობის რენტაბელურობა თავიდანვე ნარუმატებლობისთვის იქნება განწირული.³

¹ გერმანიის კანონმდებლობით შპს-ის მინიმალური სანესდებო კაპიტალია 25.000 ევრო, სააქციო საზოგადოების - 50.000 ევრო. საფრანგეთის კანონმდებლობით - შპს-ის მინიმალური სანესდებო კაპიტალია 7.500 ევრო, სააქციო საზოგადოების - 37.000 ევრო (რეგისტრაციის მომენტისთვის შენატანის სახით განხორციელებული უნდა იყოს წინდათქმული კაპიტალის მინიმუმ 1/5 და რომლის 50% შეიძლება დაიფაროს კომპანიის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში). ავსტრიის კანონმდებლობით - შპს-ის მინიმალური სანესდებო კაპიტალია 35.000 ევრო, სააქციო საზოგადოების - 70.000 ევრო. ბელგიის კანონმდებლობით - შპს-ის დახურული კომპანიის მინიმალური სანესდებო კაპიტალია 18.550 ევრო, სააქციო საზოგადოების - 61.500 ევრო. იაპონიის კანონმდებლობით - შპს-ის მინიმალური სანესდებო კაპიტალია 30.000 ამერიკული დოლარი (3 მლნ.იენი), სააქციო საზოგადოების - 100.000 ამერიკული დოლარი (1 მლნ.იენი). ესპანეთის კანონმდებლობით - შპს-ის მინიმალური სანესდებო კაპიტალია 3.000 ევრო, სააქციო საზოგადოების - 60.000 ევრო (რეგისტრაციის მომენტისთვის შენატანის სახით განხორციელებული უნდა იყოს მინიმუმ 15.000 ევრო). რუსეთის კანონმდებლობით საჯარო სააქციო საზოგადოების მინიმალური სანესდებო კაპიტალი -100.000 რუბლი, არასაჯარო სააქციო საზოგადოების - 10.000 რუბლი, შპს-ის - 10.000 რუბლი (რეგისტრაციის მომენტისთვის შენატანის სახით განხორციელებული უნდა იყოს წინდათქმული კაპიტალის მინიმუმ 3/4). https://lawstrust.com/ru/registratsiya-kompanii/it_srl

² „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-6 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად: „საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „სანესდებო კაპიტალი“ შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ფაზი), საზოგადოების საქუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, სანარმოს პარტნიორთა ხშების სრული რაოდენობის მნიშვნელობით“.

³ გ. მახარობლიშვილი. შეტანუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური მხარარი. უ. „მართლმსაჯულება და კანონი“. № 1(32)12. გვ.101.

თითოეული პარტნიორის შესატანის შეტანის წესი და ვადა განისაზღვრება თავად პარტნიორთა მიერ. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ მოახდინა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუმცა, საწარმოს წესდებით, შესაძლებელია განსხვავებული წესის დადგენაც (მუხ. 3, პ.7).

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პარტნიორის მიერ საწარმოს კაპიტალში განხორციელებული შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური ანდა არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების განწევა.

ნატურით განხორციელებული შენატანის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკა. მაგალითად, გერმანული კანონმდებლობით, ნატურის სახით განხორციელებული შესატანის საგნის ღირებულების შეფასება უნდა მოხდეს სპეციალური ანგარიშით, ხელმოწერილ იქნეს საზოგადოების წევრთა მიერ და დაერთოს საზოგადოების წესდებას.¹ იტალიის კანონმდებლობით, შეფასებას ახდენენ სასამართლოს მიერ შერჩეული ექსპერტები, რომელთა შეფასება დამონმებული ან ჩასწორებული უნდა იქნეს დირექტორთა მიერ, საზოგადოების რეგისტრაციიდან 180 დღის განმავლობაში.² ევროსაბჭოს მეორე დირექტივის თანახმად, არაფულადი შესატანის შეფასებას ახდენს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ეროვნულ იურისდიქციაში ინიშნება სათანადოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ. ასეთი ექსპერტი შეიძლება იყოს

¹ Mads Andenas and Wooldridge Frank. *European Comparative Company Law*. 2009. P.68

² იქვე, P. 81.

როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი.¹ აშშ-ის მოდელური კანონის მიხედვით, დირექტორს (დირექტორთა საბჭოს) ევალება განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება არაფულადი შენატანი მის სანაცვლოდ გასაცემ აქციათა ნომინალურ ღირებულებას.² საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ფაქტობრივად „დედუს“ არაფულადი შესატანის შეფასებაზე უფლებამოსილ პირთან დაკავშირებით, თუმცა საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არაფულადი შესატანის შეფასებას ახდენს დამოუკიდებელი აუდიტი.

არაფულადი შესატანის განხორციელებისას გასათვალისწინებელია სანარმოსათვის მისი საჭიროება. საზოგადოების დაფუძნებისას, პარტნიორებს არაფულადი შესატანის სახით შეუძლიათ შეიტანონ როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება; ორივე შემთხვევაში, ისინი ამ ქონებაზე საკუთრების უფლებას გადასცემენ საზოგადოებას, ამიტომ არაფულადი შესატანის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს მოძრავ ან უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემისათვის გათვალისწინებული წესით (მაგ., უძრავი ნივთის სანარმოს კაპიტალში შეტანა ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის საფუძველზე, რადგან განსხვავებულ წესს „შენარმეთა შესახებ“ კანონი არ ადგენს).³

მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფულად შესატანად, თუ მათი ეკონომიკური ღირებულებების დადგენა რეალურად შესაძლებელია. მოთხოვნის გამოყენება არაფულადი შესატანის სახით უნდა გაფორმდეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით საზოგადოებასა და შეტანაზე ვალდებულ პირს შორის. არაფულადი სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანარმოს წილები, აქციები, თავად სანარმოც (გერმანული კანონმდებლობის თანახმად თუ შესატანის სახით ხორციელდება სანარმოს შეტანა, მას უნდა დერთოს მოგება-ზარალის შესახებ ბოლო ორი წლის ანგარი-

¹ მეორე დირექტივის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.

² Modal Business Corporation Act annotated: Official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005. P. 187-188.

³ სუსგ. N-ას-333-318-2012.

ში).¹ არაფულად შესატანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებები. პირველს განეკუთვნება აღნაგობა, იპოთეკა და ა.შ. ხოლო მეორეს – კონკრეტული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი უფლებები, მაგალითად, ქირავნობის უფლება, იჯარა და ა.შ. კაპიტალში შესატანად ამგვარი უფლებების გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მათ საფუძვლად არსებული ხელშეკრულების უცაბედი შეწყვეტის დაუშვებლობა. მაგალითად, თუ პარტნიორს არაფულადი შესატანის სახით შეაქვს იჯარის უფლება, ეს უფლება მას სულ მცირე ისეთი ვადით მაინც უნდა ჰქონდეს, რომ საზოგადოებას მისი რეალური გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს. თუ მეიჯარეს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, შესატანის სახით ასეთი იჯარის უფლების გამოყენება ეკონომიკურ აზრს კარგავს. ცხადია, რომ ხელშეკრულების კონტრაგენტებს ყოველთვის შეუძლიათ ხელშეკრულების მოშლა, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გონივრულ პირობებში და არა ისე, რომ საფრთხე შეექმნას საზოგადოების არსებობას.²

„შენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ანუ კანონი არ განსაზღვრავს შესატანის განხორციელების მაქსიმალურ ვადას.³

2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე, მომსახურების განვითარების ვალდებულება ან მისგან წარმოშობილი მოთხოვნები, ასევე სამუშაოს შესრულება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო შესატანად მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნები გადაცემამუნარიანი იყო. კანონმდე-

¹ Mads Andenas and Wooldridge Frank, *European Comparative Company Law*, 2009 p.68

² <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?c=d-01000-00---off-0periodika--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.6&d=HASH017fe424666f4cb1fc631bc04>=1>

³ განსხვავებით მაგალითად გერმანული კანონმდებლობისგან, სადაც ეს ვადა განისაზღვრება საზოგადოების დაფუძნებიდან 5 წლით. Mads Andenas and Wooldridge Frank. *European Comparative Company Law*. 2009. P.68

ბელი თვლიდა, რომ მათ სანარმოს დაფუძნებისას მყარად განსაზღვრული ეკონომიკური ღირებულება არ ჰქონდათ, აქაც იგრძნობოდა ევროპული სამართლის გავლენა¹. სპეციალისტებისთვის დღემდე საკამათოა საკითხი, რამდენად მისაღებია სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განევის აღიარება შეტანაუნარიან ობიექტებად. დავის ძირითადი საგანი მისი ლიკვიდურობის ხარისხია,² ეს ბუნებრივია, რადგან „მენარმეთა შესახებ“ კანონი არ გვთავაზობს მისი შეფასების მექანიზმს, განსხვავებით აშშ-სგან, სადაც მოდელური კანონი, მსგავსი შენატანის შეფასების უფლებას ანიჭებს კომპანიის დირექტორს (დირექტორებს). აქვე საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება შენატანის კონკრეტული ეკონომიკური ღირებულების დადგენა³, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია.⁴

სანარმოს კაპიტალთან დაკავშირებული საკითხები ასევე რეგულირდება სპეციალური კანონებით, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში განხვავებული მიდგომა აქვს კონკრეტული სუბიექტის კაპიტალთან მიმართებაში. მაგალითად, „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, განაღდებული სანესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობებს და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკს ეკრძალება სანესდებო კაპიტალის არაფულადი ფორმით შეესება/ფორმირება. კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება, შეამციროს თავისი სანესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით ან შეამციროს საზედამხედველო კაპიტალი რეზერვების გამოყენებით ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და სანესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ წესდებაში სათანადო შესწორების შეუტანლად.

¹ ევროპის კავშირის საბჭოს მეორე დირექტივის მე-7 მუხლის მეორე წინადადება კრძალავს სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განევის შეტანას სანესდებო კაპიტალში.

² ი. ბურდული, გ. მახარობლიშვილი, დ. ეგნატაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ. 65-67.

³ Modal Business Corporation Act annotated: Official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005. P. 188.

⁴ გ. მახარობლიშვილი. შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი. თ. - მართლმსაჯულება და კანონი“. № 1(32)12.

ქართული კანონმდებლობით, სანესდებო კაპიტალის მინიმალური ფიქსირებული ოდენობა შენარჩუნებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებშიც. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სანესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს 250000 (ორას ორმოცდაათი ათას) ლარზე ნაკლები. ამ თანხის ზემოთ ნესდებით დადგენილი სანესდებო კაპიტალის სრული ოდენობის ფულადი ან/და არაფულადი ფორმით შევსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა პარტნიორთა შენატანებისა, სანარმო, როგორც სამართალურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტი, უფლებამოსილია იყოს სხვადასხვა ხელშეკრულების მხარე, რომლის საფუძველზეც უფლებამოსილია მოიპოვოს ნივთზე საკუთრების ანდა მფლობელობის/სარგებლობის უფლება. სწორედ ამ მეთოდით იქმნება სანარმოს საკუთარი კაპიტალი, რომელშიც ფართო მნიშვნელობით იგულისხმება ყველა ის მატერიალურ-ქონებრივი ეკონომიკური საშუალება, რომელიც საზოგადოების კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიყენება¹. საკუთარი კაპიტალი სანარმოს ფუნდამენტიცაა, რომლის სიძლიერეზეცაა დამოკიდებული მისი შემდგომი წარმატება. სანარმოს კაპიტალის ძირითად ფუნქციაში, ეკონომიკური კატეგორიის სიძლიერის უზრუნველყოფასთან ერთად, შედის კრედიტორთა მატერიალური უფლებების დაცვა, შესაბამისად სწორედ სანარმოს კაპიტალზეა დამოკიდებული მისი კრედიტუნარიანობაც.² იმის გათვალისწინებით, რომ საკუთარი კაპიტალი კრედიტორის მოთხოვნის საზოგადოებრივ ანუ კორპორაციული ქონების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, ბუნებრივია ამ დროს ამა თუ იმ ტიპის საზოგადოებაში პასუხისმგებლობის შეზღუდვა/არშეზღუდვის პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ საკუთარ კაპიტალში ამ

¹Janberg. Hans. Finanzierung und Finanzpolitik in: Janberg. Hans. Finanzierungshandbuch. Verlag, Dr. Th. Ganler GmbH. 1970. P.27

² იქვე, P.41-42

თვალსაზრისით კს-ის კომპლემენტართა¹ და სპს-ის პარტნიორთა ქონებაც უნდა მოექცეს.

კიდევ ერთხელ, სანარმოს, როგორც სამართალურთიერთობის სუბიექტს, უნდა ჰქონდეს საკუთარი კაპიტალი. ზოგიერთი ავტორის აზრით, საკუთარი კაპიტალი კორპორაციის ხანგრძლივი დაფინანსების ინსტრუმენტს ქმნის.²

ზოგადად, სანარმოს საკუთარი კაპიტალი ყალიბდება როგორც შიდა, ისე გარე დაფინანსებით, მაგალითად, სს-ში კაპიტალის გაზრდა, კაპიტალის ბაზრის მხედველობაში მიღებით ან შპს-ში კაპიტალის გაზრდით, რა დროსაც სანარმოში მატერიალური რესურსი მობილიზდება არსებული, ან ახალი პარტნიორის მეშვეობით.³ ამასთან აღსანიშნავია, რომ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი საშუალებას აძლევს შპს-ს, წვდომა ჰქონდეს კაპიტალის ბაზარზე. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათა დაფინანსება კი ხდება უშუალოდ დამფუძნებლების/ პარტნიორების მიერ.⁴

სანარმოს დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მისი ე.წ. უცხო კაპიტალით დაფინანსება. ამ უკანასკნელს ახასიათებს მისი არახანგრძლივი გამოყენება, ამიტომ იგი განიხილება როგორც „სასესხო კაპიტალი“.⁵ რიგ შემთხვევაში, სასესხო კაპიტალი ხელს უწყობს სანარმოს, განახორციელოს პროექტები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სანარმოს რენტაბელობას, მისი განვითარების მდგრადობასა და, რა თქმა უნდა, პარტნიორთა ფინანსური ინტერესის უზრუნველყოფას.

ზოგადად, ქონების არსებობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სანარმოს სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისით, არამედ სანარმოს პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრისას. კაპიტალური

¹ ი. ბურდული, გ. მახარობლიძე, დ. ეგნატაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ.120-121.

² Janberg. Hans. Finanzierung und Finanzpolitik in: Janberg. Hans. Finanzierungshandbuch. Verlag, Dr. Th. Ganler GmbH. 1970. P.27-28.

³ იქვე, P.33.

⁴ ი. ბურდული, გ. მახარობლიძე, დ. ეგნატაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ.122-125.

⁵ იქვე, გვ.125-129.

ტიპის საწარმო ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. აქვე, კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს (მუხ. 3, პ. 6); ან/და თუ დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია (მუხ. 3, პ. 8). რაც შეეხება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს, სპს-ის და კს-ის კომპლემენტარი პარტნიორები კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით (მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია).

საყურადღებოა, რომ საწარმოს ქონება მოიცავს არა მხოლოდ აქტივს, არამედ პასივსაც.¹ როგორც ზემოთ აღვნიშნე, იყო პერიოდი, როდესაც საწარმოს კაპიტალს ჰქონდა კრედიტორთა დაკმაყოფილების გარანტირებულობის ფუნქცია. მოგვიანებით საწარმოს კაპიტალმა ეს ფუნქცია დაკარგა. საწარმო პასუხისმგებელია მთელი ქონებით და არა მხოლოდ საწარმოს კაპიტალით.

ზოგადად, ბიზნესის წარმოება სერიოზულ რისკებს უკავშირდება, ამიტომ გარიგების პოტენციურმა მხარემ საგულდაგულოდ უნდა შეამოწმოს, ფაქტობრივად რა კაპიტალის მფლობელია საწარმო და შეძლებს თუ არა ეს უკანასკნელი კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, ვალდებულებათა შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების ან მისივე ქმედებით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში.

¹ „შენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ადრე მოქმედი რედაქციის შესაბამისი ნორმების (მუხ. 3.3; 45; 51) შინაარსის მიხედვით საკორპორაციო სამართლის თეორია განასხვავებდა საზოგადოების საწარმოს კაპიტალსა და საზოგადოების ქონებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, მათ შორის სხვაობა ფაქტობრივად არ არსებობს. ქონებაში იგულისხმებოდა საწარმოს კაპიტალი პლუს ყველა დანარჩენი არსებული ქონება, რომელიც არ იყო შეტანილი საწარმოს კაპიტალში. მიუხედავად მსგავსებისა, ამ ორ ინსტიტუტს შორის მაინც არსებობს განსხვავება სამართლებრივი თვალსაზრისით. საზოგადოების კაპიტალი და მისი განსაზღვრა პარტნიორებს იმისთვის სჭირდებათ, რომ დაადგინონ საკუთარი წილები საზოგადოებაში. პარტნიორები ურთიერთშეთანხმებით, ნესდებით განსაზღვრავენ საკუთარ წილებს. საწარმო, რენტაბელური საქმიანობის პირობებში, იღებს მატერიალურ სარგებელს და მისი ქონებაც შესაბამისად იზრდება.

საწარმო როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

ტერმინი საწარმო (Entreprise, Unternehmen, Предприятие) პრაქტიკასა და დოქტრინაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ერთ შემთხვევაში იგი საზოგადოების (კორპორაციის, კომპანიის) სინონიმია, მეორე შემთხვევაში – პირთა და ქონების ორგანიზაციული ერთიანობა, რომელსაც ასევე მიეკუთვნება საწარმოსა და დასაქმებულთა საქმიანობა, არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, საწარმოო საიდუმლოებანი, მატერიალური ფასეულობანი, სხვადასხვა ტიპის უფლებები და ვალდებულებები და სხვა.

ლიტერატურაში საწარმოზე (განსაზღვრული სამეურნეო ერთეულის ანალიზიდან გამომდინარე) გამოთქმულია განსხვავებული სამართლებრივი და ეკონომიკური შეხედულებები. რაც შეეხება საწარმოს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად აღიარებას, ეს საკითხი ხშირად სპეციალისტთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.^{1, 2}

¹ მაგალითად, საწარმოს ობიექტად განხილვის სანინალმდგეგო აზრი გამოთქმულია: Лаптев В.В. Предпринимательское право: понятие и субъекты. – М.: Юристъ, 1997. С. 54.; Черноморец А.Е. Некоторые теоретические проблемы права собственности в свете гражданского кодекса РФ//Государство и право. 1996. №1. С. 97-99.

² Brox. Hans. Allgemeiner Teil des BGB, 15. Aufl. S. 331.

ობიექტი ფილოსოფიური კატეგორიაა და გულისხმობს საგანს, რომელზეც მიმართულია სუბიექტის მოქმედება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კერძო უფლებათა ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, ბრუნვიდან არ არის ამოღებული. მოცემული დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ სანარმოზე, როგორც კონკრეტული სამართლის ობიექტზე. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ავტორი მას სამართლის დამოუკიდებელ ობიექტად არ მიიჩნევს.

სანარმო, როგორც სამართალურთიერთობის ობიექტის, დახასიათებისას საინტერესოა მისი მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოიყვანა. კერძოდ:

1) სანარმო თავისი შემადგენლობით რთული ქონებრივი კომპლექსია, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ელემენტებს (სანარმოს სტატიკური დახასიათება).

სანარმოს ქონებრივი კომპლექსი პირობითად ოთხ ჯგუფად იყოფა:

- ნივთები. სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ნივთებს მიეკუთვნება ყველა მატერიალური საგანი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ადამიანის ხელით და გონებით არის შექმნილი ან ბუნების ნაბოძებია. ამასთან, უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის რაიმე სახის მოთხოვნას (იგულისხმება მინის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, მონუმენტობები, ნედლეული, მასალები, პროდუქცია და სხვა ძირითადი და საბრუნავი საშუალებები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე);

- ქონებრივი უფლებები. ეს სამართალურთიერთობის მონაწილეთა სუბიექტური უფლებებია, რომელიც ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას უკავშირდება, ასევე მოიცავს იმ ქონებრივ მოთხოვნებს, რომელიც ამ ქონების გაყოფის ან გაცვლის დროს წარმოიშობა (იგულისხმება მინით, წყლით და სხვა ბუნებრივი რესურსებით, შენობა-ნაგებობებით, მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობებით სარგებლობის უფლება, მოთხოვნის უფლება და ა.შ.);

- ქონებრივი ვალდებულებები (იგულისხმება სამართალურთიერთობის სუბიექტის მიერ ნაკისრი ვალდებულებები);

- უფლება არამატერიალურ სიკეთეზე (იგულისხმება საწარმოს იდენტიფიკაციისა და ინდივიდუალიზაციის საშუალებები და ა.შ.).

ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ საწარმოსთან დადებული გარიგება აუცილებლად ყველა ჯგუფის ელემენტს უნდა მოიცავდეს. დასაშვებია, რომ სამართალურთიერთობის ობიექტი იყოს არა საწარმო მთლიანად, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. მისი შინაარსის მექანიკური დაყვანა ამა თუ იმ ნივთების კომპლექსამდე მიუღებელია.

აშშ-ის სამართლის მიხედვით, კორპორაციის ე.წ. "კომპლექსური გასხვისება" შემძენის საკუთრებაში მხოლოდ მასალის, მოწყობილობისა და საქონლის გადასვლას გულისხმობს. რაც შეეხება სავალო ვალდებულებებს და მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლებას, მისი მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ მხარეთა შორის დადებული კონკრეტული ხელშეკრულებით.¹

2) საწარმოს ელემენტები ქმნის ერთ მთლიანს, რაც სამწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენება (საწარმოს ინტეგრაციული დახასიათება).

საწარმოს ელემენტთა სიმრავლე, ასევე მისი შედგენილობის პერმანენტული ცვლილება სულაც არ გულისხმობს, რომ იგი ნივთების უსისტემო, ეკლექტიკური კონგლომერატია. საწარმოს ინტეგრაციული ერთიანობა ნათლად ვლინდება კორპორაციის ჩარ-

¹ Union Commercial Code of USA. Article 5-102.

ჩოებში მიმდინარე რეალურ სუროგაციაში, რაც ნიშნავს, რომ ერთობლიობაში შემავალი ცალკეული ქონება შეიძლება შეიცვალოს მეორით – ერთობლიობა მაინც აგრძელებს არსებობას, როგორც უცვლელი. ახალი ქონება ფაქტობრივად ძველის ადგილს იკავებს.¹

პრაქტიკულად სანარმოს ერთიანობა მრავალ ასპექტში ვლინდება. ესენია: ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ტერიტორიული და სხვა, თუმცა ისინი ფაქტობრივი და არა იურიდიული ხასიათისაა.

პრაქტიკის, დოქტრინის და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სანარმოს არა მხოლოდ სამეურნეო ერთიანობა ახასიათებს, არამედ იურიდიულიც. კერძოდ, ამ თვალსაზრისით მისი მნიშვნელოვანი მახასიათებლებია:

- სანარმო ერთიანობაში ბრუნვაუნარიანია;
- სანარმოს საფირმო სახელწოდება გადადის შემქმნზე თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- სანარმოს გასხვისების ხელშეკრულებით მიუთითებელი ვალების არსებობისას, შემქმნი უფლებმოსილია მოითხოვოს ფასის დაკლება, მიუხედავად იმისა, რომ ახალი შემქმნი მაინც მოვალედ ითვლება.²

3) სანარმო ექსპლუატირებული ქონების კომპლექსია (სანარმოს დინამიკური დახასიათება).

სანარმოს, როგორც ობიექტის, სირთულე არა მხოლოდ მასში შემავალი ელემენტების მრავალფეროვნებაში აისახება, არამედ მის დინამიკურობაშიც.


სამენარმეო საქმიანობა, კორპორაციის ქონებრივი ბაზის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებაში ვლინდება. სანარმო ფუნქციური ქონებრივი კომპლექსია, ამიტომ გასხვისება ასევე მისი ექსპლუატაციის გაგრძელებას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით, აქტუალური რჩება გასული საუკუნის დასაწყისში გერმანიის

¹ Жюллино де ла Морандер. Гражданское право Франции. 1958. с. 64.

² გერმანელი ცივილისტი ლ. ნეკცერუსი აღნიშნავს: "უფლება სანარმოზე არ უნდა გავაიგიოთ საკუთრების უფლებასთან, ამიტომ სანივთო უფლებები სანარმოზე არ ვრცელდება" Л. Энкеиерус. Курс Германского гражданского права. т. I. 1949. с. 267.

სასამართლო პრაქტიკით შემუშავებული პრინციპი, რომლის თანახმად, საწარმოს გასხვისება მისი ყველა შემადგენელი ელემენტის გასხვისებას გულისხმობს, რაც სავაჭრო საქმიანობის გაგრძელებისა და მოცემული საწარმოს კონკრეტული ხასიათის შენარჩუნებისთვისაა საჭირო.

4) საწარმოს ქონებრივი კომპლექსი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის გამოიყენება (საწარმოს მიზნობრივი დახასიათება).



5) გარიგების დადება, რომლის საგანი თავად საწარმოა (მაგალითად, საწარმოს ნასყიდობის ხელშეკრულება) არ იწვევს ავტომატურად სამენამეო საქმიანობის შეწყვეტას. ფაქტობრივად ობიექტად გვევლინება ქონებრივი კომპლექსი. ამ ტიპის გარიგების დადების შედეგად, საწარმო, როგორც სუბიექტი, არ წყვეტს არსებობას (ბიზნესის გაყიდვა), არამედ პრაქტიკულად ხდება პარტნიორთა ჩანაცვლება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სანარმოს ნიშან-თვისებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და სანარმოს ცნების სრულყოფილი გააზრება მხოლოდ მათ ერთობლიობაში ვლინდება. შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველი და მე-4 თვისება წმინდა სამართლებრივი ხასიათისაა, თუმცა ეკონომიკური მიზეზებითაა განპირობებული, რაც შეეხება მე-2 და მე-3 – პირიქით, "გენეტიკურად" ეკონომიკურია, მაგრამ იწვევს სამართლებრივ შედეგებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული საკითხისთვის, იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა რეალური ურთიერთზემოქმედება მუდმივ ხასიათს ატარებს.

დასასრულ, სანარმო სამართალურთიერთობის მეტად სპეციფიკური ობიექტია, რომელიც ერთიანობაში განიხილება, როგორც ქონებრივი კომპლექსი; განკუთვნილია სამენარმო საქმიანობის განსახორციელებლად; მასში მოიაზრება იმ ქონების სრული კომპლექსი, რომელიც საჭიროა მისი ფუნქციონირებისთვის; მასში შედის როგორც სანარმოს აქტივები, ისე პასივები.

სამეწარმეო იურიდიული პირის ორგანოთა მმართველობითი საქმიანობა კორპორაციული მართვის ჩარჩოებში ვედება. კორპორაციული მართვა სოციალური მართვის ნაირსახეობაა და თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს.

კორპორაციული მართვა რთული, მულტიფუნქციური სისტემაა, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ და ფინანსურ ელემენტებს, ამიტომ კორპორაციული მართვის ერთიანი, უნიფიცირებული განმარტება ლიტერატურაში ფაქტობრივად არ გვხვდება, თუმცა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კორპორაციულ მართვას განსაზღვრავს, როგორც „კომპანიის მართვისა და კონტროლის სტრუქტურებისა და პროცესების ერთობლიობას“.

კორპორაციული მართვის სრულყოფის, მართვის მინიმალური სტანდარტების დაწესებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის მოქმედი საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზაციისთვის ხელის შეწყობის მიზნით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD – ეთგო) მიერ 1999 წელს მიღებულ იქნა კორპორაციული მართვის პრინციპები, რომელიც რედაქციულად 2004 წელს განახლდა. პრინციპები აღიარებულ იქნა ფინანსური სისტემების სტაბილურობის ხელშეწყობს სტანდარტად.¹

„კორპორაციული მართვის პრინციპებში“² მოცემულია კორპორაციული მართვის შედარებით დეტალური და ზუსტი განმარტება, კერძოდ „კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიდა ინსტრუმენტი – კორპორაციული მართვა – მოიცავს ურთიერთობებს კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოს, აქციონერებსა და სხვა

¹ OECD Principles of Corporate Governance. OECD. 2004. P. 13.

² OECD Principles of Corporate Governance 2004

დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, კორპორაციული მართვა ქმნის სტრუქტურას, რომლის საფუძველზეც ხდება კომპანიის მიზნების დასახვა, მისი მიღწევის საშუალებებისა და კომპანიის საქმიანობის მონიტორინგის ფორმების განსაზღვრა და სხვა“ (წარმოდგენილი საკითხის განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვისა და კონტროლის ეფექტიანი ნებსებისა და განსაზღვრული სტრატეგიების დადგენა, რომელსაც კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობა და სამართლებრივი სივრცე უნდა უზრუნველყოფდეს, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინვესტორთა მოზიდვასა და კაპიტალის აკუმულირებას¹). OECD პრინციპების მიზანია ხელი შეუწყოს ეთგო-ს წევრი, აგრეთვე სხვა არაწევრი ქვეყნების მთავრობებს მათი ქვეყნის კორპორაციული მართვის სამართლებრივი, ინსტიტუციური და მარეგულირებელი სისტემის შეფასებასა და დახვეწაში, საფონდო ბირჟების, ინვესტირების და კორპორაციული მართვის გაუმჯობესებაში.²

„კორპორაციული მართვა ეხება კომპანიების კეთილსინდისიერებას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას; ეფექტიანი კორპორაციული მართვა ისეთივე საკვანძოა ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც ეფექტიანი საჯარო მმართველობა“.³ „კორპორაციული მართვა – არის გზა, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს დანერგოს ორგანიზებისა და მართვის ისეთი მექანიზმები, რის მიხედვითაც კომპანიის ყველა ფინანსურად დაინტერესებული მხარე შეძლებს მიიღოს კომპანიის შემოსავლებისა და აქტივების სამართლიანი ფასი“.⁴

OECD-ის კორპორაციული მართვის პრინციპებში წარმოდგენილია კორპორაციული მართვის განხორციელების ერთიანი ინდიკატორები, ესენია:

- აქციონერთა უფლებები: კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა უფლებების დაცვა,

¹ გ.მახარობლიშვილი. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. 2015. გვ. 54-91.

² გერმანიაში 2002 წლიდან მოქმედებს „კორპორაციული მართვის კოდექსი“ (დღეს მოქმედებს 2013 წლის 13 მაისის რედაქციით).

³ CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competitiveness and economic accountability; November, 1999; p.1

⁴ Bradley, Nick, “Corporate Governance: A risk worth measuring?”; Collection “Corporate Governance and Practice”; D. Geeta Rani, R.K. Mishra; New Delhi, 2008; p.237.

რომელთაგან ძირითადია: რეალურ მეთოდებზე დაფუძნებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია; აქციების გასხვისება და გადაცემა; კორპორაციის შესახებ ინფორმაციის დროული და რეგულარული მიღება; აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა და ხმის მიცემა; კორპორაციის მმართველობის არჩევნებში მონაწილეობა; კორპორაციის მოგებიდან წილის მიღება;

- აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, წვრილი აქციონერებისა და უცხოელი ინვესტორების ჩათვლით;
- დაინტერესებულ პირთა როლი: კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა აღიარებდეს და იცავდეს დაინტერესებული მხრეების უფლებებს, რომლებიც მათ კანონით ანდა ხელშეკრულებების საფუძველზე აქვთ მინიჭებული, ამასთან ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობას კორპორაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის სამუშაო ადგილების შექმნაში, თანამშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებასა და სანარმოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში;
- ლიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა: კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დროული და ზუსტი გახსნა კორპორაციის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, მათ შორის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის ხარისხის, საკუთრებისა და მართვის პრინციპების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები: კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრატეგიულ მართვას, კომპანიის ადმინისტრაციაზე სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელებასა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულებას კომპანიისა და მისი აქციონერების წინაშე.¹

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ კორპორაციული მართვის ორ სისტემას, ერთსაფეხურიანსა (მონისტურ) (one – board system) და ორსაფეხურიანს (დუალისტურ) (two – tier –

¹ OECD Principles of Corporate Governance 2004. p.109

system).¹ პირველი ძირითადად ახასიათებს საერთო სამართლის ქვეყნებს,² ხოლო მეორე – კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობას.³ ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს ე.წ. შერეული სისტემა.⁴

კორპორაციების მართვის ერთსაფეხურიანი სისტემისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული მართვის ორი ორგანოს არსებობა – პარტნიორთა/აქციონერთა საერთო კრება (Share holder's meeting) და მის მიერ დაკომპლექტებული ბორდი ანუ დირექტორთა საბჭო (Board of directors), ამ შემთხვევაში კორპორაციის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები გადანაწილებულია აქციონერთა საერთო კრებას, ბორდს ანუ დირექტორთა საბჭოს და მენეჯერებს (Officers of the corporation) შორის.⁵ კორპორაციის უშუალო მართვას ახორციელებს ბორდი, რომელიც ასევე ითავსებს, კონტინენტური ევროპის კანონმდებლობით, სამეთვალყურეო საბჭოს ზოგიერთ ფუნქციასაც.⁶

რაც შეეხება მეორე სისტემას, რომელიც გერმანული კანონმდებლობიდან იღებს სათავეს, მიჯნავს კომპანიის მართვისა და კონტროლის ფუნქციებს სრულიად დამოუკიდებელი მართვის ორგანოების, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. მათ შორის არ არსებობს იერარქიული ურთიერთდაქვემდებარება, ისინი თანასწორუფლებიანი ორგანოებია და თავიანთი კომპეტენ-

¹ მარკუს ლუთერი. კორპორაციული მართვა (Corporate Governance) გერმანიასა და აშშ-ში. "საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში". გერმანულ - ქართული სიმპოზიუმი. თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი. გვ. 21-32; იოჰანეს ზემლერი. სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება. II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. 2003. გვ. 353-373. შ.პაპუაშვილი. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში. იქვე. გვ. 373-389; Comparative Corporate Governance - The state of the Art and Emerging Research. Ed. by Hopt. Oxford. 1998.

² მართვის მონისტური სისტემა მოქმედებს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, დანიაში, ლუქსემბურგში, ესპანეთში, საბერძნეთში, ირლანდიაში, იტალიაში.

³ მართვის დუალისტური სისტემა მოქმედებს გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და სხვა.

⁴ მაგალითად, საფრანგეთი, ბელგია, ფინეთი, პორტუგალია.

⁵ ლ. ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ. 110.

⁶ Leiens. Patrick C, Deutscher Aufsichtsrat and U.S. Board: ein-oder zweistufiges Verwaltungssystem? S.69; Kindler, Der Amerikanische Aufsichtsrat S.13; Bungert, Gesellschaftsrecht in den USA. 3. Aufl. 2003. S.37.

ციის ფარგლებში ახორციელებენ მათთვის კანონით/წესდებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია უმთავრესად დირექტორთა კონტროლში ვლინდება.¹

კორპორაციული მართვის შერეული სისტემა გულისხმობს კორპორაციულ მართვაში ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სისტემისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების ჰიბრიდულ ვარიანტს. მართვის შერეული სისტემის დროს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა აქციონერთა ნებაზე ან კანონით მიერ განსაზღვრულ გარკვეულ წინაპირობაზეა დამოკიდებული. სწორედ კორპორაციული მართვის ეს სისტემა აირჩია საქართველომ 2008 წელს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით. ამ ცვლილებათა ავკარგიანობაზე დღემდე მსჯელობენ სპეციალისტები. კონკრეტულ საკითხთან მიმართებით სრულებით ვეთანხმები მოსაზრებას, რომ „ნებისმიერ შემთხვევაში კომპანიის მართვის ორგანოს/ორგანოთა ან/და მათ წევრთა შორის ფუნქციები ისე უნდა იყოს გადანაწილებული, რომ ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს კომპანიის წარმომადგენლობითი, მართვისა და მონიტორინგის ფუნქციები. ამასთანავე, მაკონტროლებელი ფუნქცია არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფიქციური კონტროლით, რაც გულისხმობს მხოლოდ შესაძლო დარღვევათა სტატიკურ ფიქსირებას. მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე ორგანოს ან/და შესაბამისი ორგანოს წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უფლებამოსილება, რომ დარღვევათა აღმოჩენისას ადეკვატური რეაგირება მოახდინონ. გარდა ამისა, როგორც აღმასრულებელი, ისე მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე პირების დანიშვნისა და გათავისუფლების მექანიზმი უნდა იყოს მოქნილი, რაც გულისხმობს როტაციის წესით საკვანძო ფუნქციის მატარებელ პირთა პერმანენტულ ჩანაცვლებას“.²

¹ კორპორაციული მართვის კლასიკური ორსაფეხურიანი სისტემის მიხედვით სააქციო საზოგადოებაში ნებისმიერ შემთხვევაში იქმნება სამეთვალყურეო საბჭო (მაგალითად გერმანიის კანონმდებლობით).

² ლ. კოკაია. კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. ელ. ფ. „Business Media“; 23 დეკემბერი. 2017.

პარტნიორთა საერთო კრება

კორპორაციული მართვის რომელი მოდელიც არ უნდა განვიხილოთ, პარტნიორთა/აქციონერთა საერთო კრება, როგორც მართვის უმნიშვნელოვანესი ორგანო, უმთავრესი და სავალდებულოა ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის სანარმოსთვის. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების პარტნიორთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლების – სანარმოს მართვაში მონაწილეობის მიღების რეალიზაცია. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც სანარმოს ძირითად ამოცანებსა და ინტერესებს შეეხება, მიიღება საერთო კრების მიერ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს როგორც პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება, რაც იურიდიული პირის დამოუკიდებლობისა და მისი ორგანიზაციული ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს.

როგორც ამხანაგობის, ისე კაპიტალური საზოგადოებების (კორპორაციების) საერთო კრების მოწვევის წესს, პროცედურას, კომპეტენციასა და კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებას განსაზღვრავს კანონი და კონკრეტული საზოგადოების წესდება.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის თანახმად, სანარმოს პარტნიორთა საერთო კრება შეიძლება იყოს რიგითი ან რიგვარეშე. როგორც წესი, პარტნიორთა რიგითი საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. სანარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუ-

ალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მონვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატების შეტანა. კრება გადანყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კრება გადანყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.¹

თუ კრება არ არის გადანყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადანყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება (გამოცხადებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები) (მუხ. 9¹, პ. 2), (გარდა სააქციო საზოგადოებისა).

პარტნიორთა კრებას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კრების მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. პარტნიორთა კრების გადანყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს (მუხ. 9¹).

კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადანყვეტილებად.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადანყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს გადანყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადანყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის, ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესს. შესაბამისად, გადანყვეტილების მისაღებად შესაძლოა საჭირო იყოს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა ან ერთხმიანობა. რაც შეეხება საკითხებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, კანონი ცალსახად მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადანყვეტილებას.

¹ სუსგ საქმე №ას-1151-1071-2017 (23.02.18).

ზოგადი წესის თანახმად, განსხვავებულია ხმების დათვლის მეთოდოლოგია ამხანაგობისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, კერძოდ პარტნიორთა საერთო კრებაზე სპს-ის თითოეულ პარტნიორსა და კს-ის თითოეულ სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს) აქვს თითო ხმა. კს-ის შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) ხმის უფლება არ აქვს. შპს-ის და სს-ის პარტნიორთა/აქციონერთა ხმები განსაზღვრება მათივე წინასწარი შეთანხმებით.

განსხვავებული წესია დადგენილი სააქციო საზოგადოების მიმართ. კერძოდ, თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევაში დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს, ან "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, აქციონერების მოთხოვნით ტარდება რიგგარეშე საერთო კრება. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი სააღრიცხვო დღისთვის.

საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადანყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადანყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადანყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადანყვეტილების შესახებ. თუ ხმების 75%-ზე მეტს ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება ყველა შემთხვევაში სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გა-

მოქვეყნებიდან ან აქციონერებისათვის მოსანვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსანვევი დაზღვეული წერილით ეგზავნებათ. ანგარიშვალდებული სანარმოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსანვევი ფოსტით (მუხ. 54, პ. 2). აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობს პირადობის მოწმობის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე (მუხ. 54, პ. 2).

სხვა სამართლებრივი ფორმის სანარმოებისაგან განსხვავებით, სს-ის საერთო კრების, თავმჯდომარეობის კანდიდატთა სიას განსაზღვრავს თავად კანონი, კერძოდ 54-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სს-ის საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილის არყოფნისას - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). წინააღმდეგ შემთხვევაში, იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ ესწრება ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ კრებაზე ამ შემთხვევაშიც არ შედგა კვორუმი, თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანად ჩაითვლება წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის/პარტნიორების რაოდენობის მიუხედავად (მუხ. 54, პ. 5). შეცვლილი დღის წესრიგით კრების ხელმეორედ მოწვევა, ასევე

სხვა პარტნიორების მიერ იმავე დღის წესრიგით განმეორებით კრების მოწვევა არ უნდა შეფასდეს კრების განმეორებით მოწვევად.¹

თუ სს-ში კანონით ან წესდებით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, მისი წევრების არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად შემდეგში მდგომარეობს:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

რაც შეეხება კოოპერატივის, მეპაიეთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები.

კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს თავისი ხმის უფლება. სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნისას მხარდაჭერის მიმღების ან/და შეზღუდულქმედობაუნარიანი ფიზიკური პირის ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიული პირის ხმის უფლებას ახორ-

¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. თბ. 2001. №1. გვ. 44 - 50.

ციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების ხმის უფლებას ახორციელებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობა ნოტარიულად უნდა დამოწმდეს (მუხ. 63, პ. 4).

მეპაიეთა საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა 1/10 (წესდებით შეიძლება განისაზღვროს უფრო მცირე ნაწილი) ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მინიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება სავალდებულოდ უნდა გამოქვეყნდეს.

კოოპერატივის მარეგულირებელი ნორმები საერთო კრების გარდა აწესრიგებს ასევე წარმომადგენელთა კრებას, რომელიც მოინვევა იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, წესდებით განისაზღვრება საერთო კრება ჩატარდეს თუ წარმომადგენელთა კრება.

მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ კოოპერატივის წევრი, ქმედობაუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის არც გამგეობის და არც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, ამასთან კანონით განსაზღვრულია წარმომადგენელთა მინიმალური რაოდენობა (მინიმუმ 50 წარმომადგენელი).

წარმომადგენელთა კრების არსებობის შემთხვევაში კოოპერატივის წესდებით უნდა განისაზღვროს:

- რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;
- წარმომადგენლობის ვადა.

ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეული უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი გათავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად, წარმომად-

გენელთა არჩევის დადგენილი წესებით და უფლებამოსილების იმავე ვადით. არჩეულ წარმომადგენელთა და სათადარიგო პირთა სია საჯაროა და გამოქვეყნებას ექვემდებარება.

რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, როგორც აღვნიშნე, კორპორაციული მართვის უმაღლეს ორგანოს აქაც წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება. მისი კომპეტენცია განისაზღვრება კანონითა და კორპორაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებით. აქციონერთა კრების უმთავრეს კომპეტენციას განეკუთვნება:

1. ბორდის წევრების არჩევა და მათი გამოწვევა;

2. კორპორაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებსა და წესდებაში ცვლილებების შეტანა;

3. გადაწყვეტილების მიღება კორპორაციის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან სანარმოს მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისების თაობაზე;

4. ბორდის ამა თუ იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.¹

აქვე აღსანიშნავია, რომ აქციონერებს არა აქვთ უფლება მითითებები მისცენ ბორდის წევრებს².

¹ §§ 10.03, 10.20, 11.03, 12.02, 14.02. R.M.B.C.A.; ასევე, ლ.ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ.112.

² Knapp. Die Treuepflicht der Aufsichtsratsmitglieder von Aktiengesellschaften und Directons von Corporations. S. 30

საწარმოს
ხელმძღვანელობაზე
უფლებამოსილი პირები

“იმისთვის რომ მართო,
უნდა იცოდეს საკუთარი
თავის მართვა”.

დემოკრიტი

ზოგადად, საწარმოს ხელმძღვანელობა, როგორც ბიზნესის მართვის ერთიანი სისტემა, მართვის თეორიისა და მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მონივნავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას გულისხმობს. უმთავრესად ხელმძღვანელთა ნიჭსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, რამდენად რენტაბელური იქნება კონკრეტული საწარმო.¹ დირექტორები კორპორაციული მართვის მექანიზმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, ისინი ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა რაიმე ქმედების უშუალო განხორციელება, ტრანზაქციის შესრულების კონტროლი, კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულების დაგეგმვა და სხვა.²

საწარმოს ხელმძღვანელთა სუბიექტური შემადგებლობა განსხვავდება ამხანაგობისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საწარმოს უშუალო ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული

¹ აღნიშნულთან დაკავშირებით, ინგლისის სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს 1925 წ. "City Equitable Fire Insurance Co. Ltd" საქმეზე დადგენილი პრინციპით - დირექტორი ვალდებულია მოიქცეს ისე, როგორც მოეთხოვება მისი განათლებისა და გამოცდილების მქონე პირს. გერმანიაში 2002 წლიდან მოქმედებს ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილების განსაზღვრის სპეციალური აქტი Deutsch Corporate Governance Kodex; ასევე იხილეთ: ლ.ჭანტურია. თ. ნინიძე. მენარმეობის შესახებ კანონის კომენტარი. 2002. გვ.115.

² Andreas J. Rapp M. Wolff M. Determinants of Director Compensation in Two-Tier Systems.2010. P.25

პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს,¹ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში კი დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.² საგულისხმოა, რომ ამხანაგობის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებენ თავად პარტნიორები, დამოუკიდებელი ხელმძღვანელობითი ორგანოს შეუქმნელად, ხოლო კაპიტალურ საზოგადოებებში ეს ფუნქცია განცალკევებულია, ამ მიზნით იქმნება დამოუკიდებელი ორგანო – დირექტორი/დირექცია, რომელიც ერთგვარად დისტანცირებულია საწარმოს პარტნიორებისგან და რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს როგორც პარტნიორი, ისე არაპარტნიორი პირი³.

საერთო სამართლის ქვეყნებში, კორპორაციის ხელმძღვანელობას ახორციელებენ ბორდი და მენეჯერი. ბორდი მართვის კოლეგიური ორგანოა და უშუალოდ ხელმძღვანელობს კორპორაციას. მისი გადანყვეტილებები ეხება კორპორაციის საქმიანობისა და ხელმძღვანელობის სტრატეგიას, რომლის განხორციელება/რეალიზება ეკისრებათ მენეჯერებს. გადანყვეტილებების მიღებისას ბორდი დამოუკიდებელია, რადგან პარტნიორებს არ აქვთ მათთვის მითითების მი-

¹ ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და წესდებით კომანდიტს მიენიჭოს საწარმოს ხელმძღვანელობის უფლება, ოღონდ წარმომადგენლობის უფლების გარეშე. თუ კომანდიტს ეს უკანასკნელიც მიენიჭა, მაშინ მასზე გავრცელდება წესები მშს-ის დირექტორის შესახებ. შედარებისათვის მოვიხმობ ერთ მაგალითს: საფრანგეთის კანონმდებლობა კომანდიტს არ ანიჭებს არც საზოგადოების მართვის, მით უმეტეს არც წარმომადგენლობის უფლებამოსილებას და ამ უკანასკნელის განხორციელება მინდობილობის საფუძველზეც კი არ შეუძლია.

² მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს ხელმძღვანელი უნდა იყოს სრულწლოვანი, სრული ქმედობაუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის ემანსიპაციას, რაც გულისხმობს, რომ "თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძლიის უფლებას, მაშინ ამ სფეროსთვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედითი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ისე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების დროს. საწარმოს გაძლიის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით (ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ინგლისის კანონმდებლობა ითვალისწინებს საწარმოს დირექტორის მაქსიმალურ ასაკს და იგი 70 წელია).

³ ბელგიის, ესპანეთის, იტალიის, იაპონიის კანონმდებლობით საწარმოს დირექტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

<https://lawstrust.com/ru/registratsiya-kompanii/jp>

ცემის უფლება.¹ განასხვავებენ ბორდის წევრთა ორ ჯგუფს: ე.წ. შიდა დირექტორები (Inside Directors), რომლებიც ითვლებიან კორპორაციის თანამშრომლებად, შესაბამისად აქტიურად არიან ჩართული კორპორაციის საქმიანობაში და ახორციელებენ კორპორაციის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. მეორე ე.წ. მონვეული დირექტორები (Outside Directors), რომლებიც არ არიან კორპორაციის თანამშრომლები და შესაბამისად არიან დამოუკიდებელნი² (მათ შორის ფინანსურად), ამასთან ალტურვილი არიან Inside Director-ების საქმიანობაზე კონტროლის უფლებით. თავის მხრივ, Inside Director-ები ანგარიშვალდებულნი არიან არა მხოლოდ მონვეული დირექტორების, არამედ აქციონერთა კრების მიმართაც.

როგორც წესი, სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს, კორპორაციულ ხელმძღვანელობასთან ერთად, აქვთ წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 9 პ.პ. 2; 3). ხელმძღვანელობა გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სანარმოს სახელით გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – სანარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან, ხელმძღვანელი პირები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის (მუხ. 9. პ.ბ). მსგავსი კონსტრუქციის ნორმა აქვს თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობას, მიუხედავად კორპორაციული მართვის მოდელისა. კანონის წარმოდგენილი რედაქცია მეტად ზოგადია და არ შეიცავს კონკრეტიზაციას, რაც გუ-

¹ ლ. ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ. 214.

² ასეთ დირექტორთა სავალდებულოდ არსებობა, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე დაშვებულ კორპორაციებში, მოთხოვნილია ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდების ბირჟის (NYSE) და NASDAQ-ის (National Association of Securities Dealers Automated Quotations) მიერ.

ლისხმობს, რომ თითოეული შემთხვევა განხილული უნდა იქნეს ინდივიდუალურად, სპეციფიკის გათვალისწინებით და გადაწყვეტილება მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის.

ხელმძღვანელთა მოვალეობის განსაზღვრის კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია დირექტორთა ფიდუციური მოვალეობები¹. საერთო სამართლის ქვეყნები დირექტორთა მოვალეობებს ფიდუციურ ურთიერთობათა ნაირსახეობად წარმოაჩენს.² ეს მოსაზრება ინგლისში 1742 წლიდან დამკვიდრდა, როცა ლორდ კანცლერმა კორპორაციის დირექტორები ერთდროულად აღიარა როგორც კორპორაციების წარმომადგენლად (Agent), ისე მინდობილ მესაკუთრედ (Trustee)³.

დიდი ბრიტანეთი და აშშ, ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, მუდმივად ავითარებენ და აკონკრეტებენ დირექტორთა ქცევის წესებს, მათ კომპეტენციასა და პასუხისმგებლობას⁴. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აშშ-ში კორპორაციული მართვის რეფორმის პერიოდში შემუშავებული “The Sarbanes-Oxley Act” (2002),⁵ რომელიც არეგულირებს კორპორაციათა და მათ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის წინაპირობებსა და მოცულობას.⁶ საერთო სამართლის ქვეყნებში კორპორაციული მართვის რეგულაციასთან დაკავშირებით ასევე გამოიყენება „Soft Law“ („რბილი სამართალი“), რომლის საფუძველია ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ 1994 წელს გამოცემული, რეკომენდაციული ხასი-

¹ ფიდუციური ვალდებულებების დოქტრინა საერთო სამართლის ქვეყნებში იღებს სათავეს. აშშ-ს მისი გამოყენების ყველაზე მდიდარი ტრადიცია აქვს.

² The Core Fiduciary Duties of Outside Directors, Professor Bernard S. Black, Stanford Law School, Stanford Law School John M. Olin Program in Law and Economics Working Paper No. 219 p.14. <http://papers.ssrn.com/abstract=270749>

³ ისტორიულად ეს მოვალეობა სწორედ წარმომადგენლობისა და ტრასტის საფუძველზე განვითარდა.

⁴ მაგალითისათვის: City Equitable Fire Insurance. Ch.407 (1925) და *Dorchester Go.Ltd v. Stebbing*. BCLC 498 (1989) საქმეებზე დადგინდა: „დირექტორი ვალდებულია ისე მოიქცეს, როგორც შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების პირი, იგი საქმიანად უნდა ესწრაფოდეს დირექტორთა საბჭოს სხდომებს და მუდმივად ზრუნავდეს კომპანიის კეთილდღეობაზე. დირექტორი არა მხოლოდ პროფესიონალია, არამედ ასევე ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი“.

⁵ “The Sarbanes-Oxley Act”-ის მიღება გამოიწვია 2002 წელს ამერიკაში (Enron, WorldCom) და ევროპაში (Ahold, Hollinger, Parmalat) აგორებულმა კორპორაციული სკანდალების ახალმა ტალღამ.

⁶ Jackson G. Understanding Corporate Governance in the United States. 2010.

ათის „კორპორაციული მართვის პრინციპები“¹. პრინციპების 4.01(a) მუხლის თანახმად, „დირექტორი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, ამასთან, უნდა სწამდეს, რომ მისი მოქმედება მიმართულია კორპორაციის ინტერესებისაკენ. დირექტორის მოქმედება უნდა იყოს ისეთივე გონივრული, რაც მოსალოდნელია იმავე თანამდებობაზე და იმავე პირობებში მყოფი პირისაგან“².

საერთო სამართლის ქვეყნები აღიარებენ კორპორაციის დირექტორთა ფიდუციურ მოვალეობათა შემდეგ სახეებს: გულმოდგინე ხელმძღვანელობისა (Duty of care) და ერთგულების (Duty of loyalty) მოვალეობას³, ასევე გამოიყენება მართლზომიერი მოქმედების მოვალეობა (Duty of obedience). ეს უკანასკნელი გულისხმობს კანონის, კორპორაციის წესდების ან სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობას. კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ნაკლებად იყენებს ტერმინს „ფიდუცია“, თუმცა პრაქტიკაში მან თავისი ასხვა დიდი ხანია პოვა. ფიდუციური მოვალეობები ყოველთვის იკვეთება კორპორაციული მართვის პროცესში (Corporate Governance)⁴.

ერთგულების მოვალეობის ძირითადი კონცეფციიდან გამომდინარე, ყველა გადანყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კორპორაციის ინტერესთა დაცვით. აქედან გამომდინარე, ფიდუციარის ყველა ქმედება მოიცავს ერთგულების მოვალეობას. უფრო მეტიც, ვინაიდან ერთგულმა ფიდუციარმა უნდა დაიცვას კომპანია, იგი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს გულისხმიერების ვალდებულება.

¹ The American Law Institute. Principles of Corporate Governance: Analyses and Recommendations. Volume 1 and 2. St. Paul, Minn. 1994 – ALI Principles of Corporate Governance. იგივე დატვირთვა აქვს საქართველოში IFC-ის თანადგომით მიღებულ „კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“. დღეს მსოფლიოს 64 ქვეყანაში მოქმედებს კორპორაციული მართვის კოდექსები, რომლებიც საუკეთესო პრაქტიკის მიხედვითაა შექმნილი და ძირითადად რეკომენდაციებს იძლევა, რომელთა შესრულება არ ატარებს საეალდებულო ხასითს (მცირე გამოწვევების გარდა).

² Knepper/Bailey. Liability of Corporate Officers and Directors. Volume 1, 2004. 3.01.

³ Bernard S Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001).

⁴ Cadbury Committee. Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance The Cadbury Report 1992. §2.5.

ერთგულმა ფიდუციარმა იცის, რომ მან თავისი სამუშაო უნდა შეასრულოს ზედმინევით ზუსტად და პროფესიონალურად. ფიდუციურ მოვალეობათა პირნათლად შესრულების ერთ-ერთ მოტივაციად მიიჩნევა ფიდუციარის შრომის ანაზღაურების მოცულობა. ასეთ შემთხვევაში დირექტორი კიდევ უფრო მეტად უფრთხილდება თავის პოზიციას¹. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. „შაქრისა და მათრახის“ პრინციპს, რაც გამოიყენება მენარმე სუბიექტების ხელმძღვანელთა მიმართ. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, რომ დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებაში თავიდანვე ზუსტად განისაზღვროს საქმიანობის აღწერილობა, მათი ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი; პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები და შრომის ანაზღაურების მოცულობა, ასევე ანაზღაურების ზრდის პერსპექტივის შესაძლებლობა². ზოგადად, ხელმძღვანელ პირებს აქვთ კანონით, წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, თუმცა ვალდებულებათა არსებობა გულისხმობს უფლებათა არსებობასაც; ხელმძღვანელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება, სწორედ სათანადო ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაა.³

სადავო არ არის, რომ ფინანსური დაინტერესება სამუშაოს შესრულების წინაპირობაა.⁴ დირექტორის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დირექტორი სანარმოს პარტნიორის ნდობით აღჭურვილი პირია, ამიტომ მისი ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს პარტნიორთა კონსტრუქციული ნდობის ხარისხს დირექტორის მიმართ. მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები კომპანიის მხრიდან შრომის ანაზღაურების პოლიტიკის გონივრულობა და მისი შესაბამისობა კომპანიის ფინანსურ

¹ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001) P. 6.

² ლ. ლაზარაშვილი. სასამსახურო ხელშეკრულება სანარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში. კრებული "თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები". 2009. გვ. 309-342.

³ გ. მახარობლიშვილი. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. 2015. გვ.259-275.

⁴ Winter J. Corporate Governance Going Astray: Executive Remuneration Built to Fail, DSF Policy Paper #5. June. 2010. P.4

მდგომარეობასთან, რადგან დირექტორის ანაზღაურება არ უნდა იყოს დაკავშირებული გაუმართლებელ ხარჯებთან და, აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს კომპანიის ფინანსური მდგრაობა, განვითარება და სტაბილურობა.¹ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დირექტორის ანაზღაურება შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი. პირველი გულისხმობს, რომ დირექტორის ანაზღაურება ინდივიდუალურად და კონკრეტულად არის განსაზღვრული მასთან დადებული ხელშეკრულებით და არ იცვლება მიუხედავად კომპანიის შემოსავლების ცვალებადობისა. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფიქსირებული ანაზღაურების სისტემამ დაკარგა აქტუალობა და მის ადგილს ნელ-ნელა იკავებს ცვალებადი ანაზღაურების სისტემა, რომელსაც სხვაგვარად ანაზღაურების ბონუსის სისტემასაც უწოდებენ.²

როგორც წესი, დირექტორთა ფიდუციური მოვალეობები არ ექვემდებარება ცვლილებას, თუმცა აშშ-ის დელავერის შტატის კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპანიის წესდებით ურთიერთობის მონესრიგებას კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებით³. მაგალითად, ფინანსური პასუხისმგებლობა ვალდებულებისათვის, გარდა კეთილსინდისიერების ვალდებულებისა, შეიძლება შეიზღუდოს ან სულაც ამოღებულ იქნეს კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანის გზით.⁴

როგორც აღვნიშნე, კონტინენტური ევროპის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობა არ იყენებს ტერმინს "ფიდუციური ვალდებულებები", თუმცა 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბა-

¹ თ. ბაზლაძე. დირექტორის ანაზღაურება, როგორც ეფექტური კორპორაციული მართვის ნინაპირობა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად მიღებული გამოცდილების მაგალითზე. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2015. გვ. 120-121.

² თ. ბაზლაძე. დირექტორის ანაზღაურება, როგორც ეფექტური კორპორაციული მართვის ნინაპირობა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად მიღებული გამოცდილების მაგალითზე. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2015. გვ. 126-133.

³ Delaware General Corporation Law Subchapter I. § 102 (7).

⁴ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001) P. 2.

მისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც სხვასთან ერთად მოიცავს დირექტორის მოვალეობას, საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად („ზრუნვის მოვალეობა“). კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა დირექტორისაგან მოითხოვს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რაც გამოიწვევს კომპანიის მოგების ზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმა „ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს, იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის, კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.¹ თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არ კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც გამოიწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისაგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად იქნეს მიღწეული მთავარი მიზანი – კომპანიის მოგების გაზრდა. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალა-

¹ საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხილეთ: Merkt in MüKo zum GmbHG, §13,Rn.343; Raiser in Ulmer/Habersack/Lobbe GmbHG Gr.Komm. 2. Aufl., §13,Rn.51; Fleischer in MüKo zum GmbHG, §43,Rn.276; Walter G. Paefgen in Ulmer/Habersack/Lobbe GmbHG Gr.Komm. 2. Aufl.

ტამ აღნიშნა – არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელის მოვალეობაში არ შედის კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით, ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც გამოიწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას და დირექტორის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც. კომპანიის ხელმძღვანელების ვალდებულებაშია გაზარდონ კომპანიის მოგება, მაგრამ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესების ფარგლებში.

განსახილველ საქმეზე საკასაციო პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ: ა) საწარმოს აქვს საგადასახადო ვალდებულება; ბ) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან, ხოლო თუ აშკარაა, რომ საწარმოსთვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას არავითარი შედეგი არ ექნება, შესაძლებელია კრედიტორმა პასუხისმგებლობა დააკისროს საზოგადოებას.¹ წარმოდგენილი მაგალითი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიმართ საწარმოს ვალდებულებების გამო, დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხს საკასაციო პალატა არაერთგვაროვნად უდგება, კერძოდ სასამართლო გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: "ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება საწარმოს და არა მის დირექტორს, ამიტომ მისთვის, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ჯარიმა-საურავების დაკისრება დაუშვებელია".² წარმოდგენილ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განმარტება ეყრდნობა საგადასახადო ვალდებულების არანებაყოფლობით (დელიქ-

¹ საქმე №ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წელი და საქმე №ას-1158-1104-2014 06 მაისი, 2015 წ.

² იქვე.

ტურ) ხასიათს. მხედველობაში ჰქონდა რა საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათი, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიუთითონ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე, როცა ისინი იყენებენ განსაკუთრებულ ზომებს მათი საგადასახადო მოთხოვნების აღსასრულებლად შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე იურიდიული პირებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნით.¹ იმავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა გერმანიის ფედერალური საგადასახადო სასამართლოც, როდესაც დაადასტურა, რომ საგადასახადო ვალდებულებების აღსრულებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება გერმანიის საკონსტიტუციო სამართლით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს.² მრავალ ქვეყანაში ასეთი დამატებითი ღონისძიების სახით გამოიყენება კომპანიის დირექტორებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორების პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის იმ შემთხვევაში თუ დადგენილია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება თავად არ შეუძლია.

პალატამ იმსჯელა ასევე დირექტორის მხრიდან მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შედეგად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე და დაადგინა: საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად, ამასთან “მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად გადანაწილდა: საზოგადოებას დაეკისრა დირექტორის მოქმედების შედეგად საზოგადოებისთვის შესაბამისი ოდენობის ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების, ხოლო დირექტორს – ზიანის წარმომშობი არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი.”³

¹ ECJ, Case C-212/97, March 9, 1999. note 37 – Centros

² Bundesfinanzhof, January 21. 1972. 1972 BStBl. 364 14

³ საქმე №ას -245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი.

ხელმძღვანელობის მოვალეობათა დახასიათებისას გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ვალდებულებათა ორ ჯგუფს: კანონისმიერი ვალდებულებები და ვალდებულებები, რომლებიც გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან გამომდინარეობს და რომელთა დადგენა ხშირად საკმაოდ რთულია.¹

სანარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებაში საინტერესოა კონკურენციის აკრძალვის (ინტერესთა კონფლიქტის) საკითხი. "მენარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელ პარტნიორებსა და დირექტორებს "არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე აკეთონ ის საქმეები, რასაც აკეთებს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით". სპს-სა და კს-ში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში იმ ორგანოს, რომელიც დირექტორს ნიშნავს. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ. თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, ის აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში სანესდებო კაპიტალის 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეს მუხლი სრულყოფილად ვერ პასუხობს პრაქტიკის რეალურ მოთხოვნებს, ამიტომ ინტერესთა კონფლიქტის დამრღვევი პირის განსაზღვრა და მათი პასუხისმგებლობის დეტალიზება მოხდა საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", კერძოდ კანონის მე-16¹ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „პირი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა და არ განაცხადა გარიგებაში თავისი დაინტერესების შესა-

¹ ლ. ჟანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ. 198-200.

ხებ, ან/და გამოიყენა ხმის უფლება ამ მუხლით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნოს გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო, გარიგების შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა". „ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ და არ განაცხადეს გარიგებაში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ან/და მხარი დაუჭირეს გარიგების ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადებას, რამაც საზოგადოებას ზიანი მიაყენა, ვალდებული არიან, დაინტერესებულ პირთან ერთად, სოლიდარულად აანაზღაურონ საზოგადოებისთვის ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნონ გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო გარიგების შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა (იქვე, პუნქტი 8¹). დაბოლოს, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნათა დარღვევით გარიგების დადების შემთხვევაში, მისი დადებიდან 18 თვის განმავლობაში, ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრს ან/და ანგარიშვალდებული სანარმოს 5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, თუ სანარმო სააქციო საზოგადოებაა, ხოლო სხვა სამართლებრივი ფორმის ანგარიშვალდებულ სანარმოში – თითოეულ პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა ან/და ზემოხსენებული პირების მიერ ზიანის ანაზღაურება და ასეთი გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებლის დაბრუნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.¹ ეს რეგულაცია არ ვრცელდება იმ პირებზე,

¹ კ. კუჭავა. ინტერესთა კონფლიქტი და ინფორმაციის გაცხადება. ქ. ბიზნესი და კანონმდებლობა. 2008 № 13-14.

ხელმძღვანელობის მოვალეობათა დახასიათებისას გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ვალდებულებათა ორ ჯგუფს: კანონისმიერი ვალდებულებები და ვალდებულებები, რომლებიც გადანყვეტილების თავისუფლების სფეროდან გამომდინარეობს და რომელთა დადგენა ხშირად საკმაოდ რთულია.¹

სანარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებაში საინტერესოა კონკურენციის აკრძალვის (ინტერესთა კონფლიქტის) საკითხი. "მენარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელ პარტნიორებსა და დირექტორებს "არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე აკეთონ ის საქმეები, რასაც აკეთებს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით". სპს-სა და კს-ში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში იმ ორგანოს, რომელიც დირექტორს ნიშნავს. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ენევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ. თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, ის აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში სანესდებო კაპიტალის 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეს მუხლი სრულყოფილად ვერ პასუხობს პრაქტიკის რეალურ მოთხოვნებს, ამიტომ ინტერესთა კონფლიქტის დამრღვევი პირის განსაზღვრა და მათი პასუხისმგებლობის დეტალიზება მოხდა საქართველოს კანონში „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“, კერძოდ კანონის მე-16¹ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „პირი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა და არ განაცხადა გარიგებაში თავისი დაინტერესების შესა-

¹ ლ. ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ. 198-200.

ხებ, ან/და გამოიყენა ხმის უფლება ამ მუხლით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნოს გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, თუ დამტკიცდება, რომ, ინტერესთა კონფლიქტის გამო, გარიგების შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა". „ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ და არ განაცხადეს გარიგებაში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ან/და მხარი დაუჭირეს გარიგების ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადებას, რამაც საზოგადოებას ზიანი მიაყენა, ვალდებული არიან, დაინტერესებულ პირთან ერთად, სოლიდარულად აანაზღაურონ საზოგადოებისთვის ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნონ გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო გარიგების შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა (იქვე, პუნქტი 8¹). დაბოლოს, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნათა დარღვევით გარიგების დადების შემთხვევაში, მისი დადებიდან 18 თვის განმავლობაში, ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრს ან/და ანგარიშვალდებული სანარმოს 5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, თუ სანარმო სააქციო საზოგადოებაა, ხოლო სხვა სამართლებრივი ფორმის ანგარიშვალდებულ სანარმოში – თითოეულ პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა ან/და ზემოხსენებული პირების მიერ ზიანის ანაზღაურება და ასეთი გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებლის დაბრუნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.¹ ეს რეგულაცია არ ვრცელდება იმ პირებზე,

¹ ქ. კუჭავა. ინტერესთა კონფლიქტი და ინფორმაციის გაცხადება. ე. ბიზნესი და კანონმდებლობა. 2008 №13-14.

რომლებიც დირექტორებად მუშაობენ შვილობილ საწარმოებში ან ფილიალებში.

მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (ასეთის არსებობისას), პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. წარმოდგენილი ვალდებულება ძალაში შეიძლება დარჩეს ხელმძღვანელი პირების თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. ასეთ შემთხვევაში თანამდებობიდან წასული ხელმძღვანელი პირების მიმართ შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ფულადი კომპენსაცია, რომლის მოცულობა და გადახდის წესი ხელშეკრულებით განისაზღვრება.

საწარმოს დირექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის ორგანიზება და განხორციელება. სიტუაციის ანალიზს (SWOT analysis)¹, სტრატეგიის შემუშავებასა და საქმიანობის ორგანიზაციას საერთო მიზანი აქვს – კონტროლი ბიზნესის წარმოებაზე. ამასთან, კონტროლს სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს და გამოიხატება ამოცანის (მიზნის) დასახევაში, ამ უკანასკნელთან მიღებული შედეგების შედარებაში, ნაკლოვანებათა მიზეზების გამოვლენაში და სიტუაციის გამოსწორების მიზნით აუცილებელი ზომების მიღებაში. ხელმძღვანელთა ვალდებულებაში ე.წ. შიდა კონტროლთან ერთად ასევე შედის გარე კონტროლიც, რომელშიც კომპანიის გამჭვირვალობა და გახსნილობა მოიაზრება. ინფორმაციის გახსნილობა და გამჭვირვალობა გარე კორპორაციული მართვის განსაკუთრებული მექანიზმია.² საერთო ჯამში შეიძლება

¹ SWOT-ანალიზი – სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი. SWOT-ანალიზის გაკეთების დროს განიხილება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და საშიშროებები, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას.

² Committi on Corporate Governance. Code of best Practice for Corporate Governance. 1999. Chapter V.art.2; ასევე, იხ.: გამაზრობლიშვილი. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. 2015. გვ.290-306.

ითქვას, რომ ხელმძღვანელთა ვალდებულებები ატარებს როგორც საორგანიზაციო, ისე ფინანსურ ხასიათს.¹

საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონი განსაზღვრავს, თუ ვინ ნიშნავს საწარმოს დირექტორს, კერძოდ თუ საზოგადოებას აქვს სამეთვალყურეო საბჭო (მაგ. შპს, სს), დირექტორს ნიშნავს ეს უკანასკნელი (მუხ. 55, პ. 7, „ვ“). ასეთ შემთხვევაში დირექტორთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ამისათვის უფლებამოსილი პირი. საზოგადოებაში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, დირექტორის დანიშვნა პარტნიორთა კრების კომპეტენციაა (მუხ. 91, პუნქტი 6, „ე“). დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებას ხელს შეიძლება აწერდეს ყველა პარტნიორი ან პარტნიორთა კრების თავმჯდომარე, ან პარტნიორთა კრების მიერ არჩეული საამისოდ უფლებამოსილი პირი.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას – ერთ-ერთი დირექტორი, მათი არყოფნისას კი კრების თავმჯდომარეს უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. სხვა საზოგადოებებთან მიმართებით კანონით არ არის განსაზღვრული, თუ ვინ თავმჯდომარეობს პარტნიორთა კრებას, შესაბამისად ასეთი შეიძლება იყოს პარტნიორთა კრების მიერ არჩეული პირი (მუხ. 91). ამდენად, ლოგიკურია, რომ დირექტორთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულებას სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, შეიძლება ხელს აწერდეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, ამ უკანასკნელის არყოფნისას – საერთო კრების მიერ არჩეული პირი.²

¹ ქ. ქოქრაშვილი. სააქციო საზოგადოების დირექტორთა სამენარმეო ხასიათის პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი დახასიათება ქართული და ინგლისური სამართლის მიხედვით. II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. 2003. გვ. 465-475.

² ლ. ლაზარაშვილი. სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში. კრებული „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“ 2009. გვ. 309-360.

დირექტორთა დანიშვნის განსაკუთრებული წესი მოქმედებს იმ სააქციო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს. ასეთ შემთხვევაში დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება (მუხ. 55, პ. 7, „ვ“¹).

როგორც აღვნიშნე, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან) ურთიერთობები რეგულირდება კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით (ეს უკანასკნელი, საქართველოს კანონმდებლობით ჯერჯერობით დარჩენილია სპეციალური რეგულირების გარეშე).

საგულისხმოა, რომ დირექტორთან დადებული ე.წ. სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების მიმართ დღემდე არსებობს სპეციალისტთა აზრთა სხვადასხვაობა. კერძოდ, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს არის შრომის ხელშეკრულება, ზოგი მას კომპლექსურ ხელშეკრულებას უწოდებს (აერთიანებენ როგორც შრომით, ისე სამოქალაქო სამართლებრივ რეგულირებას); არის მოსაზრება, რომ ეს ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივ რეგულირებაში ექცევა და ნარდობის ან დავალების ხელშეკრულების ანალოგიურია; ზოგიერთ ავტორთა მოსაზრებით, ურთიერთობა იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის, რომელიც მისი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებს, ერთი მხრივ, არის შრომითი, ხოლო მეორე მხრივ – შიდაკორპორაციული, რაც აისახება მისი სამსახურებრივი ურთიერთობების სპეციფიკაზე. როდესაც, იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციის შემსრულებელი ფიზიკური პირი იმავდროულად მისი თანამშრომელია, მისი უფლებამოსილება, იმოქმედოს ამ საწარმოს სახელით, ეფუძნება არა მარტო კანონს და სადამფუძნებლო დოკუმენტებს, არამედ დამფუძნებლის გადაწყვე-

ტილებასაც ხელმძღვანელად მისი დანიშვნისა თუ არჩევის შესახებ.¹ მაგალითისთვის, გერმანული სამართალი დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებას ერთდროულად განიხილავს, როგორც ვალდებულებით სახელშეკრულებო სამართლებრივ და სპეციფიკურ კორპორაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას. საუბარია გერმანული სამართლის მიერ საკანონმდებლო დონეზე აღიარებულ ე.წ. დანაწევრების პრინციპზე, რომელიც გულისხმობს დირექტორის (გამგეობის წევრის) სამსახურებრივი ურთიერთობის გამიჯვნას მისი ორგანული ადგილის ანუ კორპორაციული თანამდებობისაგან.²

საქართველოში აღნიშნული საკითხის მოუწესრიგებლობამ არაერთხელ წარმოქმნა პრობლემა. იყო შემთხვევები, როდესაც პარტნიორთა მიერ საერთო კრების გადაწყვეტილებით გათავისუფლებული დირექტორები მიმართავდნენ სასამართლოს და შრომის კოდექსის ნორმათა გათვალისწინებით ითხოვდნენ სამუშაოზე აღდგენას. სწორედ პრაქტიკის ანალიზმა განაპირობა 2005 წლის 24 ივნისს „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლში შემდეგი ჩანაწერის დამატება: „დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“. ამ საკანონმდებლო ჩანაწერმა იარსება 2008 წლის 14 მარტის ცვლილებამდე, თუმცა წარმოდგენილი რედაქციის საბოლოო სახით ცვლილებამ აბსოლუტურად მართებულად არ შეცვალა ნორმის იდეა. დირექტორთან დადებული ხელშეკრულება თავისი შინაარსითა და სუბიექტური შემადგენლობით ცალსახად არ არის შრომის ხელშეკრულება.

სრულყოფილი სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით საუკეთესო ვითარებაა, როდესაც დირექტორსა და საზოგადოებას შორის სამსახურებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები მინიმუმამდეა დაყვანილი, არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოებასა და დირექტორს შორის დადებულია წერილობითი ხელშეკრულება, სადაც ყველა საკითხი დეტალურადაა განწერილი ან ეს საკითხები წესდებაშია სრულყოფილად მოწესრიგებული, თუმცა ასე-

¹ ლ. ლაზარაშვილი. სასამსახურო ხელშეკრულება სანარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში. კრებული "თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები". 2009. გვ. 309-360.

² იქვე.

თი შემთხვევები ჩვენს პრაქტიკაში იშვიათია. ხშირად დირექტორთან წერილობითი ხელშეკრულება არც ფორმდება, არსებობს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება დირექტორის დანიშვნის თაობაზე, ხოლო წესდება მხოლოდ ზოგადად მიუთითებს კანონზე – „მენარმეთა შესახებ“.¹ სწორედ აქ ჩნდება მთავარი პრობლემა და სწორედ ეს ინვესს ხშირ სამართლებრივ დავებს.

დირექტორთან ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით.²

განსახილველი საკითხის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი და არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კორპორაციულ ურთიერთობებში მეტად მნიშვნელოვანია ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. ზოგადი წესის თანახმად, თუ საწარმოს ხელმძღვანელები არ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად (მუხ. 9 § 6).

¹ ლ. ლაზარაშვილი. სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში. კრებული "თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები". 2009. გვ. 309-360.

² საფრანგეთის საეჭირო კოდექსის თანახმად, სს-ის დირექტორის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 2-დან 6 წელს, თუ წესდებით ვადა არ არის განსაზღვრული, იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში ვადა 4 წელია (მუხ. 7, 225-62). სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონის თანახმად, გამგეობის წევრებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 5 წლის ვადით. დასაშვებია განმეორებითი დანიშვნაც ან უფლებამოსილების ვადის გაგრძელება, მაგრამ არაუმეტეს 5 წლით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თანხმობა, რაც მიღებული უნდა იქნეს უფლებამოსილების წინა ვადის გასვლამდე არაუადრეს ერთი წლით ადრე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დანიშვნის ვადა 5 წელს არ აღემატება, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ უფლებამოსილების გასაგრძელებლად სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თანხმობა არ მოითხოვება, რამდენადაც უფლებამოსილების ზოგადი ვადა 5 წელია (§84 (1)). რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ვადიანი ხელშეკრულება იდება არაუმეტეს 5 წლით (მუხ. 58; მუხ. 275).

დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი ასევე რეგლამენტი-რებულია ევროპის საბჭოს მეხუთე დირექტივის მე-14 მუხლში: „დირექტორი თავის ვალდებულებებზე სრულად აგებს პასუხს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მას შეუძლია პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, თუ დაამტკიცებს მის ქმედებაში ბრალის არ არსებობას. ამ თვალსაზრისით დირექტორის მიერ მხოლოდ იმის მტკიცება, რომ კონკრეტული სადავო საკითხი სცდებოდა მის კომპეტენციას, მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს“. ციტირებული დებულება ასახულია თითქმის ყველა ქვეყნის კორპორაციულ კანონმდებლობაში¹.

ამერიკული Business Judgement Rule-ის გავლენა იგრძნობა გერმანულ სამართალზეც. სწორედ მასზე დაყრდნობით იქნა მიღებული გერმანული ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც, თავის მხრივ, გახდა გერმანიის „სააქციო კანონის“ §93-ის ცვლილების საფუძველი. კერძოდ, აღნიშნულ პარაგრაფს დაემატა შემდეგი რედაქციის წინადადება: „მოვალეობის დარღვევა არ არსებობს, როცა გამგეობის წევრს სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი, სათანადო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების საკეთილდღეოდ მოქმედებდა“.² გერმანიის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ“ კანონის 38-ე პარაგრაფის თანახმად, „შპს-ის დირექტორის განწვევა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნების ხელყოფის გარეშე“. აქვე გათვალისწინებულია, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით დირექტორის გამოწვევა შესაძლებელია „მხოლოდ სერიოზული სა-

¹ Business Judgement Rule-ის თანახმად, „დირექტორი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ზიანი გამოიწვია იმ ტიპის შეცდომამ, რაც შეიძლება მოსვლოდა ნებისმიერ კეთილსინდისიერ დირექტორს“.

Business Judgement Rule-ს საფუძველად დაედო 1829 წლის ლუიზიანას შტატის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რაც ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორსაც კი მოუვიდოდა. პასუხისმგებლობა მხოლოდ ისეთი უხეში შეცდომისთვის უნდა დადგეს, რომელიც ჯანსაღი გონებისა და ჩვეულებრივი გულმოდგინების ადამიანს არ უნდა მოსვლოდა. იხ.: Block/Barton/Radian. Business Judgement Rule. Fiduciary duties of Corporate Directors. P.9-12.

² ლ. ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ.215-254.

ფუძვლების არსებობისას, როგორცაა მოვალეობის უხეში დარღვევა ან საქმეების სათანადო გაძღოლის უუნარობა". სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გაიწვიოს გამგეობის (დირექციის) წევრი ან თავმჯდომარე, თუკი ამისთვის არსებობს სერიოზული საფუძველი, მაგალითად: „ვალდებულებების უხეში დარღვევა, საქმეების სათანადო გაძღოლის უუნარობა; საერთო კრების მიერ გამოცხადებული უნდობლობა, თუკი ნდობაზე უარი არ იყო გაცხადებული აშკარად არაობიექტური მიზეზების გამო“ („სააქციო საზოგადოების შესახებ“ გერმანიის კანონის პარაგრაფი 84 (3)).¹ გარდა აღნიშნული კანონებისა, 2002 წლიდან გერმანიაში მოქმედებს „კორპორაციული მართვის კოდექსი“,² რომელიც მოიცავს „სამართლებრივად არასავალდებულო ქცევის წესებს“.³ ამ წესების/რეკომენდაციების შესრულება ხდება „დაემორჩილე ან განმარტეს“ (Comply-or-explain) პრინციპზე დაყრდნობით,⁴ სწორედ ისე, როგორც ანგლო-ამერიკული Soft Law.⁵

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირი, რომელიც საზოგადოების დირექტორის მოვალეობას ასრულებს, პასუხისმგებელია თავის ქმედებაზე. საკანონმდებლო ბაზის არსებობის მიუხედავად, საქართველოში საზოგადოების ხელმძღვანელების "შეცდომებისათვის" ტიპურ სანქციად ითვლება მასთან სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა სახის სამართლებრივი სანქციების გამოყენების შემ-

¹ საფრანგეთის 2000 წლის სავაჭრო კოდექსის L. 223-25 და L. 225-61 მუხლების თანახმად, შპს-დან და სს-დან დირექტორის გამოწვევა შესაძლებელია მხოლოდ „საკმარისი“ საფუძვლების არსებობისას.

² პირველი კორპორაციული მართვის კოდექსი მიღებული იქნა 1992 წელს დიდ ბრიტანეთში, შემდგომ სამხრეთ აფრიკაში, საფრანგეთსა და პოლანდიაში. 1999 წელს OECD-იმ (ეთგო) პირველად გამოაქვეყნა OECD-ის კორპორაციული მართვის პრინციპები.

³ Nowak/Rott/Mahr. Wer den Kodex nicht einhält den bestraft der Kapitalmarkt? S.254.

⁴ ლ. ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. 2006. გვ. 186-189.

⁵ მსგავსი კორპორაციული კოდექსები მოქმედებს პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, მაგალითად, რუსეთში (2001 წლიდან), ყაზახეთში (2005 წლიდან), საქართველოში (2009 წლიდან). ამ კოდექსებს როგორც წესი კანონის ძალა არ აქვს, მათი ნორმების შესრულება აბსოლუტურად ნებაყოფლობითია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2018 წლიდან მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით (№215/04. 2918 წლის 26 სექტემბერი) დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული კოდექსი, რომლის მიზანია კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რამდენადაც ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვა ბანკებში ხელს უწყობს საბანკო სექტორის და ზოგადად, ფინანსური სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მდგრადობას (მუხ.1, პ.1). კორპორაციული კოდექსის მოთხოვნები საუვალდებულოდ შესასრულებელია საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკების ფილიალების ან შეილობილებისთვის (მუხ.1, პ.2).

თხვევები ერთეულია. ყველა საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია როგორც დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, კორპორაციების ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობას განიხილავს კორპორაციული მართვის ელემენტად. მას უწინარესად ენიჭება პრევენციული ფუნქცია და შემდეგ რეპრესიული, საკომპენსაციო ფუნქცია.

დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება მაშინ მოიხსნას, თუ იგი ფაქტობრივად აღარ ასრულებს დირექტორის მოვალეობას და ეს საზოგადოების, შესაბამისად, პარტნიორებისათვის ცნობითა და მათი თანხმობით ხდება (თუ კანონით, ნესდებით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ამას მნიშვნელობა აქვს, რათა დირექტორის უმოქმედობამ მისი უფლებამოსილების დარღვევის საკითხი არ წამოჭრას. გარდა ამისა, დაუშვებელია სანარმოს ხელმძღვანელისათვის პასუხისმგებლობის დაეკისრება ნებისმიერი სახის კომერციული წარუმატებლობის შემთხვევაში. დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რომელიც ისეთმა ქმედებამ გამოიწვია, რაც ნებისმიერ კეთილსინდისიერ დირექტორს შეიძლებოდა მოსვლოდა.¹

რაც შეეხება დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ პუნქტის შესაბამისად არსებობს სამი საფუძველი (2011-2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად), კერძოდ:

1. პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი, შესაბამისი აქტის მიღებით და შემდგომში ეს აქტი აუცილებლად უნდა დაარეგისტრიროს სამენარმეო რეესტრში;

2. როცა მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინა რეგისტრირებული პირის ანუ დირექტორის განცხადება რეგისტრაციის შეწყვეტის მოთხოვნის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ პირველ და მეორე შემთხვევაში „მენარმეთა შესახებ“ კანონი (მუხ.9 პუნქ. 7²) მიუთითებს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლზე, კერძოდ „მხარეები ვალდებული არიან მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე გაავზავნონ შეტობინება საქართველოს შრომის კოდექსის


¹ Block. Dennis J. Barton. Nancy E.. Radin Stephen A. The Business Judgment Rule. Fiduciary Duties of Corporate Directors. 1998.

38-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ წესის დაცვის გარეშე რეგისტრაციის შეწყვეტის შემთხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით". წარმოდგენილი რედაქცია გაუგებარი და შეუსაბამოა. სამწუხაროა, რომ საკითხი იმის თაობაზე, რომ დირექტორი არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების მხარეს და მასზე არ ვრცელდება შრომის კანონმდებლობის ნორმები, ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ამას ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებაც. არსებობს გადაწყვეტილებები, სადაც ცალსახად ჩანს პოზიცია, რომ დირექტორზე არ ვრცელდება შრომის კანონმდებლობა¹, თუმცა არსებობს საპირისპირო გადაწყვეტილებებიც. შეიძლება ითქვას, რომ ამ მნიშვნელოვანი საკითხის დღემდე მოუწესრიგებლობა ხშირად წარმოშობს პრაქტიკულ პრობლემებს, რაც თავისთავად აისახება შედეგებზე;

3. რეგისტრირებული პირი (დირექტორი) გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია შეზღუდულქმედობაუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერა აქვს დანიშნული.²

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N-3კ/259-01, სადაც სასამართლო განმარტავს: დირექტორი „პარტნიორთა მიერ წდბითი აღჭურვილი თანამდებობის პირია, განაგებს საზოგადოების მთელ ფასეულობას. სწორედ დირექტორის კეთილსინდისიერებასა და სამეზარმეო ჩვევებზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება და შესაბამისად პარტნიორთა სამეზარმეო წარმატებები, ამიტომ დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს მოთხოვნები არ ვრცელდება. შრომის კანონთა კოდექსით მონესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ შრომით-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეზარმეო. იგი ჩვეულებრივ მენარმეა, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს „მენარმეთა შესახებ“ კანონით.“

² <https://blh.com.ge/როგორ-ხდება-დირექტორის-ე/>



საწარმოს წარმომადგენლობა

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება, ბიზნესკავშირების გართულება, მრეწველობისა და ვაჭრობის კონცენტრაცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა – ეს ყველაფერი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას წარმომადგენლობის ინსტიტუტის (ფართო გაგებით) გამოყენებას მოითხოვს. სამეწარმეო იურიდიული პირები ოპერატიულ საქმიანობას სწორედ წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებენ.

წარმომადგენლობა გულისხმობს ერთი პირის (წარმომადგენლის) მიერ მეორე პირის (წარმომდგენლის) სახელით იურიდიული მოქმედების შესრულებას. ამასთან, ნებისმიერი სამართლებრივი შედეგი დგება უშუალოდ წარმომდგენლისათვის, ე.ი. წარმომადგენელი მხოლოდ წარმომდგენლის ნების მატარებელია.

წარმომადგენლობის ინსტიტუტის განვითარება დაკავშირებულია XVII ს-ში წარმოების კაპიტალისტური მეთოდის განვითარებასთან. წარმოების გამსხვილებასთან ერთად მისი მართვის ფუნქცია სულ უფრო რთულდებოდა, ამასთან იზრდებოდა მოთხოვნა ისეთ თანამშრომლებზე, რომლებიც მართვისა და წარმომადგენლობის ფუნქციას მესაკუთრის მაგივრად განახორციელებდნენ. წარმომადგენლობის საკანონმდებლო მოწესრიგება პირველად XIX ს-ში მოხდა.

ზოგადი წესის თანახმად, პირს შეუძლია სხვისი მოქმედების საფუძველზე შეიძინოს უფლებები და იტვირთოს მოვალეობები, თუ მან ეს პირი სათანადო უფლება-მოვალეობით აღჭურვა თავისი კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილების ან, ზოგადად, მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედების მიზნით.¹

სამეწარმეო საქმიანობისას (საქართველოში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში) წარმომადგენლობა ორი ფორმით

¹ დ. კერესელიძე. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. 2009. გვ. 400-413.

ხორციელდება: პირდაპირი და არაპირდაპირი სავაჭრო წარმომადგენლობა. პირდაპირის დროს წარმომადგენელი მოქმედებს წარმომადგენი პირის სახელით და შედეგი დგება წარმოდგენილი პირისთვის (მაგ., პროკურისტი). არაპირდაპირის დროს წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით და შედეგი დგება ჯერ წარმომადგენლისთვის, შემდეგ ტრანსფორმირდება წარმოდგენილზე (მაგალითად, კომისიონერი).¹

სამენარმეო ხასიათის წარმომადგენლობის ძირითადი სახეობა:

- წარმომადგენლობა, რომელსაც ახორციელებენ სანარმოს თანამშრომლები;

- წარმომადგენლობა, რომელსაც ახორციელებენ ე.წ. აგენტები. ისინი შუამავლობენ გარიგების დადებისას ან დებენ გარიგებებს წარმომდგენის სახელით და მათთან მუდმივ საქმიან ურთიერთობაში იმყოფებიან.

სანარმოს წარმომადგენელთა შორის, უფლებამოსილების მოცულობით, ყველაზე მნიშვნელოვანია პროკურისტის საქმიანობა.

პროკურა² (გენერალური სავაჭრო მინდობილობა – Prokura) არის სპეციალური სავაჭრო მინდობილება, რომლის მნიშვნელობა და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით "მენარმეთა შესახებ" (მუხ. 10).

პროკურას, კანონმდებლობიდან გამომდინარე, ახასიათებს განსაკუთრებული ნიშნები:

- უფლებამოსილების მოცულობა განისაზღვრება კანონით და მისი შეცვლა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიმე მხარის ინიციატივით, დაუშვებელია;

¹ საქართველოში სავაჭრო წარმომადგენლობა სამართლებრივად "მენარმეთა შესახებ" კანონის და სამოქალაქო კოდექსის ნორმებით რეგულირდება; საფრანგეთში – საფრანგეთის სავაჭრო და სამოქალაქო კოდექსებით; შვეიცარიაში – შვეიცარიის ვალდებულებითი კანონით; იტალიაში – სამოქალაქო კოდექსით და კანონით აგენტებისა და წარმომადგენლების შესახებ; გერმანიაში – გერმანიის სავაჭრო და სამოქალაქო კოდექსებით; ავსტრიაში – სამოქალაქო, სავაჭრო კოდექსებით და ცალკეული კანონებით; ბულგარეთში – სავაჭრო კოდექსითა და კანონით ვალდებულებებისა და ხელშეკრულებათა შესახებ; ჩეხეთში – სავაჭრო კოდექსით; უზბეკეთში – სამოქალაქო კოდექსით; ინგლისში – სასამართლო პროცედურითა და კანონით ფაქტორების შესახებ.
² სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ნიგნი I. 2017. გვ.597; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის №2/17265-13 გადაწყვეტილება.

- კანონი არ ცნობს პროკურის უფლებამოსილების შეზღუდვას მესამე პირებთან მიმართებაში;

- კანონი მოითხოვს პროკურის აუცილებელ რეგისტრაციას არასამენარმეო და სამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

პროკურის გაცემის უფლება აქვთ სპს-ში – ნებისმიერ პარტნიორს, კს-ში – კომპლემენტარებს, შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში – დირექტორებს. პროკურის გაცემა შეუძლია ასევე ინდივიდუალურ მენარმეს.

საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" არ ზღუდავს პროკურისტთა რაოდენობას, ამიტომ მათი რიცხვი საწარმოში შეიძლება იყოს ერთი ან მეტი (საერთო პროკურა). პროკურა მხოლოდ მაშინ იძენს იურიდიულ ძალას, როდესაც აღნიშნული დოკუმენტი გადაეცემა პროკურისტს, სხვა სიტყვებით, მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის ნების გამომჟღავნება ანუ მისი თანხმობა.

კანონის შესაბამისად, პროკურისტი უფლებამოსილია სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს ყველა სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან. მინის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიენიჭება. პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირისათვის. მაგალითად, ბათილია დანაწესი, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა და გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის, ან ცალკეულ ადგილებში. პროკურის შემოფარგვლას ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალები იმართება სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად, საფირმო სახელწოდებათა განსხვავებულობა იმითაც გამოისახება, რომ "ფილიალს" დაერთვის დამატება, რომელშიც აღინიშნება ფილიალის საფირმო სახელწოდება (გერმანიის კანონმდებლობით, პროკურისტს შეიძლება მიენიჭოს საზოგადოების უძრავი ქონების განკარგვის უფლება მხოლოდ ე.წ. განსაკუთრებულ აქტზე დაყრდნობით¹).

¹ Gesellschafts recht. § 49.2.

პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა საწარმოს მიერ ხდება პროკურის უფლებამოსილების მეტ-ნაკლები შეზღუდვა. მაგალითად, პროკურისტს შეიძლება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს მხოლოდ დირექტორის არყოფნის შემთხვევაში. ხელშეკრულების მხარე, ხელმძღვანელობს რა კანონის ნორმებით, არ არის ვალდებული გაარკვიოს პროკურის არაკანონიერი შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, თუ საწარმო აღნიშნულ ხელშეკრულებას საცილოდ გახდის (ჩათვლის პროკურისტის უფლებამოსილების გადაჭარბებად), პროკურისტის მიერ დადებული ხელშეკრულება მესამე პირისთვის მაინც იურიდიული ძალის მქონედ დარჩება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურის შეზღუდვის პრეზუმფცია ეყრდნობა კომერციულ ურთიერთობებში ნდობის დაცვის აუცილებლობის პრინციპს.

ზოგადი წესის თანახმად, პროკურა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ:

- პროკურის გაუქმებით ან მისი ძალადაკარგულად აღიარებით;
- პროკურისტის გარდაცვალებით;
- თუ საწარმო გადავა ლიკვიდაციის რეჟიმში;
- საწარმოს გასხვისებით.

თუ საწარმოს აქვს რამდენიმე ფილიალი, პროკურისტს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთის ან ყველას წარმოდგენის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს კიდევ ერთი სახის შეზღუდვას, როცა საწარმო პროკურას ვასცემს ორ ან მეტ პირზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს, რომ მათი ერთობლივი ხელმოწერა აუცილებელია გარიგების ნამდვილობისთვის.

პროკურისტის საქმიანი ხელმოწერისას საწარმოს საფირმო სახელწოდებას ურთავს თავის სახელსა და გვარს, პროკურის აღმნიშვნელის დამატებით. პროკურის გადაცემა მესამე პირისთვის დაუშვებელია.

საწარმოს წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა დანარჩენ პირთა საქმიანობის რეგულირებაზე "შენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმა 2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით უარი თქვა, შესაბამისად, ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად: "საწარმოს ურთიერთობები სავაჭრო წარმომადგენელთან, და-

მოუკიდებელ მოვაჭრესა და კომისიონერთან რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით“.

ზოგადად, სავაჭრო წარმომადგენელი არის დამოუკიდებელი მენარმე. ამ სახით შეიძლება გამოვიდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. სავაჭრო წარმომადგენელი შუამავლობს ან დებს გარიგებებს საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის მიზნით, სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით. სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა ასევე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს, სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში.

კომისიონერი საქონლის ან უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით და სხვისი ხარჯით. კომისიონერი პასუხს აგებს მისთვის მიბარებული ქონების დანაკლისისა და დაზიანებისათვის, თუ ეს არ არის გამონკვეთი იმ გარემოებით, რომელთა აღკვეთა შეუძლებელი იყო კეთილსინდისიერი კომერსანტის გულისხმიერი მოქმედებით. კომისიონერი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს ქონების დაუზღვევლობისათვის, თუ მას კომიტენტისგან დავალებული ჰქონდა ქონების დაზღვევა, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

კომისიონერს პროვიზიის (ანაზლაურების) მოთხოვნის უფლება ეძლევა გარიგების შესრულების ან კომიტენტის მიზეზით მისი შესრულებლობის შემთხვევაში. ასევე, კომისიონერს შეუძლია მოითხოვოს ყველა იმ ხარჯის ანაზლაურება, რაც მან გაიღო კომიტენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ხარჯებს განეკუთვნება საწყობისა და ტრანსპორტირების ხარჯებიც.

თუ შეუძლებელია საკომისიო საქონლის გაყიდვა ან კომიტენტი უარს ამბობს თავის დავალებაზე და ამასთან უსაფუძვლოდ აყოვნებს საქონლის მიღებას, კომისიონერი უფლებამოსილია მოახდინოს მისი რეალიზაცია აუქციონის ან სხვა გზით.

საერთო სამართლის ქვეყნებში ცნობილია ე.წ. Agency-ის (წარმომადგენლობის) ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ განხორციელებული მოქმედების მონონებით ან დუმილით.¹

¹ Anson s, Law of Contract. 24. Aufl. 1975. S 771. f.f.

საერთო სამართლის ქვეყნებში არ ხდება წარმომადგენლობის დაყოფა კანონიერ და სახელშეკრულებო წარმომადგენლობებად. დიდ ბრიტანეთში ტერმინი "აგენტი" (წარმომადგენელი) ფართო გაგებით გამოიყენება. აგენტს სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსვლის უფლება აქვს როგორც თავისი, ისე პრინციპალის (წარმომადგენლის) სახელით. მესამე პირებთან ურთიერთობებში აგენტს შეუძლია: 1) გაამხილოს პრინციპალის არსებობა და მიუთითოს მის სახელწოდებაზე; 2) გაამხილოს პრინციპალის არსებობა და არ მიუთითოს მის სახელწოდებაზე; 3) არ გაამხილოს პრინციპალის არსებობა და გარიგება დადოს თავისი სახელით (Undisclosed principal).

პირველ ორ შემთხვევაში გარიგების მხარე უფლებამოსილია მოთხოვნით მიმართოს მხოლოდ პრინციპალს, მესამე შემთხვევაში შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს პრინციპალს ან აგენტს. თავის მხრივ, პრინციპალს უფლება აქვს სამივე შემთხვევაში მიმართოს გარიგების მეორე მხარეს, მიუხედავად იმისა, აგენტი თავისი სახელით მოქმედებს თუ პრინციპალის.¹

საერთო სამართლის ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკამ ამომწურავად მოაწესრიგა ზოგიერთი სახის აგენტის სამართლებრივი მდგომარეობა, მათი მომსახურება ფართოდ გამოიყენება როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის სფეროში. ესენია:

• კონსიგნაციური აგენტი² (ფაქტორი, რომელიც ურთიერთობაში მონაწილეობს ფაქტორინგული კომპანიის ან ბანკის სახით), რომელიც კომპლექსურ ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს საქონლის მწარმოებელსა და მყიდველს, კერძოდ ფაქტორები აკრედიტებენ საქონლის მიმწოდებელს მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების გამოსყიდვის გზით, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, დებიტორული დავალიანების ვადა 180 დღეს არ სცდება³. სხვა სიტყვებით,

¹ Borrie J. Commercial Law-5. Ed-1980. P. 1-45.

² მაგალითად, აშშ-ში კომპანიათა თითქმის 90% იყენებს კონსიგნაციური აგენტის მომსახურებას.

³ ფაქტორინგული საქმიანობის უნიფიცირების აუცილებლობამ განაპირობა 1988 წელს ქ. ოტავაში დიპლომატიური კონფერენციის მოხვევა, რომლის მიზანი იყო მიეღოთ კონვენციების პროექტები საერთაშორისო ფაქტორინგსა და ფინანსური ლიზინგის შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ იყო მომზადებული. აღნიშნული კონფერენციის დასკვნით დოკუმენტებს შორის, 1988 წლის 28 მაისს ხელი მოეწერა კონვენციას „საერთაშორისო ფაქტორინგის შესახებ“.

არსებულ ვალებს (ფულად მოთხოვნებს) კრედიტორისაგან ყიდულობს კონსიგნაციური აგენტი, რომელიც იღებს ვალდებულებას გადაუხადოს კლიენტს (კრედიტორს) მესამე პირის ვალი, საკუთარი ინტერესის და კომისიის გამოკლებით.¹

- დელკრედერე აგენტი – პირი, რომელიც პრინციპალს ხელშეკრულების შესრულების გარანტიად უდგება. დელკრედერე არის საგარანტიო ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაირსახეობა, გამოიყენება სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მონაწილეობით წარმოშობილ ურთიერთობებში. თუ სავაჭრო წარმომადგენელი ან კომისიონერი წერილობით ივალდებულებს, რომ თავდებად დადგება გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სპეციალური გასამრჯელო – ვალდებულების შესრულების თავდებად ყოფნის პროვიზია. სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე. ამრიგად, დელკრედერე კლიენტის გადახდისუნარიანობის გარანტია. ასეთი ვალდებულება წერილობით უნდა გაფორმდეს;

- ბროკერი – შუამავალი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც ამზადებს ხელშეკრულების პროექტს და უზავენის მხარეებს ხელმოსაწერად;

- განსაკუთრებული უფლებების მქონე აგენტი – სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოახდინოს პრინციპალის საქონლის რეალიზაცია;

- საექსპორტო ოპერაციებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. საკომისიო საექსპორტო სახლებს. ამ შემთხვევაში ორმაგი ურთიერთობა მყარდება, ერთი მხრივ, საექსპორტო სახლსა და იმპორტიორს შორის (ეს არის ურთიერთობა აგენტსა და პრინციპალს შორის) და, მეორე მხრივ, საექსპორტო სახლსა და ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის;

- აუქციონისტი – აგენტი, რომელსაც პრინციპალი გადასცემს საქონელს აუქციონზე სარეალიზაციოდ და სხვა.

¹ ფაქტორინგული კომპანიის საკომისიო გადასახადი შედგება მომსახურების კომისიისაგან, დავალიანების პროცენტისა და საკრედიტო რისკის კომისიისგან.

მენარმე სუბიექტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მენარმე სუბიექტთა რეორგანიზაცია კანონმდებლობით რეგულირებული მნიშვნელოვანი პროცესია, რაც შეიძლება მოიცავდეს ახალი კორპორაციის დაარსებას ან არსებულში მესაკუთრეთა სტრუქტურისა და მენეჯმენტის შეცვლას იმავე ან სხვა სახელწოდებით საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივით.¹ სხვა სიტყვებით, ეს იურიდიული პირის ცვლილებაა, რომლის დროსაც მისი უფლებები და მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაეცემა რეორგანიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილ, ან დარჩენილ სუბიექტს.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14¹ მუხლი რეორგანიზაციის შემდეგ სახეებს ითვალისწინებს:

1. გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის შეცვლა);
2. შერწყმა (გაერთიანება, მიერთება);
3. გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).

რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს ორ ეტაპად, პირველად რეგისტრირდება რეორგანიზაციის პროცესის დაწყების ფაქტი და ამის შესახებ დამფუძნებლები აცნობებენ ყველა იმ პირს, ვის მიმართაც ამ საწარმოს შესასრულებელი აქვს რაიმე ვალდებულება. რეორგანიზაციის პროცესის დაწყების ფაქტის რეგისტრაცია სავალდებულოა ყველა იმ სუბიექტისთვის, რომელიც მონაწილეობს ამ პროცესში. როგორც წესი, რეორგანიზაციის პროცესი უნდა დასრულდეს მისი დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 4 თვისა.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14¹ მუხლის მე-6¹ პუნქტის თანახმად, სუბიექტის რეორგანიზაციის დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მიეთითოს რეორგანიზაციის სახე და ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგების შესახებ. ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა,

¹ ი. ბურდული, გ. მახარობლიშვილი, დ. ენათაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ. 100-104.

როდესაც სანარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი (მაგალითად, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და პირიქით გარდაქმნა არ მიიჩნევა კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად, მათი პასუხისმგებლობის მოცულობიდან გამომდინარე) ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე. სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის, თუ მოთხოვნილია სახელმწიფოს 50%-ზე მეტი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმოს რეორგანიზაცია (იქვე, პუნქტი 7).

პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის სანარმოდ გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის სანარმოდ. ეს გულისხმობს სუბიექტის ორგანიზაციულ კონვენსიას, მოდიფიკაციას. სანარმოს ორგანიზაციული ცვლილების დაწყების საფუძველი, როგორც წესი, ნებაყოფლობითია.¹ ასეთ შემთხვევაში წესდებით უნდა მოხდეს პარტნიორთა უფლება-მოვალეობათა ხელახალი გადანაწილება, ახალი სამართლებრივი ფორმისათვის დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით.

პრაქტიკის გათვალისწინებით, შერწყმა, როგორც რეორგანიზაციის სახე ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სანარმოდ ვერ უძლებს კონკურენციას და იძულებულია შეერწყას სხვა სანარმოდ.² ასევე, როდესაც ერთ სანარმოს სურს მეორის „დაუფლება“, აღნიშნულის განხორციელების ორი უმთავრესი საშუალება არსებობს: კორპორაციათა შერწყმა და ერთი კორპორაციის მიერ მეორის შესყიდვა. შესყიდვის ტრანზაქციასა და შერწყმას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შერწყმის დროს სამიზნე კომპანიის (Target company) პარტნიორები/აქციონერები ამ კომპანიის ქონებისა და მის საქმიანობაზე კონტროლის უფლების დათმობის ფასად იღებენ აქციებს შერწყმის შედეგად წარმოშობილ კომპანიაში

¹ Hamilton, Freer. The Law of Corporations. 6 (th) ed. 2011. P.399.

² შერწყმა სანარმოს გამსხვილების ფორმაა. იგი გავრცელებული იყო გეგმური ეკონომიკის პირობებში, როცა მთავარ ამოცანას სანარმოდ-სამეურნეო კომპლექსების გამსხვილება ე.წ. მსხვილი სანარმოდებისა და გაერთიანებების შექმნა წარმოადგენდა, რომლებიც პროდუქციის წარმოებას, მომარაგებასა და გასაღებას, სამეცნიერო-კვლევითსა და ტექნოლოგიურ სამუშაოებს მოიცავდა.

(ეს შეიძლება იყოს მყიდველი კომპანია ან მის მიერ სპეციალურად შერწყმის ტრანზაქციისთვის დაარსებული ახალი კომპანია). შესყიდვის შემთხვევაში კი სამიზნე კომპანიის პარტნიორები/აქციონერები კომპანიიდან იდევნებიან. ისინი ნაღდი ფულის ან ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ უარს ამბობენ კორპორაციაში თავიანთ საკუთრებაზე.¹

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁴ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი სანარმო უერთდება მეორეს (მიერთება) თუ ორი სანარმო ერთიანდება ერთ ახალ სანარმოდ (გაერთიანება). შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. სანარმო, რომელმაც სანარმო მიიერთა ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სანარმო არის თავდაპირველი სანარმოს/სანარმოების სამართალმემკვიდრე (უფლებამონაცვლე)“.²

ხელშეკრულება სანარმოთა შერწყმის შესახებ და საზოგადოების წესდება ახლად შექმნილი საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებია, რაც უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სანარმოთა შერწყმა (Merger) შეიძლება მოხდეს შეერთების ან მიერთების გზით. შეერთების დროს ერთმანეთს ერწყმება 2 ან მეტი მენარმე სუბიექტი და წარმოიქმნება ახალი, რომელიც, თავის მხრივ, შეერთებულ სუბიექტთა უფლებამონაცვლეა (ა+ბ=გ). მიერთებისას, გადაცემის აქტის საფუძველზე, ამ უკანასკნელზე გადა-

¹ გ. მახარობლიშვილი. საკორპორაციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი სანარმოთა შერწყმის პროცესში. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2011. გვ.284-286.

² ქ. ქოქრაშვილი. უფლებამონაცვლეობის პრობლემა სანარმოთა რეორგანიზაციისას. 2004.

დის ახალი საზოგადოების უფლებები და მოვალეობები. ამასთან, პირველი შენარჩუნდება და მოქმედებს გამსხვილებული სახით (ა+ბ=ა) (TUB, Cascade Bank, Aldagi).¹

ბიზნესპრაქტიკაზე დაყრდნობით განისაზღვრა სანარმოთა შერწყმისა და შესყიდვის ძირითადი მიზეზები და მოტივები, კერძოდ: სინერგიები – 2 + 2 = 5; Economy of scale; Cross-selling; საბაზრო წილი; გადასახადები; გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; პროდუქტების დივერსიფიკაცია; კონკურენტების ჩამოშორება; კონკურენტების შეფერხება და სხვა².

როგორც სანარმოს შექმნის, ისე შერწყმის პროცესს თან სდევს უფლებამონაცვლეობის პრაქტიკული პრობლემები. მნიშვნელოვანია, თუ როგორ უნდა განანიღდეს შექმნის შემდეგ ე.წ. „სამიზნე“ კომპანიის აქტივები და პასივები. რა თქმა უნდა, შემსყიდველ კომპანიას ყოველთვის ურჩევნია, რაც შეიძლება მეტი აქტივის და რაც შეიძლება ნაკლები პასივის მიღება.³ ყველაზე ხშირად კომპანიები პასივების მიღებისგან თავის არიდების მიზნით ახორციელებენ ტრანზაქციებს „შვილობილი“ კომპანიის მეშვეობით. უფლებამონაცვლეობის (სამართალმემკვიდრეობის) საკითხის განსაზღვრისას ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ტრანზაქცია, როდესაც, მაგალითად „A“ კომპანია ყიდულობს „B“ კომპანიის მთელ ქონებას. ასეთ შემთხვევაში „A“ კომპანიას შეუძლია უარი თქვას „B“ კომპანიის ვალდებულებების აღებაზე, შესაბამისად, „B“ კომპანიის ვალდებულებების ბედი უცნობია. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უფლებამონაცვლეობას განსაზღვრავს, მხოლოდ სანარმოთა რეორგანიზაციისას.⁴ იგი დათქმას არ აკეთებს სანარმოთა ქონების გასხვისებასთან დაკავშირებულ უფლებამონაცვლეობასთან

¹ პრაქტიკაში ცნობილია ე.წ. პორიზონტალური შერწყმა – ორი კომპანიის გაერთიანება, რომლებიც წარმოადგენენ კონკურენტებს ერთსა და იმავე ბაზარზე, ანალოგიური პროდუქტებით და ვერტიკალური შერწყმა – მაგალითად, კომპანიისა და მისი მიმწოდებლის/კლიენტის გაერთიანება.

² http://ncci.ge/m/u/ck/files/MandA_Namicheshvili.pdf

³ დ. მაისურაძე. კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას. 2014. სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 52.

⁴ მაგალითად, კალიფორნიის შტატის საკორპორაციო სამართალში კორპორაციის ქონების შექმნა განიზილება, როგორც რეორგანიზაციის ერთ-ერთი სახე და შესაბამისად უფლებამონაცვლეობის/სამართალმემკვიდრეობის საკითხი რეგულირდება ისევე, როგორც კორპორაციათა შერწყმის დროს. California Corporate Code. § 181.

მიმართებაში, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ქონების გას-
ხვისების დროს პასივი, ქონების შემსყიდველ კომპანიაზე არ
გადადის.¹ ამ თვალსაზრისით, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში
გვხვდება შემთხვევები, როცა სასამართლომ შემძენი კომპანია აღი-
არა გამოიყენა კომპანიის უფლებამონაცვლედ, მაგალითად,
„ვალდებულებების ისეთი სახეები, როგორცაა შრომითი ურთიერ-
ობებიდან გამომდინარე დავები, დასაქმებულთა დისკრიმინაციის
საკითხი, ვალდებულებები პროფესიული გაერთიანებების, საპენ-
სიო ფონდის წინაშე და მოთხოვნები, რომელიც შეიძლება წარმო-
იშვას გარემოს დაცვითი საკითხებიდან, გადადის მყიდველ კომპა-
ნიაზე თუ მყიდველი კომპანია „აგრძელებს სამიზნე კორპორაციის
საქმიანობას“ და შემსყიდველმა კომპანიამ იცოდა ან უნდა სცოდ-
ნოდა ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ“.² მოცემულ
შემთხვევაში, უფლებამონაცვლეობის განხორციელებისათვის აუცი-
ლებელია ორივე პირობის არსებობა ანუ სახეზე უნდა იყოს სამიზნე
კომპანიის საქმიანობის გაგრძელების ფაქტი და მყიდველი კომპა-
ნიის მიერ ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ ინფორ-
მაციის ფლობა.

პრაქტიკაში ხშირია უფლებამონაცვლეობიდან თავის არიდების
მცდელობები, ეს გამოიხატება ვალდებულებების თავიდან აცილე-
ბის მიზნით ისეთი ტრანზაქციების განხორციელებაში, რაც კომპა-
ნიებს საშუალებას აძლევს უფლებამონაცვლების „ტივრთს“ განზ-
რახ აარიდონ თავი. ანალიზი ცხადყოფს, რომ სანარმოთა შერწყ-
მისას ზოგჯერ ხდება პროცესის შენიღბვა და მისი წარმოდგენა,
როგორც სანარმოს შესყიდვა. ასეთ შემთხვევაში ილახება როგორც
პარტნიორთა, ისე სანარმოს კრედიტორთა უფლებები. აღნიშნულ-
თან მიმართებაში ამერიკის ზოგიერთი შტატის სასამართლო პრაქ-
ტიკის ანალიზი ცხადყოფს, ამ ტიპის გარიგების მოტყუებით დადე-
ბულ გარიგებად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილე-
ბებში მსგავსი ტიპის ტრანზაქცია მიჩნეულია, როგორც კომპანი-

¹ დ. მაისურაძე. კორპორაციულ სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპი-
ტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას. 2014. სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 53.

²Oesterle A. D. The Law of Mergers and Acquisitions, Thomson/West, 3rd ed. Ohio, 2005.
P.281-288.

ების „დე ფაქტო“ შერწყმა.¹ ასეთი შემთხვევების მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით „აშშ-ის ბიზნესკორპორაციების შესახებ“ (R.M.B.C.A) მოდალური კანონის რეფორმირებულ რედაქციაში შერწყმის პროცესის მომწესრიგებელ ნორმებს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მასში განხილული და რეგულირებულია როგორც ტრადიციული შერწყმის პროცედურა, ისე შერწყმის ტრანზაქციის განხორციელების სხვა ფორმები.²

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საკორპორაციო სამართლებრივ დირექტივებსა და დადგენილებებში განმტკიცებულია ის ძირითადი დებულებები, რომლებიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სააქციო საზოგადოების შერწყმის პროცესს არეგულირებს. ამასთან, ევროსაბჭომ 1989 წლის 21 დეკემბერს მიიღო დადგენილება „მენარმე სუბიექტთა გაერთიანების კონტროლის შესახებ“.³ ასევე, მაგალითისთვის, „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების თანახმად, მენარმე სუბიექტების გაერთიანებით შექმნილი სუბიექტი წარმოშობილად ითვლება გასაერთიანებელი მენარმე სუბიექტების რეგისტრაციის გაუქმებისა და გაერთიანების გზით წარმოშობილი ახალი სუბიექტის რეგისტრაციის მომენტიდან. მენარმე სუბიექტი მიერთებულად ითვლება მისაერთებელი სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებისა და ამ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან, რომელთანაც ხდება მიერთება.

სანარმოთა შერწყმის საკითხს, მისი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე არეგულირებს კონკურენციის სამართალი, რაც ეკონომიკური აგენტების შერწყმა-გაერთიანებას ე.წ.

¹ Carney. Mergers and Acquisitions. New York. 2000. P. 735-740.

² გ. მახარობლიშვილი. საკორპორაციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი სანარმოთა შერწყმის პროცესში. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2011. გვ. 288-321.

³ გ. მახარობლიშვილი. საკორპორაციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი სანარმოთა შერწყმის პროცესში. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2011. გვ. 322-330.

კონცენტრაციის ერთ-ერთ ხერხად მიიჩნევა¹ (კონცენტრაცია – ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის „გაერთიანება“ ან ერთი, ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკურ აგენტზე „კონტროლის“ მოიპოვება). კონცენტრაციის ძირითადი მიზანია ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდა (წარმოების მასშტაბის ზრდა, მენეჯმენტის გაუმჯობესება და სხვა); არსებული ბარიერების გადალახვა; მოსალოდნელი ლიკვიდაციის თავიდან აცილება; საწარმოს პარტნიორების, თანამშრომლების და კრედიტორების კანონიერი ინტერესების დაცვა და სხვა.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კონცენტრაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით, მათ შორის ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმით, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება. ზოგადად, კონკურენციის სამართალი იცნობს რამდენიმე სახის კონცენტრაციას: ეკონომიკური აგენტების ჰორიზონტალური გაერთიანება (კონკურენტების), რაც ამცირებს ბაზარზე მოთამაშეების ოდენობას და ზრდის ახლად ჩამოყალიბებული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და ეკონომიკური აგენტების არაჰორიზონტალური გაერთიანება, რასაც ნაკლებად მოსდევს უარყოფითი შედეგები ბაზარზე და უფრო დიდ ეფექტურობას იწვევს.²

საწარმოთა შერწყმის დროს მნიშვნელოვანია ასევე საწარმოს საფირმო სახელწოდების საკითხი. მასზე შეთანხმება მიიღწევა შერყმის გეგმის მიღებისა და დამტკიცების პროცესში. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ საფირმო სახელწოდება შეიძლება იყოს სრულიად ახალი და არ დარჩეს შერწყმის პროცესში მონაწილე სუბიექტის სახელწოდება.³

¹ კონკრეტულ შემთხვევაში პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას (საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

² სიახლე კონკურენციის სამართალში. 2014. გვ. 16-19 (ბროშურა შედგენილია კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით).

³ R.M.B.C.A §11.07.(a).(5)

რეორგანიზაციის ერთ-ერთი სახეა გაყოფა, რაც შეიძლება განხორციელდეს დაყოფის ან გამოყოფის გზით. პირველ შემთხვევაში ხდება მენარმე იურიდიული პირის დაყოფა რამდენიმე ახალ სუბიექტად, რომლებიც ცხადია წარმოადგენენ დაყოფამდე არსებული სუბიექტის სამართალმემკვიდრეს (მაგალითად, „A“ სანარმო დაიყო „B“ და „C“ (ან მეტ) სანარმოდ, ამ შემთხვევაში „B“ და „C“ რეგისტრირდება, როგორც ახლად დაფუძნებული სანარმოები, ხოლო „A“ სანარმოს რეგისტრაცია უქმდება). გამოყოფის დროს კი მენარმე სუბიექტს გამოეყოფა ახალი სუბიექტი. ამასთან, რეორგანიზებული სუბიექტიც აგრძელებს არსებობას (მაგალითად, „A“ სანარმოს გამოეყო „B“ (ან მეტი) სანარმო, ამ შემთხვევაში „B“ რეგისტრირდება, როგორც ახლად დაფუძნებული სანარმო, ამასთან „A“ განაგრძობს არსებობას)¹.

„გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს გაყოფის შედეგად წარმოქმნილ სანარმოში ადრინდელი პარტნიორების ნილობრივი მონაწილეობის შეცვლას. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი სანარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი სანარმოს დაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის, ხოლო თავდაპირველი სანარმოს უფლებამონაცვლე სანარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით“ (მუხ. 144, პ. 5).²

რეორგანიზაციის შედეგად გამოყოფილი სუბიექტი დაფუძნებულად ითვლება ახალი სუბიექტის რეგისტრაციისა და ამ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან, რომლიდანაც მოხდა მისი გამოყოფა³ (პრაქტიკის გათვალისწინებით, სანარმოთა გაყოფა, უმრავლეს შემთხვევაში,

¹ მაგალითისთვის იხილეთ: სს „საქართველოს ბანკიდან“ ორი იურიდიული პირის – სს „ბიჯეო ინვესტმენტს“-ის და სს „ბიჯი ფაინანშიალ“-ის გამოყოფის გადაწყვეტილება <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2945799>.

² გაყოფა, როგორც რეორგანიზაციის ფორმა, საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო და მუნიციპალური სანარმოების პრივატიზაციის შემთხვევაში, როცა გაყოფის საკითხის გადაწყვეტა ამ სანარმოთა შრომით კოლექტივებს ევალებოდათ. აღნიშნული წესის გამოყენებამ, მართალია, დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი, მაგრამ, პრაქტიკის გათვალისწინებით, ხშირად ერთიანი სამეურნეო კომპლექსის უსაფუძვლო წგრევა გამოიწვია.

³ „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტი.

მაშინ ხდება, როცა იგი საქმიანობის რამდენიმე სახეს ერთდროულად მისდევს და მისი ერთიანი მართვა რთულია. ამ დროს იქმნება რამდენიმე სანარმო, საქმიანობის მიხედვით).

რეორგანიზაციის ფორმები	უფლებამონაცვლეობა	
	ვისთან გადადის	დოკუმენტი
გარდაქმნა	ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირზე	გადანყვეტილება საზოგადოების გარდაქმნის შესახებ
შეერთება	ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირზე	შერწყმის ხელშეკრულება
მიერთება	არსებულ იურიდიულ პირზე	შერწყმის ხელშეკრულება
დაყოფა	ახლად წარმოქმნილ იურიდიულ პირებზე	გაყოფის გეგმა
გამოყოფა	თითოეულ მათგანზე	გაყოფის გეგმა

რეორგანიზაციის პროცესში მყოფი სანარმოს კრედიტორთა, კონტრაგენტთა და ზოგადად მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, „მენარმეთა შესახებ“ კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად დადგინდა სპეციალური პროცედურა, რამაც გარკვეულწილად მოაწესრიგა რეორგანიზაციის პროცესი და, შესაბამისად, შეამცირა ამ საკითხთან დაკავშირებული დავების რიცხვი, უფრო კონკრეტულად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁴ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა მიერ მიღებულ სანარმოს რეორგანიზაციის შესახებ გადან-

ყვეტილებაზე ვრცელდება საწარმოს ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული რეგისტრაციისა და შეტყობინების წესები, კერძოდ პარტნიორთა გადანყვეტილება საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. რეორგანიზაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ელექტრონულ ინფორმაციას მარეგისტრირებელი ორგანო უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს..... (მუხ.14. პ.3); საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები.... (იქვე, პ.4).

შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება (ვალების აქსელერაცია).

თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, გამოქვეყნებისა და შეტყობინების ზემოაღნიშნული წესი მათზე არ ვრცელდება და კრედიტორებს არ ექნებათ ვალების აქსელერაციის მოთხოვნის უფლება.

პარტნიორებს, წესდებით დადგენილი წესით, საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შემდეგაც უფლება აქვთ მიიღონ გადანყვეტილება რეორგანიზაციის პროცესის შეწყვეტის თაობაზე – უნდა შეიტანონ ცვლილება რეესტრში, რის შედეგადაც რეორგანიზაციის პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის რეგისტრირებული მონაცემები დარჩება უცვლელი; რეორგანიზაციის პროცესის შეწყვეტილების შემთხვევაში რეესტრში აღნიშნული მონაცემები შენარჩუნდება.

ყვეტის რეგისტრაცია სავალდებულოა ყველა იმ სუბიექტის მონაცემებში, რომელიც რეორგანიზაციის პროცესში მონაწილეობს.

რაც შეეხება სანარმოს ლიკვიდაციას, პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს) შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ სანარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები) (მუხ. 14, პ.1). პარტნიორთა გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან (მუხ. 14, პ.3).

სანარმოს ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს პარტნიორთა გადაწყვეტილებით (ნებაყოფლობით), იძულებით (მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით) ან გაკოტრებით.

პარტნიორთა გადაწყვეტილებით სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე სანარმოს პარტნიორებმა სანარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. სანარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე სანარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიანოდოს სანარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. სანარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში (მუხ. 14, პ.4).

სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 90-დღისა, სანარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაინყოს

ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები უნდა განათავსოს სასამართლოს ან/და ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო სახელმწიფოს 50%-ზე მეტი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საწარმომ – საწარმოს ანგარიშზე. სახელმწიფოს 50%-ზე მეტი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო უფლებამოსილია საწარმოს ანგარიშზე განთავსებული თანხები გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარავად. თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე საკუთარი ხარჯებით, ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით. სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე ამ თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულება (მუხ. 14, 3.5).

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება (გარდა კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მისი რეალიზაციისა ან/და საწარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება (მუხ. 14, 3.6). ლიკვიდაციის პროცესის მაქსიმალური ვადა ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან შეადგენს 4 თვეს, ხოლო საგადასახადო შემომნების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემომნების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან – ერთ თვეს (მუხ. 14, 3.7).

თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5

პუნქტის შესაბამისად დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, დარჩენილი დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი (მუხ. 14, პ.9).

იმ საწარმოს ლიკვიდაციის წესს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (მუხ. 14, პ.10).

იძულებითი ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება ან სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14¹ მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდაციისას გამოიყენება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საწარმო შეიძლება ლიკვიდაციას დაექვემდებაროს გაკოტრების შედეგად. ამისათვის აუცილებელია კანონის შესაბამისად გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე გამოყოფს ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველებს. ესენია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედობა-

უნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ან გარდაცვლილად გამოცხადება, ან მისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნა. ამ უკანასკნელ შემთხვევებში რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალების, სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედობაუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების, ან გარდაცვლილად გამოცხადების, ან მისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებული ორგანოს ინიციატივით (მუხ. 14³).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე არეგულირებს რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების გაუქმებას და მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებას ხარვეზის დადგენის საფუძველზე.¹ კერძოდ, მე-14² მუხლის თანახმად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადანყვეტილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი გაუქმება შესაძლებელია სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე, „გადახდის-უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ან საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით, გარდა მე-14² მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში, მოვალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი სასამართლოს განჩინებას მისი გამოტანიდან 30 დღის ვადაში წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია გააუქმოს საწარმოს რეგისტრაცია.

ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლეა შესაბამისი ფიზიკური პირი.

¹ ი. ბურდული, გ. მახარობლიშვილი, დ. ეგნატაშვილი, გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ. 105-111.

თუ რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება იწვევს რეგისტრირებული მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის შეწყვეტას ისე, რომ მას არ რჩება სამართალმემკვიდრე, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს რეგისტრაციისათვის ხარვეზის დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მენარმე სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის შესახებაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის აღმოფხვრამდე ჩერდება რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა.

პრაქტიკაში ასევე ცნობილია შემთხვევები, როცა ვერ ხერხდება სანარმოს პარტნიორის ან წილის დადგენა. ასეთ შემთხვევაში მისი დადგენის უფლებამოსილება აქვს სასამართლოს, პარტნიორის (პარტნიორების) მიმართვის საფუძველზე. თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდება, რომ წილის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია, იძულებითი ლიკვიდაციის პროცესი წყდება და არაიდენტიფიცირებული (დაუდგენელი) პარტნიორის წილი დანარჩენ პარტნიორთა შორის მათი წილების პროპორციულად გადანაწილდება. დანარჩენი პარტნიორის/პარტნიორების მიერ ამ უფლების იძულებითი ლიკვიდაციის პროცესისათვის დადგენილ ვადაში გამოუყენებლობა სანარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია, ხოლო სანარმოს ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე არაიდენტიფიცირებული პარტნიორის უფლებები სახელმწიფოს გადაეცემა (მუხ. 142).

ლიკვიდაციის პროცესის დამამთავრებელი ეტაპია სანარმოს რეესტრიდან ამოშლა. მას შემდეგ მენარმე სუბიექტი, როგორც სამართლის სუბიექტი, წყვეტს არსებობას ანუ ფაქტობრივად დგება მისი სამართლებრივი "სიკვდილი".¹

¹ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან იხილეთ: რ. მიგრიაული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016. გვ. 169-191.

მენარმე სუბიექტთა გადახდისუნარობა

მრავალი წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამაც XVIII საუკუნეში ცივილური ფორმა მიიღო და ამგვარი საქმეები კერძო-სამართლებრივ განხილვას დაექვემდებარა. მოგვიანებით, ცალკეულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა გაკოტრების სამართალი (გერმანიაში – საიზოლვენცო სამართალი) და შეიქმნა აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ეს იყო სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი მოვალის ქონებრივი დაცვის მექანიზმის სრულყოფის თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა ზოგად დებულებებს ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური „არშემძლეობის“ (იგულისხმებოდა „გადახდისუნარობა“) შესახებ, თუმცა აღნიშნული დებულებები პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენებოდა. მოგვიანებით, კერძოდ 60-იან წლებში ეს რეგულირება საერთოდ გაუქმდა.¹

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წელს), სახელმწიფო საბჭომ მიიღო „სანარმოთა გაკოტრების დეკრეტი“, რომელიც ეფუძნებოდა რუსეთის „გაკოტრების დეკრეტს“, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი პრაქტიკაში ასევე არ გამოყენებულა. 1996 წელს დეკრეტი ჩაანაცვლა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც გარკვეული ცვლილებებით 2007 წლის 15 აგვისტომდე მოქმედებდა.²

¹ ზოგადად, სამართალი და, მით უმეტეს, გაკოტრების სამართალი კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ესადაგება და მისი საზოგადოების მოთხოვნებს პასუხობს, ამიტომ იმის გათვალისწინებით, რომ XX საუკუნის შუა პერიოდში საქართველოს რეგულირებადი ეკონომიკის პირობებში თითქმის ყველა სანარმოს სახელმწიფო მართავდა, პრაქტიკულად არ არსებობდა მოთხოვნა გაკოტრების სამართალზე.

² საქართველოში დაახლოებით 50 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ არსებობდა გაკოტრების მარეგულირებელი კანონმდებლობა და კიდევ უფრო ხანგრძლივი დროის პერიოდში ამგვარი კანონის მოქმედების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

გაკოტრების სამართალს და თავად გადახდისუნარობის პროცესს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში იგი ცალსახად პროკრედიტორულია, ზოგან კი კანონმდებელი გადახდისუნარობის ცნების შინაარსში უფრო მეტად მოვალის გადარჩენის „მიზანს“ აფიქსირებს.¹

თანამედროვე მსოფლიო იურიდიულ ლექსიკაში თანაბრად გამოიყენება ტერმინები: „გადახდისუნარობა“ და „გაკოტრება“.²

აშშ-ში გაკოტრების ფედერალურ კანონთან – „გაკოტრების კოდექსთან“ (Federal law-“Bankruptcy Code“) ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებულ წესებს „სამოქალაქო პროცედურების შესახებ“ (Federal Rules of Civil Procedure).

დიდ ბრიტანეთში პირველი კანონი „გადახდისუნარობის შესახებ“ მიღებულ იქნა 1986 წელს, რომელშიც 2000 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. კერძოდ, ახალი რედაქციით გაიზარდა საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების (რეაბილიტაციის) ფარგლები და მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა საწარმოს საქმიანობის უფრო ადრეულ ეტაპზე, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო მანამდე მოქმედი რედაქციით; გარდა ამისა, დაიშვა მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმება (CVA), რომელსაც ამტკიცებს კრედიტორთა კრება და რაც სავალდებულოდ შესასრულებელია გადახდისუნარობის პროცესის ყველა მონაწილისათვის, უცნობი კრედიტორების ჩათვლით.

დიდი ბრიტანეთის კანონი ასევე ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურებს, კომპანიის ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად:

¹ სწორედ ასეთი პროდებიტორული შინაარსისაა სხვადასხვა ქვეყნიდან კრედიტორული დავალიანების გამო „გაქცეული“ ხალხის მიერ „დაარსებულ“ ამერიკის შეერთებული შტატების გაკოტრების სამართალი.

² მაგალითად, აშშ-ში გამოიყენება ტერმინი „გაკოტრება“ (US Bankruptcy Code), ინგლისსა და გერმანიაში „Insolvency Act“, „insolvenzordnung“. საფრანგეთში 1999 წლის სავაჭრო კოდექსი იყენებს ორივე ტერმინს: „გადახდისუნარობას“ და „გაკოტრებას“, ხოლო ე.წ. სავაჭრო საწარმოს მიმართ „difficultes des enterprises“- საწარმო, რომელიც იმყოფება რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში“ (სსკ. VI ნიგნი).

- კრედიტორისა და მოვალის ნებაყოფლობითი, კომპრომისული შეთანხმება (CVA) ვალების რესტრუქტურისა და შესახებ. მისი ინიციატორი, როგორც წესი, კომპანიის დირექციაა;

- საკონკურსო მასის მართვის შემოღება, რაც გულისხმობს კრედიტორთა მიერ მორატორიუმის გამოცხადების შესაძლებლობას, კომპანიისთვის ვალების რესტრუქტურისა და შესაძლებლობის მიცემის მიზნით. ამგვარი მართვის შემოღება შესაძლოა განხორციელდეს როგორც თავად კომპანიის, ისე მისი კრედიტორის ინიციატივით. საბოლოო ბრძანებას აღნიშნულზე სასამართლო გამოსცემს.

გერმანული კანონმდებლობით, ასევე გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები, საწარმოს გადახდისუნარობის თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ:

- მსხვილი საწარმოების ვალდებულება, ყოველწლიურად ჩაატარონ აუდიტორული შემოწმება;

- შპს-ის და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება, საწარმოს საკუთარი კაპიტალის 50%-ის გახარჯვის შემთხვევაში, ამ ფაქტის პარტნიორებისათვის სავალდებულო შეტყობინება. აღნიშნულის შეუსრულებლობა იწვევს საწარმოს ხელმძღვანელთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

- შპს-ის და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება, საწარმოს პარტნიორებს დაუყოვნებლივ აცნობონ საწარმოს ვადამოსული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

ფრანგული კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური სირთულეებისაგან დაცვას. კერძოდ:

- პარტნიორთა მხრიდან საწარმოს ხელმძღვანელებზე კონტროლის გამკაცრება;

- პრევენციული ღონისძიებების შემუშავებული ჯგუფების შექმნა, რომელთაც ამტკიცებს სახელმწიფოს წარმომადგენელი. როგორც წესი, მათში ერთიანდება საბუღალტრო ორგანიზაციები, სავაჭრო პალატები, პროფესიული ორგანიზაციები. ფიზიკურ პირებს ასეთ ჯგუფებში გაერთიანების უფლება არ აქვთ. უფლება-

მოსილია კონფინდენციალურად მოახდინოს საწარმოთა მიერ ფინანსური და საბუღალტრო/საალრიცხვო დოკუმენტების სისწორის შემოწმება.

საქართველოში, როგორც აღვნიშნე, 1996 წლიდან 2007 წლის 15 აგვისტომდე მოქმედებდა კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომლის ფაქტობრივი გამოყენება პრაქტიკაში დაიწყო დაახლოებით 2000 წლიდან. იგი ეფუძნებოდა გერმანიის გაკოტრების სამართალს (*The Konkursordnung*, რომელიც მიღებულ იქნა 1877 წელს და მისი შემდგომი, 1935 წლის *Vergleichsordnung*) და ალბანეთის გაკოტრების სამართალს (1991 წლის ალბანეთის კანონი „გაკოტრების პროცესის შესახებ“).

XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენ ქვეყანაში ფაქტობრივად ვაკუუმში შეიქმნა გადახდისუუნარობასთან, გადახდისუუნარო საწარმოების მართვასთან, ასევე გაკოტრების სამართლის, როგორც საბაზრო ეკონომიკის ფინანსური და კომერციული სტრუქტურის ნაწილის როლთან და მის ბუნებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.¹

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან გადახდისუუნარობის სამართალი განვითარდა, დაგროვდა პრაქტიკული გამოცდილება, რამაც ცხადყო მოქმედი კანონის არაადეკვატურობა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან. თავად გერმანული კანონი რადიკალურად შეიცვალა *Insolvenzordnung*-ით (ცვლილებები ძალაში შევიდა 1999 წლის 1 იანვარს). გერმანელებმა იგი მიიჩნიეს მოძველებულად, რადგან ველარ აკმაყოფილებდა მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს და ვერ პასუხობდა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს (ალბანეთის 1991 წლის კანონიც შეიცვალა 2002 წლის კანონით „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომელიც, თავის მხრივ ეფუძნება ახალ გერმანულ კანონს).

ზოგადად სამართალი, როგორც ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი სეგმენტი (მიუხედავად იმისა, თუ საზოგადოების რა ტიპის ურთიერთობებს არეგულირებს ესა თუ ის კანონი), ნებისმიერ შემთ-

¹ გაკოტრების სამართლის ზოგიერთი საკითხები დაწვრილებით იხილეთ: რ. მიგრია-ული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016 გვ. 15-27.

ხვევაში უნდა პასუხობდეს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, ასევე საზოგადოების მოთხოვნებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ 2007 წელს საქართველოში შეიქმნა 1996 წლის კანონის – „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ – ახალი კანონით შეცვლის აუცილებლობა.

პირველ რიგში, შეიცვალა კანონის სახელწოდება. მიზეზი ლოგიკურია, აღნიშნული კანონი, გაკოტრების პროცესთან ერთად, არეგულირებს რეაბილიტაციის პროცესს, ხოლო ორივეს წინ უსწრებს ზოგადი პროცედურა – გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს და დასრულდეს გაკოტრებით ან რეაბილიტაციით, ან საქმის წარმოების შეწყვეტით. სხვა სიტყვებით, ტერმინი „გადახდისუუნარობა“ უფრო ზოგადია, ვიდრე „გაკოტრება“. იურიდიული ტექნიკის გათვალისწინებით, კანონის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ზოგადს და არა კონკრეტულს. გარდა ამისა, ტერმინი „გაკოტრება“, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დასჯითი ღონისძიება (სანქცია), მაინც ნეგატიური შინაარსის მატარებელია, რაც თავისთავად არ არის ამ კანონის მიზანი. პირიქით, ახალი კანონის აღიარებული მიზანია მოვალის და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან, ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, ამიტომ ახალ კანონს ეწოდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ზოგადად, ვალის ამოღების აპრობირებული გზა სააღსრულებო წარმოებაა, როდესაც პირი ვალის ამოღებას ახორციელებს სასარჩელო განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. გაკოტრება, შინაარსობრივად, უფრო ხშირად მოვალის დაცვის საშუალებაა, ვიდრე „დასჯა“. საქართველოში (და არა მხოლოდ) არსებობს მოდავე მხარეთა სასამართლოს გარეშე მოლაპარაკების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს დავათა „მშვიდობიანი“ გზით ოპერატიულ გადანყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ობიექტურად შეაფასებს მოსა-

ლოდნელ გადახდისუნარიან სიტუაციას და სასამართლოს გზით თავად მოითხოვს გაკოტრებას, კანონი ითვალისწინებს კიდევ უფრო მარტივ და დაჩქარებულ პროცესს, რაც აიოლებს და აიაფებს პროცედურას.

2007 წლის საკანონმდებლო ნოვაციათა მიზანი ჩამოყალიბდა იმ დროისათვის პრაქტიკაში არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე, კერძოდ:

- გადახდისუნარობის პროცესის მონაწილეთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, დავის შინაარსიდან გამომდინარე, მოვალესა და კრედიტორს შორის იდეალური ბალანსის დაცვა, მათი ინტერესების გათვალისწინებით, რთულია. მათ შორის არსებობს ლოგიკური „კონფლიქტი“, თუმცა კანონი ცალსახად არც „პროკრედიტორული“ და არც „პროდებიტორული“ ხასიათისაა. ამ მხრივ ბალანსი დაცულია;

- კრედიტორთა მკაფიოდ გამოხატული იერარქია, მათი რისკის ფაქტორისა და მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიხედვით;

- გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესის გონივრული ვადების განსაზღვრა;

- ზრუნვა სანარმოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის, შენარჩუნებაზე;

- გადახდისუნარობის საქმესთან დაკავშირებულ დავათა გადაწყვეტის მინდობა თავად პროცესის მხარეთა მიერ შერჩეული პირებისგან შემდგარი „მომრიგებელი საბჭოსათვის“, რაც თავისთავად ზრდის სანდოობის ხარისხს და უზრუნველყოფს პროცედურების ოპერატიულობას;

- ახალი კანონის მიღებამდე, დაწყებული გაკოტრებისა და რეაბილიტაციის დაუსრულებელი და შეგნებულად „გაჭიანურებული“ პროცესების დამთავრება.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მონესრიგებით, საკანონმდებლო მიზნები მეტ-ნაკლებად მიღწეულ იქნა. კანონი არეგულირებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული მენარმე სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იური-

დიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხს.

კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) ფიზიკურ პირებზე (ინდივიდუალური მენარმეების გარდა). თუ ფიზიკური პირის მიმართ კრედიტორს წარმოექმნება ქონებრივი მოთხოვნის უფლება, მას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად. მისთვის სხვა განსაკუთრებული რეჟიმის დაწესება ჭარბ რეგულირებას გამოიწვევს და კიდევ უფრო გაართულებს ფიზიკურ პირთა შორის წარმოქმნილი დავების განხილვის პროცედურას;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციული ერთეული და საჯარო სამართლის იურიდიული პირი გადახდისუუნარობას არ ექვემდებარება;

გ) ბანკებზე, არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებზე, ვინაიდან მათი გადახდისუუნარობის საკითხი სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდება.

გერმანული კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა დასაშვებია როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირის მიმართ (Insolvenzordnung §11). კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფედერაციის ან მისი სუბიექტის (მინის), ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

საფრანგეთში გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ე.წ. კომერსანტების, ხელოსნების, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა მიმართ. გაცილებით გამარტივებულ პროცედურას ითვალისწინებს კანონი ფიზიკურ პირთა და იმ იურიდიულ პირთა მიმართ, რომელთა თანამშრომელთა რიცხვი 50-ს არ აღემატება. გამონაკლისის სახით სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ან მოვალის, ან პროკურატურის ინიციატივით, ასეთი სუბიექტების მიმართ გაატაროს გადახდისუუნარობის სტანდარტული პროცედურა.

დიდ ბრიტანეთში გადახდისუუნარობის საქმე აღიძვრება როგორც ფიზიკური პირების, ისე კომპანიების მიმართ (გარდა იმ კომპანიებისა, რომლებიც ახორციელებს სადაზღვევო და საბანკო საქმიანობას და რომელთა რეგულირება ხდება სპეციალური კანონებით).

აშშ-ში გადახდისუუნარობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: ფიზიკური პირები, ამხანაგობები და კორპორაციები.

2007 წლის შემდგომ ცხადია შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები, რამაც თავისთავად ასახვა პოვა მოქმედ კანონმდებლობაზე და მათ შორის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონზეც. დღემდე მასში შესულია უამრავი ცვლილება და დამატება და ვფიქრობთ ეს პროცესი კვლავ უნდა გაგრძელდეს.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესი არეგულირებს კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობებს იმ ეტაპზე, როდესაც საწარმო იძულებული ხდება ეკონომიკური ურთიერთობებიდან გავიდეს.¹

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ საწარმო გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილმა პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს

¹ კ. შნიტგერი, რ. მიგრიაული. გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან. 2011. გვ. 11-12.

3 კვირისა, უნდა განაცხადონ ამის თაობაზე, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მაგრამ, თუ ხელმძღვანელ პირს მისი ფიდეუციური მოვალეობის ფარგლებში, საკუთარი კვალიფიკაციისა და ხედვის საფუძველზე სწამს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია საწარმოს მართვა იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული გადახდისუუნარობის პროცესი და ამიტომ არ შეაქვს განცხადება შესაბამის სასამართლოში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მხოლოდ ფორმალური ვადის გადაცილების გამო, არ დადგება. ამ ტიპის პასუხისმგებლობა დგება ხელმძღვანელის მიერ ვადის ბრალეული გაჭიანურების შემთხვევაში¹ (სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბოლო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა გადახდისუუნარობის პროცესის რეგულაციის თვალსაზრისით. ერთ-ერთი ასეთი ცვლილებაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ამ მეტად რთულ პროცესში, რაც ზრდის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების საშუალებას და საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას. კერძოდ, 2018 წლის პირველი იანვრიდან შემოღებული იქნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა (მუხ. 31).

მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუუნარობის საქმეებისათვის დადგენილია სპეციალური განსჯადობა. საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. სტატისტიკის გათვალისწინებით, ასეთი საქმეების რაოდენობრივი სიმცირიდან და განსახილველი საკითხების სირთულიდან გამომდინარე, მათი განხილვის თავმოყრა თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებში ერთგვარად ხელს უწყობს პროცედურულ სიმარტივესა და ოპერატიულობას. ასევე, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების

¹ ი. დვალაძე, გ. მახარობლიშვილი. სამწარმოო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი). 2016. გვ. 134-139.

წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოშობილ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები (მუხ. 4). აღნიშნულის მიზანია, რომ გადახდისუუნარობის საქმის მწარმოებელ სასამართლოს სრული ინფორმაცია ჰქონდეს მოვალის ქონებრივ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ხდება ყველა იმ პირის მოთხოვნის თავმოყრა, რომელთაც ქონებრივი ხასიათის პრეტენზია აქვთ კონკრეტული მოვალის მიმართ.

კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძვლებს, ესენია: მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. პირველი გულისხმობს: მოვალის უუნარობას, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა; ხოლო მეორე - მოვალეს, რომელიც სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში უახლოეს მომავალში გახდება ან შესაძლებელია გახდეს გადახდისუუნარო (მუხ. 3 პ.პ „ა“, „ბ“).

უცხოეთის განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგად საფუძვლებს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. ესენია:

- კრედიტორთა შუამდგომლობა;
- მოვალის შუამდგომლობა;
- მესამე პირთა შუამდგომლობა;
- სასამართლოს გადაწყვეტილება;
- პროკურორის მოთხოვნა.

ტრადიციულად, საქმეს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ აღძრავს კრედიტორი ან მოვალე. ამ უფლების სასამართლოზე ან სახელმწიფო ორგანოებზე დელეგირება დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემის თავისებურებებსა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის მოცულობაზე.

გერმანიაში გადახდისუუნარობის საქმე აღიძვრება მხოლოდ კრედიტორის ან მოვალის განცხადების საფუძველზე. ამასთან, კრედიტორი ამ უფლებას იყენებს, თუ გადახდისუუნარობის საქმის აღძვ-

რა მის ინტერესებში შედის, რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება. თუ გადახდისუუნარობის სუბიექტია საბანკო დაწესებულება, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანაზე უფლებამოსილია მხოლოდ ცენტრალური ბანკი (Gesetz über das Kreditwesen, §46 "ხ"). გარდა აღნიშნულისა, შემოხსენებული განცხადების შეტანა დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას, რომელთაგან ერთ-ერთი მინც უნდა იყოს სახეზე, ესენია:

- გადახდისუუნარობა (zahlungsunfähigkeit);
- გადახდისუუნარობის საშიშროება (rohende zahlungsunfähigkeit);
- ზედავალიანება (Ueberschuldung).

საფრანგეთის კანონმდებლობით, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა ხდება კრედიტორის ან მოვალის განცხადების საფუძველზე. სანარმოს ხელმძღვანელი გადახდისუუნარობის მომენტის დადგომიდან არაუგვიანეს 15 დღისა ვალდებულია განცხადებით მიმართოს სასამართლოს, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის მოთხოვნით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის კანონით გათვალისწინებულია ხელმძღვანელი პირის მატერიალური პასუხისმგებლობა. განსაკუთრებულ შემთხვევებში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა შესაძლებელია სასამართლოს, სანარმოს შრომითი კოლექტივის, სანარმოს ადმინისტრაციისა ან პროკურორის ინიციატივით.

დიდ ბრიტანეთში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის მოთხოვნის უფლება აქვს მოვალე კომპანიას ან მის დირექტორს, ან ნებისმიერ კრედიტორს (კრედიტორებს), ან კომპანიის პარტნიორს (პარტნიორებს), ან სასამართლოს (საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში).

გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ განცხადების შეტანის უფლება ასევე აქვთ:

- ცესიონერებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოთხოვნის უფლების დათმობა მოხდა კრედიტორის მოთხოვნის განხილვის პერიოდში;

- საინვესტიციო ობლიგაციის მფლობელს/მფლობელებს;
- ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნა არ არის გასაჩივრებული კომპანიის მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონი "გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ" ამომწურავად განსაზღვრავს გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლების მქონე პირთა წრეს (მუხ. 14).

პირი, რომელიც უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით შეიტანს გადახდისუნარობის შესახებ განცხადებას მოვალის მიმართ, პასუხს აგებს მოვალისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის.

მოვალე, კანონის შესაბამისად, უფლებამოსილია განცხადებით მოითხოვოს როგორც რეაბილიტაცია, ისე გაკოტრება.

სასამართლო გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შეტანიდან 5 დღის ვადაში (გარდა კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (მუხ. 19, პ. 1)).

გადახდისუნარობის საქმის კანონის შესაბამისად აღძვრისთანავე ინიშნება მეურვე, რომლის ფუნქციასაც ასრულებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. მეურვის უფლება-მოვალეობებია: განახორციელოს კონტროლი სანარმოს მართვასა და წარმომადგენლობაზე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში; განიხილოს და შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები; მოამზადოს მოხსენება მოვალის გადახდისუნარობის შესახებ და ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს იგი სასამართლოსა და

მომრიგებელ საბჭოს; მოამზადოს და ორგანიზაციულად უზრუნველყოს კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტის სხდომა თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში; მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს სასამართლოსა და მომრიგებელ საბჭოს ინფორმაცია გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე პროცედურების შესახებ; შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან; განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვასთან; ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლო ნებართვას გაცემს განჩინების ფორმით; დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დანყებისა და ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების შესახებ; თავისი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად დადოს ხელშეკრულებები და ისარგებლოს მესამე პირების მომსახურებით; კრედიტორთა პირველ კრებამდე მოიძიოს მოვალის ქონება; მოამზადოს დასკვნა მოვალის მოსაძიებელი ქონების შესახებ, რომლის არსებობაც დგინდება დოკუმენტური საფუძვლით, ასევე მოსაძიებელი ქონების მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ და აღნიშნული დასკვნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს კრედიტორთა კრებას და სხვა (მუხ. 26. პ.2).

2007 წლის კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაციაა – კოლეგიური ორგანო – მომრიგებელი საბჭო, რომელიც მხარეთა მიერ პარიტეტულ საწყისებზე არჩეული სამი წევრისაგან შედგება. ერთ წევრს ირჩევს მოვალე, მეორეს – კრედიტორები, მესამის შერჩევა ხდება მოვალისა და კრედიტორთა მიერ განწესებულ მომრიგებელთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მესამე წევრს ნიშნავს მოსამართლე (მუხ. 32).

მომრიგებელი საბჭო მოვალესა და კრედიტორს საშუალებას აძლევს აწარმოონ სასამართლოს გარეშე მოლაპარაკებები და მორიგების შედეგად შეძლონ ამ პროცედურის სწრაფად დასრულება. მომრიგებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის

საქმის განხილვის შედეგებზე (გაკოტრება, რეაბილიტაცია, საქმის შეწყვეტა).

ახალმა კანონმა ნათლად ჩამოაყალიბა გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) პროცესის მხარეები, ესენია:

- მოვალე, რომელიც წარმოდგენილია, როგორც სანარმო და სანარმოს მესაკუთრე (მესაკუთრენი);

- კრედიტორი/კრედიტორები, რომელთა მიმართ დადგინდა შემდეგი იერარქია: „ახალი“ კრედიტორი, უზრუნველყოფილი კრედიტორი და ჩვეულებრივი კრედიტორი (ზოგადად, კრედიტორი არის პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა)).

„ახალი“ კრედიტორის მოთხოვნაში კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით იგულისხმება გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან, მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები. ამ ტიპის ვალდებულებანი უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნებზე ადრე კმაყოფილდება. ეს იმითაა განპირობებული, რომ მათ მიერ განეული რისკი ყველაზე სერიოზულია, მათ „დახმარების ხელი“ გაუნოდეს სანარმოს, რომლის მიმართ უკვე დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან მეტიც, გაკოტრების საქმის წარმოება. ფაქტობრივად ისინი ფინანსურად ხელს უწყობენ სანარმოს, რომ არ გაკოტრდეს და გამოიყენოს კანონით დადგენილი რეაბილიტაციის შანსი ან, მიუხედავად გაკოტრების გარდაუვალობისა, ბოლომდე შეინარჩუნოს ეკონომიკური და სანარმოო მთლიანობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ვალდებულებათა შესრულება ყველაზე პრიორიტეტულია (საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასურის შემდგომ), რადგან თუ „ახალ“ კრედიტორს არ ექნება ფინანსური მოტივაცია და იმავდროულად გარანტირებული დაკმაყოფილების შანსი, პრაქტიკულად გამორიცხულია „ახალი“ კრედიტორის არსებობა.

რაც შეეხება უზრუნველყოფილ კრედიტორს, იმის გათვალისწინებით, რომ გაკოტრება ერთგვარი საფრთხეა ნებისმიერი კრედიტორისათვის, კანონი განამტკიცებს უზრუნველყოფილი კრედიტორის დაცვის შედარებით გარანტირებულ მექანიზმს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უაპელაციოდ აღიარებს უზრუნველყოფილ კრედიტორთა პრიორიტეტს, წარმოადგენს მათი დაცვის სპეციალურ მექანიზმს, აიოლებს აღსრულების პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო არაა, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი უნდა იდგეს ყველა სხვა კრედიტორზე მაღლა, გარდა ე.წ. "ახალი" კრედიტორისა.¹

ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ხდება უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ, კრედიტორთა კრებაზე.

კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე (იხ. მუხლები 27-31).

¹ რ. მიგრაიული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016. გვ. 46-53.

გადახდისუუნარობის შესახებ, განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან, კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად:

- მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;
- ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;
- ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღსრულება მალფუჭებადი ნივთის მიმართ ხორციელდება) და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. აღსრულების შედეგად ამოღებული თანხა სამეურვეო ქონებაში გადადის;
- იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა;
- საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით სანარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები;
- მიმდინარე სესხის ხელშეკრულების ფარგლებში სასესხო ვალდებულების აღება შესაძლებელია მხარეთა მიერ დამატებითი ნების გამოვლენის საფუძველზე, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით;

- გრძელდება მოვალის საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდება და ამ საქონლის/მომსახურების მოვალისთვის მიმწოდებელ პირს ეკრძალება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის საფუძვლით, იმ ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც ითვალისწინებს მოვალის სასარგებლოდ მისი საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდების დაწყებას ან/და გაგრძელებას, თუ მოვალე ასრულებს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს. აღნიშნულ პირს ხელშეკრულების ან საქონლის/მომსახურების მიწოდების შეწყვეტა შეუძლია მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ ამ პირის მიმართ არ შეასრულა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულება და მისი შეუსრულებლობიდან გასულია 14 სამუშაო დღეზე მეტი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტობრივად ხდება საქმის აღძვრის მომენტში არსებული სიტუაციის „გაყინვა“ და იწყება პროცესის შესწავლა.

აშშ-ის US Bankruptcy Code-ს XI თავის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოებაზე განცხადების შეტანა ავტომატურად იწვევს:

- მოვალისათვის ნებისმიერი არასასურველი ქმედების განხორციელების შეწყვეტას;
- იურიდიულ ფიქციას, რომელიც ცნობილია, როგორც “მოვალის ქონების საკონკურსო მასა”. მასში შედის მოვალის მთელი ქონება, რაც აქვს საქმის აღძვრის მომენტში.

აშშ-ში გაკოტრების მასის მმართველს ნიშნავს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი. იგი ასრულებს ქონების “მცველის”, შეერთებული შტატების მინდობილი მმართველის (Trustees of the United States) და ასევე პროცესზე მეთვალყურის ფუნქციებს. მისი უმთავრესი ვალდებულება მოვალის ქონების დაცვაა, რაც გულისხმობს, მაქსი-

მალურად შეინარჩუნოს ქონების პირვანდელი მდგომარეობა და არ დაუშვას მისი დაზიანება ან განადგურება. იგი უფლებამოსილია განკარგოს ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რაც მოვალეს სჭირდება "სიცოცხლის" უკანასკნელ ეტაპზე ან/და ოპერატიული საქმიანობის განსახორციელებლად.

გერმანული კანონმდებლობით, სასამართლო უფლებამოსილია გადახდისუუნარობის სუბიექტს დაუნიშნოს საკონკურსო მმართველი ან თავად საწარმოს შეუნარჩუნოს ქონების მართვის ფუნქცია და იმავდროულად დაუნიშნოს მეურვე (Sachwalter) (Insolvenzordnung §270). საკონკურსო მმართველი მართავს საკონკურსო მასას, რომელშიც ერთიანდება მოვალის როგორც აქტივები, ისე პასივები. საკონკურსო მმართველი ფიზიკური პირია, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება (იგულისხმება საწარმოს მართვის გამოცდილება) და დამოუკიდებელი იყოს კრედიტორისა და მოვალისაგან.

დიდ ბრიტანეთში მოვალის ქონებას მართავს ადმინისტრაციული მმართველი და ლიკვიდატორი. პირველი მართავს მოვალის ქონებას, მათ შორის უფლებამოსილია ამ ქონების განკარგვაზე, როგორც წესი, აუქციონის გზით. რაც შეეხება საკონკურსო მასის ლიკვიდატორს, მისი უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს კომპანიიდან აქტივების მაქსიმალური მიღება, მათი რეალიზაცია და ამონაგები თანხების კრედიტორებს შორის გადანაწილება. ლიკვიდატორის საქმიანობას აკონტროლებს სასამართლო. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია დაამტკიცოს, შეცვალოს ან შეაჩეროს ლიკვიდატორის ის გადაწყვეტილებები, რომლებზეც კრედიტორები წერილობით პრეტენზიას განაცხადებენ.

ლიკვიდატორს, სალიკვიდაციო კომისიის წევრებს, ასევე მათთან აფილირებულ პირებს ეკრძალებათ მოვალე კომპანიის აქტივების შექენა.

საქართველოს კანონით "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" განსაზღვრულია კრედიტორთა კრების ჩატარების ადგილი და კომპეტენცია, კერძოდ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე.

კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51% (იქვე, პუნქტი 4).

კენჭისყრის დროს, კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარი – 1 ხმა (დამრგვალება ხდება უმცირესისაკენ) (იქვე, პუნქტი 9).

მოვალის მიერ გადახდისუუნარობის განცხადებით გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების პროცესი.

კრედიტორთა პირველივე კრებაზე მონაწილეობა კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო.¹

გერმანული კანონმდებლობით, კრედიტორთა ინტერესების დამცველი კრედიტორთა კრება (Glaubigerversammlung) და კრედიტორთა კომიტეტი (Glaubigerausschuss). კრედიტორთა კრება სავალდებულო ორგანოა.

როგორც აღვნიშნე, საქმის არსებით გადაწყვეტას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს მომრიგებელი საბჭო ხმათა უმრავლესობით. მომრიგებლებს უფლება არა აქვთ თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან.

მომრიგებელი საბჭოს უფლებამოსილება წყდება გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, ხოლო რეაბილიტაციის შემთხვევაში – რეაბილიტაციის გეგმის განხილვისა და მონაწილეთაგან.

მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილება:

- ა) გაკოტრების შესახებ;
- ბ) რეაბილიტაციის შესახებ;
- გ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სამივე მომრიგებელი.

გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიშნება გაკოტრების მმართველი – მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) ფიზიკური ან იურიდიული პირი. გაკოტრების მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, რასაც მოვალე (თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტ-

¹ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი.

რების მმართველად სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს).

გაკოტრების მმართველი ახორციელებს სანარმოს მართვასა და წარმომადგენლობას გაკოტრების პროცესში. იგი აღჭურვილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით.

გაკოტრების პროცესი კრედიტორების ინტერესების დაცვასთან ერთად გულისხმობს მოვალის ინტერესების დაცვასაც. მისი მთავარი მიზანია სანარმოს ერთიანი კომპლექსის და მისი, როგორც ბაზრის მონაწილე სუბიექტის, შენარჩუნება.

გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტის სამეურვეო ქონების რეალიზაცია ხდება აუქციონის გზით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის მოვალეს და კრედიტორს.

აუქციონის ჯერადობასთან, ვადებსა და ჩატარების წესებთან დაკავშირებით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლიდან 2018 წლამდე არაერთი ცვლილება და დამატება შევიდა, დღეის მდგომარეობით კანონის 38-ე მუხლის თანახმად, პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის არჩევიდან ან დანიშენიდან 30-ე დღეს. სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის გაყიდვის მიზნით, დაუშვებელია პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა.

პირველი აუქციონის მიზანია:

- არ დაირღვეს გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტის სანარმოო მთლიანობა;

- მოზიდულ იქნეს მყიდველთა (ინვესტორთა) ის წრე, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული სანარმოს ორგანიზაციული და ეკონომიკური მთლიანობის შენარჩუნებით. იმის გამო, რომ ნებისმიერი სანარმო ცოცხალი ორგანიზმია და, გაკოტრების რეჟიმის მიუხედავად, მინიმუმ ერთი კონკრეტული ქვეყნის ბაზრის მონაწილე, უკეთესია თუ მოხდება მისი ერთიანობის შენარჩუნება, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ბაზრის სუბიექტთა შემადგენლობის სტაბილურობას;

- სუბიექტის მიმართ გადახდისუნარობის საქმის აღძვრა ხშირად არასწორი და ნარუმატებელი მენეჯმენტის ბრალია, ამიტომ სანარმოს, როგორც მთლიანი კონგლომერატის, გაყიდვა მყიდველს საშუალებას აძლევს სურვილის შემთხვევაში შეინარჩუნოს საქმიანობის პროფილი და გონივრული მენეჯმენტის განხორციელებით გაკოტრების რეჟიმში მყოფი სანარმო გადააქციოს რენტაბელურ და კონკურენტუნარიან სანარმოდ.

პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონების სანყისი ფასი განისაზღვრება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ამ ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ით. თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია და ქონების სანყისი ფასი კრედიტორთა მოთხოვნებზე ნაკლებია, ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნასაც ფარავს, მაგრამ არ აღემატება პირველ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების სანყისი ფასს, უფლება აქვს გაკოტრების მმართველს მოსთხოვოს ქონების საკუთრებაში გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში,

პირველი აუქციონის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის და არაუმეტეს 40 დღის ვადაში იმავე წესით ტარდება მეორე აუქციონი, ამასთან მიეთითება, რომ აუქციონი ტარდება მეორედ. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთიანი კომპლექსის სახით, ისე ნაწილ-ნაწილ. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ კრედიტორები ხმათა უმრავლესობით. ამ შემთხვევაში კრედიტორები თავად განსაზღვრავენ სამეურვეო ქონების თითოეული ლოტის საწყის ფასს. თუ კრედიტორები დათქმულ ვადაში ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულ საკითხზე, მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება გაიყიდება იმავე წესით, რა წესითაც ჩატარდა პირველი აუქციონი. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს ამ ქონების საბაზრო ღირებულების 25%-ს.

თუ სამეურვეო ქონება მეორე აუქციონზეც ვერ გაიყიდა ან მეორე აუქციონის ჩატარების შემდეგ დარჩა სამეურვეო ქონების ნაწილი, მეორე აუქციონის ჩატარებიდან არაუმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მესამე აუქციონი. მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო. მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. ამ უკანასკნელის მიზანია, რომ სამეურვეო ქონება აუცილებლად გაიყიდოს.

თუ სამეურვეო ქონება მესამე აუქციონზეც ვერ გაიყიდა ან მისი ჩატარების შემდეგ დარჩა სამეურვეო ქონების ნაწილი, აღსრულების ეროვნული ბიურო ელექტრონულ სისტემაში გამოაქვეყნებს ამ ქონების კრედიტორებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის შეთავაზებას.¹

¹ ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/1250, რომლის საფუძველზეც "გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 112 პუნქტის მე-6 წინადადება მიჩნეული იქნა არაკონსტიტუციურად და საკუთრების უფლების არათანაბარზომიერად შემზღვევლად, შესაბამისად, რედაქცია – მესამე აუქციონის მერე დარჩენილ „ქონებაზე დადგენილ ვადაში ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ გაცხადებას არცერთი კრედიტორი არ წარადგენს, ქონება მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში" – შეიცვალა რედაქციით – მესამე აუქციონის მერე დარჩენილ ქონებაზე „აღსრულების ეროვნული ბიურო ელექტრონულ სისტემაში გამოაქვეყნებს ამ ქონების კრედიტორებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის შეთავაზებას....."

კერძო სამართლის სამენარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) სურვილისამებრ შესაძლოა დარეგისტრირდეს ამ სანარმოს ერთადერთ პარტნიორად. საკუთრების უფლების გადასვლის შედეგად სანარმო ახალ შემძენზე დაუტვირთავი და ვალებისაგან თავისუფალი გადადის.

არ არის გამორიცხული, რომ გაკოტრების ობიექტის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მისი საქმიანობის შეჩერებამ საფრთხე შეუქმნას ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს (მაგალითად, კლინიკები, ენერგო და თბორესურსების მიმწოდებელი კომპანიები და სხვა). ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი ადგენს: თუ სანარმოს საქმიანობის შეჩერება საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს და შეუძლებელია სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა ან აუქციონის კანონით დადგენილ ვადაში ჩატარება გამოიწვევს გასაყიდი ქონების ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას, აუქციონის ჩატარების ვადის გონივრული შემცირება და სამეურვეო ქონების დაჩქარებული წესით გაყიდვა შესაძლებელია სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, პოტენციური მყიდველების ინფორმირებისა და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის პირობით. ეს გადაწყვეტილება განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.¹

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელმაც ასევე არაერთხელ განიცადა ცვლილება და დღეის მდგომარეობით კანონის მე-40 მუხლის

¹ "გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად: აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, რის შემდეგაც აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, იგი კარგავს აუქციონის ჩატარების დღეს გარანტიის სახით წარმოდგენილ თანხას, რომელიც მიექცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას ჩატარებული აუქციონის შედეგის გაუქმების შესახებ და მისი გამოცემიდან 10 დღის ვადაში ატარებს ხელახალ აუქციონს, რომელიც არ ჩაითვლება განმეორებით აუქციონად.

პირველი პუნქტი განსაზღვრავს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ რიგითობას:

პირველი რიგი – საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური;

მეორე რიგი – გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმობაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის გაკოტრების საქმის წარმოების დანყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;

მესამე რიგი – მეურვის დანიშვნასა და მის მიერ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

მეოთხე რიგი – ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

მეხუთე რიგი – საგადასახადო დავალიანებები, გარდა კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

მეექვსე რიგი – ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;

მეშვიდე რიგი – დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით (ერთხმად) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამონაკლისია კანონის 46-ე მუხლის მე-5¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა (იქვე, პუნქტი 2).

გერმანული კანონმდებლობით, კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება შემდეგი რიგითობით:

1. მოთხოვნები ქონებიდან გამოყოფის შესახებ (Aussonderung);
2. უზრუნველყოფილი კრედიტორები (Absonderung);
3. პირველი რიგის კრედიტორები (Masseverbindlichkeiten) (პროცედურული ხარჯები, საკონკურსო მმართველის ხარჯები);

4. ჩვეულებრივი კრედიტორები (Insolvenzverbindlichkeiten) (იგულისხმება ყველა ის კრედიტორი, რომელიც არ მოხვდა პირველ, მეორე და მესამე რიგში);

5. ე.წ. მეორეხარისხოვანი კრედიტორები (Nachrangige Insolvenzverbindlichkeiten). მოთხოვნათა განსაზღვრული ნაწილი ითვლება მეორეხარისხოვნად, ჩვეულებრივ კრედიტორთა მოთხოვნებთან მიმართებაში. მათ მიეკუთვნება: ჩვეულებრივ კრედიტორთა მოთხოვნების საპროცენტო ანარიცხი, გაკოტრების პროცედურასთან დაკავშირებული მოვალის ხარჯები, სახელმწიფო ორგანოების ან/და სასამართლოს მიერ დაწესებული საჯარიმო სანქციები, აქციონერთა მიერ გაცემული კრედიტები და სხვა.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილდება ხდება შემდეგი რიგითობით:

1. უზრუნველყოფილი კრედიტორები;
2. ლიკვიდაციის პროცესის ხარჯები;
3. უპირატესობის მქონე კრედიტორები;
4. იმ უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნები, რომელთა სასარგებლოდ დატვირთული ქონების გამოცალკეება შეუძლებელია;
5. არაუზრუნველყოფილი კრედიტორები;
6. მოთხოვნების დაგვიანებით წარმდგენი კრედიტორები.

უზრუნველყოფილი კრედიტორები უფლებამოსილი არიან ქონების საერთო მასიდან გამოყონ უზრუნველყოფის საგანი და არ მიიღონ მონაწილეობა კომპანიის ლიკვიდაციაში ან გაყიდონ უზრუნველყოფის საგანი, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა და მოვალეს მოსთხოვონ მხოლოდ დარჩენილი (თუ ასეთი არსებობს) ვალის დაფარვა, ან, უბრალოდ, პირველ რიგში, მოითხოვონ დაკმაყოფილება. როგორც წესი, უზრუნველყოფილი კრედიტორები ყიდვიან უზრუნველყოფის საგანს და ლიკვიდაციის პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ დარჩენილი ვალის მოთხოვნის უფლებით. თუ გასანაწილებელი თანხა არ არის საკმარისი ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის პროპორციულად.

რაც შეეხება რეაბილიტაციას, მისი მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესით და პირობებით, ეტაპობრივად სრული დაკმაყოფილება, მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი ფინანსური სიძნელეების დაძლევა და, საქმიანობის გაგრძელების გზით, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრედიტორები თავად არიან დანტერესებული თუ არსებობს სანარმოს გადარჩენის შანსი, რომ მხარი დაუჭირონ მის რეაბილიტაციას. რეაბილიტაციის დროს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესი მართალია განგრძობადი ხასიათისაა, თუმცა უფრო მეტად გარანტირებული.¹

რეაბილიტაციის პროცესს მართავს კრედიტორების მიერ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველი, რომელიც უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, რასაც მოვალე.

რეაბილიტაციის დროს დგება იმ რეაბილიტაციის გეგმა, რასაც კრედიტორები, რეალური პოტენციალის გათვალისწინებით, ავალებენ მოვალეს, კრედიტორს (კრედიტორთა ჯგუფს), რეაბილიტაციის მმართველს ან დასახელებულ სუბიექტთაგან ქმნიან შერეული სამუშაო ჯგუფს.

რეაბილიტაციის გეგმას სავალდებულო წესით განიხილავს მომრიგებელი საბჭო 10 დღის ვადაში. კანონის შესაბამისად, გეგმის განხილვისას საბჭო კონსულტაციებს აწარმოებს კრედიტორებთან, მოვალესა და რეაბილიტაციის მმართველთან. კონსულტაციების დროს შესაძლებელია გეგმაში ცვლილებების შეტანა (მუხ. 46). მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად საჭიროა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა. თუ რომელიმე უზრუნველყოფილი კრედიტორი არ ეთანხმება რეაბილიტა-

¹ იმავე შინაარსის ინსტიტუტს იცნობს ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც. მაგალითად, გერმანიაში არსებობს ე.წ. მორიგება (Vergleich), რაც გამოიხატება კრედიტორებსა და მოვალეს შორის დადებულ სამომრიგებლო ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების საგანია მოთხოვნის გადავადება და მოვალის გათავისუფლება ვალების ნაწილისაგან, მიზანი - დაიხსნას მოვალე გაკოტრებისაგან.

ციის გეგმის დამტკიცებას, დანარჩენი უზრუნველყოფილი კრედიტორები უფლებამოსილი არიან, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შესთავაზონ მას ერთ-ერთი შემდეგი წინადადება:

ა) უზრუნველყოფილი ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოყოფა, რეალიზაცია და ამონაგები თანხიდან დაკმაყოფილება;

ბ) ვალის გამოსყიდვა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის მონაცემების შესაბამისად (მუხ. 47. პ.პ. 1; 2).

თუ არც ერთი უზრუნველყოფილი კრედიტორი არ ეთანხმება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, დანარჩენები უფლებამოსილი არიან, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შესთავაზონ მას ერთ-ერთი შემდეგი წინადადება:

ა) უზრუნველყოფილი ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოყოფა, რეალიზაცია და ამონაგები თანხიდან დაკმაყოფილება;

ბ) ვალის გამოსყიდვა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის მონაცემების შესაბამისად (მუხ. 47. პ. 4).

რეაბილიტაციის პროცესი სრულდება რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისთანავე. გეგმის განხორციელებაზე, თავის მხრივ, პასუხისმგებელია რეაბილიტაციის მმართველი.

**სამენარმეო საქმიანობის კონტროლი.
პასუხისმგებლობის ზოგადი
დახასიათება**

სამენარმეო საქმიანობა, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად თავისუფალია, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლებასაც აქვს ფარგლები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფო აწესებს გარკვეულ კონტროლს სამენარმეო საქმიანობაზე.

სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით მონესრიგებულ სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობას, რომლის მიზანია მენარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მენარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება ("სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი. მუხ. 2, პ.1, "ბ" ქვეპუნქტი).

მენარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს საგადასახადო ორგანოები, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახური (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო ურთიერთობებისა) (იქვე, მუხ 2, პ. 2).

"სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სამენარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მენარმის სამენარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს.

მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამენარმეო საქმიანობა (შევიდეს სანარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს სანარმოს საქმიანობა, დააღუპოს მენარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს სანარმო, შეამოწმოს მენარმის მიერ გამოშვებული ნანარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. მოსამართლე ბრძანებას მენარმის საქმიანობის შემომგების შესახებ გაცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას ნარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით, მენარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს მენარმე მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც არსებობს მოსამართლის ბრძანება.

წარმოდგენილი რეგულაციიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ იმავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის ბრძანების არსებობა არ არის აუცილებელი, საგადასახადო ორგანოების მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებზე.¹

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე ცნობილია შიდაკორპორაციული კონტროლი, რომელიც მენეჯმენტის დონეზე ხორციელდება.² კორპორაციული კონტროლის ურთიერთობა არის მენეჯმენტს, პარტნიორს/აქციონერსა და კორპორაციას შორის ფიდუციური კავშირი.³ აქციონერი არის პასიური ინვესტორი, რომელსაც კომპანიის მიმართ აქვს ფინანსური და არა მენეჯერული ინტერესი. შესაბამისად, აქციონერი „ქირაობს“ წარმომადგენელს აღმასრულებელი ორგანოს სახით, რომელიც მის მიერ დაბანდებულ კაპიტალს ყოველდღიურ ოპერაციულ ორგანიზებასა და კონტროლს გაუწევს.⁴ კორ-

¹ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin-2010-01-uni.pdf>

² ი. დვალაძე, გ. მახარობლიშვილი. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი). 2016. გვ. 58-64.

³ Bayne. The Philosophy of Corporate Control. 1986, P. 99.

⁴ Posner. The Economic Analysis of Law. 2007, P. 410; Fletcher. Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, rev. ed. vol. 5. 2011. P. 482.

პორაციულ სამართალში ასევე გამოიყენება „კონტროლის კონტროლის“ მექანიზმი, რომელიც გამოიხატება შემდეგში:¹

1. მესაკუთრეთა მიერ მონიტორინგის განხორციელება ინფორმირებულობის საფუძველზე, რომელიც კონკრეტულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.² საკუთრების ოპერაციული მართვის, ბიზნესგეგმებისა და სტრატეგიების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აქციონერთა უმნიშვნელოვანესი საკონტროლო ბერკეტია;

2. მართვის სტრატეგია, რომელიც აქციონერისთვის იძლევა მენეჯმენტის საქმიანობის კონტროლის ბაზისს და ცენტრალიზებული მენეჯმენტის ფორმირების კორპორაციული უფლებაა. ფორმირების უფლების გამოყენება სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორატის ნევრთა არჩევა-დანიშნისა და მათი გათავისუფლების მექანიზმის საშუალებით ხორციელდება.³

3. აქციონერთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაში პირდაპირი მონაწილეობის უფლება ან გადასანყვეტი საკითხის დაბლოკვა კორპორაციის ფუნდამენტური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემზღვეველი და, შესაბამისად, კონტროლირებადი ფაქტორია.⁴

(2016 წლის 8 ივნისს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კანონის მე-13 და 13¹ მუხლები ეძღვნება სანარმოთა ბუღალტრულ აღრიცხვას, ანგარიშგებასა და აუდიტს, რომელიც თავის მხრივ ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. წარმოდგენილი რეგულაცია უზრუნველყოფს მისი რეგულაციის სფეროში მოქცეულ სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების პროცესის, ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის, შიდა აუდიტის ეფექტიანობის ზედამხედველობასა და სხვა).

¹ გ. მახარობლიშვილი. კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე“. სადისერტაციო ნაშრომი. 2014. გვ. 71-76.

² Hansmann. Ownership of the Firm. 1991, P. 290.

³ Armour. Gordon. The Berle-Means Corporation in 21st Century. 2008. P. 10-11.

⁴ Hansmann. Ownership of the Firm. 1991. P. 290.

რაც შეეხება პასუხისმგებლობას, იგი წარმოიშობა სამენარმეო საქმიანობის პრინციპების („მენარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად) და ნებისმიერი სამართალდარღვევის შემთხვევაში, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სამენარმეო ურთიერთობებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, ზოგჯერ საჯარო-სამართლებრივი ნორმებიც გამოიყენება (კერძოდ, სისხლის სამართლის, საგადასახადო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და სხვა).

სამენარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა პირობითად საგარეო და შიგა პასუხისმგებლობას გულისხმობს. პირველი ნიშნავს, რომ სანარმო, როგორც სამენარმეო სამართლის სუბიექტი, პასუხს აგებს კრედიტორებისა და მესამე პირების წინაშე. რაც შეეხება სანარმოს შიგნით პასუხისმგებლობას, იგულისხმება პარტნიორთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ, ასევე სანარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სამენარმეო სამართალი იცნობს ინდივიდუალურ, სოლიდარულ და სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.

პასუხისმგებლობის საკითხი ყველაზე მარტივად ინდივიდუალური მენარმის მიმართ წყდება. იგი სამენარმეო ურთიერთობებში ფიზიკური პირის სახელით მონაწილეობს, ამიტომ ინდივიდუალური მენარმე, სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, პირადად აგებს პასუხს კრედიტორთა წინაშე, მთელი თავისი ქონებით. ამ შემთხვევაში ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც ინდივიდუალური მენარმე პასუხს აგებს, აუცილებლად მის მიერ განხორციელებული სამენარმეო ხასიათის საქმიანობიდან უნდა მომდინარეობდეს.

განსხვავებულია ამხანაგობისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა პასუხისმგებლობის საკითხი. ამხანაგობის ტიპის სანარმოთა პარტნიორები (გარდა კომანდიტისა) მენარმე სუბიექტის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თა-

ნახმად, პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.¹

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათა შექმნა ყოველთვის პარტნიორთა ურთიერთნდობის საფუძველზეა აგებული. კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს არა ყველა პარტნიორს ერთად, არამედ სოლიდარულ პარტნიორთაგან ერთ-ერთს (ლოგიკურია, რომ ეს იქნება ნებისმიერი პარტნიორი, რომელიც კრედიტორს ყველაზე უფრო გადახდისუნარიანად მიაჩნია). კრედიტორის მიერ ერთ-ერთი პარტნიორისადმი წარდგენილი მოთხოვნა შეიძლება მოიცავდეს ვალდებულების შესრულებას როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. საგულისხმოა, რომ ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

პრაქტიკული დავების გათვალისწინებით ისმის კითხვა: სპს-ის კრედიტორს აქვს თუ არა უფლება მოთხოვნა პირდაპირ წაუყენოს ამხანაგობის წევრ-პარტნიორს (საზოგადოებისადმი მოთხოვნის წარდგენამდე), თუ ეს მოთხოვნა ჯერ საზოგადოების მიმართ უნდა იქნეს წარდგენილი? კრედიტორის მოთხოვნას პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სუბიექტი – იურიდიული პირი (სპს) უპირისპირდება, ამიტომ მისი ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უშედეგო მცდელობის შემდგომ შეიძლება მოთხოვნის მიქცევა საზოგადოების პარტნიორის პირად ქონებაზე. სპს-ის წევრ-პარტნიორთა პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ერთგვარად სუბსიდურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს კრედიტორს უარი უნდა ეთქვას კონკრეტული პარტნიორის მიმართ წარდგენილ სარჩელზე მანამ, სანამ სარჩელი მენარმე სუბიექტის, როგორც სამართალურთიერთობის, მიმართ არ იქნება წაყენებული.

იმისათვის, რომ სპს-ის პარტნიორს საზოგადოების კრედიტორთა წინაშე დაეკისროს პასუხისმგებლობა, აუცილებელია სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, კერძოდ სახეზე უნდა იყოს საზოგადოების ვალდებულება ამ კრედიტორის წინაშე. მაშასადამე, პარტნიორის პასუხისმგებლობის მოვალეობა დამოკიდებულია "ძირითადი მოვალის" – მენარმე სუბიექტის ვალდებულებ

¹ პარტნიორის მთელ ქონებაში იგულისხმება პირის საკუთრებაში არსებული ქონება; წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან; სხვა საწარმოში არსებული წილები და ა.შ.

ბის არსებობაზე. ამის მიხედვით განისაზღვრება პარტნიორის შე-
საბამისი ვალდებულების შინაარსი და ფარგლები.

ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრუ-
ლება ათავისუფლებს დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს
კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მი-
მართ (სსკ მუხ. 467).

სპს-ის პარტნიორს და კს-ის კომპლემენტარ პარტნიორს, რო-
მელმაც მთლიანად შეასრულა ვალდებულება, უჩნდება რეგრესუ-
ლი მოთხოვნის უფლება დანარჩენ პარტნიორთა მიმართ. თუ მოვა-
ლეთა პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა შეუძლებელია,
ისინი ერთმანეთის მიმართ თანაბარი წილით აგებენ პასუხს (სსკ
მუხ. 473). თუ ერთ-ერთი პარტნიორი რეგრესულ მოთხოვნას ვერ
აკმაყოფილებს, მისი წილი ვალდებულების შესრულება დანარჩენ
წევრ-პარტნიორებს თანაბრად ეკისრებათ, თუ პარტნიორთა შო-
რის სხვა რას არ არის შეთანხმებული.

სპს-სა და კს-ის კომპლემენტარი პარტნიორი, რომელიც გასუ-
ლია საზოგადოების შემადგენლობიდან, პასუხისმგებელია იმ ვალ-
დებულებებზე, რომელიც საზოგადოებამ იკისრა მისი პარტნიორად
ყოფნის პერიოდში.

სპს-ის პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი
და მისი თანმხლები უფლება-მოვალეობანი გადადის მემკვიდრეებ-
ზე (თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით ან თუ
ყველა პარტნიორი თანახმაა).¹

კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა პასუხისმგებლობა შეზღუ-
დული ფორმისაა. თვით საზოგადოება კრედიტორთა და მესამე პირ-
თა წინაშე პასუხისმგებელია მთელი თავის ქონებით, ხოლო პარტნი-
ორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე,
გარდა კანონით დადგენილი შემთხვევისა. ამ მხრივ კს-ის კომან-
დიტთა პასუხისმგებლობა მოცულობით გათანაბრებულია კაპიტა-
ლური ტიპის საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან.

¹ კონტინენტური ევროპის სამართლისაგან განსხვავებით, საერთო სამართლის ქვეყ-
ნების კანონმდებლობა ამხანაგობის ტიპის კომპანიათა მიმართ ადგენს, რომ partner-
ship-ის პარტნიორებს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების დარღვე-
ვისას ეკისრებათ წილობრივი (და არა სოლიდარული) პასუხისმგებლობა; ხოლო თუ
პასუხისმგებლობის საკითხი დადგება დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინა-
რე, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებით, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვა ხშირად ბოროტად გამოიყენებოდა პარტნიორების მხრიდან, სწორედ ამიტომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომელმაც დაადგინა: თუ კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად (მუხ. 3, პ.6). პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის წესი გამომდინარეობს „კორპორაციული საფარვლის გაჭოლის“ ან სხვაგვარად – „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინიდან. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ მას არ შეუძლია მისი შესრულება. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, პრეტენზიას წარუდგენს კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმომობილი ვალდებულებებისათვის.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით სამოსამართლო სამართალმა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კომპანია წარმო-

ადგენს პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ-
ეგოს“ ან „ფიქციას“.¹

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ
გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადეკვატური კაპიტა-
ლიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის
არაადეკვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგე-
ნილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართვე-
ლოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსე-
ბობს). არაადეკვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა,
როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის
საქმიანობისთვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის
ბიზნესსაქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულის-
ხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-
სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადეკვატური კაპიტალიზაციის“
ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკ-
რულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტ-
ნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელე-
მენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. მაგალი-
თად, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა,
როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზ-
ნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად
ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით ან როცა არ ხდე-
ბა სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბა-
მისი დოკუმენტაციის წარმოება.²

2015 წელს საქათველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კომპანიის
საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორების
პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე, სადაც აღნიშნა: საგადასახადო
ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოი-

¹ Melvin Aron Eisenberg. Corporations and Other Business Organizations. Cases and Materials.
at 220-257. Foundation Press (9th ed. 2005)

² საქმე №ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წელი.

ყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდებისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც სწორედ ამ მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტი“.¹ ფაქტობრივად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას. აქვე მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.²

თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მათ დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადონ შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედი პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე (მუხ. 3, პ. 8).

გერმანიაში მმართველი ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობა შპს-ის ფენომენად მიიჩნევა. გერმანიაში შპს არის საზოგადოების ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება გაკოტრების მსხვერპლი. ყველა გაკოტრებული საწარმოს 2/3-ს სწორედ შპს-ები შეადგენს და ეს მაშინ, როცა არსებული საწარმოების მხოლოდ 1/5-ს აქვს ამგვარი სამართლებრივი ფორმა. თუმცა არსებობს სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევები, როდესაც დგება მმართველი ორგანოს წევრთა პასუხისმგებლობის სა-

¹ წარმოდგენილ საქმეზე (№ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წ.) საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამწარმოო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Fastrich in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20. Aufl., §13, Rn.45; Wiedmann ZGR 2003, 283, 288; BGH GmbHR 1986, S.78; BGH GmbHR 1994, S.390; BGH GmbHR 2006, S.426; BGH GmbHR 2007, S.927; Bayer/Lutter in Lutter/Hommelhoff GmbHG Komm., 18. Aufl. §13, Rn.19; BGH GmbHR 2008, S.805; Altmeyen ZIP 2008, S.1205f; Heeg/Manthey GmbHR 2008, S.800f; Altmeyen in Roth/Altmeyen GmbHG Komm. 7. Aufl., §13, Rn.149; Altmeyen, Abschied von Durchgriff in "Kapitalgesellschaft" NJW 2007, s.2657; BGH GmbHR 2007, S.927; Liebischer in MUKo zum GmbHG Anh. §13, Rn.593.

² საქმე №ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წელი და საქმე №ას-1158-1104-2014 06 მაისი, 2015 წელი.

კითხი საზოგადოების კრედიტორთა წინაშე. ყველა ეს შემთხვევა საზოგადოების გაკოტრებასთანაა დაკავშირებული.¹

მესამე პირთა წინაშე მმართველი ორგანოების წევრთა პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი მეტად მრავალფეროვანი და ფართოა. საზოგადოების ხელმძღვანელობის წევრებმა სანარმოო საქმიანობით შეიძლება დაარღვიონ კანონით, წესდებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

პასუხისმგებლობა საზოგადოების შიგნით გულისხმობს, უპირველესად, პარტნიორთა პასუხისმგებლობას, რაც გამონვეულია პარტნიორის მიერ მასზე კანონით ან/და წესდებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, ასევე დირექტორთა პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.²

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თუ ისინი ამ მოვალეობას არ შეასრულებენ, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგა-

¹ უ. შტაინი. მმართველი ორგანოების წევრთა გარე პასუხისმგებლობა. მეორე გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. თბ., 2003.

² მაგალითისთვის იხილეთ სასამართლოს გადაწყვეტილებები:

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n78-mnishvelovani-ganmarteba.pdf>; ასევე, სუსგ სამოქალაქო-სამენარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე. 2011. #10.

დოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად. ზემოაღნიშნულ პირებს პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის რაოდენობა და გადახდის წესი ხელშეკრულებით განისაზღვრება.

საწარმოთა დირექტორებზე, სპს-ის პარტნიორებსა და კს-ის კომპლემენტარ პარტნიორებზე ვრცელდება კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი), რაც გულისხმობს, რომ მათ არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე აწარმოონ იგივე საქმიანობა, რასაც თავად საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებებში, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. სპს-სა და კს-ში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა საერთო კრებას, ხოლო შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც დირექტორებს ნიშნავს.¹

საზოგადოების დირექტორთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. კონკრეტულ შემთხვევებში მასზე შეიძლება გავრცელდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, საგადასახადო-სამართლებრივი, დისციპლინარული, მატერიალური და სისხლისსამართლებრივი სანქციები.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში (1999 წლის 9 ივნისის ცვლილების შედეგად) დირექტორების პასუხისმგებლობის გვერდით ადგილი დაიმკვიდრა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პასუხისმგებლობამ. კანონში არ აღინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ყოფნისთვის საჭირო ცოდნისა და შესაბამისი გამოცდი-

¹ საწარმოს დირექტორთა ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს და მათი დარღვევის შედეგებს იზიარებს დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ხელმძღვანელობს 1925 წ. "City Equitable. Fire Insurance Co. Ltd"-ის საქმეზე დადგენილი პრინციპით.

ლების არსებობის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი რეკომენდაციას იძლევა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანდიდატურების წამოყენებისას ყურადღება მიექცეს მათ კვალიფიკაციასა და ჩვევებს. კერძოდ, უნდა შეეძლოს პრობლემათა ჯეროვანი და ოპერატიული გადაწყვეტა, უნდა ჰქონდეთ მენეჯმენტული გამოცდილება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ეკისრება მკაცრი პირადი პასუხისმგებლობა. ბრალეულობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთიც მათვე აწევთ. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პირადად, მთელი თავისი ქონებით – წევრთა სიმრავლისას – სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე. ამასთან, საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

სანარმოს შიგნით პარტნიორთა ურთიერთობა ერთდროულად კორპორაციულ-სამართლებრივი ურთიერთობაცაა და ვალდებულებით სამართლებრივიც. ევროპულ დოქტრინაში აღიარებულია, რომ საზოგადოების მიზნის დაცვა თითოეული პარტნიორის სტატუსიდან გამომდინარეობს და კორპორაციის ყოველი წევრის საზრუნავს წარმოადგენს.¹ ზოგადად, ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ამ ტიპის ურთიერთობაში შეიძლება იყოს კანონი ან პარტნიორთა შეთანხმება.² აღნიშნულ ვალდებულებათა დარღვევა ან არშესრულება თავისთავად წარმოშობს პარტნიორის პასუხისმგებლობას.

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე ცნობილია პარტნიორთა ე.წ. დამატებითი მოვალეობები, რაშიც იგულისხმება პარტნიორთა კეთილსინდისიერება და ფიდუციური მოვალეობების დაცვა. თუ ფიდუციური უფლების დარღვევა მიმართულია უშუალოდ საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ, ეს შესაძლოა გახდეს პარტნიორის საზო-

¹ ი. ბურდული შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-დან პარტნიორის გარიცხვის შესახებ. „სამართლის ჟურნალი“ №1-2, 2010. გვ. 23.

² პარტნიორის გარიცხვის წინაპირობებზე, პროცედურასა და შედეგებზე, დაწერილებით იხილეთ: ნ. ზუბიტაშვილი. პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. საკორპორაციო სამართლის კრებული I, 2014. გვ. 195-268.

გადოებიდან გარიცხვის საფუძველი.¹ ქართული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, პარტნიორის გარიცხვის საფუძველია გასარიცხი პარტნიორის მხრიდან საზოგადოების ინტერესების აშკარად სანინალმდეგო ქმედება, თუმცა ქართული სასამართლო პრაქტიკა არ მიჯნავს კონკრეტულ ფიდეუციურ მოვალეობებს და შემოიფარგლება ქმედების ზოგადი კეთილსინდისიერების სტანდარტით შეფასებით. როცა მოსარჩელე (საზოგადოება) აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება შეუძლებელია, მაგრამ ვერ ადასტურებს მოპასუხის (გასარიცხი პარტნიორის) მიერ კონკრეტული ვალდებულების დარღვევას, საქართველოს სასამართლოები, როგორც წესი, პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ. აღნიშნულზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის თანახმად, პარტნიორებს შორის პიროვნული კონფლიქტის არსებობისას მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ წარმომადგენლობა და ამ გზით განაგრძონ ერთობლივი საქმიანობა.²

პარტნიორის მიერ შესატანის განუხორციელებლობა ისევე, როგორც ფიდეუციური მოვალეობის დარღვევა პარტნიორის გარიცხვის მატერიალური წინაპირობაა. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ არის პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთი შემთხვევა, კერძოდ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ის შემთხვევაა, როცა პარტნიორთა გადაწყვეტილებას, საზოგადოების შემადგებლობიდან პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, არ სჭირდება სასამართლო გადაწყვეტილებით „დადასტურება“, ის ძალაშია გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და მოით-

¹ Puala J. Dalley. The Law of Partner Expulsions: Fiduciary Duty and Good Faith. *Cardozo Law Review*. 1999 [Vol 21-181]. P. 193.

² სუს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება №ას-1075-1245-08 შპს „არგო“-ს საქმეზე.

ბოეს ამ ფაქტის მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციას.¹ პარტნიორის გარიცხვის სხვა საფუძვლებს კანონი არ განიხილავს. ვეთანხმები ავტორის მსჯელობას, რომ კანონის ზოგადი, ერთი შეხედვით, ბუნდოვანი საკანონმდებლო დანაწესის დაზუსტება სასამართლო პრაქტიკის საქმეა. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების კონკრეტული ფაქტობრივი შედეგნილობა.²

მაგალითისთვის, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პარტნიორთან შეუძლებელია საზოგადოების შემდგომი საქმიანობის გაგრძელება. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა უდევს საფუძვლად პარტნიორთა უნდობლობას, რაც შეუძლებელს გახდის მათი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებას. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს პარტნიორის კანონსაწინააღმდეგო და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება“.³ აქვე, კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება: „საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უკიდურესი ღონისძიებაა, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ეფუძნება გასარიცხი პარტნიორის კანონისა და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედებას. დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის საზოგადოების წევრი და ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას, არ უნდა გაირიცხოს საზოგადოებიდან, იმის გამო, რომ მის მიმართ წამოყებული პრეტენზიები ემყარება საზოგადოების ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობათა არასწორად განხორციელებას, რაც პარტნიორის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში

¹ ქ. ქოქრაშვილი, ლ. გორგაძე. საწარმოს პარტნიორის გარიცხვის პრობლემა ქართულ საკორპორაციო სამართალში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ – პროგრამის კრებული I. 2017.

² გ. ჯულელი. აქციონერთა პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისთვის – კორპორაციული საფარეოს დარღვევა. თბილისი: 2015. გვ. 3.

³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინება საქმე-ზე №2ბ/-545-11.

საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებაზე არ მეტყველებს. შესაბამისად, აღნიშნული ვერ გახდება მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძველი".¹ ცხადია, გადანყვევტილების ტექსტი ზოგადია, თუმცა თითოეული ასეთი შემთხვევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან კონკრეტულ შეფასებასა და ინდივიდუალურ განხილვას.

საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეგვიძლია ერთგვარად დავაჯგუფოთ პარტნიორობა შემადგენლობიდან პირის გარიცხვის ძირითადი საფუძვლები:

- თუ პარტნიორმა განზრახი ქმედებით მიაყენა საწარმოს არსებითი ზიანი (მაგალითად, პარტნიორთა საერთო კრების ოქმის გაყალბება; კომერციული საიდუმლოების გათქმა; საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციის გავრცელება, მისთვის ზიანის მიყენების მიზნით; თუ პარტნიორი იმავდროულად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია და დადო საწარმოსთვის ზიანის მომტანი ხელშეკრულება);
- თუ პარტნიორი სისტემატურად, არასაპატიო მიზეზით არ ესწრება პარტნიორობა საერთო კრებებს, რითაც ხელს უშლის საზოგადოების საქმიანობას (მაგალითად, იმის გამო, რომ პარტნიორი სისტემატურად არ ესწრებოდა პარტნიორობა საერთო კრებას, საზოგადოებამ ვერ მოახერხა წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, რამაც საზოგადოებას მიაყენა ზიანი, თუმცა უნდა აღინიშნოს გამონაკლისი – თუ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება ვერ მოხერხდა არა მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული პარტნიორის დაუსწრებლობის გამო, არამედ მასთან ერთად სხვა პარტნიორების დაუსწრებლობის მიზეზითაც, მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო ერთი კონკრეტული პარტნიორის გარიცხვა ვერ მოხდება);
- თუ პარტნიორი მუდმივად და ამასთან უსაფუძვლოდ მიმართავს სხვადასხვა სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებს მოთხოვნით, რომ შეამონმონ საწარმოს საქმიანობა და ამით

¹ <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამონმებული, 30.01.2017.).

ართულებს სანარმოს ნორმალურ საქმიანობას. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარტნიორმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ საჩივარში მითითებული საფუძველი არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

ამ თვალსაზრისით, ხშირია პრობლემები უცხოეთის კანონმდებლობაშიც, თუმცა პრაქტიკა იქ შედარებით უხვია, რაც ხელს უწყობს „ცარიელი სივრცის“ შევსებას. შედარებითი ანალიზის მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის, აშშ-სა¹ და დიდი ბრიტანეთის² კანონმდებლობა და, შესაბამისად, პრაქტიკა, მეტ-ნაკლებად განსხვავებულად არეგულირებს კომპანიის/საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხს. მაგალითად, გერმანიაში პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი „სანქციაა“ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება, რის თაობაზეც გადამწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება 3/4 ხმით. გარიცხვის შესახებ სარჩელს აღძრავს საზოგადოება დირექტორის წარმომადგენლობით. სასამართლო, პირველ რიგში, ამონიშნავს გარიცხვის საფუძვლის სიმძიმეს, მნიშვნელობასა და ობიექტურობას, ასევე გარიცხვის როგორც „სანქციის“ გამოყენების აუცილებლობას. პარტნიორი გარიცხულად ითვლება სასამართლოს გადამწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.³

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ GmbH „Triotel“-ის საქმეზე განმარტა: „პარტნიორი ვალდებულია სანარმოს ვალებისთვის პირადად აგოს პასუხი, თუ უგულებელყოფს სანარმოს ქონების მიზნობრიობას და სათანადო კომპენსაციის გარეშე ღიად ან ფარულად შეამცირებს სანარმოს ქონებას, რომელიც სანარმოს ვალდებულებების შესასრულებლად ესაჭიროება. თუ მისი ჩარევა ეხება სანარმოსთვის გადაცემულ და ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელ ქონებას, რის გამოც სანარმოს აღარ ან არასრულყოფილად შეუძლია ვალდებულების შესრულება. პარტნიორი ბოროტად იყენებს შპს-ის სამართლებრივ ფორმას; ამ ქმედებით პარტნიორმა ასევე

¹<https://www.quora.com/Can-a-non-US-citizen-start-a-business-in-the-US-with-an-american-cofounder>.

²<https://www.rapidformations.co.uk/blog/can-a-non-uk-resident-form-a-uk-limited-company/>.

³ https://www.jurion.de/Urteile/BGH/1953-04-01/II-ZR-235_52.

უნდა დაკარგოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის (GmbHG-ს მე-13. 2) პრივილეგია, თუ ჩარევით სანარმოსათვის მიყენებული დანაკლისის ანაზღაურება შეუძლებელია, მაგ., 30, 31 GmbHG გამომდინარე მოთხოვნების მეშვეობით".¹ აღნიშნულის გათვალისწინებით, პარტნიორის პასუხისმგებლობასთან ერთად დგება მისი საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხიც.²

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ პარტნიორის გარიცხვა უკიდურესი ღონისძიებაა და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების საქმიანობის გაგრძელება გასარიცხ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია. შესაბამისად, გარიცხვის უფლების რეალიზება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ლეგიტიმური მიზნის – სამენარმეო საქმიანობის გაგრძელების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია. გარიცხვა ხდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, რომელიც კრებას ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხზე: „იმ დამატებითი უფლების გამოყენება, რომელიც საზოგადოების დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ.“ საბოლოოდ კი გარიცხვა და წილზე საკუთრების უფლების „ჩამორთმევა“ ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. საკუთრების უფლების შეზღუდვის დროს აუცილებელია, რომ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის დამყარდეს სამართლიანი ბალანსი. გარიცხვის შემთხვევაში საკუთრების უფლების ჩამორთმევა გამონეწულია საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციით, რადგან საზოგადოების მიზნის შენარჩუნება უფრო დიდი ღირებულებითი სიკეთეა თავისი მატერიალური შედეგებით, ვიდრე პარტნიორის საკუთრების უფლება წილზე, რომელიც აბსტრაქტული სიკეთეა. კერძოდ, წილის უკან უნდა იყოს გარკვეული ქონება, რათა მას ეკონომიკური ღირებულება შესძინოს. სხვაგვარად, წილს მატერიალური ღირებულება არ აქვს. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული)

¹ http://ouclfiuscomp.org/articles/zhen_ahl.shtml.

² ქ. ქოქრაშვილი. ლ. გორგაძე. სანარმოს პარტნიორის გარიცხვის პრობლემა ქართულ საკორპორაციო სამართალში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. შრომების კრებული I. 2017.

იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც შეიცავს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, ადასტურებს მხოლოდ პარტნიორის შპს-ში წევრობას და არ არის ფასიანი ქალაქი.¹ ამავდროულად, წილად მიიჩნევა არა კაპიტალში შენატანის ოდენობა, არამედ იმ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს შპს-ს წევრობიდან გამომდინარე.²

სამენარმეო სამართალდარღვევათა მონესრიგება, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, საჯარო-სამართლებრივი ნორმებითაც ხდება. კერძოდ, ადმინისტრაციული ხასიათის პასუხისმგებლობა, რაც, თავის მხრივ, კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო იძულების ღონისძიებაა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში დგება და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ სამართალდამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაში მდგომარეობს.

მნიშვნელოვანია ქართულ სამართალში 2006 წლიდან იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება. ზოგიერთი ავტორის აზრით, კომპლექსური სტრუქტურის მქონე საწარმოებში გაძნელებულია, ხშირად შეუძლებელიც, დანაშაულის სათავეში მდგომი ინდივიდის გამორჩევა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი საწარმო, საქმიანობიდან გამომდინარე, იმდენად მნიშვნელოვან ზიანს იწვევს, რომ საზოგადოების რეაქციის ერთადერთ საშუალებად მისი დასჯა რჩება. ამ საკითხთან დაკავშირებით, დიდი ხანია არსებობს სპეციალისტთა აზრთა სხვადასხვაობა.

¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. 2002. გვ. 272.

² ნ. ზუბიტაშვილი. პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2014. გვ. 183-184.

საკანონმდებლო ნოვაცია ბუნებრივად იწვევს კითხვას: შეუძლია თუ არა იურიდიულ პირს ჩაიდინოს ქმედება, რომელიც მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით დანაშაულად დაკვალიფიცირდება?¹ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავდაპირველად მხოლოდ ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნეოდა, თუმცა ბოლო წლებში არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ აღიარა სისხლის სამართლის სუბიექტად. აღნიშნულის ძირითად მოტივად ლიტერატურაში სახელდება ეკოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებათა გამკაცრების აუცილებლობა. პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მიჩნეულ იქნა, რომ კორპორაციათა კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ ანაზღაურებდა მათ მიერ მიყენებულ ზიანს სრული მოცულობით და ვერც სამომავლოდ დანაშაულთა ჩადენის პრევენციის ეფექტურ როლს ასრულებდა; შესაბამისად დღის წესრიგში დადგა თავად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დამკვიდრება.

1846 წელს ლორდმა დენმანმა სასამართლო გადაწყვეტილებაში საქმეზე “The Queen v. Great North of England Railway Co” დაადგინა, რომ კორპორაცია შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი კანონიერი ქმედების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. ეკონომიკური აღმავლობის, კორპორაციათა რაოდენობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის ზრდის პირობებში გაჩნდა კორპორაციათა საქმიანობის უფრო ხისტი რეგულირების და მეტი კონტროლის აუცილებლობა. XX საუკუნის დასაწყისში, ამერიკის კონგრესმა ელკინსის აქტით (Elkins Act-1903) დაადგინა, რომ იმ კორპორაციის წარმომადგენლის ქმედება, რომელიც მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, აღიქმება კორპორაციის ქმედებად. ამ დებულების კონსტიტუციურობა 1909 წელს განიხილა ამერიკის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე “New

¹ ქ. ქოქრაშვილი. იურიდიული პირი – სისხლის სამართლის სუბიექტი (ისტორიული ასპექტები). სამართლის მე-3 საერთაშორისო კონფერენცია, „თანამედროვე ქართული კანონმდებლობის პრობლემატიკა“. 2014. გვ. 8-12.

York Central and Hudson River Railroad Co. v. United States". აპელაციის ეტაპზე New York Central-ის ადვოკატმა განაცხადა, რომ ელკინსის აქტი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, კერძოდ, რადგან კორპორაციის თანამშრომლის ქმედება გაიგივებული იყო კორპორაციის ქმედებასთან და, შესაბამისად, ფიზიკური პირის ქმედების გამო ხდებოდა ასევე კორპორაციის დაჯარიმება, ეს თავისთავად იწვევდა ბრალის გარეშე კორპორაციის პარტნიორთა უარყოფით ფინანსურ შედეგებს, სხვა სიტყვებით მათ მიმართ სასამართლო პროცესის ჩაუტარებლად ფაქტობრივად ხდებოდა სისხლისსამართლებრივი სანქციის გამოყენება. სასამართლო არ დაეთანხმა ადვოკატის მიერ წარმოდგენილ არგუმენტს და კიდევ ერთხელ დაადასტურა იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად ცნობის საკითხი. მას შემდეგ ამერიკის კონგრესმა მიიღო არაერთი კანონი, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირი აღიარებულ იქნა სისხლის სამართლის სუბიექტად სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებით.

ამერიკელი მკვლევრები – მარშალ კლაინარდი და პეტერ იიგერი გამოყოფენ კორპორაციულ დანაშაულებათა ექვს სახეს, რომლებიც განეკუთვნება ეკონომიკურ დანაშაულთა კატეგორიას:

1. ადმინისტრაციული აქტებისა და დადგენილებების დარღვევა (მაგალითად, წუნდებული საქონლის გამოთხოვის თაობაზე მთავრობის დადგენილების შეუსრულებლობა);

2. ბუნების დაცვითი (ეკოლოგიური) წესების დარღვევა (მაგალითად, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება);

3. ფინანსური სამართალდარღვევები (მაგალითად, პოლიტიკურ ორგანიზაციათა უკანონო სუბსიდირება, პოლიტიკოსთა მოსყიდვა, სავალუტო კანონმდებლობის დარღვევა);

4. შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა (მაგალითად, შრომისა და შრომის ანაზღაურების წესების დარღვევა, მათ შორის სხვადასხვა ნიშნით თანამშრომელთა დისკრიმინაცია);

5. სანარმოო დანაშაული (მაგალითად, ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს¹);

6. არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკა (მაგალითად, კონკურენციის პირობების დარღვევა, ბაზრის არალეგალური გაყოფა).²

აშშ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლი იურიდიულ პირთან მიმართებით ადგენს ე.წ. „აბსოლუტურ პასუხისმგებლობას“. კორპორაციას პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც დამოუკიდებლად (ცალკე), ისე ფიზიკურ პირთან ერთად. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა „შერაცხვის პრინციპები“, რომელმაც დაადგინა კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. კერძოდ, კორპორაციამ შეიძლება პასუხი აგოს თავისი ხელმძღვანელის ქმედებებისათვის, თუ ის ჩადენილია ამ უკანასკნელის სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში და კორპორაციის ინტერესებისათვის. ფაქტობრივად სახეზეა იდენტიფიკაციის პრინციპი (კორპორაცია გაიგივებულია მის ხელმძღვანელთან). საგულისხმოა, რომ კორპორაციას პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მაშინაც, როდესაც დადგინდება, რომ კომპანიაში მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე პირმა ყველა შესაძლო ღონისძიება გაატარა, რათა თავიდან აეცილებინა დანაშაული. ეს პრინციპი დიდი ხანია ამერიკელი კრიმინალისტების კრიტიკის საგანს წარმოადგენს, მათი აზრით, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს და აშშ-ის კონსტიტუციას.

აშშ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 2.07 მუხლის თანახმად, კორპორაცია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი ხდება, თუ:

- არღვევს იმ კანონს, რომელიც პირდაპირ მიუთითებს კორპორაციათა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე;

¹ 1978 წელს ინდიანას შტატის სასამართლომ კომპანია „ფორდი“ დამნაშავედ სცნო 3 ადამიანის მკვლელობაში, რომლებიც „პინტოს“ მარკის მანქანის აფეთქების შედეგად დაიწვნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ კომპანიამ ამ მარკის მანქანა ექსპლუატაციაში ჩაუშვა, იცოდა რა რომ მისი სანავის ავზი განთავსებულია საფრთხის შემცველ ადგილას და შეჯახების შემთხვევაში მისი აფეთქება ფაქტობრივად გარდაუვალია. ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც კომპანიას ბრალი წარედგინა მკვლელობის მუხლით.

² Шнайдер Ганс Йоахим. Криминология. М. 1994. С. 48.

- ქმედებას ახდენს კორპორაციის აგენტი (ნარმომადგენლის), რომელიც მოქმედებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

- კორპორაცია არ ასრულებს კანონით დაკისრებულ სპეციალურ ვალდებულებებს.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, "Tesco Supermarkets LTD v. Natras"-ის საქმეზე დადგინდა, რომ კომპანია შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომლებიც განხორციელდა:

- დირექტორთა საბჭოს, დირექტორ-მენეჯერის ან სხვა ხელმძღვანელის მიერ;

- იმ პირის მიერ, ვინც რეალურად წარმართავს კომპანიის საქმიანობას, სრულად ან ნაწილობრივ;

- იმ ფიზიკურ პირთა მიერ, რომელთა საქმიანობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის საქმიანობასთან.

ბრიტანელი კრიმინალისტი ჯონ სმიტი წარმოადგენს კორპორაციათა პასუხისმგებლობის შეზღუდვის რამდენიმე სახეს:

- კორპორაციას ბრალი უნდა წარედგინოს იმ დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას;

- არის დანაშაულები, რომელთა ჩადენა კორპორაციის მიერ შეუძლებელი და ალოგიკურია, რადგან საჭიროებს განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებებს (მაგ., ცრუმორწმუნეობა, გაუპატიურება და ა.შ.).¹

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლისთვის ერთგვარ ორგანულ ნაწილად იქცა, რასაც ვერ ვიტყვივით კონტინენტური ევროპის ქვეყნებზე, სადაც პასუხისმგებლობა აგებულია ბრალის პერსონალური შერაცხვის პრინციპზე, შესაბამისად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ინკორპორირებას ამ ქვეყნებში მწვავე კრიტიკა მოჰყვა. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ინსტიტუტი მეტ-ნაკლებად შეზ-

¹ J.Smith. Criminal Law. Eighth Edition, London. Edinburgh, Dublin. 1996.

ლუდული ფორმით, მაგრამ მაინც ინტეგრირდა არაერთი ევროპული ქვეყანის კანონმდებლობაში.

ჯერ კიდევ 1929 წელს, ქალაქ ბუქარესტში, სისხლის სამართლის საერთაშორისო კონგრესზე დაფიქსირდა ამგვარი პასუხისმგებლობის შემოღების აუცილებლობა; 1946 წელს ნიურნბერგის პროცესის ფარგლებში საერთაშორისო ტრიბუნალმა აღიარა, რომ სახელმწიფო და მისი ორგანოები შეიძლება იყვნენ საერთაშორისო დანაშაულის სუბიექტები; 1978 წელს ევროკავშირის დანაშაულის პრობლემათა ევროპის კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია, ევროპის ქვეყნების იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარების შესახებ, ეკოლოგიური ხასიათის დანაშაულთან მიმართებით. გარდა აღნიშნულისა, ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ევროკავშირის ქვეყნების მინისტრების კომიტეტის მიერ მიღებული №(88)18 რეკომენდაციები (1988 წელი), რომელიც ეხება იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებას, კორპორაციულ დანაშაულთან მიმართებით. აღნიშნულ დოკუმენტებში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იურიდიული პირის სისხლის სამართლის სუბიექტად ცნობის შესახებ, კერძოდ:

- კომპანიების მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩადენილ დანაშაულთა რიცხოვნობის ზრდა, რაც დიდ ზიანს აყენებს როგორც ცალკეულ პირებს, ისე მთელ საზოგადოებას;
- უკანონო სამენარმეო საქმიანობიდან სარგებლის მიღების შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამკაცრება;
- კონკრეტული დამნაშავის დადგენის შეუძლებლობა, მით უმეტეს კომპანიის რთული სტრუქტურული აგებულების პირობებში;
- ცალკეული პირების მიმართ გამოყენებულ სანქციათა არაეფექტურობა, კომპანიების მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;
- კომპანიის დასჯის აუცილებლობა უკანონო მენარმეობისთვის, რათა აღიკვეთოს მომავალში დანაშაულის ჩადენა და მაქსიმალურად იქნეს ანაზღაურებული მიყენებული ზიანი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს უნდა მოხდეს ბრალის ტრადიციული კონცეფციიდან განრიდება და უნდა გამოვიყენოთ სოციალურ ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის სისტემა. შემოთავაზებული რეკომენდაცია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებმა განსხვავებული მოცულობითა და მიდგომებით გაიზიარეს. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, გარდა სახელმწიფოსი (საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-1 მუხ). ფრანგული სისხლის სამართალი იურიდიული პირის პასუხისმგებლობას აღიარებს დამხმარედ (ფიზიკური პირის პასუხისმგებლობასთან ერთად და არა მის ნაცვლად); განმაპირობებლად (დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს იურიდიული პირის სასარგებლოდ, მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის მიერ) და სპეციალურად (მხოლოდ კანონითა და დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში). დანაშაულთა ჩამონათვალი, სადაც იურიდიული პირი გვევლინება სუბიექტად, ფრანგულ კანონმდებლობაში ძალიან ვრცელია, ამასთან იურიდიული პირი შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცეს დაუმთავრებელი დანაშაულისა და ასევე თანამონაწილეობისთვის.¹

თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეიძლება ითქვას, ფორმალურადაა რეგლამენტირებული (მე-14 და 75-ე მუხლები). კოდექსის კერძო ნაწილში პირდაპირი მითითება, აღნიშნულთან დაკავშირებით, საერთოდ არ არსებობს. კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კრედიტის მიღებასთან დაკავშირებით თაღლითობისთვის, მაგრამ აქვე მითითებულია, რომ პასუხისმგებლობა ვრცელდება პირზე, რომელმაც აღნიშნული თაღლითობა პირადად ჩაიდინა. ანუ ამ მუხლში იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არაპირდაპირაა მოცემული. მე-14 მუხლი ითვალისწინებს ე.წ. სუბსიდიურ პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს, რომ იურიდიულ პირთან ერთად პასუხს აგებს ის ფიზი-

¹ Крылова Н.Е. Основные черты нового Уголовного кодекса Франции. М. 1996. С. 53.

კური პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული და იმავდროულად არის იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე (წარმომადგენელში იგულისხმება: უფლებამოსილი ორგანო, ასეთი ორგანოს წევრი, სავაჭრო ამხანაგობის წევრი).¹

საგულისხმოა, რომ ავსტრიის, ალბანეთის, ესპანეთის, ლატვიის, მექსიკის, პერუს სისხლის სამართლის კოდექსებს ახასიათებს იურიდიულ პირთა ერთგვარი „კვაზი“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს, რომ ამ ქვეყნებში იურიდიული პირი ფორმალურად არ არის აღიარებული დანაშაულის სუბიექტად, თუმცა მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი სანქცია.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად განსაზღვრავს იმ იურიდიულ პირთა წრეს, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად. მაგალითად, ბელგიის, დანიის, ისლანდიის, საფრანგეთის კანონმდებლობით, აღნიშნული წრე მოიცავს არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც, მათ შორის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსაც; თუმცა ამ შემთხვევაში კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვებს, კერძოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დროს, სანქციის სახედ არ გამოიყენება ლიკვიდაცია.

თანამედროვე პრაქტიკაში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებით ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სისტემა: პირველს მიეკუთვნება საერთო სამართლის ქვეყნები და კონტინენტური ევროპის ქვეყნების ნაწილი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ავსტრია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, პორტუგალია, საქართველო, ლიეტუვა, ესტონეთი და მოლდოვა), მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ისეთივე სუბიექტია, როგორც

¹ ქ. ქოქრაშვილი. ლ. გორგაძე. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებანი. ყ. "თემიდა". № 10(12). 2016. გვ. 10-15.

ფიზიკური პირი.¹ მეორე მოდელი ეყრდნობა უშუალოდ ფიზიკური პირის ბრალეული ქმედებით გამოწვეულ პასუხისმგებლობას. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში თუ დანაშაული ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ, მისი ინტერესებისათვის. ამგვარი სისტემა არსებობს ავსტრიაში, ალბანეთში, ესპანეთში, მექსიკაში, პერუში, თურქეთსა და შვეიცარიაში.

პრაქტიკაში ხშირია ისეთი დანაშაულები, რომელიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ ან იურიდიული პირის გამოყენებით. იურიდიული პირები არცთუ იშვიათად არიან ჩართული ისეთი მძიმე, ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ტერორისტული ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობაში ხელშეწყობა, ტრეფიკინგი და ა.შ. ამასთან, კორპორაციული წესით ორგანიზებული წარმონაქმნების მართვისა და კონტროლის რთული სტრუქტურის გათვალისწინებით, როგორც აღვნიშნე, ფაქტობრივად შეუძლებელია კონკრეტული დამნაშავის იდენტიფიკაცია.²

წარმოდგენილი საკითხი დღემდე სპეციალისტთა დავის საგანია, ამ ტიპის პასუხისმგებლობის შემოღებას მომხრეებთან ერთად ჰყავს მონინალმდგენიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციები გაცილებით მკაცრია, «ირლიყური» სანქციები (სტიგმა) ყოველთვის არ არის სასარგებლო საზოგადოებისთვის; დაცვის სისხლის სამართლის საპროცესო საშუალება მიზანშეუნონელია კორპორაციულ კონტექსტში; სისხლისსამართლებრივი სანქციების გარეშეც არსებობს სხვა კანონმდებლობაში მკაცრი სანქციები, რომელსაც იგივე როლის შესრულება

¹ ამ თვალსაზრისით საინტერესოა აშშ-ის ინდიანას შტატის სასამართლოს მიერ კომპანია «ფორდის» წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი, რომელიც დადანაშაულებული იქნა ოთხი ადამიანის მკვლელობაში, საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: «ფორდმა» ბაზარზე გამოუშვა ავტომობილები, რომელთაც ჰქონდათ ბენზინის ბაქანი დაკავშირებული ტექნიკური პრობლემა, რის თაობაზეც იცოდა პროდუცენტმა კომპანიამ, კერძოდ ბენზინის ბაქი განთავსებული იყო ავტომობილის იმ ნაწილში, სადაც მისი აფეთქების რისკი არსებობდა ავტოავარიის შემთხვევაში. სწორედ ამ მიზეზით ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა ოთხი ადამიანი. შედეგად, სასამართლომ კომპანია «ფორდი» ცნო დამნაშავედ მე-2 ხარისხის მკვლელობაში. კოლუმბიის შტატის სასამართლომ კომპანია «მერსედეს-ბენცი» ცნო დამნაშავედ კორუფციაში და დააჯარიმა 27,36 მილიონი დოლარით.

² Stessens G. Corporate criminal liability: a comparative perspective. The international and comparative law quarterly. Vol. 43 (1994). Nr. 13. P. 493—520; Б.В. ВОЛЖЕНКИН. УГОЛОВНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЮРИДИЧЕСКИХ ЛИЦ. 1998.

შეუძლია. სისხლისსამართლებრივი სანქციები ერთგვარად აფრთხობს დამწყებ მენარმეებს და ზოგადად მენარმეობას უქმნის არასასურველ იმიჯს. აღნიშნულის გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ კორპორაციის მიმართ სამოქალაქო, სამენარმეო და ადმინისტრაციული სამართლის სანქციათა გამოყენება სავსებით საკმარისია.¹

მიუხედავად ზემოთქმულისა, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში დანერგვის აუცილებლობა აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილე საქართველოცაა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული "ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მიღების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ" 1990 წ. 8 ნოემბრის კონვენცია; გაეროს 1999 წ. საერთაშორისო კონვენცია "ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ" და 1997 წ. "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" სტრასბურგის ევროპული კონვენცია. კონვენციების ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება ეროვნული კანონმდებლობით.²

საქართველოს სსკ-ის 107¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ პასუხისმგებელი პირის მიერ. ამ მიზნით, პასუხისმგებელი პირი არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის

¹ Khanna K.S. Corporate criminal Liability: what purpose does it serve? Harvard Law Review. Vol. 109. Nr. 7. P. 1477—1534.

² იურიდიული პირი სისხლის სამართლის სუბიექტად აღიარებულია შემდეგ ქვეყნებში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1909 წელს უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია აღიარეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად; ბრიტანეთი, (1848 წლიდან), ნიდერლანდები (1976 წლიდან), ნორვეგია (1991 წლიდან), საფრანგეთი (1992 წლიდან), ფინეთი (1995 წლიდან), კანადა, კორეა (1997 წლიდან), ისლანდია (1998 წლიდან), სლოვენია (1999 წლიდან), ავსტრალია, ინგლისი, ბელგია, უნგრეთი (2001 წლიდან), დანია, ისრაელი, ირლანდია, პოლონეთი (2002 წლიდან), შვეიცარია (2003 წლიდან), რუმინეთი (2004 წლიდან), პოსტსაბჭოთა ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო (2006 წლიდან).

სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი (იქვე, პუნქ. 3). იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი (იქვე, პუნქ. 4). იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ პასუხისმგებელი პირის მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის არაჯეროვნად განხორციელების გამო შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ, (იქვე, პუნქ. 41). პასუხისმგებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ წარმოადგენს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს (იქვე, პუნქ. 5). იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (იქვე, პუნქ. 6). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ასევე მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებისაგან (იქვე, პუნქ. 7). ფიზიკური პირის ქმედების მიმართ ბრალის ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების დადგენის შემთხვევაში იურიდიული პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (იქვე, პუნქ. 8).

იურიდიული პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107²-ე მუხლის თანახმად, გამოიყენება სასჯელის შემდეგი სახეები:

- ა) ლიკვიდაცია;
- ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- გ) ჯარიმა;
- დ) ქონების ჩამორთმევა.¹

¹ სასჯელის სახეები იხილეთ: სსსკ-ის მუხლები: 107⁴; 107⁵; 107⁶; 107⁷.

მიუხედავად აღნიშნულისა, იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, ყოველთვის კონკრეტული ფიზიკური პირის ქმედებაში გამოიხატება.

უნდა აღინიშნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VI კარი, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულს ეთმობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს საკუთრების, სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ასევე ფულადსაკრედიტო სისტემასა და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულს. ამ დანაშაულთა უშუალო ობიექტია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ყალიბდება და რომელიც ასეთი საქმიანობის კონკრეტულ სახეებს არეგულირებს, ასევე ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტთა კანონით დაცული უფლებები და ინტერესები (მაგალითად, გაკოტრებისას) ან/და მომხმარებლის ინტერესები (მაგალითად, ფალსიფიკაცია და ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება იმ ტიპის სამართალდარღვევებისათვის, როგორიცაა კანონიერი სამენარმეო საქმიანობის ხელის შეშლა (მუხ. 190), უკანონო სამენარმეო საქმიანობა (მუხ. 192), ცრუ მენარმეობა (მუხ. 193), ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, გადაცემა, გახმაურება ან გამოყენება (მუხ. 202), ქონების გადამალვა მოჩვენებით ან თვალთმაქცური გარიგებით (მუხ. 205¹), გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობისას (მუხ. 207), უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 220)¹ და სხვა, მიზნად ისახავს მენარმეობის თავისუფლებისათვის დამატებითი გარანტიების შექმნას, სამენარმეო საქმიანობის სრულყოფასა და ჰარმონიზაციას, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას.

¹ ი. დვალიძე. გ. მახარობლიშვილი. სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი). 2016.

მენარმე სუბიექტები

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

გერმანელი მეცნიერები – ჰუეკი და კუბლერი სპს-ის არსებით ნიშნებს გერმანიის სავაჭრო კოდექსში განმტკიცებული განსაზღვრების საფუძველზე აყალიბებენ, რომლის თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, სავაჭრო საქმიანობის განხორციელება, რომლის პარტნიორებიც კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებებზე უშუალოდ და შეუზღუდავად აგებენ პასუხს (§105). აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ავტორები სპს-ის ძირითად ნიშნებს მიაკუთვნებენ:

- სავაჭრო საქმიანობის განხორციელებას;
- ერთიან საფირმო სახელწოდებას;
- საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების პარტნიორთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის არსებობას.¹

სპს რომაული *societs*-ის² ანალოგია. შუა საუკუნეებში სპს-ის არსებობა საოჯახო-მემკვიდრეობით ურთიერთობებს უკავშირდება, მისი შექმნის მიზანი არსებული საერთო ქონების დანაწევრების თავიდან აცილება იყო. შესაძლოა სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა საზოგადოების ქონების დამოუკიდებლობის იდეისა და კრედიტორთა წინაშე სრული პასუხისმგებლობის წარმოშობა.

სპს-ის პირველი საკანონმდებლო რეგლამენტაცია საფრანგეთში, 1673 წლის კოლბერის ორდონანსში განხორციელდა, რომელიც 1807 წელს საფრანგეთის სავაჭრო კოდექსში აისახა.

ქართულ კანონმდებლობაში სპს-ის ანალოგი "სრული ამხანაგობის" სახელწოდებით, ჯერ კიდევ 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში გამოჩნდა (აღნიშნული კოდექსი, თავის მხრივ, ევროპულ კანონმდებლობაზე იყო ორიენტირებული). გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს სამართლებრივი ფორმა აღარ არსებობდა.

¹ Hueck Gotz. Gesellschaftsrecht. 1991. s. 85-87; Kubler Fridrich. Gesellschaftsrecht. 1990. S. 65-66.

² *societs* - ძმობა, საძმო.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (გერმანიაში – *Handelsgesellschaft*, დიდ ბრიტანეთში – *partnership*, საფრანგეთში – *societe en nom collectiff*, რუსეთში – *полное товарищество*) სხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი – მენარმე სუბიექტებთან შედარებით მარტივი ორგანიზაციაა. აქ პერსონალური ელემენტი პრიორიტეტულია და პარტნიორთა ურთიერთნდობის ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოსაგან განსხვავებით, გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობით, სპს იურიდიული პირი არ არის. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, *partnership*-ის სახელმწიფო რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ ამხელს ამხანაგობის წევრთა ვინაობას. პირთა ქონების გაერთიანება თავისთავად არ იწვევს *partnership*-ის წარმოქმნას, პირიქით, მოგების განაწილებაში გაერთიანების წევრთა მონაწილეობა, საწარმოს, როგორც სამართალურთიერთობის სუბიექტის *prima facie* მტკიცებულებაა. *partnership* არ არის იურიდიული პირი.¹

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალე; მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ ("მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლი).

კორპორაციული სამართლის სპეციალისტებს არ აქვთ ერთიანი აზრი საკითხზე, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ სპს-ის პარტ-

¹ ა. ხარაიშვილი. ამხანაგური ტიპის საზოგადოებათა სამართლებრივი სტატუსი შედარებით კონტექსტში. სამართლის ჟურნალი, №2.2012 წ. გვ. 155-172.

ნიორი, ფიზიკური პირის გარდა, იყოს იურიდიული პირიც. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ იურიდიული პირის პარტნიორობა ამ ფორმის საზოგადოებაში არღვევს პარტნიორობა პასუხისმგებლობის უმთავრეს პრინციპს, მეორე ნაწილის აზრით, რამდენადაც იურიდიული პირები სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტები არიან, ამიტომ მათი მონაწილეობა სპს-ში შეუზღუდავ პასუხისმგებლობას იწვევს მათ, როგორც იურიდიული პირის ქონებაზე და არა მათ პარტნიორობა პირად ქონებაზე, რაც არ ცვლის სპს-ის პასუხისმგებლობის უმთავრეს პრინციპს. გერმანიაში ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკით 1922 წელს გადაწყდა, რამაც შემდგომში საკანონმდებლო ასახვაც პოვა. 2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად საქართველოში სპს-ის პარტნიორი (როგორც რუსეთში, შვედეთში,¹ გერმანიაში² და საფრანგეთში) შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

სპს-ის პარტნიორობა პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოების ხელმძღვანელობაც სოლიდარულია, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონითა და საწარმოს წესდებით. ზოგადად, სპს-ის ნებისმიერ პარტნიორს შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და, ამ შესრულების გამო, საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

რაც შეეხება სპს-ის მართვას, მას ამ მიზნით არ აქვს სპეციალური ორგანო ისე, როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს. სპს-ის მართავს ყველა პარტნიორი ერთად, თუმცა პარტნიორთა შეთანხმებით შეიძლება აირჩეს “ლიდერი” – ერთი ან მეტი პარტნიორი, რომელსაც საზოგადოების მართვა და წარმომადგენლობა დაევალება. თუ საზოგადოების კრედიტორებისათვის წესდებით ან საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ფუნქციონირებს ამგვარი

¹ Swedish Law, a survey. Stockholm. 1994. P. 291-292.

² Kubler Friedrich. Gesellschaftsrecht. Heidelberg. 1990. S. 65-66. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ 1922 წელს მიიღო.

განანილება უცნობია, ზოგადი წესის თანახმად, სპს-ის ნებისმიერი პარტნიორის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია.

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის დებულებათა გათვალისწინებით, ამხანაგობის თითოეული პარტნიორი უფლებამოსილია მართოს საზოგადოება და განახორციელოს წარმომადგენლობა თუ აქვს დადებითად გამოხატული ან ნაგულისხმები უფლებამოსილება. პარტნიორის ნაგულისხმებ უფლებამოსილებაში შედის ყველა იმ გარიგების დადების შესაძლებლობა, რომელიც ჩვეულებრივია კონკრეტული სახის ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე. ასეთი გარიგებები partnership-ს ავალდებულებს მაშინაც, როცა კონკრეტულ პარტნიორზე სხვა პარტნიორის მიერ არ არის დელეგირებული გარიგების დადების უფლებამოსილება. აქედან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მესამე პირმა წინასწარ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამგვარი შეზღუდვის შესახებ. თუ კონკრეტული სპს-ის მიერ განხორციელებული ქმედება მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს სცილდება, საჭიროა ყველა პარტნიორის თანხმობა.¹

სპს, სხვა საწარმოებთან შედარებით, პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება, ამიტომ ხელმძღვანელობითი საქმიანობის სწორად წარმართვაზე დამოკიდებული საზოგადოების და თავად პარტნიორთა ქონების ბედიც. აქედან გამომდინარეობს სპს-ის ხელმძღვანელის ვალდებულებების განსაკუთრებული ხასიათი. ის, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიმართ განიხილება ნამდვილი კომერსანტის კეთილსინდისიერებად, შესაძლოა (ანალოგიურ შემთხვევაში) სპს-ის ხელმძღვანელთან მიმართებაში არ იქნეს ასეთად მიჩნეული.²

სპს-ში მოგება-ზარალის განანილების საკითხი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყდება. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად განასხვავებენ ამ საკითხის მოწესრიგების სამ ძირითად გზას: თანასწორ განანილებას (რომის სამართლებრივი მიდგომა); განანილებას პარტნიორთა შენატანების პროპორციულად (ფრანგული კანონმდებლობის მიდგომა); შერეულ განანილებას ანუ პარტნიორთა შორის

¹ საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, სპს-ის მართვა არაპარტნიორი ფიზიკური პირის მიერაც დაიშვება.

² ლ. ზარაშვილი. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2003. გვ. 101-102.

მოგების განაწილება ხდება როგორც მათ მიერ განხორციელებული შენატანის პროპორციულად, ისე თანაბრად, გამომდინარე საზოგადოებაში პარტნიორთა ერთობლივი მონაწილეობიდან, რაშიც გამოიხატება საზოგადოების პერსონალური ბუნება¹ (გერმანული კანონმდებლობის მიდგომა).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი, თუმცა აღნიშნული პრინციპის შეცვლა დასაშვებია პარტნიორთა შეთანხმებით, რაც სანარმოს წესდებაში აისახება. ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე შენატანს, თუ ის არ იყო სრულად შეტანილი; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული მოგებიდან ჩამოიწერება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი (მუხ. 25).

სპს-ის, როგორც ამხანაგობის ტიპის გაერთიანების, უმნიშვნელოვანესი ნიშანია – პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა, რაც ორი მაჩვენებლით ხასიათდება:

1) პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით – შეუზღუდავი. მართალია საზოგადოებას პარტნიორებისაგან განცალკევებული ქონება აქვს, რომლითაც იგი საკუთარ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი, თუმცა, მისი უკმარისობის შემთხვევაში, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება შეიძლება პარტნიორთა ქონებიდანაც. ასეთი „საშიშროება“ სპს-ის ნებისმიერ პარტნიორს ემუქრება, ამიტომ პარტნიორთა შერჩევასას პრიორიტეტულია რისკების მაქსიმალური შემცირება;

2) პასუხისმგებლობის ხასიათის მიხედვით – სოლიდარული, რაც გულისხმობს პრინციპს: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. იძულებითი გადახდევინების მოთხოვნა შეიძლება ნებისმიერ პარტნიორს წარედგინოს. პასუხისმგებლობის სოლიდარობა უცვლელია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად (სახელშეკრულებო/დელიქტური ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება და სხვა), მაგრამ თითოეული საზოგადოების ინტერესებიდან წარმოიშობა.

¹ ლ. ზარაშვილი. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2003. გვ. 115-116.

სპს-ის კრედიტორი, საწარმოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ქონებრივი პასუხისმგებლობა მის ერთ ან რამდენიმე წევრ პარტნიორს დააკისროს. ამ შემთხვევაში გადამხდელ პარტნიორს (პარტნიორებს) დანარჩენი პარტნიორების მიმართ უკუმოთხოვნის (რეგრესული მოთხოვნის) უფლება აქვს. თუ ერთ-ერთი პარტნიორი რეგრესულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მისი წილი ვალდებულების შესრულება დანარჩენ წევრ პარტნიორებს თანაბრად ეკისრებათ, თუ საწარმოს წესდებით სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული.

სპს-ის დაფუძნების შემდეგ მასში განწევრიანებული პარტნიორი, საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობაში შესვლამდე მესამე პირთა მიმართ წარმოშობილ ვალდებულებებზე ისევეა პასუხისმგებელი, როგორც დამფუძნებელი პარტნიორი.

სპს-ის პარტნიორს უფლება აქვს გავიდეს საზოგადოებიდან. გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით და საქართველოს კანონით "მენარმეთა შესახებ". აღნიშნული პროცედურა მეტად მნიშვნელოვანია კრედიტორთა და მესამე პირთა ქონებრივი ინტერესის გათვალისწინებით. სპს-ის ხასიათიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობის მოცულობა პირდაპირკავშირშია თითოეული პარტნიორის ქონების მოცულობასთან. ხელშეკრულების მხარისთვის პრიორიტეტულია პარტნიორთა სუბიექტური შემადგენლობა. სწორედ ამიტომ, 2008-2011 წლებში "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით გაცილებით დეტალურად მოწესრიგდა სპს-ის პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის პროცედურა, რამაც ფაქტობრივად გაზარდა ამ ტიპის საწარმოს სანდოობა. კერძოდ, "პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით, "მენარმეთა შესახებ" კანონის მე-14⁴ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით დადგენილი წესების გათვალისწინებით. ასევე, თუ სპს-ის პარტნიორი გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან საწარმოში შედის ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება კანონის მე-14⁴ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები".

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში დაემატება სხვა დანარჩენ პარტნი-

ორებს. ისინი ვალდებული არიან საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა (მუხ. 32).

პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი საზოგადოებაში შედის გარდაცვლილის სამკვიდრო მასაში, ამიტომ ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ამას არ ზღუდავს საზოგადოების წესდება ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა. ასევე, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია (მუხ. 33). სანარმოს ვალდებულებებზე საკუთარი ქონებით სოლიდარული პასუხისმგებლობა ფაქტობრივად აიძულებს პარტნიორებს, იზრუნონ პარტნიორთა სუბიექტურ შემადგენლობაზე, მათ პიროვნულ ფაქტორზე, მათივე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამიტომ პრაქტიკულად სპს-ის წესდება ყოველთვის ზღუდავს პარტნიორის მემკვიდრის უპირობოდ „გაპარტნიორებას“. თუ გარდაცვლილ პარტნიორს არ დარჩა მემკვიდრე, მისი წილი, როგორც უმკვიდრო ქონება სპს-ის სხვა დანარჩენ პარტნიორებზე ნაწილდება.

რაც შეეხება სპს-ის ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციას, იგი ხორციელდება კანონით დადგენილი ზოგადი წესების, საზოგადოების წესდებისა და ამ სამართლებრივი ფორმის სანარმოსთვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებით.¹

¹ ი. ბურდული. გ. მახარობლიშვილი. დ. ეგნატაშვილი. გ. გიგუაშვილი. თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები). 2016. გვ. 67-89.

კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება (კს), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსად, ამხანაგობის ტიპის გაერთიანებაა. ტერმინი "კომანდიტი" ფრანგული commandant-ისაგანაა ნაწარმოები და ხელმძღვანელობას, ბატონობას, განკარგულების გაცემას ნიშნავს.

შუა საუკუნეებში "კომენდამ" საკმაოდ დიდი გავრცელება პოვა. მისი პირველადი ფორმა წმინდა სავაჭრო ხასიათს ატარებდა. ვაჭარი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა ზღვაოსნობაში, თავის საქონელს გასაღების მიზნით, ზღვაოსნობის მომწყობ პირს ანდობდა. ამ საქმიანობით მიღებული მოგება მათ შორის 3/4 პროპორციით ნაწილდებოდა. მოგვიანებით, სასაქონლო "კომენდა" ფულადში ტრანსფორმირდა. ეს უკანასკნელი მოგების მიღების საშუალებას აძლევდა არა მხოლოდ საქონლის, არამედ კაპიტალის მფლობელებსაც, რომელთაც სავაჭრო საქმიანობაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ და ფაქტობრივად მხოლოდ კაპიტალს აბანდებდნენ ანუ წარმოსდგებოდნენ, როგორც „პასიური პარტნიორები“ (მაგალითად, არისტოკრატები და ეკლესიის მსახურები).

Commenda-ს წარმოშობა XI საუკუნის იტალიას უკავშირდება და პასუხისმგებლობის შეზღუდვის ჩანასახს წარმოადგენს. კომენდას ძირითადი უპირატესობაა ის, რომ პასიური პარტნიორი სარგებლობდა შეზღუდული პასუხისმგებლობით. ამ უკანასკნელის არსებობის შესახებ არც იცოდნენ მესამე პირებმა, რომელთაც ჰქონდათ ურთიერთობა მმართველ პარტნიორთან.¹

"კომენდას" ინსტიტუტის დაფუძნებისა და განვითარების საფუძველი საკუთარი კაპიტალის ერთგვარად ინვესტირების სურვილი იყო; თუმცა ტექნიკური თავისებურებებისა და ფსიქოლოგიური ღირებულებების გათვალისწინებით, კაპიტალის მესაკუთრეს შედარებით მშვიდი და საქმის უშუალოდ წარმოებიდან ჩამოშორებული სამეწარმეო საქმიანობა ერჩივნა. თანდათან "კომენდაში" პარტნიორთა ორი კატეგორია ჩნდება. ერთი, რომელიც უშუალოდ მართავს საწარმოს და პასუხისმგებლობის სფეროში შეუზღუდავია და მეორე, რომელიც აბანდებს კაპიტალს, მისი მოგება და ზარალი, როგორც

¹ Lopez. Raymond. Medieval Trade in the Mediterranean World. 1955. P. 176

ნესი, სანარმოს ქონებაში შეტანილი საგარანტიო თანხის (შენატანის) პროპორციულად გამოიანგარიშება.

კომანდიტური საზოგადოება სპს-ის მოდიფიცირებული ნაირსახეობაა. მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა, არსებობს განსხვავება, რაც, თავის მხრივ, კს-ის ქონებაში კაპიტალის მეტი რაოდენობით კონცენტრირებას უწყობს ხელს. გაცილებით იოლია იმ პირთა მოძიება, რომლებიც მზად არიან მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული კაპიტალით გარისკონ, ვიდრე იმ პირებისა, რომლებიც მთელ ქონებას რისკის ქვეშ აყენებენ. კს გაცილებით რთული ორგანიზაციაა, ვიდრე სპს, თუმცა ბევრად მარტივი, ვიდრე კაპიტალური ფორმის სანარმოები. კომანდიტური საზოგადოება პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებათა ელემენტებს აერთიანებს და გარდამავალ ფორმად გვევლინება.

დღეს კომანდიტურმა საზოგადოებამ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყნის სამართლის სისტემაში დაიმკვიდრა ადგილი.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომანდიტური არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

ამ ორი კატეგორიის პარტნიორებს შორის უმთავრესი განსხვავება მათი პასუხისმგებლობის ხასიათსა და მოცულობაშია. სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების კრედი-

ტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალე-
ები, მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ხოლო კომანდიტე-
ბის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება სანარმოს კაპიტალში
განსაზღვრული საგარანტიო თანხის შეტანით.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის
თანახმად, კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძ-
ლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.¹

საზოგადოების კაპიტალში წილები შეიძლება განაწილდეს
მხოლოდ კომანდიტებს შორის, თუ პარტნიორთა შეთანხმებით სხვა
რამ არ არის გათვალისწინებული (მუხ. 34 პ. 3). კს-ის დამფუძნე-
ბელი შეიძლება იყოს მინიმუმ ორი პირი. აქედან ერთი აუცი-
ლებლად კომპლემენტარია, მეორე – კომანდიტი.¹

რაც შეეხება კომანდიტური საზოგადოების მართვას, სტრუქტუ-
რულად იგი წააგავს სპს-ს მართვას, თუმცა კს-ში გასათვალისწი-
ნებელია პარტნიორთა ორი კატეგორიის არსებობა, შესაბამისად,
ზოგადი წესის თანახმად, მართვაში მონაწილეობენ სრული პარტ-
ნიორები (კომპლემენტარები). 37-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული
პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების
ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი
სანარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების (კომპლე-
მენტარების) მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ.
შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ
საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში. სანარმოს
წესდებით ერთ-ერთ შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) შეიძლება

¹ საქართველოს, საფრანგეთის, რუსეთის კანონმდებლობით, კომანდიტური საზოგა-
დოება იურიდიული პირის სტატუსის მქონე გაერთიანებაა, შვეიცარიის კანონმდებ-
ლობით – სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკური პირის სტატუსით მონაწი-
ლეობს.

მიენიჭოს ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, სხვა სიტყვებით, როცა კომანდიტს საზოგადოების ხელმძღვანელობასთან ერთად ენიჭება წარმომადგებლობის უფლებამოსილებაც, ასეთ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესების მიხედვით).

საფრანგეთის კანონმდებლობით, კომანდიტს ხელშეკრულებით შეიძლება გადაეცეს იმ გარიგებათა დადების უფლებამოსილება, რომელიც საწარმოს შიდა მართვის ფარგლებს არ სცილდება. კომანდიტი მინდობილობის არსებობის შემთხვევაში წარმომადგენლობას ახორციელებს მხოლოდ მინდობილობის ფარგლებში. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში კომანდიტი ისევეა პასუხისმგებელი, როგორც სრული პარტნიორი (კომპლემენტარი). იგივე პოზიციაზეა გერმანული კანონმდებლობა (გერმანიის სავაჭრო კოდექსის §170).

კს-ში პარტნიორთა შორის მოგებისა და ზარალის გაანგარიშების, პერიოდულობისა და განაწილების წესი საზოგადოების წესდებით განისაზღვრება. კომანდიტი ზარალის ანაზღაურებაში მხოლოდ თავისი შენატანით მონაწილეობს (საგარანტიო თანხით), მაგრამ, თუ დადგება პასუხისმგებლობა შესატანის სრულად შეტანამდე – ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც (მუხ.38, პ.3).

კომანდიტს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთან, მას არ შეუძლია მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია. კომანდიტი ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო (მუხ. მე-40).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ სრული პარტნიორი (კომპლემენტარი) გამოთქვამს საწარმოდან გასვლის სურვილს, საწარმოს მიმართ იხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. თუ საწარმოდან გადის ყველა შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) ან საწარმოში შედის

ახალი პარტნიორი, საწარმოს მიმართ ხორციელდება საწარმოს რეორგანიზაციის ღონისძიებები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და რაც რეგულირებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁴ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით.

კომპლემენტარის მიერ წილის გასხვისებასა და მემკვიდრეობით გადაცემაზე ვრცელდება სპს-ის მარეგულირებელი ნორმები, კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორთა თანხმობის გარეშე, თუმცა შესაძლოა წესდებით არსებობდეს განსხვავებული წესი. ნებისმიერ შემთხვევაში, წილის დათმობისას საჭიროა ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულება.

კომანდიტური საზოგადოების მიმართ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად, გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მარეგულირებელი შესაბამისი ნორმები.

კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემისგან განსხვავებით, გერმანული კანონმდებლობა კლასიკური გაგებით კომანდიტური საზოგადოების (Kommanditgesellschaft) (KG) გარდა, ასევე იცნობს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომანდიტურ საზოგადოებას (GmbH & Co.KG) და აქციებზე დაფუძნებულ კომანდიტურ საზოგადოებას (KG aA). ამ უკანასკნელში ერთიანდებიან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები და კომანდიტური აქციონერები. წესდება მტკიცდება მინიმუმ ხუთი პარტნიორის ხელმოწერითა და ნოტარიუსის დამოწმებით. დოკუმენტში მიეთითება აქციათა რაოდენობა, აქციათა კლასი, ღირებულება. წესდების შედგენაში მონაწილეობენ ორივე ტიპის პარტნიორები, რასაც ადასტურებენ წესდებაზე ხელმოწერით. წესდების ხელმოწერილი პარტნიორები ადკს-ის დამფუძნებლებად ითვლებიან (Aktiengesetz. § 280).

KG aA-ში კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი) ვრცელდება მხოლოდ პერსონალური პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორებზე. კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევის შემთხვევაში ამგვარი ქმედებით მათ ეკისრებათ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 თვეა იმ მომენტიდან, როცა დანარჩენმა

პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა გაიგეს კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევის ფაქტის შესახებ (იქვე, § 284).

სამართლებრივ დავებში, რომელთაც აწარმოებენ კომანდიტური აქციონერები პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების წინააღმდეგ ან, პირიქით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო კომანდიტურ აქციონერებს წარმოადგენს, თუ საერთო კრებამ არ აირჩია სპეციალური წარმომადგენელი. კომანდიტურ აქციონერებზე დაკისრებულ სასამართლო დავების ხარჯებს ამხანაგობა ანაზღაურებს, კომანდიტური აქციონერების მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გარეშე (იქვე, §287.2). პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგიერთ შეზღუდვას პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორზე მოგების განაწილებისას. კერძოდ, §288-ის თანახმად, თუ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის დანახარჯი აღემატება მის წილს საზოგადოების კაპიტალში, მას არა აქვს უფლება თავისი წილი კაპიტალიდან მიიღოს მოგება. ასეთ შემთხვევაში მასზე ასევე არ გაიცემა კრედიტი. ასეთი პარტნიორი საზოგადოებასთან შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში ინარჩუნებს მხოლოდ შრომის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (გერმანიაში – Gesellschaft mit beschränkter Haftung (GmbH), საფრანგეთში – société à responsabilité limitée, დიდ ბრიტანეთში – Limited liability company, რუსეთში – Общество с ограниченной ответственностью) სტატისტიკურად ყველაზე პოპულარული სამართლებრივი ფორმაა.¹

შპს-ის წარმოშობას საფუძვლად ორი მიზეზი დაედო. პირველი, მისი დაფუძნებისა და მართვის პროცედურა უფრო მარტივი იყო, ვიდრე სააქციო საზოგადოებისა და მეორე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც სააქციო საზოგადოება, კაპიტალური საზოგადოებებია, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება თავად საზოგადოების ქონებით.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

¹ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კანონმდებლობით პირველად 1892 წლის 20 აპრილს გერმანიაში აღიარეს (ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის რაილსტაგს, 1884წ.). გერმანიაში მოქმედებს კანონი “შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ”, იგივე სახელწოდების კანონები მოქმედებს იტალიაში, იაპონიაში, ავსტრიაში. ინგლისელმა კანონმდებლებმა კერძო კომპანიათა, მათ შორის შპს-ის სამართლებრივი რეგულირება მოახდინეს 1908 წლის გაერთიანების აქტით (Consolidation Act). რუსულ სამართალში 1912 წლიდან გაჩნდა მოსაზრება ამ ფორმის საწარმოს შემოღების შესახებ.

შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირაონ) ნილი საზოგადოების კაპიტალში, თუ ნესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული (მუხ. 46). როგორც ნესი, შპს-ის ნესდება განსაზღვრავს თითოეული პარტნიორის მინიმალურ შესატანს. სანარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება აქვთ, თავიანთი ნილების პროპორციულად, მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში, პარტნიორთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში კაპიტალში შესაბამისი შენატანების სრული ოდენობით განხორციელებით, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა ნესზე არ შეთანხმდება; ამასთანავე, რომელიმე პარტნიორის მიერ აღნიშნული უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა ნილების ახალი თანაფარდობა წარმოიშვას.

2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს შპს-თან მიმართებით დამატა მე-46¹ მუხლი – პარტნიორის მიერ ნილის უპირატესი შესყიდვის უფლება. ამ კანონით ნილის უპირატესი შესყიდვის უფლებად მიიჩნევა პარტნიორის ვალდებულება, თავისი ნილი დანარჩენ პარტნიორებს იმავე ფასად და პირობებით შესთავაზოს, რომლებითაც ის ამ ნილის მესამე პირისთვის მიყიდვას აპირებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ნილის გაყიდვისას დანარჩენ პარტნიორებს თავიანთი ნილების პროპორციულად აქვთ ამ ნილის უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ ამ საზოგადოების ნესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პარტნიორი (ვალდებული პირი), რომელსაც თავისი ნილის გაყიდვა სურს, ვალდებულია ამის შესახებ შეტყობინება ყველა დანარჩენ პარტნიორს გაუგზავნოს. შეტყობინებაში მიეთითება დასაადებ გარიგებაში აღნიშნული გასაყიდი ნილის მოცულობა, ნასყიდობის ფასი და ანგარიშსწორების ვადა. შეტყობინებაში აგრეთვე მიეთითება ნილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა, რომელიც 10 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს. ეს ვადა აითვლება პარტნიორისთვის შეტყობინების ჩა-

ბარების მომენტიდან. შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით ან ტექნიკური საშუალებით (ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით).¹ ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება შესაბამისი პირისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად ითვლება. ვალდებული პირი თავად წყვეტს, რომელი საშუალებით გააგზავნოს შეტყობინება. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის რომელიმე პარტნიორის მისამართი ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია უცნობია, ვალდებული პირი ზემოაღნიშნულ შეტყობინებას „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეშიც“ აქვეყნებს. შეტყობინება პარტნიორისთვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნების მომენტიდან.

რაც შეეხება შპს-ის შემადგენლობიდან პარტნიორის გასვლას, პრაქტიკის გათვალისწინებით მისი ყველაზე ხშირი მიზეზია პარტნიორთა იდეოლოგიური შეუსაბამობა და ფინანსური საკითხის შეუთანხმებლობა (მაგალითად, გაზრდილ კაპიტალში დამატებითი შესატანის შეტანის შეუძლებლობა). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს რეგულაციები, თუმცა საწარმოს წესდება პარტნიორის გასვლის საკითხს, ხშირ შემთხვევაში, დეტალურად აწესრიგებს.

საზოგადოებიდან გასულ პარტნიორს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რომელიც მოცულობით, როგორც წესი, მის წილს შეესაბამება.² კომპენსაცია შეიძლება გადახდილ იქნეს როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით ან საზოგადოების კაპიტალის შემცირების საფუძველზე, შესატანის უკან დაბრუნებით. ქართული სასამართლო პრაქტიკა კომპენსაციის მეორე ფორმას იცნობს. ცხადია, რომ ფულადი სახსრების უკან დაბრუნება შედარებით ნაკლებ სარისკოა, რასაც ვერ ვიტყვით კომპენსაციის ნატურით დაბრუნებაზე, მით უმეტეს თუ დასაბრუნებელი ქონება კონკრეტული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.³ აღნიშნუ-

¹ უპირატესი შესყიდვის უფლება – დეტალურად იხილეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილი, კარი პირველი. სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი მეორე. ნასყიდობა გაცვლა. ქვეთავი V.

² იხილეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-190-190-2918.

³ სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2002. 5. გვ. 821-824.

ლიდან გამომდინარე, პრაქტიკა იცნობს კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვების დანესების შემთხვევებს.¹

მნიშვნელოვანია საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ მოხდა შპს-ის მარეგულირებელი ნორმების ლიბერალიზაცია და პარტნიორთა ნების ავტონომიურობის ფარგლების გაფართოება; კანონმა უარი თქვა შპს-ის სანესდებო კაპიტალის მინიმალური ლიმიტის განსაზღვრაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი მოცულობით; აღარ არსებობს მოგებისა და წილის პირდაპირპროპორციულობის უპირობო პრინციპი (1 წილი=1 ხმას). პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება ყოველთვის ცალსახად არ არის წილების პროპორციული (მუხ.46).

რაც შეეხება შპს-ის მართვას, მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით და საზოგადოების წესდებით. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა გადაწყვეტილებით იქმნება სამეთვალყურეო საბჭო, მის თავმჯდომარეზე ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის მოთხოვნა.

შპს-ის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას, ზოგადი წესის თანახმად, ახორციელებს დირექტორი/დირექცია. საზოგადოების მიერ დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება ორი სამართლებრივი აქტის საფუძველზე – დანიშვნის აქტით და სასამსახურო ხელშეკრულებით.² შპს-ის დირექტორის დანიშვნის აქტი გამოიცემა პარტნიორთა მიერ (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მიერ). დანიშვნის აქტი იურიდიული ძალის მქონეა მას შემდეგ, რაც დირექტორი დაეთანხმება მას.³ ზოგიერთი ავტორის აზრით, პარტნიორთა მიერ დირექტორის დანიშვნა

¹ რ. მიგირიაული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016. გვ. 221-231.

² რ. მიგირიაული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016. გვ. 193.

³ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მე-3 გამოცემა. 2002. გვ. 423.

არ განიხილება ხელშეკრულებად, იგი ცალმხრივად ასახავს პარტნიორთა ნებას, მინიჭოს კონკრეტულ პიროვნებას დირექტორის უფლებამოსილება, ეს არის „საკორპორაცო-სამართლებრივი“ აქტი. დანიშნის აქტით დირექტორის თანამდებობა „ორგანულ თანამდებობად“ მოიხსენიება, რადგან ამ აქტით დირექტორი თავად იქცევა ორგანოდ (ხელმძღვანელ და წარმომადგენლობით ორგანოდ),¹ ამიტომ დირექტორთან მიმართებით არ გამოიყენება საქართველოს შრომის კოდექსის რეგულაცია. პირის დირექტორად არჩევისა და გამონვევის საკითხი ცალსახად იმ ორგანოს გადასაწყვეტია, რომელსაც „მენარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე აქვს ეს კომპეტენცია.

იგივე შინაარსის რეგულაციაა გერმანულ კანონმდებლობაშიც, კერძოდ GmbHG §38-ის თანახმად, პარტნიორთა კრების მიერ დირექტორი შეიძლება განვეულ იქნეს ნებისმიერ დროს ისე, რომ არ მიეთითოს განვევის საფუძველი. მართალია, მსგავსი მკაფიო რეგულაცია ქართულ კანონმდებლობაში ამ საკითხთან მიმართებით არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკამ დაამკვიდრა აბსოლუტურად იდენტური მიდგომა², ეს ლოგიკურიცაა, რადგან დირექტორის ნებისმიერ დროს გათავისუფლება საზოგადოებას თავიდან ააცილებს არახელსაყრელი დირექტორისაგან ქონების გასხვისებისა და დაკარგვის რისკს.³

საგულისხმოა, რომ დირექტორთან დადებული ხელშეკრულების (სასამსახურო) მოშლა ავტომატურად არ იწვევს მის თანამდებობიდან გათავისუფლებას მანამ, სანამ შესაბამისი აქტი არ გაივლის რეგისტრაციას სამენარმეო რეესტრში. ხელშეკრულების მოშლით გაუქმდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით რეგულირებული საკითხები (მაგ., გასამრჯელოს მოთხოვნის, შვებულებით სარგებლობის და სხვა უფლებები). დირექტორი რჩება თანამდებობაზე და ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს პარტნიორთა მიერ მისი განვევის აქტის რეგისტრაციამდე.⁴

¹ რ. მიგირაული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016. გვ.194-200.

² სუსგ №7. 2001. გვ.715.

³ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მე-3 გამოცემა. 2002. გვ. 304; 426.

⁴ რ. მიგირაული. ქართული კერძო სამართლის საკითხები. 2016. გვ.203.

სააქციო საზოგადოება

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე ფულად და ფისკალურ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოებას, როგორც სამენარმეო საქმიანობის ერთ-ერთ პოპულარულ სუბიექტს, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების სტრუქტურათა შეცვლა განსაზღვრავს ახალი მიზნების მისაღწევად ახალი საშუალებების შეთვისებას სააქციო კანონმდებლობასთან.

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 51-ე მუხლის თანახმად, სააქციო არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად.¹

აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). საზოგადოება კრედიტორთა წინაშე მხოლოდ თავისი ქონებით აგებს პასუხს. აქციის მფლობელ პარტნიორებს საზოგადოების ვალდებულებებისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.

¹ 2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, სააქციო საზოგადოების მიმართ კანონით აღარ განისაზღვრება სანესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა (გერმანული კანონმდებლობით, სააქციო საზოგადოების მინიმალური სანესდებო კაპიტალი 50000 ევროს (Grundkapital) უდრის; რუსეთში - მინიმალური ხელფასის ათასმაგ რაოდენობას, ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის მეორე დირექტივით დადგენილია მინიმუმ 25000 ეკო). სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი რაოდენობით.

აქციის არამატერიალური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს ეძლევა ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი და არა "ფასიანი ქალაქი" მატერიალური გაგებით.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50-ია ან 50-ზე ნაკლები, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს აქციათა რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გარდა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსი, რომლის აქციათა რეესტრს უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორი. 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესტრი იწარმოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული შესაბამისი წესების მიხედვით.

მოქმედი კანონმდებლობა იცნობს აქციათა კლასებად დაყოფას. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული, ამასთან საზოგადოება უფლებამოსილია წესდებით განსაზღვროს სხვა კლასის აქციების გამოშვების შესაძლებლობაც. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლითა და საწარმოს წესდებით. საწარმოს წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფს მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საწარმოს წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – ემისიის პროსპექტშიც), ამ კლასის აქციების განთავსებამდე. აქციების განთავსების შემდეგ განთავსებულ აქციებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეცვლა, ასევე საწარმოს წესდებით გათვალისწინებული ამ კლასის აქციების ცვლილებების წესის შეცვლა დაუშვებელია, გარდა “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1²-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა (52-ე მუხლი. პუნქტი 1¹).

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აქციათა გავრცელებული კლასებია:

- ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები;
- განთავსებული (რომელიც გამოიცა სს-ის დაფუძნების მომენტში და შეიძინეს დამფუძნებელმა აქციონერებმა) და გაცხადებული აქციები (რომელიც გამოიცა უკვე დაფუძნებული სს-ის მიერ, კაპიტალის გაზრდის მიზნით);
- საბაზინო (რომელიც გამოიცა სს-ის დაფუძნების მომენტში და შეიძინეს დამფუძნებელმა აქციონერებმა, მაგრამ შემდგომ გამოისყიდა თავად სს-მ. საბაზინო აქციები არ მონაწილეობს კენჭისყრაში და არ ერიცხება დივიდენდი) და კვაზისაბაზინო აქციები (იგივე საბაზინო აქციები, რომელთაც სს-ები განთავსებენ შვილობილ კომპანიებში. ამ გზით სათავე კომპანია იძენს ხმის უფლებას და, შესაბამისად, შვილობილი კომპანიის კონტროლის შესაძლებლობას);
- კუმულაციური (იგივე ჩვეულებრივი აქციები, რომელთა მეშვეობით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხდება დივიდენდის გადახდა ჩვეულებრივი აქციონერისთვის. ხშირ შემთხვევებში, კუმულაციურ აქციებს სს-ები იყენებენ ფინანსური სიძნელეების პერიოდში) და კუმულაციური პრივილეგირებული აქციები (დივიდენდის გარანტირებულად მიღები აქციები იმ პერიოდშიც, როცა დივიდენდი არ გაიცემა, რაც ნიშნავს, რომ კუმულაციური პრივილეგირებული აქციები იძლევა დივიდენდის დაგროვების (კომპენსირების) საშუალებას, თუ საანგარი-

შო წელს სს-მ არ გასცა დივიდენდი, ამ აქციის მფლობელი მაინც მიიღებს მას შემდგომ პერიოდში);

- კონვერტირებადი აქციები (პრივილეგირებული აქციის განსაკუთრებული სახე, რომლის საფუძველზე მის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს აქციის კონვერტაცია იმავე სს-ის ჩვეულებრივ აქციაში ან ობლიგაციაში);
- სახელობითი აქციები (ასეთი აქციის მფლობელის ვინაობა ყოველთვის ცნობილია);¹
- ოქროს აქციები (მისი მფლობელი ფლობს განსაკუთრებულ უფლებას – მართოს კომპანია);
- აქცია გამოსყიდვის უფლებით (რომელიც შეუძლია გამოისყიდოს კორპორაციამ დადგენილ პირობებში, განსაზღვრულ დროსა და ფასით);
- ჩვეულებრივი აქციები ხმის უფლების გარეშე;
- აქცია ნომინალური ღირებულებით და მის გარეშე.

აქცია მიმოქცევადი (ბრუნვაუნარიანი) ფასიანი ქალაქია ანუ ის შეიძლება იყოს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი გარიგების საგანი. ნებისმიერი კლასის აქციის (გარდა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქალაქისა) გადაცემა საზოგადოების თანხმობით ხდება. აქციათა გადაცემაზე საზოგადოების თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, აქციების განთავსებამდე. აქცია განთავსებულად ჩაითვლება, თუ ის გაცემულია საზოგადოების მიერ სხვა პირისთვის, გარკვეული თანხის ან სხვა საზღაურის სანაცვლოდ (მიუხედავად იმისა, ეს საზღაური უკვე მიღებული აქვს საზოგადოებას თუ არა). გარდა განთავსებულისა, “მენარმეთა შესახებ” კანონის 59-ე მუხლით განისაზღვრა გამოშვებული და ნებადართული აქციების დეფინიციაც. კერძოდ, იმ აქციების მიმართ, რომლებიც განთავსებულია ან/და რომლებზეც საერთო კრების მიერ უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება განთავსების შესახებ, გამოიყენება ტერმინი

¹ აშშ-ის ერთიანი/მოდალური საეაჭრო კოდექსის (Uniform Commercial Code) 1.40 პ-ის შესაბამისად მიმოქცევაში შესაძლებელია გამოვიდეს მხოლოდ სახელობითი აქცია, აღნიშნული პუნქტი განსაზღვრავს აქციონერი – პირი, რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული აქცია, კორპორაციის ნიგში“.

„გამოშვებული აქციები“. აქცია ნებადართულია, თუ საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი მომავალში შესაძლო განთავსების შესახებ. ნებადართული აქციების მაქსიმალური რაოდენობა და კლასი საზოგადოების წესდებაში უნდა აისახოს.¹

სააქციო საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს ფიზიკური და/ან იურიდიული პირი. მისი დაფუძნების უფლება ერთ პირსაც აქვს. აქციონერთა უფლებები ორი სახისაა: პირადი (საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების და სხვა უფლებები) და ქონებრივი (დივიდენდის მიღების უფლება, საზოგადოების ლიკვიდაციისას ქონების განაწილებაში მონაწილეობის მიღების და სხვა უფლებები).

2017 წლის 4 მაისის საკანონმდებლო ცვლილებათა შესაბამისად, ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება შეიძლება გაუქმდეს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, ახალ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრებამ შეიძლება მიიღოს მხოლოდ დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც მიეთითება ახალ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების მიზეზი (მიზეზები).

თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება არ მოქმედებს:

ა) იმ აქციების მიმართ, რომლებიც გამოშვებულია სანარმოს ან მისი შვილობილი სანარმოს (სანარმოების) ხელმძღვანელ ორგანოთა წევრების, წარმომადგენლების, დასაქმებულების, დაკავშირებული პირების ანაზღაურების გაცემის მიზნით, მათ შორის მათ კუთვნილ

¹საერთო სამართლის ქვეყნებში ასხვავებენ: ნომინალურ, გამოშვებულ და გადახდილ კაპიტალს. ნომინალური კაპიტალი იმ კაპიტალის საერთო რაოდენობაა, რომელზეც კომპანია უფლებამოსილია გამოსცეს აქციები; გამოშვებული კაპიტალი ნომინალური კაპიტალის ის ნაწილია, რომლის ფარგლებში გამოშვებულია აქციები, აქციონერთა შორის განაწილების მიზნით; გადახდილი კაპიტალი გამოშვებული კაპიტალის ის ნაწილია, რომელთა ღირებულება გადახდილია აქციონერთა მიერ. ასევე არსებობს ე.წ. სარეზერვო კაპიტალი, რომელშიც მოიაზრება ნომინალური კაპიტალის გამოშვებული ნაწილი, რომლის გამოშვება შეიძლება მხოლოდ კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში (ინგლისის კანონი „კომპანიათა შესახებ“, მუხ.120).

აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდებიდან ან ოფციონებიდან გამომდინარე უფლებების დასაკმაყოფილებლად. თუ ამ მიზნით გამოშვებული აქციები დანიშნულებისამებრ არ იქნა გამოყენებული, მათზე ვრცელდება აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება;

ბ) არაფულადი შესატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების მიმართ;

გ) საზოგადოების მიერ გამოსყიდული საკუთარი აქციების მიმართ, მათი ხელახალი განთავსების (გაყიდვის) შემთხვევაში (მუხ. 53, პ. 1⁴).

აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობს მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი (იქვე, პ. 2).

კანონმდებლობით განმტკიცებულია მცირე აქციონერთა უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები. კერძოდ, აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, სანარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ სანარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. ნებისმიერი კლასის აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, სააქციო საზოგადოების შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ ამ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და დასაბუთებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია, ან/და გარიგებებთან დაკავშირებული გადანყვევტილებების ასლები (იქვე, პ.პ. 3², 3³, 3⁴, 3⁵).¹

ზოგადად, მცირე აქციონერთა დეფინიცია კანონში არ გვხვდება (განსხვავებით დომინანტი აქციონერისა (მუხ. 53, პ. 4)). ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აქციონერი, რომელსაც დამოუკიდებლად არ აქვს

¹ მსოფლიო ბანკ „Doing Business“-ის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, გაუმჯობესებულ ინდიკატორთა შორის დასახელდა „მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა“ და მე-7 ადგილიდან (2017 წლის მაჩვენებელი) გადმოინაცვლა მე-2 ადგილზე.

შესაძლებლობა, გადანყვიტოს აქციონერთა საერთო კრების კენჭისყრის ბედი. მიუხედავად ამისა, სხვა აქციონერის ხმებთან ერთობლიობაში შეიძლება მისი ხმაც გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ასე, მაგალითად, თუკი აქციონერთა საერთო კრების განხილვის საგანი იქნება წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი და მას ხმათა 49%-ის მფლობელ აქციონერთან ერთად მხარს დაუჭერს 2%-ის მფლობელი აქციონერიც, რის შედეგადაც გადანყვეტილება მიიღება 51%-ის უმრავლესობით, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული 2%-ის მფლობელ აქციონერს არ შეეძლო კრების გადანყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, რამდენადაც ამ შემთხვევაში მისი 2% სწორედ გადამწყვეტი აღმოჩნდა, თუმცა ეს გარემოება მას დამოუკიდებლად არ აქცევს დომინანტ აქციონერად.¹

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად, აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება პარტნიორთა კრებაზე გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადანყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე (იქვე, პ. 4).

აქციონერთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, კანონით რეგულირებული უფლებაა საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა წესდებაში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს ან ეხება სანარმოს რეორგანიზაციას.

აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბდა შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მი-

¹ ლ. ლაზარაშვილი. მცირე აქციონერის ცნება. მცირე აქციონერისა და დომინანტი აქციონერის უფლებათა ურთიერთმიმართება ქართულ სააქციო სამართალში. კრებული "თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები". 2009 წ.

ზეზით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა საკუთარი კაპიტალის 25%-ს აღემატება;

ბ) გამოსყიდვის მომენტში სანარმო აკმაყოფილებს „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს ან ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას აქციათა გამოსყიდვის შედეგად (მუხ. 53¹).

საქართველოში სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა ძირითადად პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ პრივატიზების დროს არ მომხდარა რეალური ინვესტიციების დაბანდება, რაც საერთოდ დამახასიათებელია სააქციო საზოგადოებათა შექმნის წინაპირობისათვის და, შესაბამისად, სახელმწიფოს გაყიდული სანარმოების შედეგად არანაირი ფინანსური სარგებელი არ მიუღია. სანარმოთა უმეტესობის პრივატიზება დახურული პრივატიზაციის საფუძველზე განხორციელდა. სახელმწიფომ "სახალხო" ქონების გადანაწილებისას უპირატესობა მიანიჭა სანარმოებში მომუშავე პერსონალს და დაურიგა აქციები სიმბოლურ ფასად ან უფასოდ. ამის გამო, სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა ამ პერიოდში ჩამოყალიბდა არა აქციონერთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის – პრივატიზების შედეგად. ასეთი გზით დაფუძნებული სს-ების ხელმძღვანელმა პირებმა, უმრავლეს შემთხვევაში, მოქნილ და პროფესიონალ მენეჯერულ სისტემას ვერ გაუწიეს კონკურენცია. პრივატიზების გზით ჩამოყალიბებულ სანარმოებში ახალი კაპიტალდაბანდებები ფაქტობრივად არ მომხდარა. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ბევრმა კომპანიამ ვერ გაუძლო კონკურენციას და გაკოტრების რეჟიმში გადავიდა. სააქციო საზოგადოებათა დიდი ნაწილი „კვაზი“ სააქციო საზოგადოებებად გადაიქცა. ისინი მხოლოდ ფორმალურად აგრძელებს სს-ად არსებობას.

2005 წელს „მენარმეთა შესახებ“ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რამაც გარკვეულწილად სრულყო სააქციო საზოგადოების მარეგულირებელი ნორმები; ეს ეხება სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ინსტიტუტების დამკვიდრებას ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

ევროკავშირის მიერ მიღებულ დირექტივებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებულ აქციათა სავალდებულო მიყიდვის (squeeze out) ინსტიტუტს. ეს სპეციფიკური პროცედურაა, რაც 90-95% აქციათა მფლობელ მაჟორიტარ აქციონერს უფლებას აძლევს მინორიტარი აქციონერისგან გამოისყიდოს აქციები.

აქცია პირდაპირი მნიშვნელობით არამატერიალიზებული მოთხოვნის უფლებაა დივიდენდის მიღებაზე. თავისთავად ეს უფლება კონკრეტული აქციონერის საკუთრებაა, თუმცა მისი პერმანენტული რეალიზაცია გარანტირებული არ არის, რამეთუ არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობით სააქციო საზოგადოებას არ აქვს დივიდენდის ყოველწლიურად სავალდებულოდ გაცემის ვალდებულება.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები“.

აღნიშნულმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა თითქმის ყველა ქვეყანაში სპეციალისტების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, გერმანია¹, ჩეხეთი², საქართველო) მისი კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. ამ საკითხთან მიმართებით, ყველაზე „მგრძობიარე“ საკითხად თითქმის ყველა ქვეყანაში მიჩნეულ იქნა ქვეყნის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების ხელყოფა და აქციის გამოსყიდვის დროს სამართლიანი ფასის განსაზღვრის მეთოდიკა.

დღემდე სპეციალისტთა ნაწილი Squeeze-out-ის სამართლიანობას უარყოფითად აფასებს, მათში ეჭვს იწვევს მინორიტარ აქციონერთა უფლებების უხეში დარღვევის რისკების ზრდის შესაძლებლობა. მაგალითისთვის, ტრანსნაციონალური სამართლის პროფესორ Peer Zumbansen-ის აზრით, „მსოფლიო დიდიხანია ისმენს უმცი-

¹ BVerfGE 14, 263. Feldmühle. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1962 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება.

² Pl.US 56/05. ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

რესობაში მყოფი აქციონერების მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ადეკვატური სამართლებრივი მოწესრიგების მოთხოვნებს. თუმცა გაურკვეველია, ნამდვილად მოახერხებს თუ არა ასეთი რეგულაცია აქციონერთა პატარა ჯგუფების ეფექტურ დაცვას¹; „ეს არის ქმედება, რომელიც მიმართულია კორპორაციაში უმცირესობის ინტერესების შემცირების ან გაქრობისკენ“².

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და ხშირ შემთხვევაში – ნინალმდევობისა, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ საკანონმდებლო დონეზე გაითვალისწინა აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესაძლებლობა, რაც დასაბუთებულია პრაქტიკის განზოგადებით, კერძოდ:

- მინორიტარ აქციონერთა არსებობა ზოგჯერ უკავშირდება საზოგადოების მიერ განეულ არათანაბარზომიერ ხარჯებს;
- პრაქტიკაში არცთუ იშვიათია მინორიტართა მიერ თავისი უფლებების „ბოროტად“ გამოყენების შემთხვევები (მაგალითად, მინორიტარის მიერ სასამართლოში მიმართვის უფლების შეგნებულად გამოყენება მაშინ, როცა ეს აუცილებელი სულაც არ არის, თავის მხრივ სანარმოს ჩართვა „დაუსრულებელ“ სასამართლო პროცესებში ინვესს უარყოფით შედეგებს. ფინანსებისა და დროის ხარჯვასთან ერთად იზრდება საქმიანი რეპუტაციის შელახვის, ბიზნესპარტნიორებისა და პოტენციური ინვესტორების დაკარგვის რისკები და ა.შ.);
- არის შემთხვევები, როდესაც აქციონერთა კრების მოწვევართულდება, კომპანიის რეესტრში წვრილ აქციონერთა საკონტაქტო მონაცემების ფაქტობრივად არარსებობის გამო. ასეთი შემთხვევები დამახასიათებელია იმ სააქციო საზოგადოებებისთვის, რომლებიც დაფუძნდა სახელმწიფო სანარმოების მასობრივი პრივატიზაციის გზით. აქციონერები გახდნენ იმ პერიოდისთვის სანარმოში დასაქმებული პირები და „შედეგად მივიღეთ სააქციო საზოგადოებები ათასობით აქციონე-

¹ Peer Zumbansen. German Corporate Law in Constitutional Perspective: The Squeeze-Out Reviewed, German Law Journal. Vol. 2 No. 2 – 1, February 2001, § 6.

² Squeeze-out, in Bryan A. Garner (editor in chief). Black's Law Dictionary. 9th ed. Thomson Reuters, 2009.

რით, რომელთაც არ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა, თუ რა უფლებებს ფლობდნენ ისინი ამ აქციების საფუძველზე¹;

- მინორიტარი აქციონერები არ მონაწილეობენ საზოგადოების მართვაში, მათი აქციონერად ყოფნის ძირითადი ინტერესია ფინანსური მხარე, კერძოდ დივიდენდის მიღება. როგორც აღვნიშნე, აქცია პირდაპირი მნიშვნელობით არამატერიალიზებული მოთხოვნის უფლებაა დივიდენდის მიღებაზე. თავისთავად ეს უფლება კონკრეტული აქციონერის საკუთრებაა, თუმცა მისი პერმანენტული რეალიზაცია გარანტირებული არ არის (მათ შორის არც კანონმდებლობით).

აღნიშნული პრობლემების მოხსნა აუცილებელია სააქციო საზოგადოების მართვისა და მენეჯმენტის ეფექტურობისათვის. იმ პირობებში, როდესაც 95%-ის მფლობელი 1 აქციონერი უთანხმებს დანარჩენი 5%-ის მფლობელებს უამრავ საკითხს, გართულებულია როგორც ადმინისტრირება და მენეჯმენტი, გაზრდილია ადმინისტრაციული ხარჯები. მაგალითად, "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53-ე მუხლის თანახმად, ყოველ აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს საზოგადოებას წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. გარდა ამისა, უფლება აქვს შეამომოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, მოითხოვოს ახსნა-განმარტებები საზოგადოების სხვადასხვა ორგანოდან და ა.შ.

აქცია შეფასებაუნარიანი ფასიანი ქალაქია, რაც მის სამართლიან ფასში გამოიხატება; აქედან გამომდინარე, მინორიტარი აქციონერისაგან აქციის სავალდებულო გამოსყიდვა მისი ფინანსური აქტივის თვისებრივი გარდაქმნაა და არა მისი საკუთრების უფლების ხელყოფა. ამიტომ სანარმოოდან მინორიტარი აქციონერის „გაყვანა“ გამართლებულია, თუკი დაკმაყოფილდება ამ უკანასკნელის ფინანსური ინტერესი. ასეთ შემთხვევაში მინორიტარი აქციონერი წარმო-

¹ კ. კუჭავა. სავალდებულო მიყიდვა – უფლებათა დარღვევა თუ გზა უკეთესი კორპორაციული მართვისკენ. კორპორაციული მართვის ყოველკვარტალური ბიულეტენი, № 11. 2007. გვ. 5.

დგენილია, როგორც ინვესტირებაზე ორიენტირებული პირი და არა, როგორც კომპანიის პარტნიორი.¹

მინორიტარ აქციონერთა მიერ კომპანიის შემდგომი რენტაბელურობის გათვლა ან დივიდენდის აუცილებლად მიღების იმედი საფუძველს მოკლებულია, საკანონმდებლო დონეზე. გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მინორიტარ აქციონერს ყოველთვის აქვს შესაძებლობა კომპესაციის სახით მიღებული თანხა დააბანდოს იგივე ან სხვა პროფილის სანარმოში უკეთესი პირობით ან დაინყოს საკუთარი ბიზნესი. გარდა ამისა, გადანყვეტილებას დივიდენდების განაწილების შესახებ კომპანიის მმართველობითი ორგანო იღებს და უმრავლესობის ნარმომადგენლებს უფლება აქვთ, დივიდენდები საერთოდ არ გაანაწილონ („დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია“ („მენარმეთა შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება). საგულისხმოა, რომ იგივე პოზიციაზეა სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც). შედეგად, მინორიტარებმა შესაძლოა ნლობით არ მიიღონ დივიდენდი (ფინანსური სარგებელი). ასეთ შემთხვევებში უმცირესობაში მყოფ აქციონერს საზოგადოების პარტნიორად დარჩენის არანაირი მოტივაცია აღარ უნდა ჰქონდეს და, ამ თვალსაზრისით, აქციათა მიყიდვა მათთვის შესაძლოა ერთადერთი „სარფიანი“ ვარიანტი იყოს.

აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი განსაკუთრებით გამართლებულია, როცა უშუალოდ ეხება კომპანიის სასიცოცხლო ინტერესებს, მაგალითად: ოპერატიულ მართვას, რეორგანიზაციას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ Squeeze-out-ის შემოღებამდე არცთუ იშვიათად ხდებოდა მინორიტარი აქციონერების საზოგადოებიდან „ხელოვნური“ განდევნა, თუმცა ამ პროცესს ხშირად თვალთმაქცური ხასიათი ჰქონდა. ფაქტობრივად ხდებოდა სიტუაციათა პროვოცირება, რომლის გამოც უმცირესობაში მყოფი აქციონერები იძულებულნი ხდებოდნენ მოეთხოვათ საზოგადოებისაგან მათი აქციების გამოსყიდვა. Squeeze-out-ის ინსტიტუტმა სამართლებრივი საფუძველი შექმნა მინორიტარ აქციონერთათვის აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი და გარანტირებული კომპენსა-

¹ ქ. ქოქრაშვილი. აქციათა სავალდებულო მიყიდვა ქართულ კორპორაციულ სამართალში. ჟურნალი „ინტელექტუალი“, №2. 2006.

გამოსყიდვის შესაძლებლობის სამართლიანობა კი არ დადგა კითხვის ქვეშ, არამედ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მიზეზად სასამართლომ მიიჩნია აქციის გამოსასყიდი ფასის დადგენის გაუმართლებელი მექანიზმი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ იქნა რეგულაციის ახალი პროექტი, რომელმაც ფაქტობრივად გამოასწორა არსებული ხარვეზი.

საყურადღებოა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ან გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ საკუთრების შეზღუდვასთან, ან ჩამორთმევასთან, თუნდაც სათანადო კომპენსაციის გაცემით, არამედ სააქციო საზოგადოებაში მინორიტარ აქციონერთა აქციების სავალდებულო გამოსყიდვასთან. ანუ, როდესაც სახელმწიფო არეგულირებს (კონტროლს უქვემდებარებს) სააქციო საზოგადოებაში მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერთა ურთიერთობას და ამ ურთიერთობის ერთ მხარეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. აღსანიშნავია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (1 BvL 16/60 "Feldmuehle-Urteil" 1.08.1962), რომლის თანახმად, ქონების (საკუთრების) ჩამორთმევა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს ან მისი იძულებითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის უფლებამოსილებიდან. კანონმდებელი მაჟორიტარ აქციონერს გადაწყვეტილების მიღების ზოგად უფლებამოსილებას აძლევს. აქვე მხედველობაშია მისაღები სტრასბურგის მიერ განხილული "საქმე ბრემლიდი და მალმსტრომი შვედეთის წინააღმდეგ".¹ ანალოგიური დავის განხილვისას კომისიამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი კერძო კომპანიების მიმართ ზოგადი საკანონმდებლო პოლიტიკის პრაქტიკული გამოხატულებაა და ეხება აქციათა მფლობელებს შორის ურთიერთობებს. ასეთი სახის აქტის ზოგადი მიზანი, კომისიის აზრით, არის იმ ინტერესების დაცვა, რომელსაც სახელმწიფო მნიშვნელოვნად მიიჩნევს და არანაირი კავშირი არა აქვს „საზოგადოებრივ საჭიროებასთან“.

¹ Lars Bramelid and Anne-Marie Malmstrom v. Sweden (admissibility decision) 1982.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს სახელმწიფოს უფლებასთან გარკვეული შეზღუდვის ფორმით (კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენებით) არეგულიროს სააქციო საზოგადოებაში მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერთა ურთიერთობა, რომლის მიზანია სააქციო საზოგადოების ეფექტური განვითარებისათვის ხელშეწყობა და საინვესტიციო გარემოს შექმნა.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ მიიჩნია აღნიშნული ინსტიტუტი არაკონსტიტუციურად. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ საკუთრების უფლება აქციაზე არის არა უბრალოდ ნივთის ფლობა, არამედ მისი არსებითი ბუნება გამოიხატება კომპანიის თანამონაწილეობაში. ასეთი სახის საკუთრებაზე ვრცელდება შეზღუდვები, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს კაპიტალური საზოგადოების უმრავლესობის პრინციპიდან. ამ პრინციპის არსი შემდეგში მდგომარეობს: აქციონერთა უფლებები შეიძლება შეიცვალოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ცვლილებები გამოიხატება არა მხოლოდ შერწყმის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებაში, არამედ ე.წ. „შედეგიან კონტრაქტებში“ (Ergebnissausschlussvertrag). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის უფლება ცდილობს დაამყაროს ბალანსი აქციონერთა უმრავლესობისა და უმცირესობის უფლებებს შორის. კომპანიის სათანადოდ მართვა უმრავლესობის ინტერესია, დივიდენდების მიღება კი – უმცირესობის. აქედან გამომდინარე, აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზანი ლეგიტიმურია. რაც შეეხება აქციათა სავალდებულო მიყიდვის უფლების ბოროტად გამოყენებას, ასეთი გარიგების გაუქმება შესაძლებელია ბათილობის ზოგად პირობებზე დაყრდნობით. ბოლოს სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ კორპორაციაში უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ყოველთვის უნდა იყოს ბალანსი. უმრავლესობამ არ შეიძლება უმცირესობაში მყოფ აქციონერებზე სრული ეკონომიკური კონტროლი მოიპოვოს. თუმცა, ასევე არ შეიძლება უმრავლესობაში მყოფი აქციონერის უფლებები უმცირესობაში მყოფი აქციონერების ხარჯზე დაირღვეს.¹ კიდევ ერთი

¹ ა. ნოზაძე. აქციათა სავალდებულო მიყიდვა. ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა. 2012 წ.

გადანყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2000 წლის 23 აგვისტოს, სს „მოტო-მეტერის“ საქმეზე. მოუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა იმავე სასამართლოს გადანყვეტილება იმავე საკითხზე, სასამართლომ მაინც იმსჯელა და ჩამოაყალიბა შემდეგი პოზიცია: სს „მოტო-მეტერის“ აქციათა 99%-ს ფლობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელმაც გამოიყენა აქციათა სავალდებულო მიყიდვის უფლება და მინორიტარებს აქციებში გადაუხადა იმ ფასზე „ოდნავ უფრო მეტი“, რაც დაადგინა ექსპერტმა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვა არ არღვევს გერმანიის კონსტიტუციას. სასამართლოს აზრით, უმრავლესობის უფლება, იძულებით მოახდინოს უმცირესობის საკუთრებაში მყოფი აქციების გამოსყიდვა, კონსტიტუციურია იმ პირობით, რომ უმცირესობის ინტერესები დაცული იქნება. სასამართლოს აზრით, უმცირესობის ინტერესებს დაცვა სჭირდება აქციის ფასის სამართლიანობის განსაზღვრისას და არა აქციის საკუთრებაში ქონის თვალსაზრისით.¹

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 534-ე მუხლის თანახმად, თუ აქციების შექმნის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები სამართლიან ფასად. კანონი დანერგვით განსაზღვრავს ამ უფლების გამოყენების წინაპირობას, სამართლიანი ფასის განსაზღვრის მექანიზმის ჩათვლით.

წარმოდგენილი დებულება სრულად ასახავს ევროკავშირის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის აპრილში მიღებულ დირექტივას “აქციონერთა შესახებ”. აღნიშნული დირექტივა მოითხოვდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის დანერგვას ევროკავშირის ნევრი ქვეყნების საკანონმდებლო სივრცეში 2006 წლის 1 მაისამდე, ერთ-ერთი პირობის დაფიქსირებით: თუ აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ოფერენტი ფლობს კონკრეტული სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 90%-ს და აქციათა

¹ BverfG. 1 BvR 68/95. Moto-Meter. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 23 აგვისტოს გადანყვეტილება.

სავალდებულო მიყიდვის ოფერენტი - 95%-ს. ამასთან, დირექტივის მე-15 თავში აღნიშნულია: "სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს "გამყიდველების" მიერ თავიანთ აქციებში სამართლიანი ფასის მიღება. სასურველია, რომ მყიდველმა შესთავაზოს გამყიდველს ნაღდი ფული, როგორც აუცილებელი ოფცია ასეთი გარიგების დადებისას".

როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების, ისე სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა საკანონმდებლო დონეზე დააფიქსირა აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესი. ევროკავშირის დირექტივების თანახმად, აღნიშნული წესის მოქმედებით სააქციო კაპიტალის ზღვარია აქციათა 90% (აშშ, დიდი ბრიტანეთი, დანია, პორტუგალია, ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი); ზოგ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 95%-ია (გერმანია, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, პოლონეთი, რუმინეთი, ლიეტუვა, ლატვია, რუსეთი, საქართველო), ზოგან კი 98%-ს შეადგენს (იტალია შვეიცარია).¹

აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ინსტიტუტის შემოღების მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების კონტექსტში განპირობებულია საკორპორაციო წესრიგის დამყარებისა და საკორპორაციო ურთიერთობების განვითარებით, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სრულყოფილი სააქციო საზოგადოებები და, შესაბამისად, საფონდო ბირჟები.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53⁴-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით. ამასთან, მყიდველი სასამართლოში მიმართვამდე არაუგვიანეს 1 თვისა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ბეჭდვით

¹ გერმანიაში 95%-ის მფლობელ აქციონერს შეუძლია გამოსყიდოს აქციები მინორიტარი აქციონერებისაგან იმ ფასად, რა ფასსაც დაადგენს დამოუკიდებელი ექსპერტი. თუმცა აქვე კანონმდებლობა კონკრეტულ მინიმუმსაც ითვალისწინებს, რითაც დამოუკიდებელ ექსპერტს ზღუდავს ფასის განსაზღვრაში და ადგენს, რომ აქციის ღირებულება არ უნდა იყოს საბაზრო ფასზე ნაკლები.

ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ (იქვე, პუნქტი 3). უშუალოდ გამოსყიდვის პროცედურა რეგულირდება კანონის 53⁴-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულებათა შესაბამისად.¹

აშშ-ის კანონმდებლობით, მაჟორიტარების მიერ აქციათა გამოსყიდვის საკითხის განხილვისას დირექტორატი ვალდებულია არსებითად შეაფასოს ე.წ. "კერძო კომპანიად გარდაქმნის" (going private) აუცილებლობა და ასევე მისი ალტერნატივები. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას გამოსასყიდ აქციათა ფასისა და გამოსყიდვის პირობების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს აქციონერის მიერ აქციათა ღირებულების სავარაუდო გაზრდის თაობაზე. ამასთან, კომპანია ვალდებულია აშშ-ის ფასიანი ქაღალდების ბრუნვის კომიტეტს და ბირჟების კომისიას [SEC²] წარუდგინოს ინფორმაცია აქციათა გამოსყიდვის პირობების შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც ჩვენს კანონმდებლობაში 2005 წლიდან დამკვიდრდა – აქციათა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, რომელიც ევროპაში დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობიდან შემოვიდა³ და დღეს მოქმედებს როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.⁴

53²-ე მუხლის თანახმად, თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედი აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 1/2-ზე მეტს, ამ ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 45 დღისა ვალდებულია განახორციელოს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის

¹ მაგალითად, ლუქსემბურგის კანონმდებლობით, სამართლიან ფასს განსაზღვრავს მყიდველი, კანონით დადგენილი პრინციპების დაცვით.

² SEC Security Exchange Commission – ფასიანი ქაღალდების კომისია, რომელიც შექმნილია აშშ-ის კონგრესის მიერ 1934წ., იმ საბირჟო მარცხების განმეორების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც მოხდა 1929 წელს ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისას და "დიდი დეპრესია" გამოიწვია.

³ „City Code on Takeovers and Mergers“ – „კომპანიათა შთანთქმისა და შერწყმის კოდექსი“. მიღებულია 1968 წელს.

⁴ 2002 წლს გერმანიაში ამოქმედდა კანონი „ფასიანი ქაღალდების შექმნისა და სანარმოს კონტროლის ქვეშ მოქცევის შესახებ“ – WpÜG. 1999 წლიდან ავსტრიაში – „სანარმოს კონტროლისა და მფლობელობის ქვეშ მოქცევის შესახებ“ – ÜBG. BGBl.

შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვაზე ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლქვეშ არსებულ აქციათა რაოდენობა 1/2-ზე დაბლა. ამგვარ ოფერტზე თანხმობა მინორიტარი აქციონერის უფლებაა და არა ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში გამოსასყიდ ფასს დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია ადგენს.

შეთავაზებული ფასი უნდა იყოს იმ ყველაზე მაღალი ფასის ტოლი, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა ამ საზოგადოების აქციაში.¹

დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი, ასევე ვალდებულია მიანოდოს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია აქციების ყიდვაზე დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია მთელი ქონებით აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მიყენა აქციონერს გაყიდვის მომენტში, დაუდევრობით ან განზრახ, არასწორი შეფასების შედეგად. თუ აქციონერის ხელთ არსებული აქციები ბოლო 6 თვის განმავლობაში უსასყიდლო გარიგების საფუძველზე მიაღწევს კანონით დადგენილ ზღვარს, გამოსასყიდ ფასს ადგენს სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.²

აქციათა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ეფექტურია მაშინ, როდესაც სამიზნე საზოგადოებაში (რომლის აქციების შესყიდვაც ხდება ან უნდა მოხდეს) წილობრივი მონაწილეობა საგრძნობლად დანაწევრებულია და არ არსებობს ერთი აქციონერი, რომელსაც აქვს ხმის უფლების მქონე აქციათა ის რაოდენობა, რომ უშუალოდ განახორციელოს საზოგადოებაზე ეფექტური კონტროლი.³

¹ ი. ბურდული. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება. აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა? სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №2. 2007.

² გ. კიკვაძე. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება. საკორპორაციო სამართლის კრებული II. 2015. გვ. 51-114.

³ Kahan M. Sales of Corporate Control. New York University School of Law. JLEO. V9. #2. P. 368.

2016 წლის 19 თებერვალს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს დამატება მუხლი 53⁵-ე – „შვილობილი სანარმოს მიერ საზოგადოების აქციათა შესყიდვა“, რომლის თანახმად, თუ ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, ფლობს სხვა სანარმოს აქციების 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ასეთ შვილობილ სანარმოს არ აქვს აღნიშნული ანგარიშვალდებული სანარმოს აქციების შესყიდვის უფლება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 42-ე პუნქტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა სააქციო საზოგადოებათა მიერ სადივიდენდო პოლიტიკის შემუშავება-გატარებას. სადივიდენდო პოლიტიკა ითვალისწინებს გადანყვეტილებათა მიღებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა მაგალითად, წლიური შემოსავლის რა ნაწილი გაიცეს აქციონერებზე დივიდენდის სახით და რა ნაწილი დაკავდეს საზოგადოებაში წარმოების განვითარებისა და რეინვესტირების მიზნით, ამიტომ ლოგიკურია კანონის დებულება: „დივიდენდის ყოველწლიურად გაცემის შეპირება ბათილია“.

სადივიდენდო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორები. კერძოდ, ერთი მხრივ, დივიდენდის მოცულობის ზრდა აქციის კურსის ზრდის ტენდენციას განაპირობებს, მეორე მხრივ, ინვესტირების ხარჯზე შემოსავლის წილის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს აქციათა ფასის შემცირება.

სამენარმეო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს კონკრეტულ დებულებას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულების კომპრომისის მისაღწევად. გამონაკლისია ნორმა, რომლის თანახმად სააქციო საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევა ერთიან წინადადებას, მიიღონ გადანყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ (მუხ. 54.6 "დ").

რაც შეეხება სააქციო საზოგადოების მართვის თავისებურებებს, ზოგადად ცნობილია სააქციო საზოგადოების მართვის სამი მოდელი:

1. სამრგოლიანი მართვის სტრუქტურა (გერმანული მოდელი) – გულისხმობს აქციონერთა საერთო კრებას, დირექციას (გამგეობას - der Vorstand) და სამეთვალყურეო საბჭოს (der Aufsichtsrat)¹;

2. ორრგოლიანი მართვის სტრუქტურა (ანგლო-ამერიკული მოდელი) – აქციონერთა საერთო კრება (share-holders' meeting) და დირექცია (board of directors);

3. პარტნიორებს უფლება აქვთ აირჩიონ პირველი და მეორე ზე-მოსხენებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი (ფრანგული მოდელი).

ტრადიციულად, კორპორაციული მართვის პირველ მოდელს იზიარებს გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ნიდერლანდების, ბელგიის, სკანდინავიური ქვეყნების, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა (იგივე მოდელითაა მოწყობილი საფრანგეთის კომპანიათა დაახლოებით 20%), მეორე მოდელი ახასიათებს საერთო სამართლის ქვეყნებს, ხოლო მესამე – აღიარებულია საფრანგეთის კანონმდებლობით. წარმოდგენილი დაყოფა ცხადია პირობითია. ამერიკელი იურისტები სააქციო საზოგადოების ანგლო-ამერიკულ მართვის სტრუქტურას არ მიიჩნევენ ორრგოლიანად, აქციონერთა კრებას საერთოდ არ განიხილავენ მართვის სუბიექტად და თვლიან, რომ სს-ის მართვა ერთდონიანია (one-board system), ხოლო ევროპული მართვის სისტემას ცალსახად ორდონიანად აღიარებენ (two-tier system).

საქართველოში სააქციო საზოგადოების მართვის სტრუქტურა, დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ერთგვარად გერმანული და ანგლო-ამერიკული მოდელების კომბინაციაა. 2008-2011 წლების საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც, როგორც აღვნიშნე, უმეტესად სწორედ სააქციო საზოგადოების მართვის სტრუქტურასა და მის მმართველ სუბიექტთა უფლებამოსილებებს შეეხო, ქართველ იურისტთა მეტად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. რეალურად, კანონის მოქმედ რედაქციას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

¹ ზოგი ავტორი მოიხსენიებს ერთდონიან მართვის სისტემად, ზოგი – ორდონიან მართვის სისტემად.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების საქმიანობის მიმართ აქციონერთა "აპათია", სანარმოს ოპერატიულ მართვაში მათი მხრიდან მონაწილეობის არმილება, მართვის ჩვევების არქონა, დადგენილი პროცედურების უგულვებლყოფა და აქციონერთა პასუხისმგებლობის ფაქტობრივი არარსებობა, აქციონერთა კრების მიერ საზოგადოების მართვას არაეფექტურს ხდის. ამასთან, აქციონერთა სიმრავლის გათვალისწინებით, ტექნიკურად რთულია მათი თავმოყრა. უმრავლეს შემთხვევაში, აქციონერთა კრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, ის შემადგენლობის (პარტინიორთა კატეგორიების) გათვალისწინებით არაერთგვაროვანი ორგანოა, ამიტომ საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მოტივაცია მათთვის სრულიად განსხვავებულია, უფრო ხშირად კი ასეთი მოტივაცია საერთოდ არ არსებობს. პირობითად აქციონერები შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავყოთ:

- მცირე აქციონერები, რომლებიც ფაქტობრივად არ მონაწილეობენ საზოგადოების მართვაში, მეტიც, ხშირ შემთხვევაში, აქციებს გადასცემენ მინდობილ მმართველს. მათი ერთადერთი მიზანია დივიდენდის მიღება;

- აქციონერი - თანამშრომელი (იგულისხმებიან პარტნიორები, რომლებიც სანარმოთა მასშტაბური პრივატიზების პროცესში გახდნენ აქციონერები). თანამშრომელთა „გააქციონერების“ პროცესი თავიდან მეტად იმედიანი იყო, ეს მათთვის ერთგვარ სოციალურ იმიჯს წარმოადგენდა. პრაქტიკამ ცხადყო, რომ თანამშრომლის აქციონერად გადაქცევა თავისთავად საკმარისი არ აღმოჩნდა „მესაკუთრული“ მოტივაციის განვითარებისა და მართვის ჩვევების შესაძენად, მათი გადანყვებილებები უფრო ემოციური ხასიათისაა და ნაკლებად ეფუძნება კორპორაციული მართვის აპრობირებულ პრინციპებს;

- აქციონერი - მმართველი, რომელიც ძირითადად მოტივირებულია შეინარჩუნოს მმართველობითი პოზიციები;

- აქციონერები - მსხვილი ინვესტორები, რომელთაც სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ, ერთ შემთხვევაში ისინი ახორციელებენ ე.წ. „პორტფელურ“ ინვესტიციას ანუ ყიდულობენ გარკვეული რაოდენობის აქციებს, მათი შემდგომ უფრო ძვირად გაყიდვის მიზნით; სხვა შემთხვევაში ინვესტირებას ახორციელებენ შემდგომში ბიზნე-

სის ერთიანად გაყიდვის მიზნით, ზოგ შემთხვევაში კი მათ მიერ განხორციელებული ინვესტირება მიზნად ისახავს საწარმოს შენარჩუნებასა და განვითარებას.

წარმოდგენილი სიტუაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით მომგებიანია, თუ კრების კომპეტენციას მიეკუთვნება მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტა და ნებისმიერ საკითხზე (თუნდაც კანონის შესაბამისი მუხლებით დადგენილზე) არ მოხდება აქციონერთა მოწვევა. ამ თვალსაზრისით, ქართულმა კანონმდებლობამ აშკარად უპირატესი გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილებები საზოგადოების წესდებით (ანუ თავად აქციონერთა შეთანხმებით) შეიძლება გადანაწილდეს დირექტორზე (დირექტორებზე) ან/და სამეთვალყურეო საბჭოზე (54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადება), რაც იმას გულისხმობს, რომ ოპერატიულ მართვასთან დაკავშირებული საკითხების ან იმ საკითხთა გადაწყვეტის დელეგირება, რაც მოითხოვს მმართველობით ჩვევებსა და გამოცდილებას, დასაშვებია პროფესიონალურ, მობილურ და, ამასთან, უშუალოდ მართვაზე ორიენტირებულ ორგანოზე.¹

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ (დანარჩენ შემთხვევაში კრება რიგგარეშეა) საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში და განიხილება ინფორმაცია გასული წლის საქმიანობის შესახებ; განისაზღვრება საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების

¹ ჯერ კიდევ 1937 წელს გერმანიამ „სააქციო კანონით“ საზოგადოების მართვის უმთავრესი ძალაუფლება დირექციას (გამგეობას) გადასცა და სწორედ ამით შეამცირა აქციონერთა კრების კომპეტენციის ფარგლები.

შესახებ. თუ აქციათა 75%-ზე მეტს ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოინვენა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამომოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი დაზღვეული წერილით ეგზავნებათ. ანგარიშვალდებული სანარმოს შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით (მუხ.54, პ. 2).

აქციონერს შეუძლია 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. იგი კრების მუშაობაში მონაწილეობს პირადობის მონაწილის, პირადობის ნეიტრალური მონაწილის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე (იქვე, პ. 3).

აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი –

ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს აქციონერთა შემადგენლობიდან, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს საერთო კრება (იქვე, პ. 4).

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადანყვეტილებაუნარიანია, როდესაც ესწრება ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადანყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადანყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ დაესწრება ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადანყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადანყვეტილებაუნარიანი იქნება წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად (იქვე, პუნქტი 5).

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს დირექტორი (ერთპიროვნული ან კოლექტიური ორგანო). დირექტორთა უფლებამოსილება განისაზღვრება კანონისა და წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

თუ დირექტორი არ შეასრულებს მასზე კანონით, წესდებითა და ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მისი ქმედებით მიყენებული ზიანი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. მტკიცების ტვირთი დელეგირებულია თავად დირექტორებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზიანის ფაქტის დადგენისას, დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნის კომპენსაცია.

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებე-

ბით, სს-ს აღარ ევალება ყველა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულოდ შექმნა. ფაქტობრივად, ევროპული ორდონიანი მართვის სისტემა შეიცვალა შერეული სისტემით, ცალკეული გამონაკლისის გათვალისწინებით. ფაქტობრივად კანონი საშუალებას იძლევა, არჩევანი გაკეთდეს მონისტურ და დუალისტურ სისტემებს შორის.¹ ამასთან, "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, საექციო საზოგადოება მხოლოდ მაშინაა ვალდებული მართვის სტრუქტურაში იქონიოს სამეთვალყურეო საბჭო, თუ იგი ანგარიშვალდებული სანარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდაა დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ან ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ან მასში აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან.² სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით ნაწილდება სანარმოს მართვის სხვა ორგანოებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს, საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაც-

¹ ა. ქირია. საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში. საკორპორაციო სამართლის კრებული I. 2011. გვ. 50-58.

² ანგარიშვალდებულ სანარმოდ მიიჩნევა "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუნქციონირებული ოურიდიული პირი, რომლის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა) განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან/და დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე (საქ. კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მუხ. 9.1) (საჯარო ფასიანი ქაღალდები ისეთი კლასის ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და, რომლებსაც ჩანაწერით ფლობს ფასიანი ქაღალდების 100-ზე მეტი მფლობელი).

ხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები). ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში დირექტორები არ შეიძლება წარმოადგენდნენ უმრავლესობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო დაკარგავს კანონით მისთვის განსაზღვრულ ფუნქციურ დატვირთვას.

თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქალაქები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, ამ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრი მაინც უნდა იყოს პირი, რომელიც არ არის აღნიშნული საზოგადოების თანამშრომელი ან ამ საზოგადოებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირი და არ არის ჩართული მის ყოველდღიურ საქმიანობაში, ამასთანავე დამოუკიდებელია. ეს უკანასკნელი, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად არ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოებასთან, არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს და არ იღებს აღნიშნული საზოგადოებიდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისათვის დადგენილი ანაზღაურებისა.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადანყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

2016 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებით დადგინდა, რომ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი (მუხ. 55. პუნქტი 3¹).

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთ-ხელ. მოწვევა ხდება წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით. სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადანყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილეს) შეუძლია არაუგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადანყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ დაესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადანყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) იწვევს აქციონერთა საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა დირექტორთა დანიშვნა, გამონწვევა, მათი საქმიანობის კონტროლი. იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამონწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამონწვევის გადანყვეტილებას საერთო კრება იღებს. ასევე, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ქონებრივი ობიექტები, კერძოდ საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; ასევე შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ, ქართული კანონმდებლობის მსგავსად, სს-ის მართვის ერთდონიანი სისტემა არსებობს ასევე საფრანგეთში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო ფაქულტატიური ორგანოა. რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, სამეთვალყურეო საბჭოს ცნება მათთვის საერთოდ უცხოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სააქციო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ზოგ შემთხვევაში აბსოლუტურ გაუგებრობამდე მიგვიყვანა და შექმნა მართვის სისტემის ქაოსი, კერძოდ:

- კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. „ნესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები)“. ასევე, „იმ სააქციო საზოგადოებებში, სადაც კანონი იმპერატიულად მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას, სამეთვალყურეო საბჭოში დირექტორები არ შეიძლება წარმოადგენდნენ უმრავლესობას“, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში დირექტორთა უმრავლესობის არსებობა სამეთვალყურეო საბჭოში დასაშვებია. კომპეტენციათა გათვალისწინებით, სრულიად გაუგებარი ხდება სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა, თუკი წევრთა უმრავლესობა წარმოდგენილია დირექტორების სახით, ამავდროულად სრულიად აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი;
- კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებსა და კომპეტენციას, რაც სხვა კომპეტენციებთან ერთად მოიცავს დირექტორის დანიშვნასა და გამოწვევას, მათთან ხელშეკრულების დადებასა და შეწყვეტას, მათ საქმიანობაზე კონტროლს. აღნიშნულ კომპეტენციათა გათვალისწინებით, დირექტორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა კიდევ უფრო მეტად გაუმართლებელია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ამავ ე მუხლის მე-7² პუნქტის შინაარსს, რომლის თანახმადაც, საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ისმის ლოგიკური კითხვა: თუკი დირექტორთა ფუნქციები წესდებით გადაეცემა სამეთვალყურეო საბჭოს, რა მიზნითა და კომპეტენციით არსებობს კორპორაციული მართვის სავალდებულო ორგანო – დირექტორი, რისი არსებობაც იმპერატიული

მოთხოვნაა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით (განსხვავებით სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისგან)? ანუ საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, რაც აპრიორი ევალუბათ დირექტორებს, სრულად გადადის სამეთვალყურეო საბჭოზე, შესაბამისად დირექტორი/დირექცია რჩება აბსოლუტურ ბუტაფორიად. ამ თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია 55-ე მუხლის მე-8 პუნქტი, სადაც კანონმდებელი ჩამოთვლის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამეთვალყურეო საბჭო მაკონტროლებელ ფუნქციასთან ერთად იმავდროულად იძენს ოპერატიული მართვის უფლებას, რითაც ახდენს დირექტორის ფუნქციათა გადაფარვას;

- საკამათოა კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის ვ' ქვეპუნქტით დადგენილი რეგულირება, კერძოდ „იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამონევივა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამონევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. საინტერესოა ასეთ შემთხვევაში რა განსხვავებაა „სახელმწიფოსა“ და გადაწყვეტილების მიმღებ (50%-ზე მეტ) აქციონერთა შორის? სხვა სიტყვებით, „სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს“ და „გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება“, სადაც გადაწყვეტილების მიმღები ასევე 50%-ზე მეტია. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს ნევრი ისედაც ყოველთვის აქციონერის წარმომადგენელია, რადგან სწორედ აქციონერთა კრების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა (რომლის სხვა ორგანოზე დელეგირება პრაქტიკულად შეუძლებელია) – „აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, ასევე განსაზღვროს სამეთვალყურეო

საბჭოს წევრის არჩევის ვადა“ („მენარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

გარდა აღნიშნულისა, სამეთვალყურეო საბჭო, მისი კლასიკური გაგებით, რაც გერმანული სააქციო კანონმდებლობითაა ჩამოყალიბებული, მაკონტროლებელი (მეთვალყურე) ორგანოა და საზოგადოების ოპერატიულ მართვაში არ ერთვება (თუ არ ჩავთვლით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დირექტორთა მიერ დადებულ ზოგიერთ ხელშეკრულებათა დადებისას თანხმობის გაცემის სავალდებულობას).¹

სააქციო საზოგადოება უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით გამოიყენოს აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვება კაპიტალის გაზრდით შეიძლება. სს-ის საერთო კრებამ ან წესდებით განსაზღვრულმა სხვა უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება დაადგინოს კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვების სხვა გზა.

აქციაში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს ობლიგაცია (obligatio-ვალდებულება), თამასუქი (wechsel – გაცვლა), ვარატი და სხვა. ობლიგაცია ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას ობლიგაციაში გამოხატული ღირებულების მიღების შესახებ. მასში დაფიქსირებული ვალდებულება სასესხო კაპიტალის დაბრუნებაზე შეიძლება იყოს როგორც პროცენტიანი, ისე უპროცენტო; ასევე როგორც სახელობითი (პირადი ფ.ქ), ისე სანარმომდგენლო. ნებისმიერ შემთხვევაში ობლიგაციის წარდგენა მსესხებლისათვის წარმოშობს ვალდებულებას – დაფაროს (გაისტუმროს) მასზე აღნიშნული თანხა.

პრინციპული განსხვავება აქციასა და ობლიგაციას შორის ისაა, რომ აქციის ყიდვისას ინვესტორი ხდება სააქციო საზოგადოების აქციონერი (პარტნიორი), ობლიგაციის შეძენისას – კრედიტორი.

თამასუქი აბსტრაქტული ფულადი ვალდებულების შემცველი ფასიანი ქაღალდი, სავალი დოკუმენტის ნაირსახეობაა. თამასუქი

¹ ქ. ქოქრაშვილი. სააქციო საზოგადოების მართვის სისტემური რეფორმა ქართული კანონმდებლობის მიხედვით. შრომათა კრებული „კერძო სამართლის პრობლემები“. 2013.

შეიძლება იყოს მარტივი და რთული ანუ გადაცემითი. მარტივია თამასუქი, როცა მასზე სახელობით არის მითითებული, ვინ გასცა თამასუქი და ვინ უნდა მიიღოს ფულადი თანხა, ე.ი. გადამხდელი არის ის, ვინც გასცა თამასუქი, ხოლო მიმღები (კრედიტორი) ის, ვის სახელზეც გაიცა. გადაცემითი თამასუქი საორდერო ფასიანი ქალაქია, რომლის მფლობელს ყოველთვის შეუძლია თამასუქით გათვალისწინებული მისი უფლებები გადასცეს სხვა პირს სათანადო წარწერით (ინდოსამენტი). პირი, ვინც ინდოსამენტით გადასცა უფლება სხვა პირს, პასუხისმგებელია თამასუქით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, თუ ინდოსამენტში პირდაპირ არ არის მითითებული სხვა პირობა. თამასუქი გადახდისა და დაკრედიტების მოხერხებული ფორმაა, რომლის გამოყენება დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის.¹

ვარატი – წარმოებული ფასიანი ქალაქი, სერტიფიკატის ნაირსახეობა, რომელიც დადგენილ ვადაში ჩვეულებრივ აქციათა განსაზღვრული რაოდენობის შესყიდვის უფლებას ადგენს.

¹ ა. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი. 2001. გვ. 255.

კოოპერატივი

კოოპერატივის, როგორც მენარმე სუბიექტის საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული და არა მისი, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის მიერ მოგების მიღებისაკენ. ეს ნიშანი კოოპერატივის წევრებისათვის არსებითი ეკონომიკური და იურიდიული გარანტიაა. ამასთან, არ გამოორიცხავს კოოპერატივის მიერ მოგების მიღების შესაძლებლობას.

პირველი კოოპერატივი ინგლისის საფეიქრო წარმოების ცენტრში, პატარა ქალაქ როჩდელში 1843 წელს შეიქმნა. მისი საქმიანობა სამი პრინციპის მკაცრად დაცვას ეფუძნებოდა, რომლებმაც მოგვიანებით როჩდელსური პრინციპის სახელწოდება მიიღო. ესენია:

- საქონლის გაყიდვა წარმოებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით;
- საქონელი იყიდება საბაზრო ფასით;
- კოოპერატივის მართვა ეკუთვნის ყველა წევრს, მკაცრად დემოკრატიულ საწყისებზე ("ერთი წევრი – ერთი ხმა").

შექმნიდან 10 წლის შემდეგ როჩდელის კოოპერატივს 24 ფილიალი, 13000 წევრი, 3200000 ფუნტი სტერლინგი კაპიტალი და 320000 ფუნტი სტერლინგი წლიური მოგება ჰქონდა.

ეტაპობრივად კოოპერატივები „ვრცელდება“ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთელი რუსეთი კოოპერატივის ქსელით დაიფარა; პირობითად, ყოველი 100 კოოპერატივიდან 90 "გლეხური" იყო. კოოპერატიული საზოგადოებები, ამხანაგობები, არტელები, უმეტეს შემთხვევაში, თვით გლეხების მიერ კი არ იქმნებოდა, არამედ "ზემოდან" ახდენდნენ ამგვარი საწარმოების შექმნის ინიცირებას.

"მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის თანახმად, კოოპერატივი არის ნევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან ნევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა ნევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და არაა მიმართული უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას:

- ნედლეულის მოპოვების მიზნით (ნედლეულს მოიპოვებს საკუთარი ნევრებისათვის);
- სასოფლო-სამეურნეო ან სარენაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების მიზნით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნის დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის (სასოფლო-სამეურნეო და სანარმოო კოოპერატივები) მიზნით;
- მასობრივი მოხმარების საქონლის ბითუმად შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარენებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების მიზნით;
- სასოფლო-საკრედიტო;
- არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებები – საკრედიტო კავშირები;
- სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი), რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

კანონი კოოპერატივის წევრობის წარმოშობის ორ გზას იცნობს: კოოპერატივის წევრობას დამფუძნებლის სახით და კოოპერატივის წევრად მიღებას მისი დაფუძნების შემდეგ.

კოოპერატივის საქმიანობა ძირითადად თვითდახმარების, თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებს ემყარება.

თვითდახმარება – კოოპერატივი თავის წევრებს ხელს უწყობს იმ ამოცანათა შესრულებაში, რაც ცალკე ინდივიდის შესაძლებლობებს აღემატება.

თვითმმართველობა გულისხმობს, რომ კოოპერატივი ავტონომიური წარმონაქმნია.

საკუთარ პასუხისმგებლობაში იგულისხმება, რომ კოოპერატივის ვალდებულებებისათვის, როგორც წესი, პასუხს არ აგებენ კოოპერატივის წევრები, პასუხისმგებელია თავად კოოპერატივი, როგორც სამეურნეო ერთეული.¹

საქართველოს კანონმდებლობით, კოოპერატივის შემადგენლობაში შედის მინიმუმ ორი პირი (გერმანიის კანონმდებლობით – მინიმუმ შვიდი, რუსეთის კანონმდებლობით – ხუთი), ხოლო წევრთა მაქსიმალური რაოდენობა კანონით არ განისაზღვრება.

კოოპერატივის წევრობის აუცილებელი პირობაა მასში გაერთიანებულ პირთა პირადი შრომითი ან სხვაგვარი მონაწილეობა კოოპერატივში, სწორედ ამიტომ მას ხშირად არტელს უწოდებენ. არტელი (ინგ. Cooperative, artel, work association) – პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, კოლექტიური მეურნეობის წარმართვის მიზნით.²

¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 454-55.

² რუსეთის კანონი "საწარმოო კოოპერატივის შესახებ" ადგენს: კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც უშუალოდ არ არის დასაქმებული კოოპერატივში, მაგრამ მათი რიცხვი შეზღუდულია, წევრთა მთელი რაოდენობის 25%-მდე (მუხ.7). ეს ნორმა უპირატესად იმ პირებს ეხება, რომლებმაც განახორციელეს რა პაის შეტანა, გარკვეული მიზეზების გამო ვერ მონაწილეობენ კოოპერატივის შრომით საქმიანობაში (მაგ., შრომისუუნარო პირები, კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეები და ა.შ.).

კოოპერატივის მართვის ორგანოებია: პარტნიორთა ან წარმომადგენელთა კრება, გამგეობა (დირექცია) და სამეთვალყურეო საბჭო.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. როგორც წესი, ყოველ წევრს აქვს თითო ხმა, თუმცა წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება (ქმედობაუუნარო ან შეზღუდულქმედობაუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ხოლო იურიდიულ პირთა ხმის უფლებას, კანონით ან/და წესდებით წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები. ფიზიკურ პირთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს ნოტარიულად).

კოოპერატივის საერთო კრების უფლებამოსილებანი დადგენილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლით.

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებით განისაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება.

წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს კონკრეტული კოოპერატივის ნებისმიერი წევრი – ქმედობაუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ შედის არც გამგეობის და არც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები. წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ. წარმომადგენლობის ვადა და საკითხი, თუ რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი, განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი დირექტორისგან. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება კოოპერატივის დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით. სს-ის დირექტორებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო

საბჭო, კოოპერატივში დირექტორებს ირჩევს საერთო ან წარმომადგენელთა კრება, ოთხი სამეურნეო წლის ვადით. დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. კოოპერატივის წესდება შეიძლება სხვა პირობებსაც ითვალისწინებდეს.

კანონის 65-ე მუხლის თანახმად, კოოპერატივის უფლება აქვს, წესდებით გაითვალისწინოს სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა და განსაზღვროს მის წევრთა რაოდენობა. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღოს განსაზღვრული გასამრჯელო, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება არა აქვს, იმავდროულად იყოს გამგეობის წევრი (დირექტორი) ან მისი მოადგილე, ან სხვაგვარად წარმართოს კოოპერატივის საქმიანობა. გამგეობიდან გასული წევრი მისი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება აირჩეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას საქმეების წარმოებისას მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს გამგეობას ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირის მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს კოოპერატივის წლიურ ბალანსს, მისი მდგომარეობის შესახებ მოხსენებას და წლიური მოგების განაწილების თაობაზე წინადადებებს. შემოწმების შედეგების შესახებ იგი მოახსენებს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე. სამეთვალყურეო საბჭო კანონით დადგენილი წესით იწვევს საერთო კრებას, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. საბჭოს წევრს უფლება არა აქვს, თავისი ფუნქციების შესრულება სხვა პირს გადააბაროს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერა-

ტივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესი კოოპერატივის წევრის წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის თავდებად დადგომისას.

კოოპერატივის წევრებს შეაქვთ საპაიო შენატანები, რაც ერთობლიობაში სანარმოს ქონებას შეადგენს.

კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის რაოდენობა დამფუძნებლების მიერ განისაზღვრება. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის თანახმად, წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი კოოპერატივის წევრებს უნაწილდება. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამონერის გზით, წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის რაოდენობა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა ზარალის შემცირებული პაის რაოდენობა, მოგება არ განაწილდება. წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაირიცხოს რეზერვში.

წებისმიერ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება. გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

კოოპერატივიდან გამსვლელ პარტნიორთა საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის არსებული ბალანსის საფუძველზე. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის განმავლობაში, მაშინ საფუძველად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერატივის წევრის აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის

განმავლობაში; მას არა აქვს კოოპერატივის რეზერვებისა და სხვა ქონების მოთხოვნის უფლება.

კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება, ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა წესდებით შეიძლება შეიზღუდოს ან დამოკიდებული იყოს რაიმე პირობაზე, მაგალითად, კოოპერატივის წევრად ყოფნის სტატუსზე (მუხ. 62, პ.2).

კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილობითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უყენებდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე, თუმცა წესდებით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს განსაზღვრული წინაპირობაც (მაგალითად, მემკვიდრის წევრობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მის პიროვნულ ფაქტორზე). თუ მამკვიდრებელს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მათ შეუძლიათ საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელონ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით (მუხ. 62, პ.4).

კორპორაციული გაერთიანების ზოგადი მიმოხილვა

მენარმე სუბიექტები სამენარმეო საქმიანობის კოორდინაციის, საერთო ქონებრივი და სხვა სტრატეგიული ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე ზოგჯერ ერთიანდებიან სხვადასხვა კორპორაციულ გაერთიანებაში. გაერთიანებული სუბიექტები, როგორც წესი, ინარჩუნებენ ავტონომიურობასა და სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლებას.

გაერთიანების წევრთა ურთიერთობის მთავარი პრინციპი თავისუფალი ნების გამოვლენაა, მისი გამოხატულების სამართლებრივი ფორმა კი სადამფუძნებლო ხელშეკრულება.

მსოფლიო პრაქტიკაში კორპორაციათა გაერთიანებების ფართო სპექტრია წარმოდგენილი, რაც, თავის მხრივ, ტექნიკური პროგრესითა და კაპიტალის კონცენტრაციითაა განპირობებული.

კორპორაციათა გაერთიანებების პოპულარული ფორმებია:

- **კავშირი** - კორპორაციათა დარგობრივი, ტერიტორიული ან სხვა ნიშნის მიხედვით შექმნილი გაერთიანება, რომლის ძირითადი მიზანია მასში თავმოყრილ სუბიექტთა სახელმწიფო, საერთაშორისო და სხვა სახის ორგანიზაციებში საერთო ინტერესთა გატარება. კავშირის წევრები არ ეწევიან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას. კავშირის, როგორც კორპორაციული გაერთიანების ძირითადი ფუნქციებია: ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის პროგნოზების შემუშავება; საჭიროების შემთხვევაში, თემატური კონფერენციების მოწყობა; გამოცდილების გაზიარება-განზოგადება; კავშირის წევრთა ინტერესების გათვალისწინებით, საგამომცემლო საქმიანობის განხორციელება და სხვა.

კავშირი უფლებამოსილია რეგიონებში შექმნას თავისი წარმომადგენლობები და სპეციალური ფონდები.

• სამეურნეო ასოციაცია¹, კავშირის მსგავსად, იცავს მასში გაერთიანებულ წევრთა ინტერესებს სახელმწიფო, საერთაშორისო ან სხვა სახის ორგანიზაციებში. ასოციაციაში უმთავრესია არა წარმომადგენლობითი, არამედ სანარმოო ხასიათის ფუნქცია, რასაც ასოციაციის მონაწილეთა შორის სანარმოო საქმიანობის კოორდინაციის, მათ შორის სპეციალიზაციის გაღრმავების, კოოპერაციის, განსაზღვრულ ფუნქციათა შესრულების ცენტრალიზაციის და სხვა სახის ფუნქციები ეკუთვნის. ასოციაციის მთავარი მიზანი ახალი კორპორაციების შექმნაა.²

• კონცერნი³ სანარმოო ფუნქციების, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის, ინვესტიციების, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზაციის საფუძველზე იქმნება. კონცერნს ახასიათებს: კომბინირებული წარმოებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების პრინციპი, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვა⁴, სამეცნიერო პოტენციალის კონცენტრაცია. კონცერნი ერთგვარად მონოპოლისტური გაერთიანებაა, რომელსაც, კონგლომერატისაგან განსხვავებით, ახასიათებს: საკუთრებისა და კონტროლის ერთიანობა, მონაწილე სანარმოთა შორის ტექნოლოგიური და სანარმოო კავშირები, ნაკლები დივერსიფიკაცია.⁵

კონცერნი მოგებას დარგობრივი პროგრამების ჩარჩოებში მასშტაბური კომბინაციებიდან იღებს. ეს ეხმარება პატენტებისა და ნოუ-ჰაუს ბლოკების კონცენტრირებაში, ინოვაციური კლასტერე-

¹ ლათ. - associatio - შეერთება; ინგლ. association - საერთო სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა მიზნით იურიდიულ პირთა გაერთიანება.

² Т. В. Кашанина. Корпоративное право. М. 1999. с. 208.

³ ინგლ. concept - ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით იურიდიულ პირთა სახელმძღვანელო გაერთიანება.

⁴ მაგალითად, გერმანულმა კონცერნმა Daimler-მა გადაწყვიტა, რომ 2018 წლიდან 2024 წლამდე 6 სერიაში, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით მხოლოდ ელექტროძრავიანი ავტომობილები აწარმოოს. მსოფლიო ავტომოწყვარულები უახლოეს მომავალში კონცერნისა და Mercedes-Benz-ის ახალ მოდელებს ელოდებიან, რომლებიც პირდაპირ კონკურენციას გაუწევენ Tesla Model S-სა და Tesla Model X-ს.

⁵ დივერსიფიკაცია (ინგ. diversification) - საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და ნომენკლატურის გაზრდა, რომელსაც სანარმოები ახორციელებს მათთვის ახალ სფეროებში. მაგ., დივერსიფიცირებული წარმოება გულისხმობს წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებას, მის მრავალდარგობრივ კომპლექსად გადაქცევას, რომლის ქვედანაყოფები, ხშირად, ტექნოლოგიური ურთიერთობების თვალსაზრისით, არანაირ კავშირში არ იმყოფება.

ბის შექმნაში, ამასთან ახორციელებს "მეცნიერება-წარმოება-გასა-
ღების" ციკლის მოქნილ და ოპერატიულ კონტროლს.

კონცერნს მართავს წევრების მიერ არჩეული ორგანო (გამგე-
ობა, მმართველი). მართვის ერთიანი სტრუქტურა სხვა კორპორა-
ციული გაერთიანებებისაგან კონცერნის განმასხვავებელი ნიშანია.

კონცერნის წევრთა ურთიერთობა სახელშეკრულებოა. კონ-
ცერნის თანხმობის გარეშე, მისი წევრი არ შეიძლება სხვა კონ-
ცერნის ან ასოციაციის წევრი გახდეს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონცერნები ხშირად საკუთარ კორ-
პორაციებს ქმნიან, სადაც თავადვე გამოდიან მესაკუთრე-დამფუძ-
ნებლად (მაგ., საერთაშორისო ვაჭრობის, სარეკლამო, გამსაღე-
ბელი, საკონსულტაციო და სხვა სახის კორპორაციები)¹.

• კონსორციუმი² კორპორაციული კავშირია, რომლის მიზანი
ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციაა (მაგალითად,
მასშტაბური ერთობლივი ინოვაციური, ფინანსური, კომერციული
პროექტების განხორციელება)³.

კონსორციუმი, როგორც წესი, მაშინ იქმნება, როცა დაგეგმილი
გლობალური პროექტი ერთი ბანკის ფინანსური შესაძლებლობების
ფარგლებს სცილდება. ასეთი გაერთიანების მიზანია კონკრეტული
პრობლემების, პროექტების, შეკვეთების რეალიზაცია. კონსორცი-
უმი, როგორც წესი, ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევის ვადით იქ-
მნება.

კონსორციუმის მონაწილეთა ინტერესებს სახელმწიფო ორგა-
ნოთა წინაშე თავად კონსორციუმი წარადგენს. ეს ფუნქცია გაერ-
თიანების აღმასრულებელ ორგანოს ეკუთვნის. გაერთიანების მონა-
წილეთა საქმიანობის კოორდინაციას კონსორციუმის "ლიდერი"
ახორციელებს, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე მსხვილი კორპო-
რაციული სტრუქტურაა. მისი ფუნქციები და უფლებამოსილება

¹ ს. მაჭვარიანი. სადისერტაციო ნაშრომი „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმა-
ნიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქარ-
თულ კერძო სამართალში“. 2015. გვ.20-25.

² ლათ. consortium- თანამონაწილეობა, ამხანაგობა; ინგ. consortium.

³ მაგალითად, ანაკლიის განვითარების კონსორციუმი⁴ აერთიანებს საერთაშორისო
ბიზნესლიდერთა გუნდს და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე კომპანიებს, რომ-
ლებიც საქართველოს მთავრობასთან ერთად ანაკლიის ღრმანყოფიანი პორტის მშე-
ნებლობას და განვითარებას ახორციელებენ. ანაკლიის განვითარების კონსორციუმ-
ში⁵ შედიან: TBC Holding (საქართველო), Conti International (აშშ), SSA Marine (აშშ), Bri-
tish Wondernet Expres (ცენტრალური აზია), G-star LTD (ბულგარეთი).

კონსორციუმში გაერთიანებულ სუბიექტთა მიერ მიღებული შეთანხმებით განისაზღვრება.

კონსორციუმის წევრთა პასუხისმგებლობა შემკვეთის წინაშე სოლიდარულია. როგორც წესი, გაერთიანების თითოეული წევრი ქონებრივად პასუხისმგებელია მიღებული შეკვეთიდან მისი წილის 8-10% მოცულობით. თანხები, რომელიც ამ ფარგლებს სცილდება, კონსორციუმის დანარჩენ წევრებზე მათი წილების პროპორციულად ნაწილდება.

კონსორციუმის შექმნის მთავარი მიზანია მასში გაერთიანებულ კორპორაციათა კონკურენტუნარიანობის გაზრდა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე.

- კარტელი კორპორაციათა სახელშეკრულებო გაერთიანებაა, რომლის მიზანია პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებულ საკითხთა ეფექტურად გადაჭრა. კარტელის მიზნებია: გასაღების ბაზრების "დაპყრობა", გავლენის სფეროების გამიჯვნა, პროდუქციის ფასების რეგულირება და ა.შ. კარტელის მონაწილენი ინარჩუნებენ ფინანსურ და სანარმოო დამოუკიდებლობას, განსაზღვრავენ ფასნარმოქმნის პოლიტიკას, აწარმოებენ პატენტებისა და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლას. კარტელის შექმნის უმთავრესი მიზანი, მასში გაერთიანებულ სანარმოთა შორის არსებული კონკურენციის აღმოფხვრა ან მისი რეგლამენტირებაა. კარტელში, როგორც წესი, ერთი და იგივე ან მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი კორპორაციები ერთიანდება.

- კორნერი კორპორაციული გაერთიანების მარტივი ფორმაა, რომლის მიზანია კაპიტალის აკუმულირება, რაც კონკრეტული საქონლის მიერ გასაღების ბაზრის "დაპყრობისკენაა" მიმართული. გაერთიანებული კაპიტალი გამოიყენება კორნერისათვის საინტერესო კორპორაციათა აქციების შესასყიდად, შემდგომ მათი უფრო სარფიანად" გაყიდვის ან მეტიც, აქციათა საკონტროლო პაკეტის შექმნის მიზნით.

- კონგლომერატი კორპორაციათა გაერთიანებაა, რომელშიც ერთიანი ფინანსური კონტროლით თავმოყრილია სანარმოები, რომლებიც ტექნოლოგიურად არ უკავშირდება წარმოების გასაღების, დაზღვევის, სამეცნიერო-კვლევით, საყოფაცხოვრებო მომსახურების და ა.შ. სფეროებს.

პრაქტიკიდან გამომდინარე, კონგლომერატის შექმნის პროცესი ცალკეულ სანარმოთა რეორგანიზაციას, კერძოდ შერწყმას უკავშირდება, რის შედეგადაც შეიძლება წარმოიშვას ახალი კორპორაცია, ახალი საფირმო სახელწოდებით ან იმ სანარმოს სახელით, რომელმაც მიიერთა დანარჩენი¹. ზოგიერთ შემთხვევაში კონგლომერატის ცნებაში იგულისხმება დივერსიფიცირებული, აგრეთვე პოლდინგური კომპანიები.²

- ტრესტი კორპორაციათა გაერთიანებაა, რომლის მონაწილე სუბიექტები გარკვეულწილად კარგავენ სანარმოო, კომერციულ და ხშირად სამართლებრივ დამოუკიდებლობას, რადგან გაერთიანება მათი საქმიანობის ყველა პარამეტრით ხდება. ისინი ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელებს.

ტრესტი ეკონომიკური და ორგანიზაციული კავშირების განსაკუთრებული მოქნილობით ხასიათდება. მისი მართვის რეალური ძალაუფლება გამგეობის ან სათავო კომპანიის ხელშია თავმოყრილი. ტრესტები პირველად 1879 წელს აშშ-ში შეიქმნა. ტრესტის მართვის მექანიზმის შესაბამისად, სხვადასხვა კორპორაციის აქციონერები თავიანთ აქციებს გადაანდობენ ნდობით აღჭურვილ პირებს, სანაცვლოდ აქციის სერტიფიკატს იღებენ. ამასთან, ხმის უფლებაზე უარის ნაცვლად აქციონერები დივიდენდის მიღებას განაგრძობენ.

რამდენადაც ტრესტში საერთო მოგება ნაწილდება, წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით, ადრე დამოუკიდებლად მოქმედ სანარმოებს შორის, იგი შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი გაერთიანებების წინამორბედად, როგორცაა პოლდინგური კომპანია და კონცერნი. ტრესტებმა განსაკუთრებული განვითარება ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების სფეროებში პოვა.

- სინდიკატი³ კორპორაციათა კარტელური ტიპის გაერთიანებაა, რომლის მონაწილენი ინარჩუნებენ სამართლებრივ და სანარმოო დამოუკიდებლობას, თუმცა, კარტელისაგან განსხვავებით, კარგავენ კომერციულ დამოუკიდებლობას.

¹ Юридическая энциклопедия. М. 1997. с. 206.

² Большой юридический словарь. М. 1997. с. 295.

³ ბერძ. sundikos – შეტყობინებით მოქმედი; ინგ. sundikate. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., საფრანგეთში ნიშნავს პროფესიულ კავშირს.

სინდიკატის შექმნის მთავარი მიზანი პროდუქციის გასაღების საკითხის ეფექტურად გადაჭრაა. ამ ამოცანის შესასრულებლად მის სტრუქტურაში კომპანიათა მთელი ქსელია შექმნილი, თუმცა მათი საქმიანობა მხოლოდ სინდიკატის მონაწილე სანარმოთა პროდუქციის გასაღებით არ შემოიფარგლება, მათ ნებისმიერი სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ.

• ფრანჩაიზი¹ (ფრანჩაიზული სისტემა) დიდი და მცირე კორპორაციათა თანამშრომლობის ჰიბრიდული ფორმაა. სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე, შედარებით დიდი კორპორაცია იღებს ვალდებულებას მცირე კორპორაციის საკუთარი საქონლითა და ინოვაციური ტექნოლოგიებით მომარაგებაზე, სარეკლამო მომსახურებაზე, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში მომსახურებაზე, ასევე ახდენს კაპიტალის ინვესტირებასაც. ყოველივე ეს ხელს უწყობს მარკეტინგული შესაძლებლობების უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციას.

• ჰოლდინგი კორპორაციათა გაერთიანებაა, მათი თვითგადარჩენისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების მიზნით. როგორც წესი, ჰოლდინგში გაერთიანებულ სუბიექტებს ოპერატიული საქმიანობის განხორციელებისას საკმარისი დამოუკიდებლობა აქვთ. თუმცა, ისეთი საკითხების გადანყვეტივსას, როგორცაა მასალებზე, საქონელზე ან მომსახურებაზე ფას-წარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა, მონაწილენი ურთიერთდაქვემდებარებულ მდგომარეობაში არიან².

ჰოლდინგის მიზანი მასში გაერთიანებულ სანარმოთა განვითარების საერთო სტრატეგიის შემუშავებაა³.

¹ ინგ. _ franchise. წარმოიშვა ფრანგული სიტყვა Franch-დან, პირველად ვილჰელმის კანონებში მოიხსენიება და შელავატს, პრივილეგიას ნიშნავს. რუსეთის კანონმდებლობა მას კომერციული კონცესიის ხელშეკრულებად მოიხსენიებს.

² ერთ-ერთი პირველი ჰოლდინგი აშშ-ში იყო „Pensylvania Railroad Company“, ევროპაში - „Societe Generale des Pays-Bas pour favoriser l'industrie nationale“.

³ ს. მაჭავარიანი. სადისერტაციო ნაშრომი „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“. 2015. გვ.15-20

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების ფარგლები

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა და განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სამეურნეო სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნაა. კონკურენცია – არის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედ სუბიექტთა მეტოქეობა, ბაზარზე უპირატესობის მოპოვების სურვილი. სამენარმეო თვალსაზრისით, ესაა ბრძოლა დიდი მოგების მისაღებად. ამასთან, მთავარია, რომ მენარმეთა ეს მისწრაფება საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებისა და საუკეთესო სამეურნეო შედეგების მიღწევის ფონზე წარიმართოს.

ჯანსაღი კონკურენცია უზრუნველყოფს კაპიტალის დინებას ფინანსურად ნაკლებად ეფექტურიდან მეტად ეფექტურ სანარმოებზე; იგი ემსახურება მენარმეობის ოპტიმიზაციას და წარმოების დაქვემდებარებას მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი.

კონკურენცია საბაზრო გარემოს წამყვანი მაჩვენებელია, რომელშიც სანარმოს კომერციული საქმიანობა აისახება. სახელმწიფო კეთილსინდისიერი კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს და საზოგადოებრივი წარმოებისა და სოციალურ მიმართულებათა ეფექტურობის ზრდის მიზნით ზღუდავს მონოპოლიურ საქმიანობას.

კონკურენცია სანარმოს ეკონომიკური მართვის მექანიზმის შემადგენელი ნაწილია. იგი სანაყისი კატეგორიაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის არსის განმსაზღვრელია. პრაქტიკაში ამ ცნების რამდენიმე დეფინიცია არსებობს, კერძოდ:

- ეკონომიკაში გაბატონებული სუბიექტების ურთიერთშეჯიბრი. მათი ურთიერთდამოკიდებული ეფექტური მოქმედება თითოეულის შესაძლებლობებს განსაზღვრავს;

- სანარმოთა ბრძოლა იმ შეზღუდული საერთო-სამომხმარებლო გადახდისუნარიანობისათვის, რომელიც წამყვანი სანარმოების მიერ ხელმისაწვდომი საბაზრო სეგმენტებით განისაზღვრება;

- საბაზრო მეურნეობის სიმძიმის ცენტრი. ფასი, რომელიც დადგენილია კონკურირებად მხარეებს შორის კონკურენციის პროცესში, მოთხოვნილებასა და წინადადებას შორის ერთგვარი რეგულატორის როლს ასრულებს. კონკურენციის სხვადასხვა დეფინი-

ცია გვთავაზობს როგორც სრულყოფილ, ისე არასრულყოფილ ბაზარს და საბაზრო ურთიერთობათა მონაწილეების კონკურენციის ხასიათის შესახებ გარკვეულ მითითებებს შეიცავს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა, ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში კონკურენციის პოლიტიკის განსაზღვრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.¹ ჩვენს ქვეყანაში კონკურენციის თავისუფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით, კერძოდ 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით...“² თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპები, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია, დგინდება საქართველოს კანონით „კონკურენციის შესახებ“. მისი მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა (მუხ. 2).

ზოგადად, კონკურენცია მრავალფაქტორიანი კატეგორიაა. მისი ინტენსივობა დამოკიდებულია შედეგებზე. კერძოდ:

• **ბაზრის მოდელზე** – სრულყოფილია თუ არასრულყოფილი. სრულყოფილი ბაზრის მოდელი იმ წინადადებებს ეფუძნება, რომლის მიხედვით გარიგების ნებისმიერი მონაწილე მხოლოდ ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებს. გარდა ამისა,

¹ საქართველოს მთავრობის განკარგულება N1551 2010 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისშემძველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.

² საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება შემოღებულ იქნა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც გაუქმებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით 2005 წელს. ამ უკანასკნელის ნაცვლად 2012 წლიდან მოქმედებს საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ“.

სრულყოფილი ბაზრის მახასიათებლებია: მოცემული ტიპის ყველა საქონელი ობიექტურად ერთფეროვანია როგორც ხარისხით, ისე ვიზუალურად და შეფუთვით (ჰომოგენურია) და ფასიც ერთგვარად კონკურენტული საქონლის განსაზღვრებას შეესატყვისება; კონკურენტული ბრძოლის პირობები ბაზრის ყველა მონაწილისთვის ერთნაირია.

თითოეულ გამყიდველსა და მყიდველს აქვს ბაზრის სრული ან-ალიზისა და შეფასების საშუალება, ასევე უფლება, მიიღოს საკმარისი ინფორმაცია ყოველი გარიგების პირობების შესახებ (ფასებზე, ფასდაკლებებზე, საქონლის ხარისხზე, მონოდებაზე, გადახდის პირობებსა და ვადებზე). სრულყოფილ ბაზარზე ცალკეული გამყიდველებისა და მყიდველების მოქმედებას არ შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს საქონლის ბრუნვის საერთო პირობებზე.

თუ ზემოთ მითითებული რომელიმე პირობა დაირღვა, მაშინ ბაზარი არასრულყოფილია.

- ბაზრის ფორმებზე, კერძოდ, ბაზრის მონაწილეთა რაოდენობის განაწილებაზე (პოლიპოლია, ოლიგოპოლია, მონოპოლია და მათი მოდიფიცირებები);

- ბაზარზე წარმოდგენილი საქონლის "სიცოცხლისუნარიანობაზე";

- კონკურენციის მოტივზე, რომლითაც ბაზრის მონაწილენი ხელმძღვანელობენ;

- ბაზრის ცვლილებიდან გამომდინარე, მწარმოებლის რეაქციაზე;

- მიმდინარე ეკონომიკური პროცესში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობასა და ინტენსივობაზე.

ბაზრის ფორმები

მოთხოვნილება	ბევრი	რამდენიმე	ერთი
ბევრი	პოლიპოლია (სრულყოფილი)	ოლიგოპოლია	მონოპოლია
რამდენიმე	ოლიგოპოლია (მომხარებითი)	ორმხრივი	შეზღუდული
ერთი	მონოპოლია (მომხარებითი)	შეზღუდული	ორმხრივი

ეკონომიკური მეცნიერება იცნობს ბაზრის რამდენიმე მოდელს, კერძოდ: მონოპოლია, სადაც მხოლოდ ერთი გამყიდველია და არ არსებობს საქონლის ალტერნატივა.

მონოპოლიები, რომელთა არსებობა კანონით დაშვებულია, ლეგალური მონოპოლიების სახელითაა ცნობილი. ასეთებია: ბუნებრივი მონოპოლია, პატენტები, საავტორო უფლებები და სავაჭრო ნიშნები. მონოპოლისტური სანარმოები მოგების მაქსიმალიზაციას ცდილობენ, ამიტომ ისეთ რაოდენობას ანარმოებს, რომ ზღვრული შემოსავალი ზღვრული დანახარჯის ტოლი იყოს. ამის შემდეგ მონოპოლია ირჩევს ისეთ ფასს, რომლის დროსაც მოთხოვნა მიწოდებას გაუთანაბრდება (საქართველოში მონოპოლიის საუკეთესო მაგალითია „თელასი“, “Georgian water and power”).¹

ოლიგოპოლია² – რამდენიმე მსხვილი სანარმო ანარმოებს მთელი პროდუქციის დიდ ნაწილს. კომპიუტერული ტექნიკა და გამაგრებელი სასმელები ასეთი დარგების მაგალითია. ოლიგოპოლიაში სანარმოები კონკურენციას სხვადასხვანაირად ეწევიან. ისინი პროდუქციის დიფერენცირებაზე მეტად ზრუნავენ, რათა მომხმარებ-

¹ თ. ნულაია. კონკურენცია ბაზარზე და მისი ფორმები. 24.07. 2014.
<http://intermedia.ge/სტატია/52929-კონკურენცია-ბაზარზე-და-მისი-ფორმები/35/user:თამარ%20ნულაია:show:channel>

² ბაზარი, რომელშიც ცოტა გამყიდველია. შესაბამისად, მოლაპარაკების ან „სათამაშო“ თეორიული სტრატეგიის გზით მათ შეუძლიათ ფასებისა და შემოთავაზებული საქონლის ხარისხის გაკონტროლება.

ლებმა იცოდნენ წარმოებულ პროდუქციებს შორის განსხვავება. ოლიგოპოლიის დროს სანარმოები ფასის მაძიებლები არიან, თუმცა ვინაიდან ბაზარზე რამდენიმე სანარმოა, ფასი დამოკიდებულია ყველა სანარმოზე. თუ ერთი შეამცირებს ფასს, მეორე სანარმოც ამცირებს მომხმარებელთა შესანარჩუნებლად, თუმცა ეს ორივე სანარმოს შემოსავალს შეამცირებს, ამიტომ ფასთა კონკურენციას ნაკლებად აქვს ადგილი ოლიგოპოლიის დროს. მოგების გაზრდის მიზნით სანარმოები გარიგებას დებენ ფასების დადგენაზე.¹

ოლიგოპოლიების წარმოშობა შემთხვევითი არ არის. უცხოეთში სახელმწიფო აქტიურად ერევა მონოპოლიათა სამეურნეო საქმიანობაში. ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით, ანებსებს კონტროლს ფასებზე და ა.შ. ეს იმითაა განპირობებული, რომ ოლიგოპოლია მიისწრაფვის მაღალი ფასების შენარჩუნების ან კიდევ უფრო გაზრდისაკენ.

ოლიგოპოსონია – არის ბაზარი, სადაც რამდენიმე მსხვილი მყიდველი ფიგურირებს. მაგალითად, მანქანების მწარმოებლები, მყიდველის სახით, ოლიგოპოსონისტებად გამოდიან ფოლადის, ასევე ავტომობილების საბურავების ბაზარზე.

კონკურენციის სხვადასხვა ფორმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემა მრავალმნიშვნელოვანია, რადგან რეალური ცხოვრება დინამიკურია და მასზე, ეკონომიკურ კრიტერიუმებთან ერთად, მნიშვნელოვან ზეგავლენას პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებიც ახდენს. საზოგადოებისთვის უპრიანია ჰყავდეს სრულყოფილი კონკურენტი, ვიდრე მონოპოლისტი, ამასთან წარმოების პირობები ინვესტს ძალაუფლებისაკენ სანარმოთა სწრაფვას. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი საბაზრო სიტუაციაა უკეთესი რესურსების ოპტიმალურად პროპორციული განაწილებისთვის? ამ კითხვაზე ცალსახა და კატეგორიული პასუხი არ არსებობს. გასათვალისწინებელია ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი მაკრო- და მიკროეკონომიკური, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ამასთან, თითოეული კონკრეტული შემთხვევა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

¹ თ. ნულაია. კონკურენცია ბაზარზე და მისი ფორმები. 24.07. 2014. <http://intermedia.ge/სტატია/52929-კონკურენცია-ბაზარზე-და-მისი-ფორმები/35/user:თამარ%20ნულაია:show:channel>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბაზრო სივრცე, ბაზრის თითოეული მონაწილის აქტიური ურთიერთქმედების არეალია. ბაზრის ძირითადი პარამეტრებია:

- განსაზღვრული სახის საქონლის გამყიდველთა რაოდენობა;
- საქონლის მფლობელთა ბაზარზე თავისუფალი მოძრაობა;
- ბაზრის სუბიექტთა დამოუკიდებლობა (ან ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება);
- საქონლის ცალკეულ მფლობელთა მიერ საბაზრო ფასის დადგენის შესაძლებლობა (ან შეუძლებლობა).

კონკურენცია ხელს უწყობს საბაზრო მეურნეობის მონოპოლიისკენ წარმართვას. მყიდველებისა და გამყიდველების შეჯიბრი არსებითად ცვლის საბაზრო სივრცის სტრუქტურას. ეს განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- კონკურენცია ბაზრიდან დევნის ჩამორჩენილ და ნაკლებად ეფექტურ სუბიექტებს;
- საბაზრო შეჯიბრი განამტკიცებს მსხვილი წარმოების პოზიციებს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონკურენციის დონის ამაღლების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევა.

საქართველოში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული სათანადო კონკურენტული გარემო. უცხოეთის ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს საქართველოში კონკურენტული გარემოს ფორმირების ზოგიერთი საშუალება. კერძოდ, უნდა გაიზარდოს იმ სანარმოთა რაოდენობა, რომელიც ახორციელებს ერთგვაროვან საქმიანობას (ანარმოებს ერთნაირ პროდუქციას ან ეწევა ერთი სახის მომსახურებას). ეს არის ტიპობრივი საბაზრო მიდგომა. რაც უფრო მეტი სანარმო სთავაზობს მომხმარებელს ერთნაირ პროდუქციას ან მომსახურებას, მით უფრო მეტად ცდილობენ მიიზიდონ მომხმარებელი, ეს კი ხდება პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის ამაღლების, წარმოების მოდერნიზაციისა და ზედმეტი დანახარჯების შემცირების ხარჯზე.

უცხოეთის პრაქტიკის გათვალისწინებით, კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას აუცილებლად მოსდევს კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება კაპიტალისტურ ბაზარზე. აღნიშნული ეკონომიკური პროცესი უარყოფით ზეგავლენას ახდენს კონკურენტულ გარემოსა და მის რეგულირებაზე. ასეთ სიტუაციაში წარმოებისა და კონკურენციის თავისუფლების პრინციპის შენარჩუნებას სახელმწიფო თავის თავზე იღებს, ამასთან იყენებს მონოპოლიური საქმიანობის რეგულირების კონკრეტულ მეთოდებს.

ზემოაღნიშნული ურთიერთობები კანონმდებელთა ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ XIX ს-ის მიწურულს მოექცა, როცა 1896 წელს გერმანიაში მიიღეს კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის" შესახებ (1909 წელს მიიღეს იმავე სახელწოდების ახალი კანონი). ამ დრომდე მხოლოდ აშშ-ში არსებობდა 1890 წლის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელსაც საფუძვლად დაედო 1883 წლის ალაბამას შტატის ანტიტრასტული¹ კანონი. 1889 წელს ეს პროცესი გაგრძელდა არკანზასის შტატში. 1890 წლიდან ანტიტრასტული კანონები მოქმედებდა ამერიკის 18 შტატში. ამ დროისთვის ამერიკის კონგრესმა (02.07. 1890 წ.) მიიღო ფედერალური კანონი ("შერმანის კანონი"), რომელიც მონოპოლიისგან იცავდა ვაჭრობასა და მრეწველობას. დღემდე ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირებას აშშ-ში, სასამართლო პრეცედენტთან ერთად, ზემოაღნიშნული კანონიც ახდენს. რაც შეეხება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სხვა ქვეყნებს, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს დელიქტური სამართალი, 1952 წლის კანონი "ცილისწამების შესახებ" (ასევე სასამართლო პრაქტიკა); გერმანიაში - 1909წ. კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ" (შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით); შვეიცარიაში - 1986წ. კანონი "არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ"; 1985წ. კანონი "კარტელების შესახებ", ანტიმონოპოლიურ ურთიერთობებს ასევე არეგულირებს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლები და შვეიცარიის 1917 წ. ვალდებულებითი

¹ ტრასტი - (trust) მენარმეთა გაერთიანების ფორმა, რომლის დროსაც გაერთიანების მონაწილენი კარგავენ საწარმოო, კომერციულ და, ხშირად, სამართლებრივ დამოუკიდებლობას. საწარმოს რეალური ხელისუფლება თავს იყრის ტრესტის სათავე კომპანიაში. ტრესტი პირველად 1879 წელს აშშ-ში შეიქმნა.

კანონის I თავი; საფრანგეთში – 1986 წ. ორდონანსი "ფასების თავისუფლად დადგენისა და თავისუფალი კონკურენციის შესახებ"; რუსეთში – 1998წ. ფედერალური კანონი "სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ", ასევე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. საქართველოში სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების პერიოდში შეიქმნა ახალი კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომელშიც ცვლილებები და დამატებები 2010 წელს შევიდა.

ტრადიციულად განასხვავებენ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს. პირველი ყველა სახის მონოპოლიას აღიარებს მართლსაწინააღმდეგოდ. ანტიტრესტული კანონმდებლობა მოიცავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასაც. ეს მოდელი ამერიკის გარდა ვრცელდება კანადაზე, არგენტინასა და იაპონიაზე.

რაც შეეხება ევროპულ მოდელს, იგი ზოგადად ებრძვის მონოპოლიზმის ბოროტად გამოყენებას, აწესებს კონტროლს მონოპოლიაზე, ხოლო თვით მონოპოლიებს არ მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგოდ. ევროპულ მოდელში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები გამოყოფილია ცალკე სფეროდ. ეს მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვა.

აღნიშნულ ორ მოდელს შორის ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს გერმანიის ე.წ. კარტელურ სამართალს, რომლის საფუძველზე მონოპოლია აღიარებულია მართლსაწინააღმდეგოდ, თუმცა დაშვებულია ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში.

ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო შეთანხმებებში გამოიყოფა სამეურნეო პრაქტიკის ორი ძირითადი მიმართულება, რაც განიხილება მონოპოლიური საქმიანობის ჭრილში: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და სახელშეკრულებო-სამართლებრივი. პირველს განეკუთვნება კაპიტალურ სფეროში სხვადასხვა მონოპოლიური თუ მონოპოლისტური სტრუქტურების შექმნა, მეორეს – საბაზრო ურთიერთობებში მონოპოლიური კომერციული პრაქტიკის განხორციელება.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობა ხორციელდება სხვადასხვა სახის მონოპოლიური გაერთიანების შექმნით, კერძოდ

ვლინდება იურიდიულად დამოუკიდებელ პირთა მიერ კარტელების¹, სინდიკატების ან სხვა სახის გაერთიანებათა შექმნაში, რომელიც არ სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით ან, პირიქით, იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოს (კომპანიის) დაფუძნებაში. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად გამოიყენება ე.წ. კარტელური შეთანხმებები.

კარტელი – იმ დამოუკიდებელი საწარმოების გაერთიანება, რომლებიც ახორციელებს ერთი და იმავე ან მსგავს ეკონომიკურ საქმიანობას. მათი გაერთიანება ხდება საერთო ეკონომიკური ინტერესების დასაცავად და ერთმანეთს შორის კონკურენციის გასაკონტროლებლად.² კარტელი იქმნება მაშინ, როდესაც კონკურენტები ხვდებიან, რომ მათ შეუძლიათ ერთად მუშაობით საკუთარი ინტერესის განვითარება და დაცვა. ისინი აანალიზებენ, რომ მათ ერთად შეუძლიათ ბაზარზე დომინირება და მომხმარებლის მიერ გადასახდელი ფასის კარნახი. მათი შეხედულებით, იკავებენ რა თავს კონკურენციაში შესვლისაგან, კონკურენტები ასტაბილურებენ ბაზარს და იღებენ დიდ მოგებას ხანგრძლივად³ (ასეთ შემთხვევებში ფასის მატება საშუალოდ 25%-ს შეადგენს⁴).⁵

კარტელური საქმიანობა საქართველოში აკრძალულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით „აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადანყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა,

¹ ს. მენაბდიშვილი. სადისერტაციო ნაშრომი „კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე)“. 2016.

² Harding C. Joshua J. *Regulating Cartels in Europe*. 2nd Ed. Oxford University Press. 2010. P.12-13

³ Spa D. *The Cooperative Edge. The International Politics of International Cartels*. Cornell University Press. 1994. P.2.

⁴ Calvani R. Calvani T. *Cartel Sanctions and Deterrence*. *The Antitrust Bulletin*. Vol. 56. # 2/Summer 2011. P. 191.

⁵ ამ თვალსაზრისით საგულისხმოა აშშ-ის კონგრესის მიერ 1890 წელს მიღებული „შერმანის აქტი“, რომელიც კრძალავს კონკურენტებს შორის ნებისმიერი სახის შეთანხმებას, რომელიც გაუმართლებლად ზღუდავს ვაჭრობას. აღნიშნული აკრძალვა მოიცავს როგორც კორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ შეთანხმებას.

დაუშვებლობა ან/და აკრძალვა....“ კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ ხელშეკრულებად ითვლება ხელშეკრულება და მასზე არ ვრცელდება მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა, თუ: ა) შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი წილი 10%-ს არ აღემატება; ბ) შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15%-ს არ აღემატება; გ) ეს ხელშეკრულება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხელშეკრულებად კლასიფიცირება და შესაბამის ბაზარზე ამ ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10%-ს არ აღემატება (მუხ. 8). კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან კანონის მე-9 მუხლი ადგენს გამონაკლისებს, კერძოდ, „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული იმ ხელშეკრულებების, გადანყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას....“¹

მონოპოლიური კომერციული პრაქტიკა საბაზრო ურთიერთობებში ორი ფორმით გამოიხატება: პირველი, მონოპოლიური ხასიათის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადებით (მაგ., ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე მანქანების გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაზღვრავს მყიდველის ვალდებულებას, რომ მან აუცილებლად მისგანვე შეიძინოს მოწყობილობა ან ნედლეული, რაც სრულიად არ არის აუცილებელი ხელშეკრულების საგნის ექსპლუატაციისთვის); მეორე, გარიგების დადების გარეშე, ბაზრის მონოპოლიზაციის მიზნით, გარკვეული სამეურნეო ქმედებებისა და მეთოდების გამოყენებით (მაგ., მოლაპა-

¹ სიახლეები კონკურენციის სამართალში. 2014 (ბროშურა შედგენილია კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით.

რაკების წარმოება ფასებთან დაკავშირებით, ფასდაკლება მუდმივ კლიენტებზე და ა.შ.).

ისტორიულად არის პრაქტიკული მაგალითები, როცა ქვეყნის ბაზარზე საწარმოს მონოპოლიური მდგომარეობის აღსაკვეთად სახელმწიფო იყენებს საკუთარ ძალასა და ბიუჯეტს. ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც აშშ-ის ალუმინის წარმოების მონოპოლისტმა კომპანია "დიუპონმა" დაიწყო გამოშვებულ პროდუქციაზე ფასების ზრდა, პრეზიდენტ ფრანკლინის ბრძანებით, სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე აშენდა ალუმინის მწარმოებელი სახელმწიფო კომპანია, რომელიც პრივატიზაციის გზით მიეყიდა "დიუპონის" დაუძინებელ მტერ კომპანიას. ამ უკანასკნელმა "ლირსეული" კონკურენცია გაუწია "დიუპონს", რომელიც იძულებული გახდა, მკვეთრად დაეგდო ფასები მის მიერ წარმოებულ ალუმინზე.

მეორე მაგალითი, XX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა ბიუჯეტის ხარჯზე მდინარე ტენესზე ააშენა კასკადი (ჰესი), სადაც გამომუშავებული ელექტროენერჯიის რეალიზაცია ქვეყნის ბაზარზე გაცილებით დაბალ ფასში მოახდინა, ვიდრე ამას ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე კერძო კომპანია ახდენდა.

საქართველოს, გერმანიის, შვეიცარიის, უნგრეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და რუსეთის სპეციალური ნორმატიული აქტები პირდაპირ კრძალავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებებს, იმ ქმედებასა და პრაქტიკას, რომელიც აბნევს მომხმარებელს საქონლის (მომსახურების) ხარისხთან, მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, წარმოშობის მიზეზისა და ხასიათის მიხედვით, ასხვავებს სხვადასხვა სახის მონოპოლიას. ესენია:

ა) ბუნებრივი მონოპოლია, რაც წარმოების იშვიათი ელემენტების მქონე საწარმოებს უჭირავთ. აღნიშნულში იგულისხმება ინფრასტრუქტურის ზოგიერთი სფერო, რომელთაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული დატვირთვა აქვს (მაგალითად, რკინიგზის ტრანსპორტი, სამხედრო - სამრეწველო კომპლექსი და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში ბუნებრივი მონოპოლია დიდმასშტაბიანი წარმოებიდან მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგების მიღებითაა გამართლებული.

ბუნებრივი მონოპოლიის მაგალითებია: ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება-განაწილება, სარკინიგზო ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები და სხვა. უკანასკნელ წლებში ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეულ სფეროებში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. მაგ., განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ელექტროენერჯის გენერაცია აღარ მიიჩნევა ბუნებრივ მონოპოლიად, რადგან ელექტროენერჯის ობიექტების უმრავლესობას სხვადასხვა კომპანია ფლობს. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ენერგეტიკის ეს სფერო ფაქტობრივად დერეგულირებულია და სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ზენოლას განიცდის¹.

ბ) ლეგალური მონოპოლია კანონის საფუძველზე წარმოიქმნება. მას მიეკუთვნება:

- საპატენტო სისტემა. პატენტი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტია, რაც გამოგონების ფაქტისა და მისი პრიორიტეტის დამადასტურებელია. პატენტი კონკრეტული საქმიანობის განხორციელების სპეციალური ნებართვაა;
- საავტორო უფლება. ავტორის მიერ თავისი ნაწარმოების გაყიდვისა და გამრავლების განსაკუთრებულ უფლებას გულისხმობს;
- სავაჭრო ნიშნები. იგულისხმება სპეციალური დასახელება, სიმბოლო, ნახატი და ა.შ. (კანონის საფუძველზე კონკურენტის მიერ რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნების გამოყენება აკრძალულია);


გ) ხელოვნური მონოპოლია. მოცემული პირობითი დასახელება, მონოპოლიური მოგების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებაა. ხელოვნური მონოპოლია გარკვეულწილად ცვლის ბაზრის სტრუქტურას, უფრო ზუსტად ხელს უშლის ბაზარზე ახალი საწარმოების შესვლას; აუტსაიდერებისთვის² ძნელად მისაწვდომს ხდის ნედლეულსა და ენერგომატარებლებს; ქმნის მაღალტექნოლოგიურ დო-

¹ გ. თავაძე. ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება. 2005. გვ 4-8.

² მოცემულ შემთხვევაში აუტსაიდერში იგულისხმება საწარმო, რომელიც მონოპოლიურ გაერთიანებაში არ შედის.

ნეს, მონაწილეობს მსხვილ კაპიტალბრუნვაში. ხელოვნური მონოპოლიის წარმოქმნის მიზეზად ხშირად სახელდება კარტელები, სინდიკატები, კონცერნები.

ყოველივე ზემოთქმულისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მონოპოლიას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოვლინებები:



საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული
და აქტიური მენარმე სუბიექტების
სტატისტიკური მონაცემები

(2019 წლის 1 ივნისის მდგომარეობით¹)

მენარმე სუბიექტის დასახელება	რეგისტრირებული	აქტიური
ინდივიდუალური მენარმე	440 416	91.394
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2 750	199
კომანდიტური საზოგადოება	188	22
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	251 732	68 404
სააქციო საზოგადოება	2 630	850
კოოპერატივი	5 309	176

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

კახუსები

№1

ინდივიდუალური მენარმე იოსებ ხინიკაძის განცხადების საფუძველზე მარეგისტრირებელმა ორგანომ გააუქმა ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის ჩანაწერი. აღნიშნულიდან 6 თვის შემდგომ იოსებ ხინიკაძის წინააღმდეგ ინდივიდუალური მენარმის ყოფილმა კრედიტორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ინდივიდუალური მენარმე იოსებ ხინიკაძისათვის 5000 ლარის დაკისრება. მოპასუხემ სარჩელი არ სცნო და განაცხადა, რომ იგი ინდივიდუალურ მენარმედ არ არის რეგისტრირებული ბოლო 6 თვის განმავლობაში.

იმსჯელებთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№2

შპს "მშენებლის" პარტნიორებმა – მალრადემ და გოგიჩაიშვილმა საზოგადოების რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში პირადად წარადგინეს მათ მიერ ხელმოწერილი სარეგისტრაციო განაცხადი. მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი განაცხადა რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ ზემოაღნიშნული დოკუმანტი არ იყო ნოტარიალურად დამოწმებული.

სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი?

№3

ფიზიკურმა პირმა დააფუძნა შპს და საფირმო სახელწოდებად მიუთითა „მზიური შპს“. მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი განაცხადა აღნიშნული საფირმო სახელწოდებით შპს-ის რეგისტრაციაზე.

სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი? დაასაბუთეთ.

№4

თურქეთში დაფუძნებული სანარმოს პარტნიორებმა გადანყვიტეს სანარმოს საქართველოში რედომიცილება, რათა თავი აერიდებინათ სანარმოს მიერ თურქეთის ტერიტორიაზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. სანარმოს რედომიცილებაზე უარი განაცხადა მარეგისტრირებელმა ორგანომ იმ მოტივით, რომ სანარმოს მიმართ მიმდინარეობდა დავა თურქეთის სასამართლოში. პარტნიორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი გაასაჩივრეს სასამართლოში.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადანყვეტილება.

№5

ავსტრიის მოქალაქე ჰაინრიხმა, რომელიც შპს „Design“-ის ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორია, გადანყვიტა თავისი სანარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა. საქართველოში შესაბამისმა ორგანოებმა უარი უთხრეს რედომიცილებაზე იმ მოტივით, რომ ავსტრიასა და საქართველოს შორის არ არის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მას მიანიჭებდა სანარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანის უფლებას. ამავე დროს ჰაინრიხს დაცული აქვს ყველა ის მოთხოვნა და წარდგენილი აქვს ყველა ის დოკუმენტი რასაც ავსტრიის კანონმდებლობა რედომიცილებისთვის ითვალისწინებს.

შეაფასეთ რამდენად კანონიერია ქართული მხარის უარი?

№6

სპს-ის პარტნიორმა თავისი წილი, დირექტორის თანხმობით, აჩუქა მეგობარს. ჩუქების ხელშეკრულება წერილობით გაფორმდა და დადასტურდა შპს-ის ბეჭდით.

კანონიერია თუ არა პარტნიორის ასეთი მოქმედება?

№7

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორმა მიმართა პარტნიორთა საერთო კრებას საზოგადოებიდან გასვლის განცხადებით. პარტნიორთა საერთო კრებამ თანხმობა განაცხადა პარტნი-

ორის გასვლაზე და კრების ოქმის საფუძველზე მიმართა რეესტრს სარეგისტრაციო მონაცემებში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე. რეესტრმა უარი განაცხადა მხოლოდ კრების ოქმის საფუძველზე პარტნიორთა შემადგენლობაში ცვლილების განხორციელებაზე.

სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი. ჩამოაყალიბეთ როგორ ხდება სპს-იდან პარტნიორის გასვლა.

№8

2018 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნოდარ სარიშვილმა მოპასუხე შპს „თბოელექტროსადგურის“ მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ შპს-თვის 126000 ლარის დაკისრება. სარჩელის თანახმად, ნოდარ სარიშვილი წარმოადგენდა შპს „თბოელექტროსადგურის“ 11%-იანი წილის მქონე პარტნიორს. წილზე საკუთრების უფლება მას წარმოეშვა შპს-ის რეგისტრაციის დღიდან და ეს უფლება ჰქონდა 2015 წლის 2 მაისამდე, ვიდრე ამ წილს იგი გადასცემდა შპს „სიმპათიას“, რის სანაცვლოდაც მიიღო საკუთრების უფლება სს „მონტაჟმშენის“ გარკვეული რაოდენობის აქციებზე.

2013-2014 წლებში შპს „თბოელექტროსადგურს“ ჰქონდა წლიური გაუნაწილებელი მოგება, რის საფუძველზეც ნოდარ სარიშვილს უნდა მიეღო დივიდენდის სახით ჯამში 126 000 ლარი, რაც სარჩელის წარდგენის მომენტამდე არ მიუღია.

მოპასუხემ განმარტა, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო. გარდა ამისა, დივიდენდის მიღების უფლება პარტნიორის თანმდები და აქცესორული უფლებაა და პარტნიორის ცვლილება ავტომატურად წარმოშობს დივიდენდის მოთხოვნის უფლების ახალ პარტნიორზე გადასვლას. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიაში დათმობილი წილის სანაცვლოდ მოსარჩელემ მიიღო აქციები, ამდენად, მან, პარტნიორობიდან გამომდინარე, მოთხოვნები დათმოსხვა შესრულების მიღების სანაცვლოდ, რაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი გახდა.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№9

შპს-ის პარტნიორებმა საერთო კრებაზე გადაწყვიტეს, რომ თავიანთი წილები დაეთმოთ მესამე პირებისათვის. მხარეებს შორის დაიდო წილის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, პარტნიორებმა საზოგადოების წილთა 100% დაუთმეს მესამე პირებს. ხელშეკრულებები დამონმდა სანოტარო წესით და შესაბამის რეესტრში განხორციელდა სათანადო ცვლილებები.

შპს-ის თავდაპირველი (წილის დამთმობი) ერთ-ერთი პარტნიორის მეუღლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მას და მის მეუღლეს საზოგადოების წილი შეძენილი ჰქონდათ ქორწინების პერიოდში და მან გაასხვისა მისი თანხმობის გარეშე.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№10

დავით ბუაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ალმასისა“ და მისი სამი დამფუძნებელი პარტნიორის მიმართ და მოითხოვა სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა, კერძოდ შპს „ალმასის“ დამფუძნებელ პარტნიორად მისი აღდგენა, ასევე მისი წილის, სანარმოს კაპიტალის 20%-ით განსაზღვრა და სხვა პარტნიორთა კუთვნილ წილებში შესაბამისი ცვლილების შეტანა. მოგვიანებით მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და დამატებით მოითხოვა შპს „ალმასის“ პარტნიორთა კრების 2017 წლის 15 მარტის ოქმის ბათილად ცნობა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ შპს „ალმასი“ დაფუძნდა 2010 წელს და მისი დარეგისტრირების დღიდან მოსარჩელე სანარმოს 20%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია, ის 2017 წლის გაზაფხულამდე ასევე იყო შპს „ალმასის“ დირექტორი. 2017 წლის 15 მარტის პარტნიორთა საერთო კრებაზე დომინანტი პარტნიორის მოთხოვნით ბუაძე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. აღნიშნულ კრებაზე იგი, როგორც პარტნიორი მიწვეული არ ყოფილა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლით: 2017 წლის 11 მარტს ბუაძემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს – საზოგადოებიდან, როგორც დამფუძნებელი პარტნიორის გასვლის თხოვნით, რაც მიგ-

ვანიშნებს, რომ მან ცალმხრივად გამოავლინა ნება დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ ისე, რომ მას წილი არ დაუთმია და არც რაიმე გზით გაუსხვისებია. აღნიშნულის შედეგად, 2017 წლის 15 მარტის პარტნიორთა კრების ოქმით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლისა და მისი დირექტორობიდან გათავისუფლების შესახებ.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№11

შპს დააფუძნა ორმა პარტნიორმა: ხმალაძემ და ზარიძემ. ხმალაძემ საზოგადოების კაპიტალში შეიტანა კუთვნილი მიწის ნაკვეთი, ხოლო ზარიძემ – ავტომანქანა. მათი წილები საზოგადოების კაპიტალში შემდეგნაირად განისაზღვრა: ხმალაძე – 70%, ხოლო ზარიძე – 30%. ხმალაძემ პირადი საქიროებიდან გამომდინარე გაასხვისა მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უარი განაცხადა მიწის ნაკვეთის მყიდველის საკუთრებაში რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ გამყიდველი ანუ ხმალაძე არ იყო ნაკვეთის მესაკუთრე.

სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი? დაასაბუთეთ.

№12

სამმა ფიზიკურმა პირმა 2017 წლის მაისში დააფუძნეს შპს „კაკაბი“. ნესდებით განისაზღვრა თითოეული პარტნიორის შესატანის მოცულობა და, შესაბამისად, წილები (25% თითოეულს). პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ წინდათქმული შესატანის შევსება უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 1 მაისამდე. ამ დროისთვის ყველამ შეავსო წინდათქმული შესატანი, გარდა ერთი პარტნიორისა, რომელსაც პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეტანის ვადა გაუგრძელდა 2018 წლის 1 ნოემბრამდე. 2018 წლის 20 სექტემბერს საზოგადოებას დაეკისრა ჯარიმის გადახდა 102.000 ლარის ოდენობით. იმავდროულად სანარმომ მოსთხოვა კილაძეს დაუყოვნებლივ გადაეხადა წინდათქმული თანხა, რაზეც კილაძემ, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე, უარი განაცხადა.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№13

შპს-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა პარტნიორმა სალდაძემ საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალში წინდათქმული შესატანის ნაწილი – 4000 ლარი შეიტანა. დარჩენილი თანხა – 2500 ლარი, პარტნიორებთან შეთანხმებით, რეგისტრაციიდან 18 თვის დასრულების-თანავე უნდა შეეტანა. გადახდის ვადის გასვლის მიუხედავად, სალდაძემ შენატანი ვერ განახორციელა, რის გამოც პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით იგი გაირიცხა შპს-ის შემადგენლობიდან. სალდაძემ საზოგადოებისგან მოითხოვა უკვე განხორციელებული შენატანის – 4000 ლარის დაბრუნება. საზოგადოების წესდება აღნიშნულ საკითხზე რაიმე მითითებას არ შეიცავდა.

უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სალდაძის მოთხოვნა? დაასაბუთეთ.

№14

2012 წელს დაფუძნდა შპს „მოდელი“. 2017 წელს რეორგანიზაციის გზით გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. 2018 წელს აქციონერთა საერთო კრებამ აირჩია სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა, იმავე კრებაზე დანიშნა საბჭოს თავმჯდომარე და ასევე განახორციელა ცვლილება დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში, კერძოდ საკუთარი განცხადებით წასული დირექტორის ნაცვლად დანიშნა ახალი დირექტორი. აღნიშნული ცვლილებები დარეგისტრირდა შესაბამის რეესტრში. შპს „მოდელის“ ერთმა პარტნიორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ცვლილებათა რეგისტრაციის გაუქმება იმ მოტივით, რომ პარტნიორთა საერთო კრება გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№15

სააქციო საზოგადოება „ახალი ნათების“ პრივილეგირებული კლასის აქციების 5%-ის მფლობელმა აქციონერმა სამეთვალყურეო საბჭოს წერილობით მიმართა აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის თაობაზე. აქციონერი ითხოვდა ქ. ფოთში არსებული ფილიალის ლიკვიდაციას მისი არარენტაბელურობის მიზეზით. სამეთვალ-

ყურეო საბჭომ წერილობითი შეტყობინებიდან 5 თვის შემდგომ აქციონერს უარი განუცხადა კრების მოწვევაზე და განუმარტა, რომ დღის წესრიგში მითითებული საკითხი „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად არ წარმოადგენდა საერთო კრების კომპეტენციას და ამ საკითხს წყვეტდა სამეთვალყურეო საბჭო. აქციონერმა სარჩელით მიმართა სასამართლოს.

იმსჯელებთ და მიილეთ გადაწყვეტილება.

№16

შპს „ირისი“ 2006 წლის 2 სექტემბრიდან რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. სანარმოს 49%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია გიორგი, ხოლო სანარმოს 51%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და შპს-ის დირექტორია თემური. 2017 წლის 11 მარტს შედგა შპს-ის პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრება. კრების დღის წესრიგით განსახილველი საკითხები იყო: 1. ფინანსური შედეგები, მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და ღონისძიებების გატარება; 2. საზოგადოების მიმდინარე პრობლემური საბანკო ვალდებულებების საკითხის განხილვა და მისი გადაჭრის ქმედითი გეგმის განსაზღვრა. საერთო კრებას გიორგი არ ესწრებოდა. 2017 წლის 16 ოქტომბერს გიორგიმ სარჩელი აღძრა სასამართლოში სანარმოს წინააღმდეგ და 11 მარტის კრების ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა. ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით განმარტა, რომ მოსარჩელი-სათვის საგამოძიებო ორგანოში მასალების გაცნობისას შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ შპს-ის დირექტორს 2017 წლის მარტის თვეში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით მოუწვევია პარტნიორთა საერთო კრება და ერთპიროვნულად მიუღია გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცილდება. მოსარჩელის განმარტებით, სადავო კრების ოქმის საფუძველზე დომინანტმა პარტნიორმა თემურმა ერთპიროვნულად გაიტანა სანარმოდან დივიდენდები მაშინ, როდესაც საზოგადოება ბოლო 5 წელი ზარალზე მუშაობდა, მის ძმას გაუქვითა კომპანიის მიმართ არსებული დავალიანება 270 000 ლარი სანარმოს დივიდენდების ხარჯზე, თანხები გადაანაწილა თავის სასარგებლოდ,

სანარმო მიიყვანა ფინანსურ გაკოტრებამდე და ა.შ. მოსარჩელის განმარტებით მენარმეთა შესახებ კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, მას არ ეცნობა 2017 წლის მარტის თვეში შპს-ის პარტნიორთა საერთო კრების შესახებ, შესაბამისად ის კრებას არ დასწრებია. მოპასუხემ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს პირადად გადაეცა 2017 წლის 11 მარტის საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება კრების თარიღის, საათის, ადგილისა და დღის წესრიგის მითითებით. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელეს 2017 წლის 2 მარტიდან 2017 წლის 11 მარტის ჩათვლით მობილური ტელეფონის ნომერზე ეგზავნებოდა მოკლე ტექსტური შეტყობინებები კრების მოწვევის შესახებ. ასევე, სიმართლეს არ შეესაბამება იმაზე მითითება, თითქოს კომპანია განიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს, პირიქით, კომპანიას ჰქონდა წლების განმავლობაში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის დაუსრულებელი და უსაფუძვლო სარჩელების გამო სანარმოს საქმიანობა პარალიზებული იყო. შესაბამისად, გარკვეული საკითხები მოითხოვდა ოპერატიულ გადაწყვეტას. შპს-ის დირექტორმა გადაწყვიტა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდად გაცემის შესახებ ემსჯელათ. დივიდენდის გაცემა თანაბრად ეხებოდა სანარმოს ორივე პარტნიორს. შპს-ის დომინანტმა პარტნიორმა არაერთხელ სცადა მოეწვია რიგგარეშე საერთო კრება აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა მოსარჩელე უარს აცხადებდა კრების მოწვევაზე და კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებებს არ იბარებდა.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ წარადგინა ტელეფონიდან ამოღებული შეტყობინებები, თუმცა არ წარმოუდგენია მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატთან მისვლის დადასტურების ფაქტი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად აუცილებელია, რომ დადასტურდეს მხარისთვის შეტყობინების ჩაბარება. ამასთან, არც ერთი წარდგენილი მოკლე ტექსტური შეტყობინება არ შეიცავს კანონით გათვალისწინებულ დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რიგგარეშე საერთო

კრების მოწვევის შესახებ წერილობითი შეტყობინება პირადად ჩაბარდა მოსარჩელეს კრების ჩატარებამდე 9 დღით ადრე. თუმცა ეს ფაქტი ხელმოწერით არ დაუდასტურებია. პარტნიორთა კრება გადანყვეტილებათაუნარიანი იყო, რადგან მას ესწრებოდა ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო პარტნიორთა კრების მოწვევის თაობაზე, კრებამ გადანყვეტილება ისეთ საკითხებზე მიიღო, რაც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობაში მოიაზრება და არ სცილდება მას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა და, შესაბამისად, დავის სწორად გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო იმ გარემოებების დადგენა, იყო თუ არა კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული საზოგადოების პარტნიორი – მოსარჩელე შპს-ის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ და საჭიროებდა თუ არა, განსახილველი საკითხების მნიშვნელობის გათვალისწინებით, გადანყვეტილების მიღება ყველა პარტნიორის მონაწილეობით კრების ჩატარებას. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მხარისათვის ცნობილი იყო საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის დრო და ადგილი; ნაცვლად კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა და ამ გზით მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზებისა, მხარე თავს არიდებდა კრებაზე დასწრებას და სწორედ ამ მიზნით კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ კრებაზე განსახილველი საკითხები საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის სფეროში შედის და არ სცილდება მას. შესაბამისად, საწარმოს დომინანტ პარტნიორს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას იმ გარემოებაზე აფუძნებს, რომ საწარმოს დირექტორის ქმედებებით არაერთხელ მიადგა ზიანი მოსარჩელეს, რაც სისხლის სამართლის საქმეზე ამ უკანასკნელის დაზარალებულად ცნობით დასტურდება. მოსარჩელეს პრეტენზია აქვს დომინანტ პარტნიორთან იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თავის ძმას „ჩამოაწერა“ შპს-ის მიმართ არსებული დავალიანება, რითაც ზიანი მიაყენა საწარმოს. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა

კი პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობაა, რომლითაც გადან-
ყდა შემდეგი საკითხები: შპს-ის დირექტორისათვის საზოგადოებაში
განხორციელებული ფულადი შენატანების უკან დაბრუნება; საწარ-
მოს დირექტორისათვის დავალიანებული ხელფასის გადახდა; საწარ-
მოს დირექტორისათვის იჯარის ურთიერთობიდან გამომდინარე და-
ვალიანების გადახდა; დივიდენდის სახით გაუნანილებელი მოგების,
საწარმოს ორივე პარტნიორზე, თავიანთი წილების შესაბამისად, გა-
ნანილება; საზოგადოების ფინანსურ დავალიანებებთან დაკავშირე-
ბით კრებას გადანყვეტილება არ მიუღია, მოსარჩელის კრებაზე გა-
მოუცხადებლობის გამო.

იმსჯელებით და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ სწორია თუ არა სასამართლოს გადანყვეტილება.

№17

შპს „აკას“ პარტნიორმა დავითმა სარჩელი აღძრა სასამართლო-
ში შპს „აკას“ მიმართ და მოითხოვა 2017 წლის 3 თებერვლის პარტ-
ნიორთა კრების ოქმისა და აღნიშნულ კრებაზე მიღებული გადანყვე-
ტილებების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხე არის საზოგადოების 20%
წილის მქონე პარტნიორი. მასთან ერთად საზოგადოების პარტნიო-
რები არიან ლევანი – 36%, სერგო – 22% და მამია – 22% წილით.

საზოგადოების წესდების თანახმად, წესდებაში ცვლილებისა და
დამატების შეტანა დაიშვება მხოლოდ პარტნიორთა ერთსულოვანი,
წერილობითი, სანოტარო წესით დამონმებული გადანყვეტილებით.

მხარემ მიუთითა, რომ 2017 წლის 15 იანვარს ლევანმა მოინვია
საზოგადოების პარტნიორთა კრება წესდებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე, თუმცა დანიშნულ დღეს კრებაზე პარტნიორი მამია არ
გამოცხადდა. ამასთან, კრების დამსწრე პარტნიორები ვერ შეთან-
ხმდნენ იმავე დღის წესრიგით განმეორებითი კრების მოწვევაზე.
აღნიშნულის მიუხედავად, ლევანმა მაინც მოინვია კრება, მოსარჩე-
ლის პროტესტის გვერდის ავლით, რათა კენჭი ეყარა დღის წესრიგში
ასახული საკითხებისთვის, რასაც ყველა პარტნიორმა დაუჭირა მხა-
რი მოსარჩელის გარდა. ამასთან, კრების ოქმი დროულად არ შედგა
და მოსარჩელეს, მოთხოვნის მიუხედავად, არ გადაეცა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2017 წლის 15 იანვარს კრება არ შედგა კვორუმის არარსებობის გამო, შესაბამისად პარტნიორები ვერანაირ საკითხზე ვერ იმსჯელებდნენ. განმეორებითი კრების მოწვევა პარტნიორთა შეთანხმებაზე დამოკიდებული არ იყო. სადავო კრების ოქმი მომზადდა დროულად და მოსარჩელეს ჩაბარდა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 3 თებერვალს საბოლოო გადაწყვეტილება არც ერთ საკითხზე არ მიღებულა.

სასამართლომ დაადგინა და მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საზოგადოების 2017 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა განმეორებით საერთო კრებაზე წარმომადგენლებთან ერთად გამოცხადდა მოსარჩელე, ხოლო ყველა სხვა პარტნიორი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა წარმომადგენელთა მეშვეობით.

საზოგადოების 2017 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა განმეორებით საერთო კრებაზე დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად გათვალისწინებული იყო საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის მიღება და, მიუხედავად მოსარჩელის წინააღმდეგობისა, ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა კრებაზე წარდგენილი წესდების ახალი რედაქცია.

საზოგადოების ახალი წესდების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით საზოგადოებამ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს მიეთითა ხარვეზების არსებობაზე და მიეცა 30 დღის ვადა მათ აღმოსაფხვრელად, ხოლო 2017 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, მოპასუხის განცხადებით დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების პარტნიორთა 2017 წლის 3 თებერვლის განმეორებითი კრების ოქმის ის ნაწილი, რომელიც შეეხება აღნიშნულ კრებაზე შპს-ის პარტნიორთა მხრიდან ხმათა უმრავლესობით საზოგადოების ახალი წესდების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2017 წლის 3 თებერვლის განმეორებით

კრებაზე პარტნიორთა მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნათა ნაწილში.

იმსჯელეთ და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება.

№18

შპს „სამაიას“ 25%-ის მფლობელმა პარტნიორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „სამაიასა“ და მისი დირექტორის (რომელიც იმავე კომპანიაში წილის 75%-ის მფლობელია) მიმართ და მოითხოვა: მოპასუხე კომპანიის 2018 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილობა, ასევე მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2017 წლის დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების დავალდებულება.

2018 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრებაზე განიხილეს მოპასუხე კომპანიის 2017 წლის წლიური შედეგები და დივიდენდების განაწილების საკითხი. დადგინდა, რომ საწარმოს 2017 წლის გასანაწილებელი მოგება შეადგენდა 32324 ლარს, მაგრამ არასწორი აღრიცხვიანობის გამო საწარმოს დაერიცხა დამატებით 20270 ლარი და საექცია-საურავი 15000 ლარი, რაც 2017 წელს საწარმოს წაგებაზე მიუთითებდა; თუმცა, მოსარჩელისთვის არ წარუდგენიათ რაიმე საბუთი, რაც დაადასტურებდა დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრების ფაქტს, რის გამოც, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს და, შესაბამისად, ბათილია პარტნიორთა კრების ოქმიც. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ დირექტორმა არ შეასრულა თავისი ვალდებულება და არ წარმოადგინა წლიური ანგარიში. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხე კომპანიის დირექტორს უნდა დაევალოს წლიური ანგარიშის წარმოდგენა და დივიდენდის განაწილება. მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ მას არ ეძლევა საშუალება, გაეცნოს საწარმოს საქმიანობასა და ბუღალტრულ დოკუმენტებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ 2017 წლის მოგება არ განაწილებულა იმის გამო, რომ ყველა საფინანსო დოკუმენტი, მოსარჩელის საჩივრების საფუძველზე, გადაგზავნილია ფინანსურ პოლიციაში, რაც ხელს უშლის კომპანიის საქმიანობას. პარტნიორთა

კრება დივიდენდების განაწილების შესახებ არ ჩატარებულა და ვერც ჩატარდება მანამ, სანამ სახელმწიფო აუდიტის მიერ არ განხორციელდება საბოლოო ბუღალტრული ექსპერტიზა.

საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ სადავო კრების ოქმში სანარმოს ბუღალტრის განმარტება, კრების ჩატარების პერიოდისთვის, საგადასახადო დავალიანების არსებობაზე საქმის მასალებით არ დასტურდება. საქმეში არსებობს 2018 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება, რომლის თანახმად, მოპასუხე კომპანიის 2018 წლის 27 აგვისტოს საგადასახადო შემომწების აქტის საფუძველზე, მოპასუხე სანარმოს ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხა 16221 ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადი 10800 ლარი, ჯარიმა – 5421 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე კომპანიის 2018 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრების ოქმი; სარჩელი პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2017 წლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის და დივიდენდის განაწილების დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ეს საკითხი მიიჩნია კომპანიის შიდა საქმიანობაში ჩარევად და მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს სანარმოს ყოველი პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრების მოწვევის წესს, ამასთან მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ესარგებლა კანონით დადგენილი პროცედურით.

იმსჯელეთ და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება.

№19

შპს „ლანცეტის“ სამმა პარტნიორმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „ლანცეტის“ და მისი დირექტორის მიმართ, რომელიც იმავდროულად შპს-ის 51% წილის მფლობელია და მოითხოვს საზოგადოების პარტნიორთა კრების 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომელიც შეეხებოდა 2015 წლის 8 აპრილის კრების გადაწყვეტილების განმარტებასა და

მასში ცვლილების შეტანას (კერძოდ, დირექტორის ხელფასის დანიშნა და გაზრდა).

სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საზოგადოების პარტნიორთა კრება მოწვეულ იქნა წესდებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით (წესდებით განსაზღვრულია კრების ჩატარება მოწვევიდან მე-8 დღეს, ჩატარდა მოწვევიდან მე-7 დღეს), რის გამოც პარტნიორთა ნაწილმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე. გარდა ამისა, კრებაზე განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცდება, რის გამოც გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის საჭირო იყო ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება. ამასთან, ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია დირექტორის ხელფასის განსაზღვრის ნაწილში კრების გადაწყვეტილება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელები არიან მინორიტარი პარტნიორები, მათ არ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მაჟორიტარი პარტნიორების სურვილზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით მოითხოვეს: კრების მოწვევის პროცედურა საზოგადოებას არ დაურღვევია, იგი მოწვეულ იქნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, და ამ საფუძვლით არ არსებობდა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი. გარდა ამისა, კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არათუ არ სცდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, არამედ წესდებითაა რეგულირებული, კერძოდ საკითხი ეხებოდა დირექტორის შრომის ანაზღაურების გაზრდას (დირექტორის ხელფასის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში მისი, როგორც მენეჯერის წარმატებული მოღვაწეობა და დოლარის კურსის ცვლილება იქნა გათვალისწინებული), შესაბამისად, ამავე წესდების მოთხოვნა (კრების გადაწყვეტილებათა უნარიანობა) დაცული იყო სადავო კრების ოქმით. ამას გარდა, მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ გაბათილების შემთხვევაში მათ მაინც შეუძლიათ განმეორებით მოიწვიონ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება და, საკუთარი დომინირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კვლავ მიიღონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№20

შპს "ავტოსერვისის" 2 დირექტორი ჰყავს, რომლებზეც პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გადანაწილებულია კონკრეტული უფლებამოსილებანი. კერძოდ, ერთს ეკუთვნის კომპანიის კორპორატიული მართვა, ხოლო მეორე აღჭურვილია მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლებამოსილებით, რაც აღნიშნულია სარეგისტრაციო მონაცემებში. პირველმა სს-სთან დადო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მინოდების ხელშეკრულება და თავადვე განსაზღვრა ხელშეკრულების ფასი.

შპს "ავტოსერვისმა" გაიგო რა აღნიშნულის შესახებ, მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულება დადებული იყო არაუფლებამოსილი დირექტორის მიერ, წესდებით მას მხოლოდ საზოგადოების შიდაკორპორაციული მართვის უფლება ჰქონდა მინიჭებული. თავის მხრივ, სს-მ ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და შპს-სგან მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღება.

დაკმაყოფილება თუ არა შპს „ავტოსერვისის“ მოთხოვნა?

№21

სს „კრეატივის“ აქციონერთა მეორე (გადადებული) საერთო კრების ოქმის თანახმად (2018 წლის 16 აპრილი), დღის წესრიგიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის, პირადი განცხადების საფუძველზე გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და აქციონერთა 80%-ის გადაწყვეტილებით ამ თანამდებობაზე დადგადის დანიშვნის თაობაზე.

სს „კრეატივის“ წესდების შესაბამისად, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ყველა აქციონერი. თუ საერთო კრების დადგენილ დროს კვორუმი არ შედგა, ასეთ შემთხვევაში საერთო კრება ხელახლა ჩატარდება პირველი დაგეგმილი კრების შემდეგ არაუადრეს 20 სამუშაო დღისა და განმეორებით მოწვეულ კრებაზე კვორუმი ჩაითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია აქციონერის უმრავლესობის მფლობელი აქციონერები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სს „კრეატივის“ 16 აპრილის კრების ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის თაობაზე უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ სს-ის წესდების მე-6 მუხლის თანახმად, დირექტორთა საბჭო წარმოადგენდა სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოს, თუმცა წარდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდებოდა დირექტორთა საბჭოს არც ერთი წევრის ნება, ყოფილიყვნენ დირექტორები. საჯარო რეესტრს წარედგინა დადგადის თანხმობა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ასევე განმარტება, რომ წესდების მე-6.7 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ გენერალური დირექტორი წარმოადგენდა სს-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში, დირექტორთა საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და, შესაბამისად, არ ითხოვდნენ მათ რეგისტრაციას;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სს „კრეატივის“ წესდების თანახმად, ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „საზოგადოებას ეყოლება გენერალური დირექტორი, რომელსაც დანიშნავს და გაათავისუფლებს საერთო კრება (გენერალური დირექტორი). თითოეული აქციონერი ყოველთვის გამოიყენებს ხმის უფლებას ისე, რათა უზრუნველყოს წარდგენილი გენერალური დირექტორის არჩევა ან შეცვლა. გენერალური დირექტორს აქვს წარმომადგენლობის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში; დირექტორთა საბჭო შედგება არაუმეტეს ხუთი დირექტორისაგან“. წესდება არ შეიცავს მითითებას მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორთა საბჭოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. ამასთან, წესდებით ნათლად არის გამოვლენილი ნება იმის შესახებ, რომ დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს ენიჭება მესამე პირებთან საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

საქმეში წარმოდგენილია აქციონერთა საერთო კრების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ წესდების დამტკიცების შემდგომ, კრებამ წესდების შესაბამისად დანიშნა დირექტორთა საბჭოს წევრები (დირექტორები). ოქმში აღნიშნულია, რომ „ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად დირექტორთა საბჭოს წევრები არ ექვემდებარებიან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას“;

დირექტორთა საბჭოს წევრებს წესდებით დადგენილი აქვთ მხოლოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, რაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად არ მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

წესდებით ნათლად არის დადგენილი, რომ მესამე პირებთან საზოგადოების წარმოდგენის უფლებამოსილება ენიჭება დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:
1. შეიძლება თუ არა სს-ის დირექტორს წესდებით შეეზღუდოს წარმომადგენლობითი უფლება; 2. სავალდებულოა თუ არა ასეთი დირექტორების (არსებობის შემთხვევაში) რეესტრში რეგისტრაცია; 3. სავალდებულოა თუ არა ასეთი დირექტორების (არსებობის შემთხვევაში) წერილობითი თანხმობა წარმომადგებლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი გენერალური დირექტორის დანიშვნისა და რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში.

№22

ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოების დირექტორმა გამოსცა ბრძანება ფილიალის ლიკვიდაციის შესახებ, რაც დაასაბუთა ფილიალის მენეჯმენტის არაპროფესიონალიზმითა და თავად ფილიალის საქმიანობის არარენტაბელურობით.

აქვს თუ არა სს-ის დირექტორს ამ ტიპის ბრძანების გამოცემის უფლება? დაასაბუთეთ.

№23

ალავიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ტიტიკოს“ მიმართ და მოითხოვა სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2016 წლის 14 სექტემ-

ბრის სხდომის ოქმისა და ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ალავიძის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სს „ტიტიკოს“ სამეთვალყურეო საბჭოს 2016 წლის 14 სექტემბრის სხდომის ოქმი და ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო ნესით.

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2016 წლის 14 სექტემბერს ჩატარდა სს „ტიტიკოს“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები – ნერგაძე, გვანცელაძე, ყუბანეიშვილი და ნუცუბიძე. სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გვანცელაძე, ხოლო მოადგილედ – ნერგაძე.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ალავიძის სარჩელი, რადგან მიიჩნია, რომ 2016 წლის 14 სექტემბერს სს „ტიტიკოს“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ჩატარდა კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, კერძოდ მოსარჩელე მხარისათვის სხდომის ჩატარების შესახებ წერილობითი მონვევა არ გაუგზავნიათ და არც სავარაუდო დღის წესრიგი უცნობებიათ. ასევე, სხდომა არ მოწვეულა კანონით ამისთვის უფლებამოსილი პირის მიერ. კანონის მოთხოვნათა ამ უხეში დარღვევის გამო სასამართლომ დაადგინა გასაჩივრების ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა.

იმსჯელეთ და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლები?

№24

შპს „მზიურის“ პარტნიორთა საერთო კრებამ გენერალური საჯარო მინდობილობა მისცა ირაკლი ნოზაძეს. პროკურაში მიეთითა, რომ ნოზაძე შპს-ს წარმოადგენდა სასამართლოში.

შპს „კომბინატმა“ შპს „მზიურის“ მიმართ კერძო არბიტრაჟში წარადგინა სარჩელი. შპს „მზიურს“ წარმოადგენდა პროკურისტი ნოზაძე. არბიტრაჟმა დაკმაყოფილა შპს „კომბინატის“ სარჩელი და შპს „მზიურს“ დააკისრა 100 000 ლარის გადახდა. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო შპს „მზიურის“ დირექტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომ შპს-ის ინტერესებს არბიტრაჟში წარმოადგენდა არაუფლებამოსილი პირი ნოზაძე, რომელსაც შპს-ის წარმოდგენა მხოლოდ სასამართლოში შეეძლო.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№25

სს „ანაგის“ მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების გამო. აღნიშნულ პერიოდში, სს „ანაგის“ პარტნიორებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სს „ანაგის“ შპს „ანაგად“ გარდაქმნის შესახებ. მარეგისტრირებელმა ორგანომ შეაჩერა რეგისტრაციის საკითხის განხილვა და მოითხოვა პროკურატურის თანხმობა რეორგანიზაციის გადაწყვეტილების სარეგისტრაციოდ.

სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს მოთხოვნა?

№26

შპს „ალიონის“ და კოოპერატივი „ერთობის“ შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება პარტნიორთა საერთო კრებაზე მიიღო ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 51%-მა. აღნიშნული გადაწყვეტილებით განისაზღვრა პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და უფლებამონაცვლეობის საკითხი. შერწყმის გადაწყვეტილება სამენარმო რეესტრის მიერ არ იქნა რეგისტრირებული იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი? (დაასაბუთეთ).

2018 წელს საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ფიზიკურმა პირმა გიორგობიანმა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლამდე ის იყო შპს „მგმ“-ის დამფუძნებელი პარტნიორი. 2014 წელს მან გაყიდა საკუთარი წილი და გამოვიდა შპს-ის პარტნიორთა შემადგენლობიდან, თუმცა კომპანიას არ გაუცია მისი კუთვნილი 2013 წლის დივიდენდი – 45000 ლარი, ამასთან მოსარჩელე მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებასაც, რაც გამოიხატა მიუღებელ შემოსავალში, კერძოდ, მას რომ აღნიშნული თანხა დროულად აეღო და სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულებით გაეცა, წლის განმავლობაში დამატებით მიიღებდა ზემოხსენებული თანხის მინიმუმ 5%-ს.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განაცხადა, რომ გიორგობიანს არ ჰქონდა დივიდენდის მოთხოვნის უფლება, რადგან წილის გაყიდვა იწვევს ახალ (მყიდველ) პარტნიორზე ყველა უფლება-მოვალეობის გადასვლას, მათ შორის დივიდენდის მოთხოვნის უფლებისაც, რადგან დივიდენდის მოთხოვნის უფლება აქცესორული უფლებაა და არ არსებობს პარტნიორის გარეშე. ამასთან, მოპასუხის აზრით, მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხეს „დივიდენდის“ განმარტებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დივიდენდის მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია და, წილის გასხვისების შემთხვევაში, ავტომატურად არ გადადის წილის შემძენზე, თუ ამის შესახებ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული. წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან კი ეს არ დასტურდებოდა. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს არა სსკ-ით დადგენილი, არამედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა, რაც მოპასუხეს არ აქვს გაშვებული. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან დივიდენდის მოთხოვნის უფლება აუცილებლად საჭიროებს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას დივიდენდის განაწილების თაობაზე, რაც 2013 წლის დივი-

დენდთან დაკავშირებით შპს „მგმ“-ის პარტნიორთა საერთო კრებაზე არ მიუღია.

იმსჯელებით და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება.

№28

ფიზიკურმა პირმა მუმლაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სპს „ჭიჭიკო ბენდელიანი და კომპანიის“ მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, სპს-ის ერთ-ერთი პარტნიორი ბენდელიანისათვის 20000 ლარის გადახდის დაკისრება. მოპასუხე არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და აღნიშნა, რომ სპს-ის კრედიტორი უფლებამოსილი იყო პირველ რიგში საკუთარი მოთხოვნა დაექმაცოფილებინა საზოგადოების ქონებიდან. ამასთან, მან შესაგებელში აღნიშნა, რომ საზოგადოების პარტნიორებს შორის დადებული იყო წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოპასუხეს (ბენდელიანს) არ დაეკისრებოდა გადახდის ვალდებულება საზოგადოების ვალებისათვის.

სწორია თუ არა პარტნიორთა შეთანხმება? დაკმაყოფილდება თუ არა სარჩელი? იმსჯელებით და მიიღეთ გადაწყვეტილება.

№29

სსიპ შემოსავლების სამსახურმა სარჩელი აღძრა შპს „ლილუს“, ასევე მისი პარტნიორებისა და იმავდროულად დირექტორების, ლევანსა და მამუკას მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2 223 370 ლარის გადახდის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: შპს „ლილუს“ 2015 წლის 20 მაისის საგადასახადო შემონმების აქტის მიხედვით დაერიცხა 786657 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შპს „ლილუს“ ხელმძღვანელ პირთა მიმართ დაიწყო გამოძიება დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე.

აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნა სახელმწიფო. ზიანის თანხა განისაზღვრა 786 657 ლარის ოდენობით. საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 მარტის განაჩენით შპს „ლილუს“ ხელმძღვანელები დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებს ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანი 786 657 ლარი არ გადაუხდიათ და ის 2018 წლის 23 ივლისის მდგომარეობით საურავთან ერთად შეადგენს 2 223 370 ლარს. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

შპს „ლილუმ“ და ხელმძღვანელებმა თავის შესაგებელში აღნიშნეს, რომ შპს-ზე თანხების დარიცხვა განხორციელდა უკანონოდ. ამასთან, მოსარჩელე არასწორად მოითხოვს თანხის დაკისრებას სოლიდარულად, რადგან შპს „ლილუმ“ არის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „მენარმეთა შესახებ“, რომლის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სწორედ ეს დეფინიცია გამორიცხავს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს „ლილუმ“, ასევე მის დირექტორებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 786657 ლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს-ის ხელმძღვანელების მოქმედებით სახელმწიფომ ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა ხელმძღვანელთა მიერ ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამიტომ, უშულოდ მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით სახელმწიფოს მიადგა ზიანი და ეს ზიანი ვალდებულ პირებს უნდა აენაზღაურებინათ. ამავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი საურავი, როგორც საგადასახადო სანქცია ეკისრება გადასახადის გადამხდელს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის

გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა შპს „ლილუს“ და არა მის პარტნიორებს და ამიტომ ლევანისა და მამუკასათვის, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საურავების დაკისრება დაუშვებელი იყო.

მოცემულ საქმეზე საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ითხოვდა მოპასუხეებზე სოლიდარულად ჯამში 2 223 370 ლარის დაკისრებას. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა 786 657 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო 1 436 713 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მოპასუხეებზე თანხის სრულად – 2 223 370 ლარის ოდენობით დაკისრება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის იმ შემთხვევაში თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია?

უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით?

№30

შპს „ბაიას“ პარტნიორებმა – თამაზმა (ნილთა 20% მფლობელი) და ნუგზარმა (17%) სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების: შპს „ბაიას“ და მისი პარტნიორების – ირაკლის (17%), ნინოს (23%) და თამარის (20%) მიმართ და მოითხოვეს შპს „ბაიას“ პარტნიორთა 2018 წლის 29 მარტის კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე

შპს „ბაიას“ 2016-2017 წლების წლიური ანგარიშების სისწორის შემოწმება. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილია, რომ შპს „ბაიას“ ძირითადი საქმიანობა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაქირავებაა.

შპს „ბაიას“ დირექტორის (ირაკლის) მიერ 2018 წლის 29 მარტისათვის მოწვეულ იქნა პარტნიორთა კრება, რომლის დღის წესრიგი განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: წლიური შედეგების განხილვა; დირექტორის სახელფასო ანაზღაურების გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა; მოგების რეინვესტირების შესახებ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; დივიდენდების განაწილების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; 2017 წლის წლიური ანგარიშის ასლების წარმოდგენა და მათი სისწორის შემოწმების მიზნით საბუღალტრო წიგნების გაცნობა უშუალოდ დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით; 2018 წელს საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პროექტების განხილვა და დამტკიცება. თამაზმა და ნუგზარმა მხარი არ დაუჭირეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს. კრების ოქმით, ხმათა უმრავლესობით, საზოგადოების წლიური ანგარიში ჩაითვალა დამტკიცებულად, რომლის მიხედვით შპს „ბაიას“ 2017 წლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა 1182288 ლარს, საიდანაც გასანაწილებელმა მოგების ოდენობამ შეადგინა 555840 ლარი; ასევე გადაწყდა დირექტორისათვის სახელფასო ანაზღაურების გაზრდა 12000 ლარამდე. გადაწყვეტილებას, დირექტორის სახელფასო ანაზღაურების გაზრდის შესახებ, საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ ირაკლის დირექტორად დანიშვნის შემდეგ შპს „ბაიას“ შემოსავალი ეტაპობრივად იზრდებოდა. აგრეთვე, კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2017 წლის მოგების სრულად რეინვესტირების შესახებ. კრების ოქმის მიხედვით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რაც მოითხოვდა ხარჯების ზრდას წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად (მაგ., ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა). ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, შპს „ბაიას“ დირექტორს

მიეცა საკადრო საკითხების ერთპიროვნულად გადაჭრის, სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების და უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის უფლება. 2018 წლის 29 მარტის კრებაზე თამაზსა და ნუგზარს უარი ეთქვათ საბუღალტრო დოკუმენტაციის გაცნობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ. საზოგადოების 2016-2017 წლების წლიური ანგარიშების შემოწმების მიზნით, შპს „ბაიას“ დაევალა მოსარჩელებისათვის უზრუნველყო საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა და შემოწმება. საზოგადოების მოგების რეინვესტირების ნანილში ბათილად იქნა ცნობილი შპს „ბაიას“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. შპს „ბაიას“ და მისი პარტნიორების – ირაკლის, ნინოს და თამარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო თამაზისა და ნუგზარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას – გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნანილში გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ამ ნანილში სარჩელის დაკმაყოფილება.

იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება.

სარჩევი

1. სამენარმეო სამართლის განვითარების ისტორიული ასპექტები	5
2. სამენარმეო სამართლის ცნება და რეგულირების საგანი	15
3. სამენარმეო სამართლის მეთოდები და პრინციპები	23
4. სამენარმეო ურთიერთობების სუბიექტთა ზოგადი დახასიათება	35
5. მენარმე სუბიექტთა დაფუძნება	42
6. სანარმოს ფილიალის დაარსება	55
7. სანარმოს საფირმო სახელწოდება	58
8. სანარმოს ქონება	63
9. სანარმო როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი	74
10. სანარმოს კორპორაციული მართვა.....	80
11. პარტნიორთა საერთო კრება	85
12. სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები	92
13. სანარმოს წარმომადგენლობა	114
14. მენარმე სუბიექტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია	121
15. მენარმე სუბიექტთა გადახდისუნარობა.....	136
16. სამენარმეო საქმიანობის კონტროლი. პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათება.....	164
17. მენარმე სუბიექტები. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	193
18. კომანდიტური საზოგადოება.....	200
19. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	206
20. სააქციო საზოგადოება.....	211
21. კოოპერატივი.....	243
22. კორპორაციული გაერთიანების ზოგადი მიმოხილვა	250
23. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების ფარგლები	256
24. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და აქტიური მენარმე სუბიექტების სტატისტიკური მონაცემები	269
25. კაზუსები.....	270

რედაქტორი ლ. მამალაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა ხ. უნგაძის

გადაეცა წარმოებას 09.07.2019. ხელმოწერილია დასაბეჭდად
22.07.2019. ქალაქის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,5.
№3131.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“,
თბილისი, კოსტავას 77



Verbo volent,
scripta manent



9 789941 285028